ჯორჯოხი



ბათუმი
„რვაფეხა“

4 2021

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
21004
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ვახტანგ ღლონტი – „ნოსტალგია მეორე ადამზე“ (პოემა. ნაწყვეტი) 3
გურამ ფუტკარაძე – დეზერტირი (მოთხრობა) 11
ირინა ტაბაღუა – ლექსები 32
მიხეილ მახარაძე – ჩვენი თანამედროვენი 46
ნათია ბერიძე – თედორე 58
პოეტი დენდი, მთვარის რაინდი 60
ღლონტები 63
„ჯადოქრის ფუნჯით შექმნილი“ 66
„...რა ვუყოთ მერმე, ლექსს რომ არა წერ“ 67
ნინო არსენიშვილი – ლექსები 71

თარგმანი

კაზუო იშიგურო – მელვერნ ჰილზი (ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა) 74
ბელა ახმადულინა – ლექსები (რუსულიდან თარგმნა შოთა ზოიძემ) 92

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

როსტომ ჩხეიძე – „ულამაზესი სიცოცხლის უტოპია“ 96
„დაშვენდება ივანე აბაშიძის მემორიალი“ 102
შორენა მახაჭაძე – მზეს მოწყურებული სული 104

ზეიმრლიტუეო�s

თინა შიოშვილი – ტაოური მახვილსიტყვაობა 109

წერილები

ნოდარ ბარამიძე – გონიოს მუჰაჯირი ბარამიძეები 116



ვახტანგ ღლონტი

„ნოსტალგია მეორე ადამზე“

(ნაწყვეტი)

აი, განთქმული ჩვენი პარნასიც;
ხან ფიდოს როა, ხანაც ფარნასი,
ხან ორივესი, ხან არავისი...
„ცოტა მომცეს და, ველარ წავისვი,
შემომეჭამა, თაფლი, სრულიად“, –
გმირი მგოსანი გულმოსულია.
გულმოსულია პატარაც, დიდიც,
გულმოსულების მეტი აქვთ რიდი.
მაგრამ, ძალიანც ნუ გაბრაზდებით,
სულ მზად არიან არამზადები –
გამოგაცლიან ტახტს და სავარძელს,
როგორც მომხდარა დღემდე მრავალჯერ.
ცხრება ბრაზი და ქრება წუმწუმა,
იგესლებიან ახლა ჩუმჩუმად.
სძულთ ნიჭიერებს უნიჭოები –
„უნაყოფონი, უნიფ..ოები!
ასე შიშველი წინ რას მიძვრება?!“
ასე ურჩიეს ძმებმა, ბიძებმა.
მიდით, ბიძებო, მიდით, ძიძებო,
მიდით დედას და მამას ბიჭებო,
სანამ ღიაა პარნასის კარი,
დაჰკარით ფეხი და შეასწარით –
თქვენზე ღირსეულთ, თქვენზე უკეთესთ,
კარები მაგრად გამოუკეტეთ.

რადგან სულმუდამ გასწრებენ ნიჭით,
სამაგიეროდ თქვენ სხვა გზა იცით
და, ღვთის მაგიერ, თავს თავად წყალობთ,
„რა დრო-ს(ლ)ექსია, ჩაიწი, ქალო!“
სძულთ უნიჭოებს ნიჭიერები –
„ამპარტავნები, ბიწიერები!
რა მოხდა, თუკი ნიჭიერია;
ჩვენში სუყველა ჩინ-ციერია...
(შექსპირთან!) დიდი არაფერია,
თან, რომ წერს, საქმით იმის მტერია...
თუ არ უტაცე ხელი აღვირზე
ისე სალამს არ ჩამოგაღირსებს.
არც ჩვენ ვართ უფრთო და უპეგასო,
ერთი სალამი რაა, შე კაცო?!“
სძულთ უნიჭოებს უნიჭოები –
„ჯობდა დოლაბის ქვა გამომება
და ის მეთრია, თრევას ამისას...
ვერც თვითონ მიდის, არც მე გამიშვა;
სხვებმა დაიპყრეს ჩემი მწვერვალი,
თან არც ღმერთი ჩანს ჩემი მწე-რალი.
თვით ჰონონარის გამო-მწერალიც,
ეს ბულა-ლტერიც, მიბღვერს ჰონორით;
მიტომ დავდივართ მუდამ ორ-ორი
და ვწერთ (საჩივრებს!) მუდამ ათ-ათი.
კლასიდან კლასში „ბრინჯოც“ გადადის,
ჩვენ კი ერთ მერხზე ისე დავბერდით,
ჯერ არ გვინახავს – ბანა, შატბერდი...
რიო, პარიზი და ნეაპოლი,
დაგვცინის შვილი, გვაგინებს ცოლი –
დღენათმენი და ღამენათევი...
ჩვენ, მაინც გვინდა, ვნახოთ ათენი!
თუმც ვინ გვაღირსებს ძვირფას საგზურებს,
სიტყვა „სამშობლოც“ კი შეგვაძულეს;
ჩვენი ტაძარი და სალოცავი,
ჩვენც, ჩვენს დაქცეულ სამშობლოსავით,
არ გვცნეს de factod-დ, არც de jure-დ,
მიტომაც ვიბრძვით კოლექტიურად!“
სძულთ ნიჭიერებს ნიჭიერები –
ცას ვერ იყოფენ, მიწიერები,
ისაკუთრებენ მთვარეს, ვარსკვლავებს,
სიყვარულითაც გამოასხვავეს;
ვის ტყავი აძრო და ვინ შემოსა –

იქით მეფემ და აქეთ დემოსმა.
ზოგი აგდია გაჭრილ კარტივით,
ვინ ტუზი გახდა; დიდის პატივით
მოარგეს ტანზე სხვისი ხალათი,
შეუქმნეს მითი ძალისძალათი,
ემსახურება ეტლიც სამეფო...
„რად უყეფთ ერთურთს, ჰამ-ხანაგებო...
ნუთუ ესაა ამხანაგობა...
არც სახლს გაღირსებთ და არც სარკოფაგს!“ –
თათს იქნევს ლომი, მშვიდობის მდომი,
მე მგონი, არც სხვებს უხარით ომი.
ომობენ ისე, თამაშთამაშით,
თანამოლუკმე არ სურთ ჭამაში.
სამწუხაროა მათი ამბავიც,
არც ნიჭი ჰყოფნით, არც სალაფავი!
სძულს უსახელოს სახელგანთქმული –
„საძაღლეთში აქვს ფესვი გადგმული;
ცოლიც ისა ჰყავს... შვილი მეტია...
ჰოდა, ამ-ჩემის „ვორთაპეტიანს“,
რა ემღერება, ჩვენში რომ ითქვას,
ვის უნდა მაგის საქმე ან სიტყვა?!“
სძულს ახალგაზრდას მოხუცებული –
ტახტზე დიდებით მოყუჩებული;
ყოვლის შემცნობი და არვის მცნობი...
„სად გაიქაჩა სოფლელი სნობი?!
ლამის გაეგოს ფეხქვეშ ქალაქი,
ცოცხალს უკურთხეს ძვალთშესალაგი
უმაღლეს მთაზე, უწმინდეს ცასთან...
მაგრამ, გიჟია, იჩქაროს წასვლა?!
თუმც ვიღას უნდა აწ მაგის ცნობა,
დაფნასაც, შუბლსაც, დაეტყოთ ჭკნობა.
ათობით წელი, რაც კრა და ღობა,
საცაა თავზე წამოემხობა!“ –
ახალუხლები უნგრევენ ღობეს,
ცხვირსა და თვალებს უტიფრად ყოფენ,
აინტერესებთ ბებრის ბოსტანი,
(ო, როგორ ითხოვს, აქ მოსატანი,
თავის უფლებას, რითმა-გინება...
თუ ვინმეს, ისევ ჩვენ გვეწყინება,
ჩვენ გვერცხვინება, და არა იმათ...)
„საქმე არა გაქვს, მოეშვი, ჯიმა,
ამშვიდებს, ერთი ნორჩი, მეორეს –

წადი და სუფთა ქაღალდს ეომე...
ამ გაყვითლებულ ქაღალდის კაცებს
არჩივს არწივიც ვერ გამოსტაცებს!“
მართლაც, ბებერი როდია უქმად;
„ჰოპ“ და, ხელში აქვს მოზრდილი ლუკმა.
ღიმილით ხვდება ახალ ავ-ტორებს
და თუ დამარხავს, კვალს არ დატოვებს.
ჭარბად უბოძა ჭრელმა დროებამ
გველის სიბრძნე და უმანკოება.
ეძმაბიძება უნიჭოს, უნდილს,
ვინც ვერ შებედავს გაცრეცილ მუნდირს...
თუ შეეფეთა სადმე ნიჭიერს –
„რაო... რა მსურსო... ჩემი ბიძიე,
თუ გყავს დედ-მამა... ვინმე, პატრონი...
თავს ლექსით ირჩენ?! – „ვაჰ, დრონი, დრონი...“
წადი, ეძიე სხვა რამ ხელობა,
რატომ გიზიდავს ეს თვითმკვლელობა?!“
შორიდან არ ჩანს, როგორც წესია,
ჩამქრალ ვარსკვლავთა ეს აგრესია.
უმნიშვნელოა, რაც ჩანს შორიდან,
გრძელდება სისხლიანი კორიდა...
„ბარათაშვილი!..“ „პუშკინი!..“ „რემბო!..“
თქვენ ისევ აქ ხართ, ძვირფასო ძმებო,
სხვისი სახელით და სხვისი გვარით.
ჯალათს ჰგონია, დამარხა მკვდარი
და ახლა ტირის, გულწრფელად ტირის,
თურმე ჰქონია გულიც და ტვინიც
და, მასთან ერთად ბერიც და ერიც
თქვენს სადიდებელ ფსალმუნებს მღერის.
მაგრამ, თქვენს ახალ გვარებს, სახელებს,
მალე კვართივით შემოგახევენ;
ისევ ჯალათი და ისევ კუნძი...
ერი და ბერი გამხდარა მუნჯი...
ასჯერ მოგკლავენ, ასჯერ აღდგებით,
ლამაზები და ახალგაზრდები!
სძულთ ბერიკაცებს ახალგაზრდები –
„ამ ჯარჯამაათს როგორ გაწვდები?!
ქვაც რომ უკოდო, ფუჭად გაცდები.
წყალს არ მოგაწვდის, როცა გაცვდები.
მკვდარს, არ მიგყვება პანთეონამდე...
ცრემლებით ცრემლებს ვერ გამომადენს,
ვინც მონად იშვა – დარჩეს მონადვე!

და თუ კაცია, და არა კასრი,
იაროს, ნახოს ქვეყანა მკაცრი.
დრო მოდგება და გასაცრელს გაცრის;
ვნახავთ, რა დაცხვა ცომისგან კაცი.
ჩვენც თავზე გვესხა წინა თაობა,
მერე მოგჭამა ჭირი ჭაობმა,
მერე დაფასდა ჩვენი წიგნებიც
და, სანამ ჩვენ ვართ, თქვენ ვერ იქნებით!
მეც ვიყავ მშივრად და უსახლკაროდ...
ახლა ბოდიში... უნდა გავქარო,
ძლივს დავითანხმე მეფის მინისტრი,
რაზე? – იმაზე!.. რატომ? – იმისთვის!..
ათასი რამე გჭირდება ცოცხალს,
განა ამქვეყნად მეორედ მოხვალ!
რაა მწერლისთვის ორმოცი წელი,
ბევრიც ეძიო, – ვინაა მკვლელი.
შენ შენი რომი ჯერ კიდევ გელის,
ბებრებს რად უნდა გვიშალო ხელი?!
გინდა გავცვალოთ; მე – შენი წლები,
შენ – ჩემი დაფნის დამჭკნარი ძნები,
ყოველღამ შიშის თონეში ვწვები,
შენ კი რა ქალთა მკლავებში ცხვები...
გასაგებია, შენ შენსას ითხოვ,
და საკამათო არცაა თითქოს,
სწორედ ეგაა გულებს რომ გვიფრთხობს;
ვიწროა ხიდი და საცალფეხო,
რომ ჩავიწიო, იქნებ ჩამჩეხო
და, უსაფუძვლო არცაა იჭვი,
ბრალში მეცა ვარ, ასე რომ გიჭირს.
აგერ, შეხედე, ის ორი-სამი,
ჩემი თაობის ხალხია, ძამი,
რაც მაგათ მეფეს ანთხიეს შხამი,
სახლში არ უდგათ მაგიდა, სკამი.
აქვთ ნიჭი, მაგრამ არა აქვთ ჭკუა,
ხომ უნდა მიხვდეს, მწერალი თუა,
რომ კაცი ბედთან თავადვე ტყუა!
ვინ გაასწორა, ძამი, სამყარო...
ისევ ბოდიში... უნდა გავქარო,
მგონი გითხარი, – მიცდის მინისტრი...
რაზე? – იმაზე!.. რატომ? – იმისთვის!..
ჩემი პაწია შვილიშვილისთვის
იქნებ... წავგლიჯო... რაღაც (სახლსავით),

რომ არ იწვალოს მერე სხვასავით,
რომ არ დაიწყოს ფრთების სავსავი,
რომ გაიზრდება, პაპის საფლავი
არ შეაგინოს მაგ მამაძაღლმა...
მოკლედ წავედი... თუ გინდა, – მნახავ...
არც სიყვარული, არც სიძულვილი
არ შეიძლება ოდენ სურვილით!“
დიახ, ასეა... ნამდვილად ასე...
რას არ მოისმენთ ამ წმინდა მთაზე.
და რომ არ ელით – უცებ, შემთხვევით,
ვინ არ შეგხვდებათ, ვის არ შეხვდებით:
ქურდებს, არიფებს, ვაჭრებს, მეძავებს, –
წერენ ლექსებს და ერთურთს წეწავენ.
არისტოკრატებს, გლეხებს, პიჟონებს...
ნეტავ რა წყლიდან გამოიჟონე,
რა ფესვებიდან, რა ნაყოფიდან,
თითქოს, ჩვენ ჩვენი არა გვყოფნიდა.
წადი, ეძიე შენი ბილიკი...
არ აგვატირა თავის ლირიკით!“
და ისევ – ლანძღვა, ლიქნი, ქილიკი...
ვინ ვის აქებს და ვინ ვის აძაგებს,
სძულთ ერთად, მაგრამ უყვართ ცალ-ცალკე –
ღმერთი, სამშობლო (წითელიც, ლურჯიც),
მხოლოდ ამათი ამოსაფუნჯი,
მხოლოდ ამათი გადასარჩენი,
ვაი და, თეატრს მიღმა დარჩენილს,
უბედურება, თან რამოდენა,
რომ ვერ ესწრება ამ წარმოდგენას.
ამ ტრაგედიას, ამ კომედიას,
მაგრამ, რას იზამ, ესეც ბედია!
„პოეტის მტერი არის პოეტი“,
რადგან განთქმულა სივიწროეთი
მრავალხმიანი ჩვენი პარნასი.
ჰკლავენ დროს ენა-კალმის ფხანაში
და, შიგადაშიგ, ჰკლავენ ერთმანეთს.
შემეწიეთ და შემეღმერთმანეთ,
რადგან ყველაზე ნამდვილი მკვდარი
სიტყვაჩაკლული მესიტყვე არი.
ღმერთო, შთამბერე სიტყვა ახალი,
ან განმიახლე ზიზღს შენახალი,
სული, რომელიც მექცა სხეულად
და ახლა მასში გამოხვეულა

ყველა მარცხი და ყველა სიმდიდრე,
რაიც გულგვამზე ამომიტვიფრე.
ან იქნებ ჯობდეს, რომ ამიტაცებ –
სულ არაფერი დამრჩეს მიწაზე.
რაც მჭირს, მჭამელი მიწის გამოა,
კუბოც, რომელიც გარეთ გამოაქვთ,
ცარიელია და ზეიმ-ზარიც
ნაადრევია... ვინა გყავთ მკვდარი?!
თქვენ გქონდეთ თქვენი მიწა, სამიწე,
ასე იოლად მე ვერ ჩამიწვენს
ეს ნაკახპარი და ნაგროშალი,
ჩემი საფლავი ისე შორს არი,
ბევრი თაობა დაიწყვეტს მკლავებს,
ვაი, ჩემს მკვლელებს, რა ფუჭად მკლავენ!
უნდა მოვასწრო, ვუთხრა სათქმელი,
ვიდრე არ შთანთქეს ჩემი შთანთქმელი,
ამ მელნისფერი დროის ტალღებმა,
ყველას თავზე რომ მოიყალყება.
მეც ხომ, მელნისფერ ღვინონასვამი,
ყბებში მომიგდო იონასავით,
მელნისფერი ზღვის არქივეშაპმა,
თვისი მძლევი რომ გამოეწაფა.
ცხრა პირი ჰქონდა, ვეშაპს, ცხრა კუდი,
თან – ლაურეატ მწერლის საბუთი,
ზედაც – ვეტერან ჩეკისტის „ქსივა“.
ჯერ წვრილფეხობა შემომიქსია,
მერე თავადაც იკადრა ომი,
მაგრამ, მე, სულ სხვა გამოვდექ ცომი.
მძიძგნა, მათრია, უაზროდ, უქმად,
ყელზე დაადგა არამი ლუკმა
და შხამთან ერთად ამომანთხია.
ცამ ჩამომრეცხა ჭუჭყის მანტია,
ცამ მომირჩინა მიწის წყლულები,
მეც ცით მოსარჩლეს ვეჩურჩულები;
– ღმერთო, ხომ გესმის ჩემი ჩურჩული,
ერთხანს აცოცხლე ხრონცი ურჩხული –
ნახოს, ვიზრდები როგორ დღითიდღე,
რომ ცრუ გამოდგა მისი სიდიდე.
სხვა ბევრი რამეც გამოდგა ბლეფი...
როდის ტყუოდნენ ძაღლებთან მგლები.
კი, შეიძლება, სცოდავდნენ სხვებთან,
მაგრამ, არასდროს, მამაძაღლებთან!

წყალქვეშა რითმის შტურმან ლუციფერს,
ჩემს ჩასაძირად რაც მიუჯიბეს,
ნეტავ, თუ ეყო ის ოქრო-ვერცხლი?!
ღმერთო, აშორე გეენას ცეცხლი,
კარგი ლექსები წერა ჭაბუკმა
თუმც ჭინკებთანაც ზოგჯერ ჩაბუქნა.
ბუქნა და ბუქნა, მერე და მერე,
რადგან საუფლო ხმებს და სიმღერებს
აქ, ამ მიწაზე, არ მოაქვთ სარჩო;
კარგი პოეტიც(?!) ამიტომ ჩარჩობს.
იჩარჩოს თვისი სულით, სხეულით,
სხვას რაღას ერჩის ეს კურთხეული;
რა თვისდა ჭირად ამომიჩემა
თუ არ ვინდომე ხარკის მიცემა
კეისრისათვის უფლის ჯიბიდან,
ჩემს შობა-ცხობას ამათ ვინ რჯიდა?!
რაც ციდან მერგო – მივაგე ცასვე,
სწორედ ამიტომ ცივ ქვაზე დამსვეს.
მალე ეს ლოდიც მათ დასჭირდებათ,
რომ ზედ აღბეჭდონ მათი დიდება –
სახელი, გვარი, ორიც თარიღი –
პოეტის (მკვლელის, მსტოვრის, „ბარიგის“)...
ახლა ნახვამდის, მართლა ნახვამდის,
მე მოგიშორეთ, როგორც სახადი
და თუ იმ ქვეყნად გველის შეხვედრა –
ვინ რის ღირსია, ამას შევხედავთ!

გურამ ფუტკარაძე

დეზერტირი

– შვილო, უკვე მესამე თვეა, რაც სამხატვრო აკადემია დაამთავრე, იქნებ მოძებნო რაიმე შესაფერისი სამსახური, თორემ შენზე ჩვენი ბრიგადირი ყოველდღე მიჩიჩინებს: კოლწევრად უნდა გავაფორმოო, – მომახსენა მამაჩემმა და გრძელტარიანი თოხი სახლის ღოჯეზე ჩემს დასანახად მიაყუდა.

თოხი, ბარი და ნაჯახი ჩემთვის უცხო არ იყო, სოფელში დავიბადე და შრომას ბავშვობიდან ვიყავი შეჩვეული, მაგრამ თოხის დანახვაზე მაინც გამოვფხიზლდი, ჩავიცვი აკადემიის დამთავრებასთან დაკავშირებით მამაჩემის ნაჩუქარი „ბასტონის“ შავი კოსტიუმი, ყელზე ჭრელი ჰალსტუხი ჩამოვიკიდე (მაშინ მოდაში იყო), განცხადება წინასწარ მოვამზადე და მივადექი სამხატვრო სასწავლებლის დირექტორს, რომელსაც სტუდენტობის წლებში შორიდან ვიცნობდი. დირექტორი თბილად შემხვდა, ყურადღებით მომისმინა და დახმარებას შემპირდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, თუმცა დადებითი პასუხის დიდი იმედი არ მქონდა, შეტყობინება მივიღე: სასწავლებელში გამოცხადდიო.

ასე და ამგვარად, ადრე რომ მასწავლებლობაზე არასდროს მიფიქრია, სრულიად მოულოდნელად პედაგოგი გავხდი, ხოლო ჩვენი გულმოდგინე ბრიგადირისათვის – საკოლმეურნეო შრომის დეზერტირი, მაგრამ დეზერტირობა მერე ნახე, ჯერ სად ხარ.

სამსახურში სოფლიდან ავტობუსით დავდიოდი. გაკვეთილებზე რომ არ დამგვიანებოდა, დილაადრიანად ვდგებოდი, ხანდახან ჩაის დალევასაც კი ვერ ვასწრებდი, ისე გავრბოდი სასწავლებელში.

სოფლის ავტობუსი, რომელიც დღეში ოთხიოდე რეისს აკეთებდა ქალაქში, სულ მუდამ გადაჭედილი იყო კოლმეურნე მგზავრებით; ზოგს გასაყიდად ფრინველები მიყავდა, ზოგსაც ცხოველები და ხილ-ბოსტნეული. ავტობუსის ძირითადი სივრცე ყუთებს, კალათებსა და გოდრებს ეკავა, „საცოდავი ავტობუსი“ მუდამ ნორმაზე ორჯერ მეტ სიმძიმეს ზმუილ-ზმუილით ეზიდებოდა ორმოებიან და ოღრო-ჩოღრო გზაზე. სალონში ხალხმრავლობისა და სივიწროვის გამო ფეხისწვერებზე შემდგარ მგზავრს ვაი-ვაგლახით უნდა გემგზავრა; ამას ემატებოდა კიდევ უარესი, ჭოროხის ხიდთან სასაზღვრო-გამშვები პუნქტის არსებობაც; წვიმაში თუ ქარში, ავტობუსიდან უნდა გადმოსულიყავი, რუსი მესაზღვრე პასპორტს გაგისინჯავდა და თუ რაიმე საეჭვოს აღმოგიჩენდა, „ნელზიას“ გეტყოდა და უკან გაგაპანღურებდა. მგზავრების პასპორტის შემოწმებას სულ ცოტა ერთი საათი მაინც სჭირებოდა, რაც სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ წვიმაში თავიდან-ბოლომდე გალუმპულიყავი, სიცხეში მზეზე გოჭივით შემწვარიყავი, ხოლო ქარსა და სიცივეში „ტარანივით გაფშე-

კილიყავი“. აი, რატომ იყო ძნელი ავტობუსით მგზავრობა დარშიც და ავდარშიც.

მიუხედავად ამდენი სირთულისა, სამხტვრო სასწავლებელში ჩემი მოვალეობის შესრულებას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი.

პატივცემულო მკითხველო, ალბათ იკითხავთ, ხელფასი რამდენი გქონდაო, კეთილი, მოგახსენებთ: ძალიან ცოტა, სათქმელადაც არ ღირს, დაახლოებით ასე – სამ თუმნამდე. ეს ეგრეთ წოდებული ხელფასი სამგზავრო თანხადაც არ მყოფნიდა, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხავდი – როგორც ჩვენში მაშინ ამბობდნენ, უმუშევარი არ მერქვა და კოლწევრად ადვილად ვერ გამაფორმებდნენ. მოკლედ, „თავისუფალი კაცი“ გავხდი.

დირექტორმა რომ დაინახა ჩემი მონდომება და საქმისადმი ერთგულება, საათების რაოდენობაც გამიზარდა, რასაც მალე სრულიად მოულოდნელად ჩემი პედპრაქტიკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაწინაურება მოჰყვა და შესაბამისად ხელფასიც გამეზარდა. მაშინვე სასწავლებელთან ახლოს პატარა ოთახი დავიქირავე.

საცხოვრებლად ქალაქში გადასვლამ სული მომათქმევინა, რაც შესანიშნავად გამოვიყენე იმაში, რომ უკვე შემეძლო ჩემს საკუთარ შემოქმედებაზეც მეზრუნა. რამდენიმე გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა და მალე საკავშირო მხატვართა კავშირის წევრობის კანდიდატადაც მიმიღეს.

ერთხელაც ქალაქის საბჭოში დამიბარეს და ქალაქის მთავარი მხატვრის თანამდებობა შემომთავაზეს, მაგრამ საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამსახურში გაწვევის გამო ეს თანამდებობა ვეღარ მივიღე...

ამის მოყოლა კი ნამდვილად ღირს:

მოკლედ, სრულიად სამართლიანად ვხაროობდი და ვამაყობდი კიდევაც, რომ ამ მოკლე დროში ამდენ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ მოულოდნელად და მრისხანედ დამატყდა თავს ანდაზა: „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“. თუმცა რა შუაშია აქ ღმერთი?

იმ დღეს ბოლო გაკვეთილს ვატარებდი, ზარის დარეკვას წუთებიღა აკლდა, რომ ჩემი სასწავლო აუდიტორიის კარები ხმაურით გაიღო და ოთახში სახეგაფითრებული ჩემი კეთილისმყოფელი დირექტორი, ორი სამხედრო ჩინოსანი და ორიც ღიპიანი რიგითი მილიციელი შემოვარდნენ.

ყველანი მაშინვე ფეხზე წამოვდექით და მოულოდნელობისაგან გავშეშდით.

– დასხედით! – მოგვმართა დირექტორმა და ჩემი მოსწავლეებიც დასხდნენ.

სამხედრო სამსახურის მაიორმა ჩემსკენ თითი უტიფრად გამოიშვირა და დირექტორს ჰკითხა:

– ეს არის ის?!

დირექტორმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

– ნამეტანი ხარაშო, – ნამეტანი კმაყოფილი სახით ჩაილაპარაკა მაიორმა, ღიპიანი მილიციელები გასასვლელ კართან სამეფო კარის საპატიო მცველებივით აიტუზნენ, ხოლო სამხედრო „პრაპორშიკი“, რომლის ღიპიც არც სიდიდითა და არც „სიმშვენიერით“ არ ჩამოუვარდებოდა სხვა თანმხლებ პირების ღიპებს, ჩემს მაგიდას დაუკითხავად მიუჯდა, ეგრეთ წოდებული „ფურაშკა“ საკლასო ჟურნალზე დადო, ოფლით დანამული მელოტი თავი ცხვირსახოცით შეიმშრალა, სათვალე კეხიან ცხვირზე ჩამოიდო, ტყავის პორთფელი „საზეიმოდ“ გახსნა, იქედან ნახევრად დასტამბული ქაღალდის ფურცელი ამოიღო, შიგ ჩემი სახელი და გვარი ჩაწერა, ორ-სამ ადგილას კიდევ გაცემის თარიღი და კიდევ რაღაც-რაღაცები ჩანიშნა და გაეცანიო, გამომიწოდა.

უწყება მაუწყებდა, რომ სამხედრო გასაწვევ უბანზე დღესვე, დაუყოვნებლივ, „ვეშმეშოკით“ უნდა გამოვცხადებულიყავი, პირდაპირ, არსად გაუვლელად.

უწყება წაკითხვისთანავე მაგიდაზე უსიტყვოდ დავდე და სახემოღუშულს გულძმარვა დამეწყო.

– ბიძიკო, – ამომხედა სათვალეებს ზემოდან პრაპორშიკმა, – აი, აქ შენი ხელწერაა საჭირო,

აბა, ერთი ლამაზად მომიხუჭუჭე, – თანაც საჩვენებელი თითი დაადო ქაღალდს იქ, სადაც ხელი უნდა მომეწერა.

– აქა? – ვკითხე მე, ვითომ ვერ მივხვდი, ხელი სად უნდა მომეწერა.

– ჰო, მაქ, ვერ ხედავ, პტიჩკითაა აღნიშნული? – უწყება თავისკენ მიაბრუნა და ამჯერად თითი ისე მაგრად დააჭირა ფურცელს, გეგონებოდა ამ „პტიჩკის“ გასრესას აპირებსო.

პრაპორშიკის ეს ჟესტი ცუდად მენიშნა...

– არ მოვაწერ! – ვთქვი ჯიუტად.

პრაპორშიკს მოულოდნელობისაგან ყბა აუცახცახდა.

– ბიძიკო, – ახლა მაიორი ალაპარაკდა და შემომხედა თავაზიანად და ნაძალადევად მშვიდი თვალებით, – თქვენზე მითხრეს, წესიერი, განათლებული ბიჭიაო, თანაც პედაგოგი, არ გეკადრება ასე, მოაწერე ხელი! – და სინდისზე შემაგდო.

„მოვაწერო – არ მოვაწერო“, „მოვაწერო – არ მოვაწერო“, ვჭოჭმანობდი და ხელებს ნერვიულად ვიფშვნეტდი.

– ერთწლიანში იმსახურებ, – განაგრძო მაიორმა დაყვავებით, – ერთი წელი ისე გაირბენს, ვერც კი გაიგებ; რაა ერთი წელი, მე ხუთ წელიწადს ვმასუხურობდი, ხუთს, გეიგე? – და გაშლილი ხუთი თითი ისე მომაფარა სახეზე, მეგონა გალაწუნებას მიპირებს-თქო და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე.

ლაპარაკში კვლავ პრაპორშიკი ჩაეჩარა და უფრო დააკონკრეტა:

– მოქალაქე ფუტკარაძე, ერთი აქეთ გამომხედე! თქვენ ხომ იცით, რომ ჯარში სამსახური ყველა საბჭოთა ჯანმრთელი მამაკაცისათვის სავალდებულოა? თუ არ იცით, შემიძლია „უსტავები“ ახლავე გაგაცნოთ, – დაადო ხელი პორტფელს „სამშობლოს პატრიოტი მოქალაქის“ ღირსეულმა წარმომადგენელმა.

ხმას არ ვიღებ.

– ბიჭო, დაყრუვდი? შენ გელაპარაკებიან! – ხმას აუწია მაიორმა.

– ვიცი, ვიცი, ბატონო, – დავბრუნდი ფიქრებიდან მე და ხელები საფეთქლებზე მივიდე. ნერვიულობისაგან თავი ყველივით რბილი მომეჩვენა.

– ბატონო კი არა, „ამხანაგო პრაპორშიკო“ უნდა მომმართო, ისწავლე და შეეჩვიე აქედანვე!

– ჰო, ვიცი, – ვუპასუხე მე.

– ჰოდა, შე ოჯახაშენებულო, თუკი იცი, მოგვიწერე ხელი დროზე! – დამაჩქარა მაიორმა.

– მე ჯარში წასვლაზე უარს არ ვაცხადებ, მაგრამ...

– რა, მაგრამ!.. – წამოიწია სკამიდან პრაპორშიკი.

– მაგრამ დღეს ვერ მოგიწერთ! – გავასავსავე ხელები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ უწყებაში წერია; „დაუყოვნებლივ“, ანუ დღესვეო. მე კი სახლში აუსვლელად, მშობლების უნახავად და საერთოდ, მოუმზადებლად არსად წავალ; ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, რაშია საქმე, ომი ხომ არ დაწყებულა, ასე ჩქარ-ჩქარა რომ მიმარბენინებთ? თქვენ მე უპატრონო ხომ არ გგონივართ? აგერ ბრძანება ჩემი ქალაქის მთავარ მხატვრად დანიშვნის შესახებ, ხელწამოსაკრავი კაცი ნამდვილად არა ვარ! თანაც ხომ ხედავთ, სტუდენტები მყავს და გაკვეთილებს ვუტარებ. მე აქ პედაგოგი ვარ, გესმით? პედაგოგი ვარ და გაკვეთილებს ვერ გავაცდენ! – თვალი გადავავლე აუდიტორიას, სტუდენტები თანაგრძნობით მისმენდნენ და უფრო ავიმაღლე ხმა:

– რომ გაიძახით ჯარში წამოდიო, არ უნდა მკითხოთ ჯანმრთელი ვარ თუ არა, იქნებ რაიმე მაწუხებს? ბიჭოს, ვინ არიან ესენი, რას გადამეკიდნენ, – პროტესტის ნიშნად აუდიტორიის დატოვება და გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ კარებში გაჩხერილმა „მისი უდიდებულესობის ჯარისკაცებმა“ გზა გადამიღობეს.

– პატივცემულო, პედაგოგო! – დამცინავად გადმომხედა პრაპორშიკმა. – შენ იცი, რომ ორ თვეზე მეტია ამიერკავკასიის კომისარიატი გეძებს, როგორც დეზერტირს?

– არა, არ ვიცი!

– ამხანაგო დეზერტირო, უკაცრავად, წამომცდა, ამხანაგო მოქალაქევ, – ახლა მაიორი მო-

მიბრუნდა, – შენზე თბილისიდან დაგვირეკეს, ჯარს ემალება, დეზერტირიაო, სადაც წააწყდებით, მაშინვე დააკავეთ და ჯარში უკარით თავიო; ჰოდა ჩვენც დაგაკავეთ!

– დეზერტირიო?! როგორ კადრულობთ, უფროსო? მე დეზერტირი არა ვარ! დღემდე ჯარში გამოძახების უწყება არ მიმიღია და ჯარში მოხალისედ წასვლის სურვილიც ჯერ-ჯერობით არ გამჩენია. არსადაც არ ვიმალები, აგერ ვარ და გაკვეთილებს ვატარებ, მასწავლებლობა თუ დეზერტირობად მიგაჩნიათ, ვიყო დეზერტირი!

– მაგას, ბიძიკო, ჩვენთან კომისარიატში გავარკვევთ, ახლა კი უწყებაზე მოგვიწერეთ ხელი, თორემ ამ მილიციელებს ხომ ხედავთ, ძალით წაგიყვანენ, ძა-ლით, გასაგებია? – ხმადაბლა, დამარცვლით მითხრა მაიორმა და წელზე ხელებშემოწყობილმა მერხებს შორის ბოლთის ცემა დაიწყო.

ანაზდად მილიციელებს გავხედე, კაი ჯანიანები ჩანდნენ.

– არა, არ მოვაწერ! – კიდევ უფრო გავჯიუტდი და მილიციელების ჯან-ღონე არად ჩავაგდე. დირექტორს მივაჩერდი: „ხომ ხედავთ, პატივცემულო დირექტორო, როგორ ჩაგრავენ შენს თანამშრომელს, განა სამართალია ეს? ვის აქვს გაკვეთილის ჩაშლის უფლება! იქნებ გაგეპანღურებინათ აქედან ეს გაუთლელი დაუპაჟებელი სტუმრები, ჰა?“

დირექტორმა მზერითვე მიპასუხა: „ჩემო ძვირფასო უმცროსო მეგობარო, მაპატიე, რომ ამ რეგვენებთან ვერაფერს გავხდები, რა ვქნა, ძალაც მათ ხელშია და უფლებებიც“.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა, სტუდენტები აჩოჩქოლდნენ.

რადგანაც დირექტორმა თავი დახარა, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, თავი „პტიჩკასავით“ ანუ ჩიტივით გასრესილად წამოვიდგინე და პრაპორშიკს უწყება ხელიდან გამოვტაცე.

– აი, კაცი, ასე არ ჯობია? – შვებით ამოისუნთქა და კალამი მომაწოდა.

– თუ ჩემი ხელწერა ასეთი მნიშვნელოვანია თქვენთვის, კი, ბატონო, მოგიწერთ ხელს, მაგრამ ჯარში მაინც არ წავალ, – ჩავილაპარაკე კატეგორიული ტონით და ხელი ძალიან არასერიოზულად გაწელილ ზამბარასავით მოვაწერე, კალამი ნიშნის მოგებით ზედ დავდე და გონებაში ვთქვი: „ვერა, ვერ გამსრესთ ასე იოლად, უპატრონო არ გეგონოთ, ხელის მოწერა არ ნიშნავს უკან დახვას, მე მაინც მოვახერხებ რამეს“, – იხტიბარს არ ვიტეხდი ჯიუტად და მყარად ვიდექი ჩემს პოზიციაზე.

– ვაა, ეს რა ამბავია, კაცო, რამსიგრძე ხელწერაა, გვამასხარავებ? – თვალები დამიბრიალა აღშფოთებულმა პრაპორშიკმა, მერე კი მაიორს მიუბრუნდა:

– აი ნახე, ამხანაგო მაიორო, როგორ გააფუჭა უწყება, – მიაწოდა ფურცელი გააბდლებულმა პრაპორშიკმა.

მაიორმა უწყება გამოართვა, სათვალე მოირგო, დახედა და სახე აუჭარხალდა:

– ამას უყურე, მართლაც არ გაუფუჭებია საბუთი?! როგორ უნდა ვაჩვენო კომისარს, ჰა? – მომიბრუნდა და მეხივით დაიჭექა:

– რაა, ბიჭო, ეს? – ამიფრიალა ქაღალდი თვალებთან.

– რა ვქნა, უფროსო, მე, საერთოდ, ასე ვაწერ ხელს.

ასეთი რა ჩაიდინაო, მილიციელებმაც წაიგრძელეს კისრები, მერე სინქრონულად თავები გააკანტურეს და კვლავ გაშეშდნენ.

მაიორმა ერთხელ კიდევ გადმომხედა. სიბრაზისაგან ულვაშებს იკვნეტდა. მერე მანაც თავი მილიციელებივით გააკანტურა, ალბათ, გუნებაში შემაგინა კიდეც და „გაუპატიურებული“ უწყება პრაპორშიკს დაუბრუნა, მანაც იგი ერთხელ კიდევ შეათვალიერა, „მდაა“ – სინანულით ჩაილაპარაკა და მე მომიბრუნდა:

– ჭოვ, ნამეტანი გრძლად გცოდნია ხელმოწერა, ნამეტანი!

სტუდენტებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს და აფხუკუნდნენ.

პრაპორშიკმა უწყება გაკეცა, ნაკეცზე ენა გადაუსვა, გადახია, ხელმოწერილი ნაწილი საქაღალდეში სამაგრით ჩააკრა, მეორე ნაწილი მე

გამომიწოდა, ტყავის პორტფელი დახურა, ჩამკეტი ხმამაღალი ტკაცუნით საგულდაგულოდ ჩაკეტა, მერე ვალმოხდილმა თავისუფლად ამოისუნთქა, „ფურაშკა“ თავზე მოირგო და ზლაზნვით წამოდგა.

„ალბათ, მიდიან“, – გავიფიქრე და შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ „წამობრძანდით“-ო მოულოდნელად და ისეთი ტონით მომმართა მაიორმა, რომ „წამოეთრიეს“ უფრო ნიშნავდა და სიბრაზისაგან ტანში დამბურძგლა. „ესე იგი არ მეშვებიან“ – გადამეწურა იმედი.

– წამოდი, რას გაშეშებულხარ? – თავაზიანობის კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა პრაპორშიკი და ქამარზე მიმაგრებული პისტოლეტი გაისწორა.

– არა, არ წმოვალ! – ვთქვი კატეგორიულად.

– ჰა, ჰა, ჰა! – ნაძალადევად უფრო კი დამცინავად გაიცინა მაიორმა და თვალებში ჩამაშტერდა, – მაშ, არ წამოხვალ, არა? – კვლავ გააკანტურა თავი და პრაპორშიკს ანიშნა წავიდეთო.

მაიორი და პრაპორშიკი დერეფანში გავიდნენ.

რადგან ჩემი სამუშაო მაგიდა განთავისუფლდა, დაჯდომა დავაპირე, მაგრმ აქამდე ქანდაკებასავით მდგარი მილიციელები მოულოდნელად „გაცოცხლდნენ“ მხრებში ჩამავლეს ხელი და თრევა-თრევით, დერეფანში გამიყვანეს.

– ჟურნალი, ჟურნალი, მაცალეთ ჟურნალში რაღაც დამრჩა ჩასაწერი, ჩავწერ და ჩემით წამოვალ! – ვიყვირე მე.

– გაუშვი ჩაწეროს! – მაიორს, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა მილიციელებისაგან პედაგოგზე ასეთი დამამცირებელი მოქმედების გამო და წინ გადაგვიდგა.

გათავისუფლებულმა კოსტუმი და ჰალსტუხი შევისწორე, კლასში შევბრუნდი, ჟურნალი გადავშალე და საშინაო დავალების გრაფაში მოსწავლეებს ასეთი დავალება ჩავუწერე: „თემატური კომპოზიცია – გაწვევა საბჭოთა არმიის რიგებში“, ეს ორიგინალური დავალება ბავშვებს გავაცანი, მაღლა თავაწეული, შეკრული ხელებით გამოვემშვიდობე, საკლასო ჟურნალი გაოგნებულ დირექტორს ჩავაბარე, ხელი მაგრად ჩამოვართვი, კეთილად დავემშვიდობე და ბადრაგს მორჩილად გავყევი. მიუხედავად ამისა, მილიციელებმა ხელები მაგრად გამიკრეს, დაბლა პირველ სართულზე უკანასკნელ მაწანწალასავით ჩამათრიეს და გარეთაც, მიუხედავად ჩემი პროტესტისა ინვალიდივით ციმ-ციმ გამიყვანეს, მიწაზე ფეხიც კი არ დამადგმევინეს, ეს ნაძირალები ყოველმხრივ მამცირებდნენ და ხაზგასმით აჩვენებდნენ ხალხს, რომ მათ უდიდესი ბოროტმოქმედი, ქვეყნის მტერი, დეზერტირი დაიჭირეს და ყველანაირად ცდილობდნენ „დამნაშავე“ არ გაქცეოდათ.

ქუჩაში ტენტიანი მანქანა გველოდებოდა, რუს ეფრეიტორ მძღოლს უკანა კარი წინასწარ გაეღო, თვითონ კი საჭესთან ბედნიერი ღიმილით თვლემდა ჩვენს მოლოდინში.

ზონზროხა მილიციელებთან წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და არც მე მიცდია მსგავსი რამ, მაგრამ მათ მაინც მანქანაში ძალით შემტენეს, გვერდი-გვერდ ამომისხდნენ და ხელკავებიც „ძმურად“ გამომდეს. მისი უზომო სიმსუქნის გამო პრაპორშიკს სალონში შემოძვრომა გაუჭირდა და აღრიალდა: „მიიწიეთ ცოტა, ხომ ხედავთ, ვერ შემოვდივარო!“

რამდენადაც შეგვეძლო, მარცხნივ მივჩოჩდით.

პრაპორშიკის ღრიალზე მთვლემარე მძღოლს გაეღვიძა, ეს რა მომსვლიაო, შეცბა, ხელის საფეთქელთან მიტანით უფროსებს „რას მიბრძანებთო“, – ჰკითხა.

პრაპორშიკმა, როგორც იქნა, „პატივცემული ღიპი“ მანქანაში კარტოფილით დატენილ ტომარასავით შემოაგორა, სავარძელზე ხვნეშით მოკალათდა და ამოისუნთქა. მაიორი კი, როგორც მაღალჩინოსანი, წინა სავარძელზე დაბრძანდა, – „პაეხალიო“ – ბრძანა და მანქანაც ადგილიდან დაიძრა...

მანქანის ჩამოწეული ფანჯრიდან უკან გავიხედე, ჩემი თვალცრემლიანი შეგირდები მესამე სართულის ვეებერთელა ფანჯრებიდან ხელების ქნევითა და ცხვირსახოცების ფრიალით მემშვიდობებოდნენ.

ეს კი მერე გავიგე:

– „პედაგოგი დაიჭირესო!“ – მეხივით გავარდა ხმა მთელს სასწავლებელში და ყველანი მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც სასწავლებლის ფანჯრებს მოაწყდნენ, ზოგნიც ეზოსა და ქუჩაში გამოეფინენ. ბევრი საქმის ვითარებაში ვერ გარკვეულიყო და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ვინ დაიჭირესო?“ „რატომ დაიჭირესო?“, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი მავილე ცრემლებს ვერ იკავებდა და თავისთვის ჩურჩულებდა: „ამისთანა წესიერ ბიჭს ნეტავ რა უნდა დაეშავებინა, ვერაფერი გამიგიაო“. რაც შეხება სტუდენტ ქალიშვილებს, რა თქმა უნდა, ძალიანაც დასწყდათ გული საცოლო ბიჭის ასე უდროო დროს სასწავლებლიდან მოშორებისთვის, სინანულით აკანტურებდნენ თავებს და მანიკურიან გრძელ-გრძელ ფრჩხილებს ნერვიულად იკვნეტდნენ.

* * *

ფოთლისფერი „ტენტიანი მანქანა“, რომლის კაბინაზე საგანგაშო სიგნალის ნათურა ციცმციმებდა, რაიონული სამხედრო კომისარიატის მოხრეშილ ვეებერთელა ეზოში ხმაურით შეგრიალდა და ორსართულიანი შენობის წინ კიბესთან მუხრუჭების ხრჭიალით გაჩერდა.

– „პრიეხალი!“ – წამოიძახა მძღოლმა, ძირს მარდად ჩახტა, კარი ჯერ მაიორს გაუღო, მერე ჩვენ და ახალი ბრძანების მოლოდინში მანქანის გვერდით სარივით დაერჭო.

მანქანიდან, როგორც წესი, ჩინის მიხედვით პირველი მაიორი გადავიდა, შემდეგ პრაპორშიკმა გადააგორა თავისი დიდებული ღიპი, ბოლოს მე და ჩემი მილიციელები გადავედით, მიწაზე დადგეს ფეხი თუ არა, მილიციელები თავიანთი ტანსაცმელების მოწესრიგებას შეუდგნენ, მეც მათზე ნაკლები ხომ არ ვიყავი?! პირველ რიგში ჩემი ჭრელი ჰალსტუხი მოვიწესრიგე, მერე კოსტიუმი და ბოლოს, თუმცა მტვერი საერთოდ არ მქონია, შარვალი მაინც მონდომებით ჩამოვიფერთხე. წელში გავსწორდი და მათ გვერდით თავი ისეთი ღირსებით დავიჭირე, რომ უცხო ადამიანს ეფიქრა: ეს ახალგაზრდა კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველი თუ არა, მეორე მდივანი მანც იქნებაო.

კომისარიატის ეზო საოცარი სანახავი იყო: აქ სხვადასხვა რჯულისა და ასაკის ადამიანები ერთმანეთში ბუზებივით ირეოდნენ, განსაკუთრებით თვალში საცემი იყო თავგადაპარსული, ძველმანებში ჩაცმული, ზურგჩანთიანი ეგრეთ წოდებული „პრიზივნიკები“, ანუ ახალწვეულები. ყველა თავგადაპარსულს მოედანზე საკუთარი ადგილი ეკავა მშობლების, ნათესავებისა და მეგობარ-ახლობლების გარემოცვაში, ზოგ მათგანს კი წრე შეეკრა და დოლ-გარმონის კაკაფონიაში ცეკვითა და სიმღერით იკლებდნენ იქაურობას.

ჩემთან ერთი ხელჯოხიანი თეთრწვერა მოხუცი კოჭლობით მოვიდა, სვანური ქუდი მოიხადა, თავაზიანი ღიმილით მომესალმა და გამესაუბრა:

– ბაბუ, გარეგნობაზე გემჩნევა, რომ მთავრობის კაცი ხარ და თუ ნებას მომცემ, ერთი რაცხა-ნა გკითხო.

– გისმენ, ბაბუ, მკითხე მარა... – მინდოდა მეთქვა, მთავრობის კაცი სულაც არა ვარ-მეთქი, მაგრამ მოხუცმა გამაწყვეტინა:

– არ მითხრა უარი, გეხვეწები.

– მითხარით, ბაბუ, რა გინდათ, რაც შემიძლია, დაგეხმარებით.

– აგერ, ეეე, – ხელჯოხი გაიშვირა მოხუცმა მოცეკვავეთა ერთ-ერთი ჯგუფისაკენ, – მაღალ ბიჭს ხომ ხედავ, კარგად რომ ცეკვობს?

– კი, ვხედავ, ბაბუ, მერე?

– ჰოდა, ის ჩემი ბადიშია, ჯარში მიყავან დღეს, ბაბუა ენაცვალოს მას.

– მერე, მერე, ბაბუ?

– გუშინ პენსია ევიღე, მინდა ბაღანას გავატანო, მარა ამბობენ, თურმე თბილისში ჩასულებს ნავთლუღში ფარას ართმენო.

– ჩემს „კამანდაში“ თუ მოხვდება, ვერავინ დაჩაგრავს, პირობას გაძლევ, – გულზე მივიდე მჯიღი მეტი დამაჯერებლობისთვის.

– შენ გაგახარა ღმერთმა, ერთი რაცხა კიდონა გითხრა.

– მითხარი, ბაბუ, ნუ მოგერიდება.

– ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობენ, თურმე ჩვენი ბაღნები საცხა ავღანეთში მიჰყავთო. არ მინდა, ბაბუ, რომ ეს ბაღნები უცხო ქვეყანაში მოხვდნენ; იქ ხომ ომია და მეცოდებიან. რა უნდათ ჩვენ ბაღნებს სხვის მიწაზე, სად გვყავს დასაკარგი შვილები? – მოხუცს ცრემლები ჩაუდგა თვალებში.

– დამშვიდდი, ბაბუ, მე მაგისთანა არაფერი გამიგია, ალბათ, ჭორია!

– ხომ იცი, ბაბუ, ხანდახან ჭორიც მართლდება, – ამოილუღლუღა მოხუცმა და თვალები შეიმშრალა.

ამ საუბარში გართულებს მაიორი და პრაპორშიკი ისე წამოგვადგენ თავს, რომ არც კი შეგვიმჩნევია.

– უყურე ამას! – მუჯლუგუნი გამკრა უტიფრად პრაპორშიკმა, – არ გამიხდა ესეც ამიერკავკასიის კომისარი?! აირბინე ჩქარა კიბეზე, „ბეგომ“! – მიბრძანა მან.

– შვილო... ბაბუ, ჩემს ბადიშს თევრათი ჰქვია, არ დაგავიწყდეს, თევრათ ცეცხლაძე, პატივისცემა ჩემზე იყოს! – ძლივს დამაწია მოხუცმა თავისი განწირული ხმით კომისარიატის შენობაში შესვლამდე.

– ბაბუ, ერთი წლის შემდეგ! ერთი წლის შემდეგ! – გავძახე, მაგრამ, არა მგონია, რომ ჩემს პასუხს მოხუცის ყურებამდე მიეღწია.

* * *

კომისარიატის მაღალ შენობაში უამრავი სამხედრო პირი და მოქალაქე ერთმანეთში დომხალივით არეულიყვნენ. სამხედრო ჩინოსნები თუ მათი ქვემდგომები გაპრიალებული ჩექმებითა და იღლიაში ამოჩრილი ტყავის საქაღალდეებით კაბინეტიდან კაბინეტში საქმიანი სახით დაბაკუნობდნენ. ზოგს „ფურაშკა“- წითელვარსკვლავიანი ქუდი ეხურა, ზოგსაც წელზე ქამარში გარჭობილი რევოლვერი მოუჩანდა, რითაც ძალიან ამაყობდნენ, რაც მათ სიფათებზე გარკვევით გამოიხატებოდა.

მილიციელებმა ნახევრად ბნელი დერეფანი სწრაფად გამარბენინეს, მეორე სართულზე „ამაფრინეს“ და მისაღებში შავ ტყავგადაკრულ კარებს მიმაყენეს.

– აქ მოიცადე! – მიბრძანეს და ისე გამეცალნენ, რომ არც კი დამმშვიდობებიან. ანაზდად კარებზე გაკრულ აბრას შევხედე. რომელზეც რუსული ასოებით ეწერა: КОМИССАР ГЕНЕРАЛ-МАЙОР ТОВ. Ш. Н. ТАЛАХАДЗЕ.

სიბრაზისაგან კბილებს ვაკრაჭუნებდი. საბეჭდი მანქანის ჩხაკუნზე მივიხედე და დავინახე მდივანი მემანქანე გოგონა, რომელიც საბეჭდი მანქანის კლავიშებზე თითებს ისეთი მონდომებითა და სისწრაფით უბაკუნებდა, რომ თვალს ვერ შეასწრებდი. გოგონას სილამაზემ ცოტათი გამართო და ბრაზმაც ნელ-ნელა გამიარა.

მაიორიც მალე დაბრუნდა, მდივან ქალიშვილთან მივიდა და ანიშნა, ერთი წუთით მომხედეო. გოგონამ ბეჭდვას თავი დაანება და მაიორს მხედრულად უპასუხა: „ია ვას სლუშაიუ, ტავარიშჩ მაიორ!“

– კომისარი ადგილზეა?

– სტუმრები ჰყავს, – მოკლედ უპასუხა.

– აი, ამ კაცს ხომ ხედავ, უბრალო ვინმე არ გეგონოს, ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ქალაქის მთავარი მხატვარია, სამხატვრო ტექნიკუმში ასწავლის და რაღაც პრაქტიკის ხელმძღვანელიც არის თურმე, აქ მნიშვნელოვან საქმეზეა მოსული, გენერალს უნდა შეხვდეს. სანამ გენერალი სტუმრებს ხვდება, ყურადღება მიმიქციე, არ მოაწყინო და რაც მთავარია, აქედან არ გაგეპაროს, „ხარაშო“?

ქალიშვილმა გაფრთხილება „არ გაგეპაროს“ ხუმრობად ჩათვალა და მაიორს ღიმილით დაუკრა კოხტა თავი, – ვერსად გამეპარება, „იესტ, ტავარიშჩ მაიორ“! – უპასუხა გოგონამ და ცნობისმოყვარე თვალები ჩემსკენ გამოაპარა. მე ჰალსტუხი გავისწორე, მას ჯელტმენურად მივესალმე და უსიტყვოდ შევპირდი: „შენ ოღონდ ყურადღება მომაქციე და გვერდიდან რავა მოგშორდები-მეთქი“.

– აბა, შენ იცი, მე მალე დავბრუნდები, უთხრა მაიორმა ქალიშვილს, მერე მე გამაფრთხილა:

– არ გაბედო და ფეხი არ მოიცვალო ამ ოთახიდან! – თვალი ჩამიკრა და დაიმედებული გავი-

და ოთახიდან, რომ არსად გამქცევი არ ვიყავი. მაიორის თვალის ჩაკვრამ გამახალისა და დაძმარებული სახე დამიმშვიდდა.

ქალიშვილმა საბეჭდ მანქანაში ახალი, სუფთა ფურცელი ჩადო და მანქანა ჩვეული ოსტატობით ააჩხარუნა. მისი ხმა ეზოდან და დერეფნიდან შემოსული ხალხის ხმაურს ფარავდა, გოგონამ ოთხი ფურცელი ისე დაბეჭდა, თავი მაღლა არ აუწევია და თავს ისე მაჩვენებდა თითქოს მე იქ არ ვყოფილიყავი.

„ნუთუ გადავავიწყდი, ესაა ყურადღება მიაქციეო? ამხანაგო მაიორო, როგორც ჩანს აქ ხელქვეითები არც თუ კარგად ასრულებენ უფროსების დავალებებს. ახლა გავიპარები და ვნახავ, მომაქცევთ თუ არა ყურადღებას, კეკლუცო ქალბატონო“.

ფეხაკრეფით დერეფნისაკენ გავეშურე...

– საით გაგიწევია, ახალგაზრდავ? – მომესმა უკნიდან ნაზი სასიამოვნო ხმა.

– არ სცალია ჩემთვის თქვენს გენერალს და რა ვქნა?

– სკამია კუთხეში, ვერ ხედავ, თუ დაიღალე, შეგიძლია დაისვენო. – ისე მითხრა, ბეჭდვა არ შეუჩერებია.

„ოღონდ შენ დამელაპარაკე, ოღონდ ყურადღება მომაქციე და სულაც გვერდით მოგიჯდები“, – ვთქვი გუნებაში, სკამი მისკენ დასაშვებ მანძილზე მივაჩოჩე, ჩამოვჯექი და ის იყო საუბრის გაბმას ვაპირებდი, იმაზე ვფიქრობდი შესავალი რით დამეწყო, მაგრამ მოულოდნელად ხელში გახსნილი საქაღალდით „ჩემი მაიორი“ შემობაკუნდა.

– ოო, ეს მესმის, კაია, რომ ჩემი დავალება არ დაგვიწყნია, – შეაქო მან მდივანი და საქაღალდე, რომელზეც რუსულად ჩემი გვარი, სახელი და მამის სახელი ეწერა, მაგიდაზე დაუდო.

– რა სჭირს ამ ბიჭს ჩემი ყურადღების მისაქცევი, ბანდიტია, თუ?

– ბანდიტი არაა, მაგრამ... – აღარ დაასრულა „დეზერტირიაო“ და მე ის გუნებაში შევაქე: „ყოჩაღ, მაიორო, კარგია, რომ დამინდე, არც ისეთი ურჩხული ყოფილხარ, როგორიც მეგონე“.

ამ დროს კომისრის კაბინეტის კარ გაიღო და სამი სახეალეწილი პოლკოვნიკი გამოვიდა. მათ დანახვაზე მაიორი და მდივანი ფეხზე წამოხტნენ და მათ მხედრული სალმით მიესალმნენ, როდესაც ისინი გარეთ გავიდნენ, ხელები ჩამოუშვეს და დასხდნენ. მე, როგორც არასამხედრო პირი, არც ფეხზე წამომდგარვარ და არც მივსალმებივარ. მაიორმა ბრაზით მითხრა:

– შენ არ გეკადრებოდა ფეზე წამოდგომა? თუმცა მართალი ხარ, ცოტა ხანში იმდენჯერ მოგიწევს წამოხტომა, „სმირნაზე“ დგომა და სირბილი, ისიც გეყოფა, ახლა კი გენერალთან შევიდეთ, – ჩემი საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და კაბინეტისაკენ გამიძღვა.

* * *

კომისრის უზარმაზარ კაბინეტში გრძელი მაგიდის თავში ჭაღარათმიანი, ასე, სამოცწელს მიღწეული, ჩემთვის კარის აბრიდან ნაცნობი კომისარი გენერალ-მაიორი ამხანაგი შ. ნ. ტალახაძე იჯდა. მის ორსავე განიერ მხარზე მტკაველიანი ოქროსფერი ეპოლიტეები თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ.

– ტავარიშჩ გენერალ! – მაიორმა გენერალს სამხედრო სალამი აუღო და ასე სმენაზე გაჭიმულმა ჩააბულბულა, – თქვნი ბრძნების თანახმად ძებნილი მოქალაქე ფუტკარაძე დაკავებულია და ის თქვენს წინაშეა.

– რომელ კამანდაშია ჩაწერილი? – იკითხა გენერალმა.

– მეხუთეში, ამხანაგო გენერალო!

– კარგით, სხვა კიდევ ხომ არ არის რაიმე პრობლემა?

– დიახ, ამხანაგო გენერალო, „პრიზივნიკი“ უარს აცხადებს ჯარში წასვლაზე.

– უარს აცხადებსო? აბა, ერთი ჩემთან ახლოს მოიწიოს, კარგად დავინახო, – გენერალმა სათვალე გაიკეთა და სავარძლიდან წინ გადმოიწია.

– ჰო, შენ გეუბნებიან, წინ დადექი, კომისარს კარგად დაენახე, რა ვაჟკაციც ხარ! – ზურგიდან მუჯლუგუნი მკრა მაიორმა და ერთი ნაბიჯით წინ წამწია.

გენერალი, რომელის მკერდსაც საბჭოთა სამშობლოს წინაშე გაწეული უმწიკვლო სამსახურსათვის ბოძებული უამრავი მედლები და ორდენები ამშვენებდა, წამოდგა, ოქროსვარსკვლავიანი „ფურაშკა“ თავზე დაიხურა, კიტელის ოქროსფერი ღილები შეიკრა, საფერფლედან ნახევრად დამწვარი სიგარეტი აიღო, გააბოლა, თითქოს მაჩვენებდა – ნახეთ, როგორ ვგევარ დიდ ბელადსო, კარგად შემათვალიერა, ამწონ-დამწონა, შებრუნდა და დინჯად შეუდგა ბოლთის ცემას (ნახეთ, ნახეთ, როგორ ვგევარ დიდ ბელადს!):

– ესე იგი, ჯარში წასვლა არ გინდა, ემალები საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს? – მომიახლოვდა გენერალი, სიგარეტის კვამლი სახეში მომაფუტა და მოჭუტული თვალებით ჩემს პასუხს დაელოდა.

– ტყუილია, უფროსო, – ხველა ამიტყდა, – მე არ ვიმალები, უბრალოდ დღეს არ შემიძლია ჯარში წასვლა მშობლების უნახავად, თანაც არც თუ ისე ჯანმრთელი ვარ, კუჭძმარვა და თქვენთან უკაცრავად, ფაღარათი მაწუხებს.

გენერალმა ზურგი შემაქცია, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა: ნარინჯისფერი ნაყოფით დახუნძლული კახაბრის ფერდობზე შეფენილი მანდარინების ბაღები ზღაპრული სანახავი იყო. კოლმეურნეები ბაღებს კალათებით, გოდრებითა და ყუთებით შესეოდნენ, მოსავალს იღებდნენ, მღეროდნენ და ხალისობდნენ.

– მაშ, კუჭძმარვა და ფაღარათი გაწუხებს, ხომ, – ამჯერად ფანჯარაში გააფუტა, ეს სიტყვები ისე მითხრა, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს (როგორ უნდოდა დიდი ბელადისათვის მაგრად მიებაძა).

გენერალი თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა, სავარძელში ჩაჯდა, მაგიდის ქვეშ ღილაკს თითი მიაჭირა და სიგარეტი საფერფლეში ჩააჭყლიტა.

კარი გაიღო და მდივანი ქალიშვილი შემოვიდა, ხელი მხედრულად საფეთქელთან მიიტანა და გენერალს უპატაკა:

– სლუშაიუ ვას, ტავარიშჩ გენერალ!

– დაურეკე საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომ ფაღარათიანი „პრიზივნიკის“ გასასინჯად მოემზადოს.

– „იესტ, ტავარიშჩ გენერალ“! – უპასუხა მდივანმა მხედრული წესით, ზურგისაკენ შეტრიალდა, სამი ნაბიჯი „სმირნათი“ გაიარა და ხელი მხოლოდ მაშინ დაუშვა, თვალები ჩემსკენ გამოაპარა, გამიღიმა, „ფაღარათიანი“ ჩაილაპარაკა და კაბინეტიდან გავიდა.

– ამხანაგო მაიორო, – მიუბრუნდა გენერალი ჩემს მხლებელს, – ეს „პრიზივნიკი“ ახლავე წაიყვანე საავადმყოფოს პოლიკლინიკაში და სამედიცინო კომისიაზე გაატარე. ექიმებს თხოვე, რომ განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავი გაუსინჯონ, ფაღარათიანები ჯარში არ გვჭირდება, გასაგებია? – მერე ადგა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

– იესტ, ტავარიშჩ გენერალ! – უპასუხა „ჩემმა მაიორმა“ და სასწრაფოდ გავეშურეთ რაიონულ საავადმყოფოსაკენ.

საავადმყოფო კომისარიატთან ახლოს იყო და მალევე მივედით. მისაღებში რამდენიმე თეთრხალათიანი დაგვხდა.

– აბა, სად გყავთ ფაღარათიანი? – იკითხა ერთმა სიმპათიურმა შუახნის მამაკაცმა, რომელიც, ჩემი ვარაუდით, საავადმყოფოს მთავარი ექიმი უნდა ყოფილიყო.

„ესე იგი ჩემს შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, ეტყობა ძალიან საჭირო კაცი ვარ საბჭოთა არმიისათვის, რომ ასე გულმოდგინედ ირჯებიან“, გავიფიქრე გუნებაში და აქაც ჩემი ჭრელი ჰალსტუხი მთელი მისი ღირსებით გამოვაჩინე.

– აი, ეს გახლავთ, – უპასუხა მაიორმა და თითი ჩემსკენ გამოაშვირა.

– ესა, კაცო, რა უგავს ამას ფაღარათიანის? ვიღაც კომკავშირის ცეკადან მოსული მეგონა, – ჩაიხითხითა მან.

– ასე ამბობს და... კიდევ, ექიმო, კუჭძმარვაც მაწუხებსო, კარგად გასინჯეთ არ სიმულიანტობდეს!

„ახლა სიმულიანტიც გამხადეს“, – სიბრზისაგან სახეზე ავენთე.

– ყველაფერს დავადგენთ, აბა აქ რისთვის ვართ? – ჩაილაპარაკა ექიმმა, ჩემით უფრო და-

ინტერესდა, თავიდან ფეხებამდის დაკვირვებით შემათვალიერა, ჭრელ ჰალსტუხზე განსაკუთრებით შეაჩერა ყურადღება, მერე თავისაზე დაიხედა, ჩაეღიმა, ერთნაირი რომ აღმოგვაჩნდა, ზურგზე ხელები შემოიწყო და გამომყევიო, მანიშნა.

დიდ კაბინეტში, რომელშიც ექიმმა „ჩემი მაიორის“ გარეშე შემიყვანა, კედელთან მთელ სიგრძეზე გაწყობილ მაგიდებს თეთრხალათიანი, ფონენდოსკოპიანი, ორივე სქესის ექიმები შემოსხდომოდნენ და ცნობისმოყვარე თვალებით მომჩერებოდნენ.

– „ალბათ, ამათაც იციან ჩემი ფაღარათიანობის ამბავი“, – გავიფიქრე და დარბაზის ცენტრში დამნაშავესავით ავიტუზე.

სამედიცინო კომისია, რომელიც ჩემთვის საგანგებოდ შეექმნათ, „მუშაობას შეუდგა“. უპირველეს ყოვლისა, საცვლებამდე გამაშიშვლეს, ამწონეს, ყველა პარამეტრში გამზომეს, თვალებში, ცხვირში, ყურებში შუქი ჩამანათეს და შემიმოწმეს, კბილები, გასაყიდ ცხენს რომ უშინჯავენ ხოლმე, ისე ზედმიწევნით გამისინჯეს, მუხლებზე რეზინის ჩაქუჩი დამკრეს, ორი თითი თვალებთან აქეთ-იქით გამიტარ-გამომიტარეს, პირი დამაღებინეს, ხახაში ჩამხედეს და „ააა“ მათქმევინეს, მერე ფაღარათიანობა უნდა დავადგინოთო, საცვლებიც ჩამხადეს, უკაცრავად და ანალიზები ამიღეს, მუცელი ხომ არ აწუხებსო, ტახტზე პირაღმა დამაწვინეს, კარგა გვარიანად დამზილეს, მერე კუჭი უნდა შეგიმოწმოთო, რაღაც ბურთულიანი მილი ჩამაყლაპეს და კუჭში დიდხანს წაღმა-უკუღმა ატრიალეს, ერთი სიტყვით ბევრი „მტანჯეს და მაწამეს“. ამასობაში ანალიზების პასუხებიც მოიტანეს, გადაიკითხეს, გადაამოწმეს, გადმოამოწმეს, ანკეტაში რაღაცები ჩაწერეს და მთავარ ექიმს გადასცეს.

„ვაიმე, ეს რა ფეხზე ავდექი დღეს, რა უბედურება მჭირს, ნეტავ, სიზმარში ვარ თუ ცხადში?“ – ვეკითხებოდი საკუთარ თავს და ტანსაცმელს ჩქარ-ჩქარა ვიცვამდი. ბოლოს ხელში ჰალსტუხი შემრჩა: „გავიკეთო? – არ გავიკეთო?“ „გავიკეთო? – არ გავიკეთო?“ დავიწყე ჭოჭმანი, „რაღა ჯანდაბად მინდა, მაინც ვერაფერში გამომადგა“ – გაბრაზებულმა ჯიბეში ჩავიტენე, მაგრამ ჯიბეში არ ჩაეტია და ისევ ყელზე ჩამოვიკიდე. რომ მოვწესრიგდი, მისაღებში გავედი. იქ „ჩემი მაიორი“ და მთავარი ექიმი მოუთმენლად მელოდებოდნენ.

მთავარმა ექიმმა ყველა საბუთი ყურადღებით გადაათვალიერა, რამდენიმე ადგილას მრგვალი ბეჭედი დაასვა, ხელიც ალაგ-ალაგ მოაწერა, ყველა საბუთი ერთ საქაღალდეში ჩაალაგა, დახურა, თასმებით შეკრა და „ჩემს მაიორს“ გადაულოცა.

– როგორაა, ექიმო, საქმე? – ისე იკითხა მაიორმა, ვითომ ჩემი ჯანმრთელობის ამბავი მამაჩემზე უფრო მეტად აინტერესებდა.

– სტამბოლის კაჟივთაა, ამისგან კაი ჯარისკაცი დადგება! – საზეიმოდ გამოაცხადა ექიმმა და მაიორს გამოსამშვიდებლად ხელი გაუწოდა.

– ფაღარათი? – შეახსენა შედეგებით აღტაცებულმა „ჩემმა მაიორმა“.

– ფაღარათი ნერვიულობის ბრალია, დროებითია და მალე გაუვლის, – „დაამშვიდა“ მაიორი ექიმმა.

– „დავიწვი, ფაღარათმა ვერ მიშველა, იქნებ სხვა რაიმე მომეფიქრებინა, მაგრამ რა? არაფერი რომ არ მაწუხებს? მაინც, რა ფეხზე ავდექი დღეს? მაგრამ, არა უშავს, რაღაცას მოვიფიქრებ, ამათ თავისას არ გავატანინებ, ბოლოს და ბოლოს, პრინციპის ამბავია!“ – იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი მე.

ამასობაში კვლავ მივადექით გენერლის კარებს. გენერალი ამჯერადაც დაკავებული აღმოჩნდა.

მაიორმა ჩემი თავი კვლავ მდივან-მემანქანეს ჩააბარა და თან თხოვა:

– კარგად მიმიხედე, არიქა, არ გაგეპაროს! – ახლაც თავის გზაზე წავიდა ჩემი ავლადიდება მაიორი.

„მაიორის ბრძანება ამჯერად მაინც ხომ უნდა შესრულდეს-მეთქი, თანაც ზედმიწევნით“, – გავიფიქრე. გავთამამდი, სკამი უფრო ახლოს მივწიე და მოწყენილი ჩამოვჯექი.

გოგონას ჩემი ახლოს „მიჩოჩება“ არ სწყენია, პირიქით, გაუხარდა კიდეც, გამიღიმა და მკითხა:

– ასე მოწყენილი რატომ ხართ?

– რა ვიცი, აბა, – მხრები ავიჩეჩე.

– მართლა მხატვარი ხართ?

– ჰო, მხატვარი ვარ, ყოველ შემთხვევაში, ასე მიწერია დიპლომში და ...

– თბილისში სწავლობდით?

– ჰო, ექვსი წელი, სამხატვრო აკადემიაში...

– შეგიძლიათ მე დამხატოთ? – შემომხედა გამომწვევად და გაფუშფუშებული თმები თავის მოხდენილი გაქნევით უკან გადაიყარა.

„ოო, ეს უკვე სერიოზული ამბავია!“ – გავიფიქრე და მაშინვე გავხალისდი, ქალიშვილი პროფესიული თვალით შევათვალიერე, კისერი მისკენ წავიგრძელე, ხან აქედან შევხედე, ხან – იქედან, ბოლოს, მის სახეზე შუქ-ჩრდილები რომ უფრო კარგად აღმექმა, თვალმოჭუტული მივაშტერდი თვალებში.

ქალიშვილმა უხერხულობა იგრძნო, თავი მორცხვად დახარა და აღელვებულმა მკითხა:

– რა, არ მოგწონვართ... დასახატად? – ბოლო სიტყვა ოდნავ დააგვიანა.

– ძალიან, ძალიან მომწონხართ, უჩვეულოდ ლამაზი ბრძანდებით, თვალები ხომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი და მეტად სახასიათო გაქვთ, – ჭაბუკური გრძნობები და მხატვრის პროფესიონალიზმი ერთმანეთში ავურიე.

– შეგიძლიათ, ახლავე დამხატოთ? – გოგონას ქათინაურები ესიამოვნა.

– სიამოვნებით დაგხატავდით, მაგრამ...

– მივხვდი, ფანქარი და ქაღალდი გინდათ.

– არა, თქვენს მშვენიერებას ფანქარი არ მოუხდება, – მისი ნატურა კვლავ ყურადღებით შევათვალიერე – თქვენ ზეთში უკეთესი გამოხვალთ.

– ზეთში? – გაეცინა მას, – მგონი თევზივით შეწვას მიპირებთ, – ირიბად გადმომხედა და სინანულით იკითხა:

– კარგი, ზეთში იყოს, როდის დამხატავთ?

– ერთი წლის შემდეგ, – ვუპასუხე ნაღვლიანად.

– რატომ ერთი წლის შემდეგ, ასე დაკავებული ხართ?

– თქვენთვის დროს ყოველთვის გამოვნახავდი, მაგრამ, რა ვქნა, რომ ჯარში მიწვევენ.

– მართლა? როდის? – ორი კითხვა ერთად მომაყარა მან.

– დღეს. შეიძლება ითქვას, უკვე გაწვეული ვარ.

– მეხუმრებით? ჯარში ყველა ძველმანებში ჩაცმული მიდის, თქვენ თეატრში მიმავალს უფრო გავხართ, რაღაცას მატყუებთ, – გადაიკისკისა მან.

– ეხ, ნეტავ, მართლა გატყუებდეთ. მალე მოვა „ჩემი მაიორი“ და თქვენგან ჩემს თავს ხელწერილით ჩაიბარებს. ტყუილად კი არ გაფრთხილებდათ, ყურადღება მიაქციე, არ გაგეპაროსო. ნეტავ რას იზამთ, ახლა მართლაც რომ გაგეპაროთ?

– თუ ასეა, მართლაც ვწუხვარ, – თანაგრძნობით მითხრა მან და მთხოვა, – მომეყოლა, თუ როგორ მოვხვდი მასთან.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მდივან ქალიშვილს დაწვრილებით მოვუყევი, რაც ამ უკანასკნელი ორი-სამი საათის განმავლობაში თავს გადამხდა. მან სიცილით მითხრა:

– კი მაგრამ ფაღარათის გარდა სხვა მეტი მიზეზი ვერაფერი მოიფიქრე?

– ვერა, ვერ მოვიფიქრე, როგორ უნდა მომეფიქრებია სხვა რამე, როცა არაფერი მაწუხებს? რაც მოვიფიქრე, ისიც ერთი ჩემი ამხანაგის წყალობით, ჯარში რომ გამოუძახეს, ექიმი მოისყიდა და ანკეტაში „ფაღარათით დაავადებული“ ჩააწერინა და გაწვევას გადაურჩა.

– ნამდვილად კარგი მოფიქრებაა, ჩემმა მზემ, – ქალიშვილი წყაროს წყალივით აკისკისდა, მისი მხიარული განწყობა მეც გადამედო და გულიანად ავხარხარდი. სიცილით რომ გული ვიჯერეთ, ქალიშვილმა მკითხა:

– კი, მაგრამ დაგიჯერეს? – და კვლავ სიცილი აუტყდა.

– არაფერი გამომივიდა, სტამბოლის კაჟივით ჯანმრთელი ხარო, მითხრეს.

– შენი საბუთები სადაა? – უცებ დასერიოზულდა გოგო.

– მგონი ეს უნდა იყოს, – მივუთითე საქაღალდეზე, „ჩემს მაიორს“ მაგიდაზე რომ დარჩენოდა.

– შენ აქ დამელოდე! ხომ არ გამეპარები? – მკითხა სიცილით.

– გეკადრება?

ქალიშვილმა აიღო ჩემი საქაღალდე და გენერალთან შევიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ გაბრწყინებული სახით დაბრუნდა, საქაღალდე ძველ ადგილას დადო და მომახარა:

– შეგიძლია მშვიდად იყო, გენერალი ნებას გრთავს, წახვიდე და ნათესავები მოინახულო.

– მართლა? – ვიკითხე ცამდე გახარებულმა.

– ჰო, ოღონდ, ხვალ დილით რვა საათზე აქ უნდა გამოცხადდე!

– ავტობუსით გამგზავნიან?

– არა, თვითმფრინავით. ჩასხდომა ცხრა საათზეა და არ უნდა დაიგვიანოთ. ჰო, თვითმფრინავის ბილეთი რომ აგიღო, შენი პასპორტია საჭირო, უნდა დამიტოვო.

– თქვენ გაგახარათ ღმერთმა, როგორც მე გამახარეთ, – წამოვიძახე აღტაცებულმა, სკამიდან წამოვხტი, მისი გადაკოცნა მომინდა, ძალიან, ძალიან, მაგრამ ვერ გავბედე, ზედმეტი არ მომივიდეს-მეთქი და მხოლოდ ხელზე ნაზი ამბორით დავკმაყოფილდი.

ამ დროს ოთახში მოულოდნელად ნაცნობი ხელჯოხიანი მოხუცი გამოტყვრა. „რა უდროო დროს მოხვედი, ბაბუ-მეთქი“, – გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ იგი დიდი ხნის მონატრებული შვილივით მეცა, გადამეხვია და აღელვებულმა მითხრა:

– მადლობა ღმერთს, ძლივს არ მოგაგენი? წეღან, ბაბუ, ბადიში მინდოდა შენთვის გამეცნო, მარა ისე გაგარბენინეს იმ მილიციელებმა, ვეღარ მოგისწარი. რა უნდოდათ, ნეტა, შენისთანა ანგელოზთან, მიკვირს პირდაპირ.

– არაფერი, ისინი ჩემი მეგობრები არიან და უბრალოდ, გამეხუმრნენ, – სიცილით ვუპასუხე და სკამი შევთავაზე. მოხუცი სკამზე ხვნეშა-ხვნეშით დაჯდა და განაგრძო:

– ძნელი ყოფილა, ბაბუ, სიბერე, ფეხზე დიდხანს დგომას ვერ ვუძლებ, მალე ვიღლები.

– სადაა ახლა შენი ბადიში? – ვკითხე, სასწრაფოდ საქმეზე რომ გადასულიყო.

– მახინჯაურში წაიყვანეს იმ შენმა ამხანაგებმა, იქედან უნდა გავიდეს ეშელონი.

– მაშინ, თქვენს ბადიშს თბილისში შევხვდები!

– რავა, თქვენ არ აცილებთ ეშელონს თუ?

– ჰო, ბაბუ, გეგმა შეიცვალა და მე ხვალ დილას თვითმფრინავით მაგზავნიან.

– მართალნიც არიან, აბა, შენისთანა კაცს ეშელონში რა უნდა!

– რა ვიცი, ბაბუ, – რომ არ გამცინებოდა, მხრები ავიჩეჩე.

– მაიორმა ასე თქვა, თბილისში ნავთლუღი რომაა, იქ იკრიბებიან „პრიზივნიკებიო“, ჰოდა, შენც ხომ იქ მიხვალ, ჩემი ბადიშის ცნობა არ გაგიჭირდება, მონახე და მიმიქციე ყურადღება!

– აუცილებლად მოვძებნი, დარდი ნუ გექნებათ.

– ერთი კიდო-ნა გთხოვო რაცხა, ავღანეთში არ უნდა გაუშვათ ჩვენი ბიჭები, იქიდან ბევრი ვეღარ ბრუნდება სახლში ცოცხალი, გეხვეწებით!

როცა მოხუცი ოთახიდან გავიდა, ქალიშვილმა გაკვირვებით იკითხა:

– ვინ იყო?

– ერთი საათის წინ ეზოში გავიცანი, უფრო სწორად, თვითონ გამეცნო, მგონი მაგ მოხუცს მე მთავრობის წარმომადგენელი ვგონივარ და ათას რაღაცას მთხოვს, მეც ვპირდები, განა არ სჯობია, კაცი იმედიანად იყოს?

– კი, მართალი ხარ, – დამიდასტურა ღიმილით, გადაშლილი საქაღალდე ჩემსკენ მოაბრუნა და მთხოვა ამ საბუთზე ხელი მომიწერეო. ნაცნობი „პტიჩკის“ დანახვაზე ინსტიქტურად გამაჟრჟოლა.

– ნუ გეშინია ცუდს არაფერს გიპირებ, აქ მხოლოდ ის წერია, რომ სიტყვას შეასრულებ და არ გაიპარები, ხვალ დილის რვა საათზე შენი „ვეშმეშოკით“ კომისარიატში გამოცხადდები.

ბურანიდან გამოვერკვიე და ხელის მოსაწერად მაგიდისაკენ დავიხარე, უნებლიეთ ქალიშვილის ღრმად ამოჭრილ დეკოლტესაკენ გამექცა თვალი. მისი საოცრად თეთრი, ლამაზი მკერდი და სავსე ბორცვები მომაჯადოვბლად ქათქა-

თებდა. „გაღმა სჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა, საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“, რა გენიალურად უთქვამს ვაჟას?!

ქალიშვილმაც იგრძნო ჩემი აღფრთოვანებული მზერა, სახე აელეწა და მკერდზე ხელი მორცხვად აიფარა. მეც საკმაოდ სახეალეწილმა დიდი გულმოდგინებით გამოვიყვანე ჩემი ფაქსიმილე. ქალიშვილს ათასი მადლობა გადავუხადე და ის იყო სახელს ვკითხავ-მეთქი და ჰოი, უბედობავ, ეს რა სასწაული დღე გამითენდა, კარი გაიღო და თავისი გაპრიალებული ჩექმებით ოთახში „ჩემი მაიორი“ შემობაკუნდა. მას არავისთვის არაფერი უკითხავს, ჩემი საქაღალდე აიღო და გენერალთან შებაკუნდა.

ქალიშვილი სკამიდან სასწრფოდ წამოვარდა, კარებისაკენ მიმითითა და მრისხანედ მიბრძანა:

– ახლავე სახლისაკენ მოუსვი, მაიორმა გენერალს აზრი არ შეაცვლევინოს, ჩქარა!

– ამხელა სიკეთე გამიკეთე და სახელი მაინც ვიცოდე. რა გქვია?

– ცირა, – მიპასუხა მან სულში ჩამწვდომი და ნაზი ხმით, ხელი ჩამომართვა და დიდრონი შავი წამწამები დაბლა დახარა.

– მე გურის მეძახიან, – კიდევ მინდოდა გამეგო, გათხოვილი იყო თუ არა (ხელზე ბეჭედი არ ეკეთა!), მაგრამ მან სიტყვის თქმაც არ დამაცალა, ხელკავი გამიკეთა და კარებამდე მიმაცილა:

– აბა, შენ იცი, ნახვამდის!

– მოიცა, შენთან ვალში ვარ, აუცილებლად უნდა დაგხატო. ერთი წლის შემდეგ აქ მოგაკითხავ, თუ აქ არ დამხვდები, თვითონ მომაკითხე სამხატვრო სასწავლებელში და გური ფუტკარაძე იკითხე! დამელოდები?

– აუცილებლად დაგელოდები! – არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა. მეც გავბედე, ლოყაზე ვაკოცე და კომისარიატის შენობიდან ბედნიერებით აღსავსე გამოვფრინდი.

* * *

მზე ჩადიოდა, ევკალიპტების ეზოში ბურუსი წვებოდა, დაბალი გორაკები, რომლებიც დაბა ხელვაჩაურს აღმოსავლეთიდან აკრავდა, ჩამავალი მზის სხივებზე ნარინჯისფრად ლიცლიცებდნენ და ბინდ-ბუნდში თანდათან იკარგებოდნენ.

ჩემი სოფლის „ღვაწლმოსილი“ ავტობუსი იგვიანებდა, მე კი სახლში წასვლა ძალიან მეჩქარებოდა, თანაც იმის მეშინოდა, „ჩემმა მაიორმა“ არ მომძებნოს და ეშელონში არ მიკრას თავი-მეთქი.

– „ჯანდაბას, ტაქსით წავალ“ – გავიფიქრე და ტაქსების გაჩერებისაკენ გავსწიე. ჩემს ჯინაზე გაჩერებაზე არც ერთი ტაქსი არ იდგა ბოლოს ერთ კერძო „ჟიგულის“ მძღოლს 5 მანეთად მოვურიგდი, რომ ზედა თხილნარში ამიყვანდა. მანქანაში მოვკალათდი და ცოტა ხანში ჭოროხის ბედუკუღმართ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს მივადექით. მძღოლმა მანქანა გადააყენა და ტანსაცმლის ჯიბეებში და მანქანის უჯრებში რაღაცის ძებნა დაიწყო, ბოლოს ჩემს მიერ მიცემული ხუთმანეთიანი ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა:

– მაპატიე, ძმაო, ვერ წაგიყვან, ხომ ხედავ, „პროპუსკი“ სადღაც დამკარგვია და მესაზღვრეები ზონაში არ შემიშვებენ.

ელდა მეცა, ახლა-ღა გამახსენდა, რომ ჩემი პასპორტი ცირას დავუტოვე თვითმფრინავის ბილეთის საყიდლად და მეც, ფაქტიურად, საშვის გარეშე ვიყავი დარჩენილი. რა ძალა მქონდა, საგუშაგოსაკენ „უპროპუსკოდ“ წავლასლასდი.

– „სტოი, კტო იდიოტ“! – მიბრძანა ავტომატიანმა გუშაგმა და თვალისმომჭრელი შუქი სახეზე მომანათა.

– „ეტო ია“, – ვუთხარი და შლანგბაუმის წინ გავჩერდი.

– „პაკაჟიტე დოკუმენტი“! – მომიახლოვდა გუშაგი. ახლა არ გინდა ჩემი ჩიქორთული რუსულით გავაგებინო ამ ხეპრეს, რომ თვთმფრინავის ბილეთის საყიდლად ცირას აუცილებლად სჭირდებოდა ჩემი პასპორტი?

– „ტავარიშჩ სალდატ, მოი პასპორტ ვკომისარიატე“.

– „მეუდუ პროჩიმ, ია სერჟანტ, ნადა აბრატიტსა კაკ პალოჟენა!“ – იუკადრისა სალდათობა

სერჟანტმა და მისი „ზვანია“ რომ კარგად დამენახა, პაგონებზე ფანარი დაინათა.

– „იზვინიტე, პაჟალუსტა. ტავარიშჩ სერჟანტ, ვტემნატე ნი ზამეტილ“, – მოვუბოდიშე და ხიდის მოაჯირს დავეყრდენი.

– „გრაჟდანინ, ია სკაზალ, პაკაჟიტე პასპორტ!“ – კატეგორიული ტონით გამიმეორა და ავტომატის კონდახს ჩაავლო ხელი.

– „ტავარიშჩ ლეიტენანტ – უცებ მოვუმატე ჩინი მეტიჩარა ჯარისკაცს, რომ როგორმე მესიამოვნებინა, – იესლი პავერიტე მნე, პასპორტ ასტავილ ვკომისარიატე, ია პრიზივნიკ, ზავტრა ზაბირაიუტ ვარმიუ, პონიალ?“

– „პრიზივნიკ, შტოლი?“

– „და, და, ტავარიშჩ ლეიტენანტ, ია პრიზივნიკ, ზავტრა უტრომ ია ულეტაიუ ტბილისი, ა პოტომ ავგანისტან!“ – ვიცრუე, იქნებ შევეცოდო და უპასპორტოდ გამიშვას-მეთქი.

– „ავგანისტან? ნუ დაიოშ!“ – მითხრა თანაგრძნობით.

– „დრუგ, ზაკურიტ ნაიდიოტსია? – მკითხა მეორე რიგითმა მესაზღვრემ.

– „იზვინიტე, ტავარიშჩ სერჟანტ“, – ამასაც ავუმაღლე ხელად სამხედრო ჩინი, ვიფიქრე, „ოღონდ აქ გამატარონ და მათთვის გენერლობასაც არ დავიშურებ-მეთქი, – „კსაჟალენიუ, ია ნი კურიაშჩი“.

– ვსე დოკუმენტი ზაბრალი, ნიჩევო ნი ასტავილი?“ – გაკვირვებულმა მკითხა ლეიტენანტად „დაწინაურებულმა“ სერჟანტმა.

მაშინვე მათ დასანახად ყველა ჯიბე გადმოვაბრუნე, მაგრამ ჯიბეებში ასიოდე მანეთისა და გასაღებების აცმულას გარდა ვერაფერი აღმოვაჩინე:

– „ვოტ, შტო უ მენია ასტალსია, ტავარიშჩ კაპიტან! – კიდევ ერთი ჩინით დავაწინაურე სერჟანტად ყოფილი, მაგრამ მან ზედმეტი დაწინაურება იუკადრისა:

– ასკარბლიაეშ, შტოლი? ია ნი კაპიტან, სერიოგა, იდი სუდა, პასმატრი, უ ნევო კუჩა დენეგ, – ხელებში მომანათა ფანარი.

სერიოჟას ამდენი ფულის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა:

– „ნი ჩევო, სებე?“ – ჩაილაპარაკა აღტაცებულმა.

– „ბირიტე, რებიატა, სკოლკო ხატიტე, ნი სტესნიაიტეს, – ფულს ვთვაზობ, ოღონდ სახლში გამიშვან, – ბირიტე, ბირიტე!“

– „ნიეტ, ნიეტ, – შეშინდა სეროგა, – მი დენგი ნი ბერიომ“.

– „ოტ ვსეი დუში დარიუ, ნიკომუ ნი სკაჟუ, ბირიტე!“

– „ნუ ლადნა, – ცდუნებას ვერ გაუძლო სერჟანტმა, – ჩელოვეკ ზავტრა ვარმიუ უხოდიტ, – სერიოჟას მიუბრუნდა, – დავაი, ზავტრა პა სტო გრამ ვიპიომ ზა ნევო, ხარაშო?“

– „ხარაშო, ნე ატკაჟუს“. – დაემოწმა სერიოჟა, მერე ირგვლივ მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მიყურებსო, მათხოვარივით გაშვერილი ჩემი ხელიდან ერთი წითელი ათმანეთიანი სწრაფად გამოაძრო და მკითხა:

– „კუდა იედეშ?“

– „ვ თხილნარი, – ვუთხარი გახარებულმა, დარჩენილი ფული და გასაღებების აცმულა ჯიბეში ჩავიყარე, „სპასიბა, რებიატა, ნა ზდაროვიე!“-ც მივაძახე და სასაზღვრო ზოლი აღფრთოვანებულმა გადავკვეთე, მაგრამ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი.

„დავუშვათ, ახლა სამშვიდობოს გავედი, – ვიფიქრე მე, – მაგრამ ხვალ მესაზღვრეთა ეს განაწესი რომ შეიცვალოს, ახალი მესაზღვრეები უპასპორტოდ უკან გამატარებენ? ხომ ვუღალატებ ცირას? გენერალი მაშინვე განაჩენს გამომიტანს „დეზერტრიაო“ და შეიძლება ციხეშიც კი ჩამსვან“.

მაშინვე უკან მივტრიალდი.

– „რებიატა, რებიატა, – განწირული ხმით მივძახე საგუშაგოში შესულ მესაზღვრებს. სერიოჟამ გამომხედა:

– „ჩევო არიოშ, ნი დავოლენ?“ – ეგონა, ფულის უკან წაღებას ვაპირებდი.

– „ია ზავტრა უტრომ ბუდუ ზდეს, ბეზ პასპარტა მენია პრაპუსტიატ?“ – ხელი გავიშვირე კომისარიატისაკენ.

– „და, და, მი დეჟურიმ დო დევიატი ჩასოვ, იესლი ნე აპაზდაეშ“, – დამამშვიდა სერიოჟამ და

მეც, ამჯერად, მართლაც დამშვიდებულმა, კისრიდან ჰალსტუხი მოვიხსენი, ჯიბეში ჩავიტენე და თაქუდმოგლეჯილივით გავვარდი სახლისაკენ.

* * *

ძაღლი ზედ ჭიშკართან ღავღავით შემომეგება, რომ მიცნო, ყეფა შეწყვიტა და წკმუტუნით კიბეებამდე მიმაცილა. ეზო-კარში და სახლში საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო. ხანდახან ქარს შორიდან დოლ-გარმონის ხმა მოჰქომდა.

ორსართულიან შენობაში შუქი მხოლოდ მისაღებ ოთახში ენთო. სახლში არავინ იყო. „ნეტავ, სად არიან?“ გავიფიქრე გაკვირვებულმა. ბუხარში ახალჩამწვარი შეშა ჯერ კიდევ ბოლავდა. მაგიდაზე ქაღალდი შევნიშნე, წერილი მე მეკუთვნოდა:

„გური, ჩვენ დუმბაძე მურადას ბიჭის ჯარიდან დაბრუნების ზეიმზე ვართ, შეიძლება დაგვაგვიანდეს; ლობიო მაცივარშია, პური – თაროზე, კიტრის მჟავე ბეღელშია დერგში. ჩაის დალევაც თუ გინდა, ყველაფერი „შკაფშია“, გაზი ანთებული არ დაგრჩეს“.

ფეხი შემთხვევით ჯორკოს გავკარი და გადავაბრუნე, ხმაურზე სავარძელში მძინარე კატას გაეღვიძა, წამოდგა, გაიზმორა, ზურგი მაღლა აზნიქა, დაამთქნარა და ძირს ჩამოიხედა.

– ფისო, გაგაღვიძე? – მოვეფერე ზურგზე, კატამ სიამოვნებისაგან კრუტუნი მორთო და კუდი მაღლა აბზიკა.

„ნეტავი მალე დაბრუნდებიან?“ – ვკითხე საკუთარ თავს და საათს დავხედე, თორმეტი დაწყებულიყო, ტელევიზორი ჩავრთე, ტელევიზორში „ჯარისკაცის მამას“ უჩვენებდნენ, ასე იციან ჯარში ახალი თაობის გაწვევების დროს.

ბუხარში შეშა შევუკეთე და ცეცხლი გავაჩაღე, ერთხანს ჯორკოზე ჩამოვჯექი და ცეცხლს მივეფიცხე, მერე მწვავე შიმშილი ვიგრძენი და ვახშმის მომზადებას შევუდექი ზუსტად წერილში მითითებული „მენიუს“ მიხედვით, სუფრა გავშალე და ერთი გრაფინი ღვინოც დავიდგი. მაგიდას მივუჯექი და ცოტა რომ შევნაყრდი, ღვინო ჩამოვისხი, მაგრამ მარტო ხომ ვერ დავლევდი?!

მაგიდის ქვეშ კატა დაბორიალობდა, ჭყაოდა, ხანდახან ფეხებზე მეხროსინებოდა, ეტყობა მასაც მაგრად შიოდა მაგრამ მაგიდაზე არ ამოდიოდა, ასეთი წესი არ ჰქონდა, ამიტომ ავიყვანე და კალთაში ჩავისვი, მასაც ეს უნდოდა, კმაყოფილმა თვალებში შემომხედა და გამასპინძლების მოლოდინში გაიტრუნა.

– ფისო, ეხლავე მოგხედავ, – ვუთხარი და ერთი ნაჭერი პური პირში ჩავუდე, მერე ღვინით სავსე ჭიქა ავიღე, „მადლობა უფალს“-მეთქი და გადავკარი. ჭიქა ბოლომდე დავცალე. ფისოს მივუბრუნდი და ვკითხე:

– ჩემო ფისო, ცოტას შენც ხომ არ დალევდი? ბოლოს და ბოლოს, ჯარში მივდივარ თუ არა! გაცილება არ მეკუთვნის?

ფისომ თანხმობის ნიშნად პირი გაილოკა. კართან მისთვის გათვალისწინებული ჭურჭელი იდგა და მეც მასში ცოტაოდენი ღვინო ჩავუსხი, ფისოს, ალბათ, წყალი ეგონა, ენა ჩააწო და უკმაყოფილოდ ამომხედა: „შენ რა, არ იცი, რომ ღვინოს არ ვსვამ?! ერთი ჭიქა რძით კი შენი ჯარში წასვლისა და იქედან მშვიდობით დაბრუნების სადღეგრძელოს სიამოვნებით დავლევდი!“ – თვალებით მანიშნა ფისომ – „რა გაეწყობა რძე იყოს“ – ღვინო გადავაქციე და ჭურჭელი რძით შევუვსე, კატამ რძე სიამოვნებით ამოსვლიპა და მადლიანი თვალებით შემომხედა. საათი უკვე თორმეტს მიუახლოვდა, ჩემები არსად ჩანდნენ. „რა ტყუილად ვიწვალეთ მე და ცირამ?!“ გავიფიქრე იმ წუთას.

ცირას გახსენებაზე საიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა... ჭიქა ღვინით პირამდე შევავსე და:

– სიყვარულს გაუმარჯოს! – მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე და გადავკარი, მერე ცირას ლამაზი სახე გამახსენდა, ფუმფულა თმები, მოხდენილი ტანი და ქათქათა მკერდი... ოცნებებში ჩაძირული დიდხანს ვიყავი ჩემს ფისოსავით გატრუნული, კვლავ საათს დავხედე, პირველს ბევრი არაფერი უკლდა. ქარს დოლ-გარმონის შორეული ხმა მოჰქონდა და მოჰქონდა.

– რა ამბავია, აღარ მოდიან? ვთქვი გაბრაზებულმა და ერთი ჭიქაც სადღგრძელოს გარეშე დავლიე, მერე კვლავ შემრცხვა, ღვინოს მარტო რომ მივირთმევდი და ფისოს მივუბრუნდი;

– ფისო, შე უსინდისო, რა ღვინოს გთავაზობ, მამა შვილსაც რომ არ დაალევინებს, შენ კი ძილს ამჯობინებ, – ავდექი, მის ჯამში ღვინო ჩავასხი, პურის ნატეხებიც ჩავუყარე და მაგიდის ქვეშ დავუდგი, ფისოს ახალი ნუგბარი ეგონა და „ღვინო გასინჯა“, მოეწონა და ჭამა განაგრძო. მე ძალიან გამიხარდა, ფისო შევაქე და ახალი სადღეგრძელო ვთქვი:

– ეს ჩემს ჯარში წასვლას გაუმარჯოს და იქედან – მშვიდობით დაბრუნებასაც!

ფისოს სამი-ოთხი ყლუპის შემდეგ, უცნაური რამ დაემართა, თითქოს რაღაცამ უკბინაო, შეშინებული ტახტის ქვეშ შურდულივით შევარდა და ფხუკუნი ატეხა. რაიმე უბედურება არ დაემართოს-მეთქი, დაჩოქილმა ტახტის ქვეშ შევიხედე, ზურგამოზნექილი კატა თვალებდაჭყეტილი მომჩერებოდა, თითქოს მსაყვედურობდა კიდევაც: „შე კაცო, ეს რა დამალევინე, ჩემი მოწამვლა გინდოდა?“ – მივხვდი, კატამ სიმთვრალე და მოწამვლა ერთმანეთში აურია. რადგან ჩემი მეინახე დათვრა, ტელევიზორს მივუბრუნდი, გამწარებული მამა ავტომატს აკაკანებდა და „შვილო გოდერძის“ ძახილით კიბეზე არბოდა. კინოს ბოლომდე ვუყურე, ტელევიზორი გამოვრთე, რადგანაც ფისო მთვრალი და გაბრაზებული იყო ოჯახისა და სოფლის სადღეგრძელო კვლავ მარტომ დავლიე:

– მშვიდობით ჩემო მშობლიურო ოჯახო და არანაკლებ მშობლიურო სოფელო, იმედი მქვს, რომ ერთ წელიწადში დაგიბრუნდებით საღი და ჯანმრთელი და თქვენც დამხვდებით უფრო გალამაზებული და გალაღებული!

ფისო, როგორც მალე დათვრა, ისევ მალევე გამოფხიზლდა, თანაც შემირიგდა და კალთაში ჩამიხტა, მთელი დღის ნანერვიულებულს და დაღლილს ჯორკოზე ჩამეძინა.

მამლების ყივილზე ფისოსაც და მეც თითქმის ერთდროულად გაგვეღვიძა. ბუხარში ცეცხლი ჩამქრალიყო, ოდნავ ციოდა, ძლივს ავდექი, ქვედა კიდურები დამბუჟებოდა, აივანზე კოჭლობით გავედი. ქარს დოლ-გარმონის ხმა ძველებურად მოჰქონდა.

ცაზე ვარსკვლავები ძლივს ბჟუტავდნენ, ღამეს დღე ენაცვლებოდა, ხელ-პირი დავიბანე, თავი მოვიწესრიგე, წუხანდელი „ნაქეიფარი“ სუფრა ავალაგე, ჩაი გაზზე დავდგი და სანამ ადუღდებოდა, ელექტროსაპარსით პირი გავიპარსე, სახე ოდეკოლონით დავიმუშავე და თმა გადავივარცხნე, „აფსუს, რა თმები უნდა გადამპარსონ“, – გამიელვა გულში უსიამოვნო აზრმა, სარკეს თავი მივანებე, ჩაი დავლიე და ისევ ივანზე გავედი. დოლ-გარმონის ხმა უფრო გარკვევით ისმოდა, ეტყობოდა რომ დოლ-გარმონს უკვე ეზოში უკრავდნენ და შეზარხოშებული სტუმრები გამოსათხოვარ ცეკვებს ცეკვავდნენ.

ცაზე ვარსკვლავები გამქრალიყვნენ, ამომავალი მზე მურმანეთის გორების მწვერვალებს ეფერებოდა, ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდა და ხეობაში ბინდიც ნელ-ნელა იცრიცებოდა.

მისაღებ ოთახში დავბრუნდი, პიჯაკი ჩავიცვი, ჰალსტუხი გავიკეთე, ფეხსაცმელები კარგად გავიპრიალე, ეტყობა, ფეხებს ვითრევდი, „იქნებ მომისწრონ ჩვენებმა“, ბოლოს მაგიდასთან ჩამოვჯექი და მოკლე წერილი დავწერე:

– „დღეს ჯარში მივდივარ, არ ინერვიულოთ, გაზი გამოვრთე, როცა სამხედრო ნაწილში ჩავალ, წერილს მაშინვე მოგწერთ, მარად თქვენი გური“.

მისაღებ ოთახში შუქი გამოვრთე, ფისოს ზურგზე ხელი გადავუსვი და ნაზად მოვეფერე, მას წუხანდელი წყენა მთლიანად დავიწყებოდა, ხელის ყოველ გადასმაზე კუდს უცნაურად გრეხდა და თავის აქეთ-იქით ტრიალით მემადლიერებოდა.

– აბა, ფისო ნახვამდის, – თათი ავუწიე და გამოვემშვიდობე, საათს დავხედე შვიდი სრულდებოდა, – „ასე უთენია ავტობუსი არ იქნება, ალბათ, ფეხით მომიწევს ხელვაჩაურამდე ჩასვლა, დაგვიანება არ შეიძლება, დროა წავიდე“.

სახლიდან გარეთ გავედი, ეზო-კარი შემოვირბინე: თანაც გამოვემშვიდობე, თანაც შევამო-

წმე, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. როგორც ჩანს, კვლავ ფეხებს ვითრევდი, „იქნებ მომისწრონ ჩემებმა“, მაგრამ ჩემები არსად სჩანდნენ, მე კი ვიგვიანებდი.

საცალფეხო ბილიკით დაბლა დავეშვი, უკან კუდის ქნევით ერთგული ძაღლი გამომიდგა, გავჩერდებოდი და ისიც გაჩერდებოდა, წავიდოდი და უკან წკმუტუნით მიმყვებოდა. ბოლოს გავუჯავრდი და მიწაზე ფეხები დავუბაკუნე:

– „გეყოფა, უკან დაბრუნდი, ჯარში ხომ არ წაგიყვან, ეზო-კარს მიხედე“-მეთქი!

ძაღლი ერთხანს გაოცებული მიყურებდა, ბოლოს კუდი ამოიძუა და სახლისკენ გაძუნძულდა. როგორც კი მოსახვევს მიეფარა, მეც გზა სასწრაფოდ განვაგრძე. სასაზღვრო ხერგილი სერიოჟას დახმარებით ფათერაკების გარეშე გადავლახე და მეცხრე საათი ახალი დაწყებული იყო, როცა კომისარიატს მივაღწიე.

* * *

კომისარიატის ეზოში ტენტიანი მანქანა იდგა, რუს სამხედრო მძღოლს თავი საჭეზე დაედო და ხვრინავდა, აღარ შევჩერებულვარ, პირდაპირ შენობაში შევედი.

შაბათი დღე იყო და გუშინდელივით ხალხი აქ აღარ ირეოდა, ცირას კაბინეტში ვიღაც დამლაგებელი ქალი იატაკს წმენდდა.

– ქალბატონო დღეს ცირა იქნება? – ვკითხე.

– არ ვიცი, შვილო, შაბათობით იშვიათად მოდის-ხოლმე.

– კომისარი არის?

– კომისარი და მისი მოადგილე, მგონი, ვიღაც „პრიზივნიკს“ ელოდებიან, ყური მოვკარი, რომ ის „პრიზივნიკი“ თვითმფრინავით უნდა გადააფრინონ თბილისში.

– გმადლობთ, – ვუთხარი და კომისრის კარებზე დავაკაკუნე.

– შედი, შვილო, კაკუნს ვერ გაიგონებენ, რადგან კარი ტყავგადაკრულია.

კარი ფრთხილად შევაღე.

– მოხვედი, – გაუხარდა მოადგილეს, – ხომ გეუბნებოდით, მოვა-მეთქი, – მრავალმნიშვნელოვნად გადაულაპარაკა გენერალს:

– „აბა, ცირას ვინმე უღალატებს?“ – მე ეს ასე გავიგე.

– აბა, რა ვიცი, – აიჩეჩა მხრები გენერალმა, – გუშინ ისეთი დღე გვაყარა, ვიფიქრე, დეზერტირია-მეთქი, – მერე საათს დახედა, – უკვე ცხრის ნახევარია, სად არის პრაპორშიკი ცივაძე?

– ცივაძე, ამხანაგო გენერალო, პირდაპირ აეროპორტში გავგზავნე და დაჯავშნული ბილეთის აღება დავავალე, ის იქ დაგვხდება, – უპასუხა მოადგილემ.

გენერალმა მოჭუტული თვალებით გადმომხედა და ულვაშებში ჩაეღიმა:

– არ ჩაგალსტუკებულა? ვითომ უნივერსტიტეტში ვაგზავნიდეთ.

– ჯარიც ერთგვარი უნივერსიტეტია, ამხანაგო გენერალო, ყველამ უნდა გამოსცადოს, – უპასუხა მოადგილემ და ორთავენი ფეხზე წამოდგნენ.

– შენ, „დეზერტირო“ – ვითომ ხუმრობით მომმართა გენერალმა, – ჩადი და მანქანასთან დაგველოდე! თუმცა ერთად წავიდეთ, – მოირგო თავზე „ფურაჟკა“ და წასავლელად მოვემზადეთ...

რამდენიმი წუთში გენერალი, მისი მოადგილე, პრაპორშიკი, მანქანის მძღოლი და მე აეროპორტის ვეებერთელა ფოიეში ვიდექით.

ვიღაცა ზურგიდან წამომეპარა და თვალებზე ხელები ამაფარა, რას არ მივცემდი, რომ ეს ხელები ცირასი ყოფილიყო, სამწუხაროდ, მამაკაცის ეს უხეში ხელები სულაც არ გავდა ქალის ნაზ ხელებს და არც ხმა იყო ცირასი:

– გამოიცანი, აბა, ვინ ვარ?

– დათო?

– არა,

– ჯემალი?

– არა.

– აბა, ვინ ხარ? მართლა ვერ გიცანი.

– ოლოლო, შენ, ვერ გამომიცან! – და ჩემს წინ თბილისელი სტუდენტობის ამხანაგი გივი ამეტუზა.

– ვაა, გივი? აქ საიდან? – ერთმანეთს გადავეხვიეთ.

– ორი დღი წინ ჩამოვედი საქმეზე, ახლა სასწრაფოდ თბილისში მინდა გადაფრენა, მაგრამ ბილეთი ვერ ვიშოვე, მეუბნებიან ბილეთები ერთი კვირის წინაა გაყიდული. შენ აქ რას შობი? – დამიბრუნა კითხვა გივიმ.

– თბილისში მივფრინავ.

– ისე გამოიყურები, ალბათ, კარგი სამსახური გიშოვნია.

– ხატვას ვასწავლი სამხატვრო სასწავლებელში.

– კარგია, აბა, მე სალონისათვის ვმუშაობ. სუვენირებს ვაკეთებ და ვაბარებ. ცოტა ბათუმშიც ჩამოვიტანე, ძალიან ნელა იყიდება. ბილეთი როგორ იშოვე?

– აი, იმ მეგობრებმა ამიღეს, – მივანიშნე „გენერალიტეტისაკენ“.

– ვაა, ეს ხალხი შენ გაცილებს? – გივიმ ყველას ჩამოუარა და ხელი მოკრძალებით ჩამოართვა. მერე მე მომიბრუნდა:

– ბიჭოს, ეს რამხელა ხალხი გყოლია, იქნებ ერთი ბილეთი გამიჩალიჩონ როგორმე, ჰა?

– მე წინასწარ დამიჯავშნეს, ახლა არაფერი გამოვა.

– აუუ, როგორ ვიწვები დროში, ტოო. დღეს რომ ვერ ჩავფრინდე საქმეები ჩამეშლება!

– მგზავრებში მოიკითხე, იქნებ ვინმემ ბილეთი დააბრუნოს.

– ამ სამხედრო ჩინოსნებს საიდან იცნობ?

– ჩემი ახლობლები არიან, აქ ჩემს გასაცილებლად მოვიდნენ, – ვიცრუე მე, ანდა რა ვიცრუე, ისინი ხომ ცირას „დავალებით“ მართლაც მე მაცილებდნენ, – „მაგრამ მთელი ამ „გენერალიტეტის“ გაცილებას ერთი ცირას მიერ ჩემი გაცილება ათასჯერ სჯობდა, აბა, ვისთვის გამოვიპრანჭე“, – გავიფიქრე მე და ამდენ ხალხში თვალებით ცირას დავუწყე ძებნა. გივი მიხვდა, რომ მისთვის არ „მცხელოდა“, ამიტომ სასწრაფოდ გამომემშვიდობა და ბილეთის საძებნელად წავიდა.

რადგან ცირა დარბაზში ვერ აღმოვაჩინე, გადავწყვიტე იგი გარეთ მომეძებნა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ, რადგან მე არ ვუღალატე ცირას, ისიც არ მიღალატებდა და ჩემს გასაცილებლად აუცილებლად მოვიდოდა.

გენერალს ეზოში გასვლის ნებართვა ვთხოვე. გენერალმა სამი თითი მიჩვენა და მკაცრად გამაფრთხილა:

– მხოლოდ სამი წუთით, მალე ჩასხდომა გამოცხადდება, შორს არ წახვიდე, თავი არ გვაძებნინო!

გარეთ გავედი, მთელი ტერიტორია მანქანებით იყო სავსე, იქაურობას თვალი მოვავლე, ცირა არსად ჩანდა, უცებ შორს ქუჩაში მიმავალ ქალიშვილს მოვკარი თვალი. ის ცირა მეგონა და ადგილიდან მოვწყდი, „გენერალიტეტი“ უკან გამომენთო, არიქა დეზერტირი არ გაგვექცესო.

ქალიშვილს ათიოდე ნაბიჯით რომ მივუახლოვდი, მივხვდი, რომ ის ცირა არ იყო. ჩემიანებზეც, ჩემზეც, ცირაზეც, გენერალზეც გაბრაზებულმა გადავწყვიტე, შურისძიების ნიშნად, მდევარი ცოტათი კიდევ შემეჩოჩქოლებინა და გზა გავნაგრძე.

– დეზერტირო, „სტოი“! – როგოც იქნა, გენერალი მკლავებში მწვდა და გამაჩერა.

– დაგიჭირე, დეზერტირო, ხომ? – მითხრა აქოშინებულმა, მიმოვიხედე და კვლავ „გენერალიტეტის“ გარემოცვაში ვარ. გენერალი მოადგილეს მიუბრუნდა:

– ხომ გეუბნებოდი, არ ინდობა-მეთქი!

მოადგილემ მხარზე ხელი დამადო და სინანულით ჩაილაპარაკა:

– არ მეგონა, თუ ამას იკადრებდი, – უფრო კი, ალბათ, ამის თქმა უნდოდა: „არ მეგონა თუ ამას ცირას აკადრებდი, რამდენი რამ გააკეთა შენთვის?!“ – და ზურგი შემაქცია.

მე თავი „ღორად“ ვიგრძენი, ცივმა ოფლმა დამასხა და ძლივს წავილუღლუღე:

– ამხანაგო გენერალო, გპირდებით, რომ კარგი ჯარისკაცი ვიქნები, არც თქვენ გიღალატებთ და არც ცირას.

– ყურადღება! ყრადღება! გრძელდება ჩასხდომა თბილისის მიმართულებით, მგზავრებს ვთხოვთ, რომ იჩქარონ! – გვამცნო აეროპორტის რადიომ.

მაშინვე გენერლის მოადგილე და პრაპორშიკი გვერდში ამომიდგნენ და გასასვლელისაკენ გამაქანეს, გენერალი კი ქოშინით უკან მოგვსდევდა...

როგორც ჩანს, გენერალს ჩემი ნათქვამი არ გაუგონია, ან ჩემი „პატრიოტობა“ არ დაიჯერა, მისთვის კვლავ „დეზერტირად“ დავრჩი, რადგანაც ხელი ჩემთვის არავის ჩამოურთმევია, არც „ბედნიერი მგზავრობა“ უსურვებია ვინმეს, ისე ჩავჯექი თვითმფრინავში.

თვითმფრინავის სალონში ყველა მგზავრი იჯდა და მხოლოდ ერთი ადგილი იყო თავისუფალი, მეც იქითკენ გავემართე, გზადაგზა მგზავრების რეპლიკებს ვისმენდი, ჩემს გასაგონად რომ ჭორაობდნენ: „როგორ შეიძლება თვითმფრინავზე დაგვიანება, სოფლის ავტობუსი ხომ არ არის?“ „ვიღაცა კომკავშირის ფუნქციონერია და ალბათ, თავი დიდი ვინმე გონია“...

სავარძელში ჩავჯექი და შვებით ამოვისუნთქე, მგზავრებსაც მალევე გადავავიწყდი. ილუმინატორში გავიხედე, მაღალ რკინის ღობეს მომწყდარი გამცილებლები ხელის ქნევით გვემშვიდობებობდნენ.

„ვინ იცის იქნებ ცირაც არის იქ ჩემთან გამოსამშვიდებლად მოსული, მაგრამ „გენერალიტეტთან“ გამოჩენას მოერიდა, მეც რა ამბები ავტეხე?!“ – კიდევ ერთხელ შემრცხვა და კვლავ ცივმა ოფლმა დამასხა. ილუმინატორის მინას პირდაპირ მივეჭყლიტე, მაგრამ ვერც ცირას მოვკარი თვალი, ვერც ჩემს გამცილებელ „გენერალიტეტს“, რომლებმაც, რაკი „მშვიდობიანად მომიშორეს“, დროზე „აახვიეს“. ვერც ჩემი თბილისელი ამხანაგი ვერ შევნიშნე, ეტყობა, ბილეთი ვერ იშოვა.

თვითმფრინავი „იაკ-40“-ი ადგილიდან დაიძრა, ასაფრენ ბილიკზე გავიდა და გაჩერდა, მერე ერთი მაგრად დაიგუგუნა და ადგილს მოსწყდა, რამდენიმე წამში სხეულის სიმსუბუქე ვიგრძენი, საფრენი აპარატი უკვე ჰაერში იყო. ჩემი სტუდენტობის დროს თვითმფრინავით თბილისში ბევრჯერ მიმგზავრია და თვითმფრინავი ყოველთვის მარჯვნისაკენ უხვევდა, დღეს კი, ჰოი საოცრებავ, მარცხნისაკენ გაუხვია და ჭოროხის ხეობას გაჰყვა, რომ ჩემ სოფელ თხილნარს თავზე გადაფრენოდა, ერთხელ კიდევ მომეცა საშუალება, რომ ჩემს სახლ-კარს გამოვმშვიდობებოდი. ესეც ცირას მორიგ „ოინად“ და საჩუქრად ჩავთვალე...

* * *

ორმოცი წუთის შემდეგ თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. ალბათ, მგზავრებს შორის ერთადერთი მე ვიყავი, რომელსაც არავითარი ბარგი არ ჰქონდა და კიბეზეც პირველმა მე ჩავირბინე. ვაგზალიც ახლოს იყო და ფეხით გავსწიე გასასვლელისაკენ.

გენერალს „ჩემი მაიორისათვს“ ტელეფონით ეცნობებინა, თუ როგორ ვცდილობდი გაქცვას და მასაც თადარიგი დაეჭირა – აეროპორტის გასასვლელთან ორი მილიციელის თანხლებით დამხვდა.

„აი თურმე როგორი მნიშვნელოვანი პიროვნება ვყოფილვარ, ასეთი პატივი საოლქო კომიტეტის მდივანსაც კი შეშურდება: გენერლები მაცილებენ და მაიორები მხვდებიან“, – გავიღიმე მე და ასე სახეღიმილიანმა დამხვდურებს ხელი სათითაოდ, მოწიწებით ჩამოვართვი, ჯანმრთელობაც თავაზიანად მოვუკითხე.

მილიციელები გაოცებულები და დაბნეულები შემომცქეროდნენ კოხტად ჩაცმულ ჩაკიწკიწებულ და ჰალსტუხიან ახალგაზრდას, რომელიც კომკავშირის ცეკას მდივანს უფრო გავდა, ვიდრე ვიღაც ხულიგან დეზერტირს, მაიორს ეჭვიანად ჰკითხეს:

– ესაა, კაცო, დეზერტირი?

– უფროსო! – მკლავში ხელი გავუყარე მაიორს, – ისე მშია, ფეხზე ძლივს ვდგავარ, საუზმეზე ყველას გეპატიჟებით, სადმე ცოტა ხნით ჩამოვსხსდეთ, უარი არ მითხრათ, თორემ ძალიან გამაწბილებთ.

– არა, კაცო, როგორ შეიძლება, – აიჩეჩა მხრები მაიორმა, – სამსახურში ვართ!

– პირველ რიგში ქართველები ვართ, მე ჯარში მივდივარ, იქნებ ავღანეთშიც კი მოვხვდე და ხომ უნდა გამაცილოს ვინმემ, გზა მშვიდობისა

და კეთილად დაბრუნება მისურვოს, – შევატყვე უკვე აღარ მეურჩებოდნენ, – ნუ გერიდებათ, მე გეპატიჟებით, – და ჯიბიდან შუაზე გაკეცილი წითელთუმნიანები დავაძვრე.

– კარგი, მხოლოდ ნახევარი საათით, – მაიორმა მაჯის საათზე დაიხედა.

კაფეში შევედით, იქ საკმაოდ ხალვათობა იყო, კუთხეში ოთხადგილიან მაგიდას მივუჯექით, ოფიციანტი გოგონა მაშინვე მოცქრიალდა.

– რა ღვინოები გაქვთ? – ვკითხე.

– ქინძმარეული, ციცქა, ალადასტური, საერო, რქაწითელი... – ლექსივით ჩამოარაკრაკა მან.

– რომელს დალევთ? – ვკითხე სუფრის წევრებს. მათ ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს:

– ღვინო არაა საჭირო, სამსახურში ვართ!

– ღვინის გარეშე როგორ უნდა დამლოცოთ? – გავიკვირვე მე და გოგონას მივუბრუნდი:

– კარგი, ოთხი ციცქა იყოს, საჭმელი რა გაქვთ?

– „ოსტრი“, „გულიაში“, ქაბაბი, „კატლეტი“... – კვლავ „მამაო ჩვენოსავით“ ჩააბულბულა ოფიციანტმა.

– ოთხი „ოსტრი“, ოთხი მწვადი, მჭადი, ყველი, მწვანილი და დანარჩენს მერე მოვიფიქრებთ, აბა, შენ იცი, დაუჩქარე, დრო ცოტა გვაქვს!

რამდენიმე წუთში სუფრა გაიშალა...

„ოსტრი ისე „ავითვისეთ“, ღვინოსკენ არც კი გაგვიხედია, ცოტა თვალებში რომ გამოვიხედე, ჭიქები ღვინით შევავსე:

– ამ ჭიქით, ჩემო კეთილო ხალხო, ჩვენს უცნაურ გაცნობას და კეთილად შეხვედრას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს, გაუმარჯოს, – მოკლედ გაიმეორეს, ჭიქები მივუჭახუნეთ და ბოლომდე დავცალეთ.

– ოფიციანტ! – ხელი დავუქნიე თუ არა, იგი მაშინვე ჩვენთან გაჩნდა:

– სანამ მწვადები შეიწვებოდეს, თითო ლულაქაბაბი ჩამოგვირიგე!

– არაა ამდენი რამ საჭირო, კაცო, – გააპროტესტა მაიორმა, – დროში ვიწვებით!

– მოვასწრებთ, ნუ გეშინიათ, ჯარში მივდივარ, გზა ხომ უნდა დამილოცოთ, ხალხო? – მე კვლავ ჩემსას ვიძახი. სასმისები შევავსე და სადღეგრძელო წამოვიწყე:

– ამ ჭიქით მშვიდობას გაუმარჯოს! მშვიდობა რომ არ იყოს, ახლა ჩვენ აქ ვერ ჩამოვსხდებოდით, ვერც ჭიქებს მივუჭახუნებდით, ჰოდა, ღმერთმა მშვიდობა არ მოგვაკლოს, – ჭიქა კვლავ ბოლომდე დავცალე და პირი მწვანილით გამოვიტენე.

– მშვიდობა იყოს, მშვიდობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, – გაიმეორეს ჩემმა მეინახეებმა და მათაც ჭიქები ბოლომდე დასცალეს.

– მოდი, ახლა გზას დაგილოცავთ, რაღა... და დავამთავროთ. – ფეხზე დადგა „ჩემი მაიორი“.

– აჰ, როგორ გეკადრებათ, „ტავარიშჩ მაიორ“. ჯერ მწვადები არ მოუტანიათ და არც ის ვიცი, კიდევ როდის მეღირსება ლულაქაბაბის ჭამა, – იქეთ შევუტიე მაიორს, მაიორიც ვითომ უკმაყოფილო, თავის კანტურით დაჯდა.

– ოფიციანტო, თასები მოგვართვი! – გავძახე ოფიციანტს.

ლულა-ქაბაბი რომ გავათავეთ, თასებიც მოიტანეს, სასმისები შევავსე და საქართველოსა და მისთვის დაცემული გმირების სადღეგრძელო მთელი გრძნობითა და პატრიოტული სულისკვეთებით დავლიე, ჩემს თანამესუფრეებსაც მოეწონათ სამშობლოს სადიდებელი, ფეხზე წამოიჭრნენ და თასები დაცალეს.

– კაცო, – კახურ კილოზე მიაძახა ჩემგან მარჯვნივ მჯდომმა მილიციელმა მაიორს, – ამ კაცზე ამბობდი დეზერტირიაო? ჯიგარი ვინმე ყოფილა, აი, შენ გენაცვალე შენა! – მე მომიბრუნდა, გადამეხვია და „მრავალჟამიერი“ წამოიწყო, ჩვენც, როგორც შეგვეძლო ავყევით, საკმაოდ კარგი სიმღერა გამოგვივიდა, მილიციელი ერთხელ კიდვ გადამეხვია და დავსხედით.

– ახლა მაინც დაგვალოცვინე, კაცო, გზა, – შემეხვეწა მაიორი.

– მწვადები ჯერ არ მოუტანიათ! – ახლა მე გავაპროტესტე. მაიორმა საათს დახედა, სავარაუდო დროს ხუთი წუთით გადავცილებოდით, მაიორს სახე „აუმჟავდა“ და ოფიციანტს გასძახა:

– გოგონი, ცოტა დაუჩქარე მწვადები, თორემ გვაგვიანდება!

როგორც იქნა, შამფურზე აცმული ცვრიანი მწვადებიც გამოჩნდა.

– ქეიფია! ქეიფი! – შესძახა „მომღერალმა“ მილიციელმა და თასები თვითონ შეავსო:

– ამით, ძმებო, ჩვენი „დეზერტირი“ დავლოცოთ, უმრავლოს ქვეყანას ამისთანა დეზერტირები. ჯიგარი ყოფილხარ, ძმაო, ჯიგარი! – შემაქო, თასი დაცალა და ულვაშებზე მაჯა გაისვა.

ყველამ ჩემი სადღეგრძელო გულწრფელად და მაღალფარდოვნად წარმოთქვა, „საბჭოთა არმიაში წარმატებული სამსახური მისურვეს და ხელი მხურვალედ ჩამომართვეს.

მე გულაჩუყებულმა, უკვე კარგად შეზარხოშებულებს ვთხოვე:

– მეგობრებო, სიმღერა არ მეხერხება, მაგრამ კაი სიმღერის ფასი ვიცი, მოდი ერთი „წინწყაროც“ ჩავიღიღინოთ. კახელმა მილიციელებმა სიმღერა დიდი მონდომებითა და ოსტატობით წამოიწყეს, მაიორთან ერთად ბანები შევაშველეთ და კაფე-ბარის დარბაზი კვლავ სიმღერის სასიამოვნო ჰანგებით აგუგუნდა, მე შეუმჩნევლად ოფიციანტს ანგარიში გავუსწორე, მერე კაფედან ღვინითა და ერთმანეთის სიყვარულით მთვრალები, ხელგადახვეულები სიმღერ-სიმღერით გამოვედით.

* * *

აეროვაგზალში უამრავი ხალხი ირეოდა, თვითმფრინავების გუგუნი არე-მარეს აზანზარებდა, ზოგი ასაფრენად ემზადებოდა, ზოგიც მიწაზე ეშვებოდა.

ვეებერთელა მოედანზე ერთ-ერთი შენობის ჩრდილქვეშ ტენტიანი ხაკისფერი ავტომანქანა იდგა, მძღოლ რუს ჯარისკაცს საჭეზე თავი დაედო და უდარდელად ეძინა...

ირინა ტაბალუა

ტელეფონის ცხვარი

მრავალი წელია იმ ბალახს ვძოვ,
სადაც არც ჭინჭარი ასცდა ჩემს ღრძილებს
და არც უჯანგარი.
ტელეფონის ცხვარივით
უწყინარი და უსუნო შევრჩი ველებს.
იყო დრო,
ბელადები მიჭამდნენ გვერდებს,
და თავიანთ ქალებს
ულვაშის ცმაცუნით აპრეხილ ნესტოებთან ჩასჩურჩულებდნენ:
აბა გამოიცანი, ცხვარი ვჭამე თუ ხბოო.
იმ ხარაჩოზე მინდა ავკუნტრუშდე,
ჩემს წინ
გაფარჩხული ძუკნასავით რომ დგას,
სადაც ბელადი არა,
მაგრამ მოკუნტული ლოთი ლესავს
დაკბეჩილ კედელს.
ყურს ვუგდებ დიდხანს ქაფჩის ხრიწინს,
და ასე, ფეხზემდგომს, ჩამეძინება.
თითქოს სავსე ავტობუსში ვიდგე, მარჯვენა ხელი საყრდენზე მეჭიროს
და უცხო თითები
განგებ მეთათუნებოდეს.
აუცილებლად გაიხსენებ სიტყვებს: თითსაც ვერავინ დამაკარებთ.
გაიქცევი დედამიწისკენ ისე,
რომ ხურდასაც არ გაიმეტებ გამაძღარი მძღოლისთვის,
ჩემს ამოსვლამდე
გადაკეცილი ხორცის ღვეზელით
რომ ჰქონდა ყბა სავსე.
არც ტრანსპორტთან მომდგარი მათხოვარისთვის,
რომელზეც მეტი მათხოვარი

თავად ხარ.
ურიგოდ მივარდები პროვიზორთან,
მუხლებში ჩავარდნილი სთხოვ
ის წამალი დაამზადოს,
ტვინს რომ დაკეტავს,
დაგარქმევენ უტვინოს
და შეგეძლება
ისეთი სისასტიკე ჩაიდინო,
პასუხიც არ მოგეთხოვოს.
დაიკბინო ტანი,
შემდეგ დაისერო,
ეს გააკეთო სწორედ ციკლის დროს,
მოიგონო, რომ აგხადეს ნამუსი.
არადა წლებია ნამუსახდილი დააბიჯებ.
ადგე და იმ მოძღვარს დააბრალო გაუპატიურება,
რომელმაც გაგიმეტა,
ყველა შენი საიდუმლო ილაყბა
სოფლის გრძელ გზაზე,
გზაზე, სადაც ველარ დავბრუნდით.
ღმერთს თუ ვკითხავთ, ეს ლაყბობა,
გაუპატიურებაზე მეტი გარყვნილებაა.
ბოლოს აქციო ზურგი და ირონიულად წაუღიღინო:
მე იმ ტაძარში ვგალობ, სადაც ვცხოვრობ,
მე ის ტელეფის ცხვარი ვარ
მამაოები და ბელადები რომ ჭამდნენ.
მორჩა!
ველარ ვიწირები,
მორჩა! მჭლეც გამიცვდა,
ახლა დიდი – დიდი ფეხები მომჭამოთ
და ჩემივე ჩლიქებით
დღის მეორე ნახევრისთვის
უცხიმო წვნიანი მოიხარშოთ.
ხმამაღლაც დააბოყინოთ.
განაგრძოთ ლოცვები დილიდან დილამდე,
დილიდან მესამე დილამდეც,
ისევ ჩემნაირებისთვის,
ისევ მისნაირებისთვის,
ისევ მათნაირებისთვის,
ოღონდ არა შენნაირებისთვის,
ოღონდ არა თქვენნაირებისთვის.
უკუნისამდე.

სულ ძიებაშია ქალი

სულ ძიებაშია ქალი,
იცოდით, რომ ლოკაცია – კაცია?!
ყველგან ეძებ, შეიძლება, იპოვე კიდეც, მაგრამ მაინც უსასრულოდ ეძებ,
სადაც მიწა ამობრუნებულა,
ვაზი აბიბინებულა,
სადღეგრძელო შეუსვამთ,
საფლავი გაუჭრიათ,
მთა ჩამორღვეულა,
ცხვარი დაუკლავთ,
ხიდან ხილი ჩამოუბერტყავთ...

ასეთი დროც იყო:
წასვლა არც მიფიქრია,
წასვლა რომ დავაპირე ქმრისგან,
სახლიდან, ქალაქიდან...
მაგრამ ეს წასვლა იყო შესანიშნავი.

ჩამოვჯექი და ვიჯავრე,
რატომ უნდა ვშარდავდე ჩაცუცქული, რატომ დაგემალოთ?!
ვიღაცისთვის თუ ვან გოგი წითურია და ჯმუხი,
ჩემთვის სავსებით აღმგზნებია.
შენი ნებაა, გინდ ვაშლით გაისველებ პირს,
გინდ – მუშმალით,
გინდ ფეხზე მდგომი მოშარდავ.

ხანდახან დედასაც ავიწყდები,
შვილსაც, მეგობარსაც.
განა, საცოდავი არ დაგირჩებით, წერამაც რომ დამივიწყოს?!
მერე ვინ გიამბობთ ჩემზე ჭეშმარიტებას,
ან რა უნდა გითხრათ ჩემზე წარსულმა ისეთი,
რაც მე უნდა მოგიყვეთ?!
შენი მოყევი,
შენი წერე,
შენი მიწა დაბარე,
შენი მოყვანილი ჭამე,
არ ჭამო დედიშენისა!

ამ წიგნსაც ერთადერთი ფიქრით ამოვათავებ:
საწოლი მაშინ არის მყარი,

როცა მხოლოდ ზეწარია მრავალფეროვანი
და არა – სხეული.
ერთ ღამესაც, დილამდე რომ გავიდე უხეირო სააქაოდან,
ჯავრი არ გამყვება იმ კაცის, მხოლოდ მოკვდავებთან რომ არ უგორავია.
ჩემს საფლავზე დაღვრილი ღვინით მისი მკვდრებიც ცხონდებიან.

ზღვაო

აჰა, მოვედი, ზღვაო,
ჩამოგიტანე მშრალი ტუჩებით ამბავი,
რომელიც ვერ გავბედე,
ვერ ვუამბე სოფლის მდინარეს.
როგორ არ ვწერო სიკვდილამდე აუცილებლად?!
ან რა მოითმენს, სანამ სველ თმას მიშრობს ცხელი ქარი
და შორიახლოს ქვიშაზე მჯდარ,
ჩემს გამო მოჩხუბარ ცოლ-ქმარს არ მივახალო:
– აგე, შეხედეთ, როგორი მსხვილი ტაროებია,
ჯერ კიდევ ორთქლში ჩაწუწულნი.
მიირთვით, გაერთეთ, გამოივლეთ სითბო პირში,
კარგი მოსავალია წელს!
ვცდილობ, დილიდან მოვაშორო
ამ ქალბატონს ჩემი სიშიშვლე,
მაგრამ შენ მიცქერ მის ქმარზე ხარბად,
შენ მეტად მშთანთქავ და
მერე სადმე გამომრიყავ
სავსე ტიკივით, ჩემს სიყვარულთან.

ჩქარი ვარ, ზღვაო,
როგორც საქარე მინას
შენარცხებული ტყის მავნე მწერი,
ან როგორც ის სოფლის მდინარე,
რომ არ ვანდე ჩემი ამბავი.
სულ ამ ფიქრში ვარ,
რომელი უფრო დაგიმორჩილოთ:
შენ, კალამი თუ კაცის ხელები.
რომ შემეძლოს, მხოლოდ ლექსს როდი გავაშიშვლებდი,
განა ეს ტრუსი თეძოების საკადრისია?!
მოვიკრეფდი ძალას
და ამ უცხო ქალსაც ვუამბობდი სითამამეზე,
თუ რა იოლად შეუძლია
ახლა ჩვენს თვალწინ გამოცალოს მისი ჯეელი.

შეხედე, ზღვაო, რა მსუყე დღეა.
ნახევრად შიშველი,
ნელ-ნელა ვწრუპავ მოტკბო
„ხვანჭკარას“ კაფე „კენტში“
და მოპირდაპირე მაგიდასთან ვხედავ,
თუ როგორ ძიძგნიან თხელ ქამბალას შუახნის კაცები.
მსურს, მოსაღამოვდეს,
ზურგჩანთიანად გადავემხო შენს მლაშე ტალღებს
და ვაქანავო ჩემი ტანი დაისის ფერზე.

არ იცი, ზღვაო, ადრინდელი ჩემი ცოდვებიც,
შენამდე ღელეს რომ ვუამბე, ღელემდე – რუსაც,
მაგრამ ვერა და ვერ გავბედე მდინარის ნდობა.
ძილად დაცემაც გავატანე ონკანის ჩხრიალს,
თავი სიზმარშიც ვერ ვაკონტროლე.
მიკვირს, ახლაც რომ ურყევად ვზივარ,
თან ვიმორჩილებ ტუჩის მიმიკას,
რადგან ჩუმია დღის მეორედი,
როგორც ეს ღვინო, ნახევრად ტკბილი.

უსმინე, ზღვაო, შენზე მეტს ვღელავ,
შენზე მეტს ვყლაპავ უიმედობას.
რამდენი მინდა გესაუბრო უიღბლობაზე.
ყველაფერს ისე გაუდის ყავლი,
როგორც ამ ჯებირს ასე გაცვეთილს.
ეს აივანი, სადაც დროებით გამოვიკეტე,
და ვუცქერ შენს ზოლს ათასი აზრით,
შენგან გამოსულ ლურჯ ნათებას
ვერ უძლებს ჩემი თვალის სიხარბე.
და მაინც გიცქერ, პირს ვისველებ მომჟავო მაწვნით,
მაცივრის საკვერცხეში წუხელ ჩაღვრილი მდოგვი
თოვლზე მიშარდულს ჰგავს,
მეღიმება, არა ვარ კარგად,
მეღიმება, ან როდის ვიყავი?

ვერ ვუგებ ხმელეთს, ეს აშოლტილი წვრილი ფიჭვები
ისე უთქმელად ჩამომცქერიან...
და ალაგ-ალაგ მწოლიარე ცოცხალი ცხედრები ფიჭვებივით სდუმან,
ვშლი ფეხებს ფრთხილად, აისის შუქზე,
იოდის სურნელს მოაქვს ბავშვობა –
მუხლის თავებზე შერჩენილი ნაიარევი,
ერთ დროს სპეტაკად გადაყვლეფილი.

ვემზადები,
მივდივარ, ზღვაო,
ბროწეულივით გადამსკდარი სველი დეკოლტით,
ვეღარ გავრისკავ ღრმად შენში ცურვას,
არ მემეტება ჩემი სხეული შენთვის შესაწირად,
რადგან ის ბიჭი, ოცდაექვსი წლის, ვერ გადამარჩენს
რადგან იმ ბიჭმა, ოცდათოთხმეტი წლისამ, არ იცის ცურვა!

სად ხარ, გალაკტიონ?!

როგორი წრიალი იცის ტანმა,
სანამ ახალი ამბის საწერად მოთავსდები.
გგონია, მოვიდნენ სიტყვები,
აჰა, და გგონია, ამოატრიალებ სამყაროს!
თან ვუბღვერ ჩემს ახლადშობილ,
ჯერ კიდეც ჭყინტ წიგნს,
სადაც ცხვარივით გაცხარებული,
ტრუსამდე გავშიშვლდი,
შაშვიც ვიყავი ქვრივის სამოსში,
სტაფილოსფერი ტუჩსაცხით,
ახალი კაცის ძიებაში.
ციცინათელაც ვიყავი,
უკანალით მანათობელი
და ყველაზე მაღალი გემოვნების
მამრიც მოვაჯადოვე.
არა, რა! მაინც უკმაყოფილო ვარ!
წეღან კვერცხიც კი მოვტაფე,
მაგრამ მარტო კუჭის დანაყრება რას მომიტანს?
რაღაც უჩვეულო მინდა გიამბობთ,
აი, ეს კაცი,
ასე ძალიან რომ მძულს და ასმაგად მიყვარს:
სად ხარ, გალაკტიონ,
შე არასწორო და მართალზე მართალო?!
შეხედე შენს „არტისტულ ყვავილებს“,
როგორ ფრთხილად და არტისტულად
ვაძრობ წიგნიდან პირველ მკვლელ ფურცელს,
სადაც ამ მაისს, ამ ივნისს, ივლისსაც
გადირეკს ნოემბრის ბაღები,
მხურვალე ვნებები რომ გაგივლის და
სასახლის ჩაქრება ჭაღები.
აი, ამ დროს მე ვალბობ ოქროს ლექსს

ჯერ წყალში, შემდეგ თაფლში და
ვსანსლავ მთელ სიწმინდეს,
რომ ვწერო რაიმე ცინცხალი.
ეს ტრუსიც შემოვიტრიტო,
მაგრამ გგონია, რომ ვნებები გამივლის?
არა, შენი ჭირიმე! არა ჩემი ჭირიშენ!
როგორი სანახავი ვარ, რომ იცოდე,
„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“,
გაშმაგებული სველი ცახცახით,
ან, როცა გაბრაზებული ბავშვივით,
ძალად დავეცემი ტაძართან,
თავს ვურტყამ თეთრ ქვებს,
რომ ღმერთი გამოვიდეს.
და გამოდის ვინმე „მამა ოხროხინე“,
რომელსაც არავინ კითხავს,
როგორ ვროხინებ!
შემომხედე, გალაკტიონ,
ამ ერთიანად ადუღებულ ქალს,
შეხედე ჩემს თვალებს,
მისგან გამოსულ მწვანე ველს,
ყველა ყვავილს რომ წამში მოაჭკნობს,
მაგრამ „არტისტულ ყვავილებს“?!
არა, შენი ჭირიმე! არა, ჩემი ჭირიშენ!
ჩემო გალაკტიონ,
შენც – ნოემბრის, მეც – ნოემბრის,
შენ – კაცი, მე – ქალი.
ქალი, გალაკტიონ,
მერი, გალაკტიონ,
ოლია, გალაკტიონ,
ნინო, გალაკტიონ
აგე, ირაც, გალაკტიონ!
და ყველა ერთად, ლურჯა ცხენებით გაქანებულნი,
და ყველა ერთად, მთაწმინდის მთვარეზე მოქანავენი,
და ყველა ერთად, სიოთ მომქროლი,
და ყველა ერთად, ჩამავალ მზეს ჩამყოლი!
აჰა, დამცინე, გალაკტიონ!
აჰა, მიყვირე, გალაკტიონ!
აჰა, მიდარდე, გალაკტიონ!
აჰა, მიტირე, გალაკტიონ!
აჰა, მიმღერე, გალაკტიონ!
სად ხარ, გალაკტიონ?!
აღსდექ, გალაკტიონ!

წერე, გალაკტიონ!
ვწეროთ, ბიძიკო.
წერე, შენი ჭირიმე!
ვწეროთ, ჩემი ჭირიშენ!

თვალთვალი

რა გასაკვირია საწოლის რყევა,
დილა რომ გამოდის ჩიტების ცეკვით,
ჩიტების, რომლებსაც ჩემი თვალები მდელო ჰგონიათ.
ეგაა მთელი სანახაობა,
სულ სხვაგან ხარ, სხვაგან იბადები.
ბებიებმა რომ იციან შეცხადება:
„– ვაი, შენ კი არ მომიკვდე!
ეს რა ჩაგიცვამს,
ბარემ სულ გაშიშვლებულიყავი!“
აქაც სანახაობაა.
ორი ათასი წელია,
ქალობა მინდა.
მინდა სადმე,
ღელეზე შემდგარ ხიდზე ვიკოცნაო კაცთან,
რომ გახელდეს,
დაფრთხეს, როგორც კვიცი გვარზე მოხტუნავე,
გაიქცეს, შეეფაროს გრძელ ფიქრს,
თქვას, ვის არ შეურგია ტკბობა.
ხომ ხედავთ,
არც კაცია გასაკვირი,
სადამდეც მიუშვებს ქალი,
იქამდე უგრძელდება ხელები.
ქალის მოსაყოლს რა დალევს,
სულ ღვივობაშია,
პურის მარცვალივით, სადაც გინდა, ჩააგდე,
ყველგან აშრიალდება.
ახლაც კი მჭამს ძველი დარდი,
„მეკვინტრავა“, მელაღა,
ეთვალთვალათ, ვინ უშლიდათ,
ოღონდ არ გავეთვალე,
შემაწუხა მთქნარებამ და
პირის უშნოდ დაღებამ,
რომ შევღონდი, მოდგა ღონეც...
ართი კოჩიქ ქუმორთუ დო
მივუშვი და მივუშვი...

ჩხართვი

თებერვალი ხომ ჩავაძაღლე,
ახლა მარტსაც მოვუგრეხ კისერს,
აპრილსაც გავაჩერებ,
ჩემს დარგულ კლემატისსაც მოვუბოდიშებ,
მაისში უნდა აეყარა ტანი.

თავსაც მოვიკლავ,
შენთვის თუ არა,
ჩემთვის ხომ დასრულდება ეს რაღაც,
ეს რაღაც კი არც არაფერია,
მუცლის ძღომა და ომია მხოლოდ.

მიკვირს? რატომ ვწერ, ვისთვის ვწერ?!
ვალივითაა ეს წერა,
არადა, არც გისესხებია.

როგორ გაუფასურდა ჩვენი სიკვდილიც,
ბუფეტში შემორჩენილი ხორცის ღვეზელის ფასი აქვს.

კენკრადაც ვეღარ მოხვალ აქ.
სხვა თუ არაფერი,
იმ ჩხართვს მაინც მოვიმადლიერებდი,
ყოველ განთიადს რომ გაჰკივის
და ღმერთივით ჩამომძახის:

– შინ დარჩი, გადარჩებიო.
აბა, მე გადარჩენილს რამე მიგავს?

კაკასხიდი

„დიახ, ეს მოხდა“ კაკასხიდში.
წაბლის ყვავილი ჰყვაოდა მაშინ,
კაკასხიდთან რომ ვცოფავდი ზეკარს.
ვეძებდი საკვებს,
ქათანაცარა ეკვროდა დანდურს.
აღელვებულმა დავსუსხე ჭინჭრით
თიკნისყურა, კლდეს რომ მოეფარა.
დიდედის ნახსოვარ კოფთაში ვიდექ,

შიგ სთვლემდნენ ხსენის ფუფხები მორცხვად.
წინ ჩამიარა ქალმა და ვჯობდი.
მე ვგავდი ბალბას, ის კი ჯიჯილაყს.
მისი მდევარი კაცი ვლადიკა
თვალებით ჩაძვრა რძის სადინარში.
მიცნო და შეცბა.
ყვიროდა იგი, – დარჩი, ლილია!
მე, ზღვის დონიდან მაღალი ყელით,
მწიფობის თვემდე ველოდი დონდღლაბს.
ქმარი, რომელსაც წყურვილი კლავდა არა ჩემი,
არამედ წყლისა,
შუა ყანიდან მიქნევდა ხელებს.
ვიხსნიდი ღილებს თითის სისწრაფით,
მაგრამ პოეტი ვერ მოვაბრუნე.

შეშის მჯრელი

გვქონდა ასეთი ამბებიც:
შვილები ქალწულებს გვეშობა,
მამა არ ჰყოლოდათ,
ვაზსა და ხორბალს ეპატრონა.
შიგადაშიგ წასაკითხი წიგნია ქალი,
ღრმად ჩასაჭვრეტი თხრილია,
ღრმად შესაჭვრეტი გვირაბია, სიბნელეა,
ბოლოს რომ ინათებს.
ჩვენს ტანში მისგან შემოფრენილი ღრუბლები –
ისეთი სუფთები, ისეთი ბლანტები...
თითო სიცოცხლეს რომ სწირავენ
ჩამოსატყავებლად შემზადებული
ბატკანივით.

აგე, ამნაირი იანვრის დილაც:
სიზმრიდან გამოსული,
საბნიდან გამოყოფილ ფეხს რომ
ისევ თბილ ზეწარს უბრუნებ,
გეშარდება, იკეცები,
გეშარდება, იჭმუჭნები უვარგისი ქაღალდივით,
სუნით არჩევ,
დედის გაკეთებული ბულიონი ქათმისაა თუ – ხბოსი.
იბრძვი, სიზმარს შეუბრუნდე
და ქუჩიდან შემოჟონილ ხმებზე –
კარგად დაკარი, გააპე გაუჩეხე გული!

ა, ეგრე! ა, ეგრე, მოგიკვდა პატრონი! –
ისე ჯავრდები, საკუთარ ყელს გინდა ატკინო
უხეირო თანხმოვნებით და
რაღაც ასეთის წარმოთქმით: ყლჭპყვრტყნჭ!
და იმხობ თავზე დაჩუტულ ბალიშს.

გახვალ ეზოში,
დააშტერდები ტალახიან ნახერხს,
ნელ-ნელა ააყოლებ თვალს უტვინო შეშის მჭრელს,
რომელსაც ვიწრო შარვლიდან ბალნიანი კუდუსუნი უჩანს.
მაღლა ასწევ სახეს და
ცხვირზე მჯდარ ფიფქს სულის შებერვით დააფრთხობ,
და იქვე, მოფარებულში,
ჩაეცუცქები ღობეს,
მოშარდავ,
წვები და ისევ ხმები:
– ა, ეგრე! დაკარი! გააპე! გაჩეხე! ა, ეგრე! მოგიკვდა პატრონი!

თიბათვის ციცინათელა

ეს დაუსრულებელი წვიმები და მაისის ვარდის ქოთქოთი...

ერთი წამოკვნესება და
ჩემში ჩაბუდებული ქალი ყველა მის კოკორს ჩაშლის.
მავთულზე გადახლართული, შეფოთლილი,
ჯერ კიდევ დასამწიფებელი, ციცქის კუმპლები
გველის წიწილებს ჰგვანან,
მათი შემწვანებული შრიალი და
მიწიდან ბალახის ხითხითი
ისეთი უსუსურია,
გარკვევით ვხედავ, გამოხრულ ჯებირთან, მინდვრის თაგვის ცუნცულს,
და ჯებირს იქეთ მიმავალის ჩექმების კაკუნიც გარკვევით მესმის.
სანამ ჭერამი ჩრდილს არ გადმოღვრის,
ჩემი ჰამაკი სხვენში იძინებს,
უნდა იძინოს, რადგან არ გესმით თამამი ფიქრის,
წარმოვიდგენე: გათოვდეს ახლა,
ქმარს მივეხუტო, ისე შემცივდეს.
წყდება ფიქრი და ახალ ფიქრში
კმაყოფილი ვარ, რომ არ მყავს ქმარი.
სადაც მინდა, გავიქცევი, როგორც თიკანი, მოკუნტრუშე,
ან, როგორც თიბათვის ციცინათელა –
უკანალით მანათობელი და გამომწვევი...

გახედე, ირა, ღმერთი მოსულა

გახედე, ირა,
ღმერთი მოსულა!
ჰკითხე ერთი,
რა ვირუსზე ლაყბობს ეს ქვეყანა,
განა ქალზე მეტი ვირუსი რა შეუქმნია?!
ადე, დაარხიე ტანი.
ნუთუ არ მოგბეზრდა ფანჯრიდან თვალებით ხეტიალი?!
წუხელ შენი კოფთა, ქართან ერთად გაქცეული, სარზე წამოცმულა,
ზედ ჩიტსაც დაუსკინტლავს,
წვიმასაც გაულუმპავს, ას თვალსაც გაუხვრიტავს,
შენ კი შინ წევხარ,
თითქოს დღის სინათლეს დაეთარსო,
რას მოგიტანს ღამის ფერი,
ფოიერვერკი ხომ არ ხარ,
უცებ აფეთქდე და ჩაიწვა?!

გახედე, ღმერთი მოსულა,
უამბე შენს ვარდივით ჩაშლილ წარსულზე,
მანდარინივით გაფცქვნილ დღეებზე,
რომ არ იყო შენი საქმე
მტევანივით მოსაჭ-ყლეტი კაცები.
შენ უკეთ იცი, ვინ უნდა ძახილს.
წყლის წყურვილს ქალი როდის მოუკლავს?!
და მაინც შენი სახე, სავსე მწველი ვნებით,
ქშინვით რომ გითავდება,
რომ სკდება ხმები კედლის გაღმა, თითქოს ითხოვდე განწირულ შველას...
რა დარდი ადევს შენს აწმყოს ბილიკს,
ვინ გაგაკვირვებს თავისუფლებით,
რა უნდა შენთან თოკსა და პალოს?!

რა მარტივია, გასძახებ ლექსებს,
ჯერ არდაწერილს,
მოდიან და, დაუკითხავად,
ხელებივით გეფათურებიან კაბაზე, მუხლისთავებზე, შემდეგ...
რა მარტივია, თავიც მოიკლა,
თუ კი ნამდვილი ხარ,
არც თავს უნდა მოაკლო რაიმე,
უქენი, რაც გინდა, სხვის მხრებს როდი ამძიმებს.

გახედე, ირა,
როგორ მოადგა ხეებს სიშიშვლის სირცხვილი,
შემოდგომისა ხარ, ნოემბრისა ხარ,
ღვინო ხარ მთხლეზე ბევრად გარყვნილიც...
ოცდათექვსმეტი შეგისრულდება,
ოცდათექვსმეტის იყო ის ბიჭიც,
შენზე ფაქიზი და ასე წმინდა:

„შემოდგომა ახლოვდება, ირა,
შემოდგომა სიზმარივით მოდის“.

რა მოაქვს ამ პოეზიას

რა მოქვს ამ პოეზიას?!
არც მარჩენს,
არც ჭკუას მმატებს,
არც მაორსულებს,
და კიდევ რამდენი „არც“.
ვხედავ, ცხვირწინ მიზის, ძუძუებივით გატრუნული.
გეფიცებით, ღამის ლამფაა მოწმე,
და ბაბუაჩემი,
კედლის სურათიდან რომ მიმზერს.
აბა, მიდი, შეეჭიდე, პირი გააღებინე,
ამოწიწკნე ენა,
დააწერინე, ათქმევინე ის, რაც ჯერ არ თქმულა.
რა ადვილია, არა, მასთან თამაშობანა?!
ის არც ჩვენი ბავშვობის მეგობარია, არც გულისსწორი,
არც მტერი, არც მოყვარე.
მიკვირს, რატომ ჰქვია „პოეზია“
და არა – „დინოზავრი“,
რომელიც ვითომდა გადაშენდა.
ვინ შეარქვა ეს სახელი?!
შენ?! მე?! მან?!
კარგი რა, გვეყოს!
ჩემთვის, ეს შეჩვენებული,
არც მთვარეა, არც მზე, არც პენისი, ტყეებზე, მინდვრებზე
და, მითუმეტეს, ქარზე ხომ ზედმეტია საუბარი.
სხვაა, სხვა.
შეიძლება ტყლაპოში გაჩრილი ტოტია, არაფრად რომ არ ვაგდებთ.
ჯანდაბა!
არ უნდა გაწვალოს, ამ ოხერმა!

არც შენ უნდა გააწვალო ის!
აგერ, ჩემი მეგობარი, თემურ ჩხეტიანიც ველარ წერს.
სჯობს, დაგვიანებული ბედივით ელოდოს, როცა მივა – მივა.
ოქროს ბეჭედს თუ არ მიუტანს, რკინისა იყოს, წრფელი, და ერგებოდეს.
გესმით?! უნდა გვერგებოდეს.
აბა, მიდი, შეეჭიდე, პირი გააღებინე,
ამოწიწკნე ენა.
ათქმევინე ის, რაც ჯერ არ თქმულა.
რა ადვილია, არა?!
ვერ იზამ ამას.
სიმართლე შია,
შენივე ნაფიქრი სუფთა კერძი შია,
და არა გუშინწინდელი მწარე ხახვი, მეზობელს რომ ესესხე.
თავს არ მოგატყუებინებს,
ღმერთის ტოლია,
არადა, ღმერთი შეგიწყალებს,
დროც,
მაგრამ ეს უკულმართი – არა!



მიხეილ მახარაძე

ჩვენი თანამედროვენი

მოგონებები აკადემიკოს შალვა ხიდაშელზე

მიმდინარე წლის 31 მაისს გამოჩენილი ქართველ მეცნიერის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის, რენესანსის პრობლემებისა და რუსთაველის შემოქმედების აღიარებული მკვლევრის, აკად. **შალვა ხიდაშელის** დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

შალვა ხიდაშელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ჩვენს ჯგუფში ლექციების კითხვა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში 1968 წლის სექტემბრიდან დაიწყო. მაშინ მეოთხე კურსზე ვიყავი. სხვადასხვა მიზეზის გამო მთელი ორი თვე ლექციებს ვერ ვესწრებოდი. ნოემბრის დასაწყისში კი კათედრაზე პირველად ვიხილე საოცრად მომხიბვლელი ლექტორი, გამორჩეული მჭევრმეტყველებითა და დარბაისლობით. ეს გახლდათ ბატონი შალვა ხიდაშელი. სწორედ იმ დღიდან გადაწყდა ჩემი მომავალი ცხოვრების გზის მიმართულება.

ამის შემდეგ იყო ბატონი შალვას და ჩემი – მასწავლებლისა და მოწაფის 26-წლიანი თანამშრომლობა, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია: ამ პერიოდში ბატონმა შალვამ სხვადასხვა სახის რვა წიგნი გამოაქვეყნა, მათ შორის, ფუნდამენტური მონოგრაფია – „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1988). მეამაყება, რომ ამ მნიშვნელოვანი გამოკვლევის რედაქტორი ვარ. ამ პერიოდში აირჩიეს ბატონი შალვა აკადემიის ნამდვილ წევრად; ამასთან, მომზადდა ჩემი ორი სადისერტაციო ნაშრომი და გამოიცა ჩემი ხუთი მონოგრაფიული ნაშრომი ფილოსოფიაში.

* * *

1976 წელს ბაქოში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ამიერკავკასიის ხალხთა ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. კონფერენციაზე მატარებლით გავემგზავრეთ. დელეგაციაში ვიყავით: ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე, ბატონი შალვა, ქალბატონი მაია რაფავა, ბატონი რეზი თვარაძე, ხვთისო გოგოჭური და მე.

კუპეში ახალგაზრდებმა სუფრა გავშალეთ. იყო საინტერესო მოგონებები, საუბრები და ა. შ. რეზი თვარაძემ მტკიცებით ფორმაში აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქობულაძისეულ დასურათებაში ტარიელის პორტრეტი ბატონ შალვას სურათის მიხედვით არის შესრულებული.

ბატონმა შალვამ თვარაძის ეს ვარაუდი არ დაადასტურა.

* * *

1972 წელს ხიდაშელის ბინაზე მომიწია გამოჩენილ რუს სწავლულთან ალექსეი ლოსევთან (1893-1988) „შეხვედრა“. ბატონ შალვასთან, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთან მორიგი ვიზიტისას ლოსევსა და ხიდაშელს შორის სატელეფონო საუბრის მომსწრე გავხდი.

საუბრის დამთავრების შემდეგ, ბატონმა შალვამ რუსულად გამიმეორა ლოსევის ნათქვამი: „Кто сказал, что не бывает чудо! Издание этой книги в Тбилиси есть настоящее чудо“.

საქმე ეხებოდა დიდი ბერძენი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის – პროკლე დიადოხოსის (412-485) უმნიშვნელოვანესი თხზულების – „ღვთისმეტყველების საფუძვლების“ ლოსევისეული რუსული თარგმანის გამოცემას თბილისში, 1972 წელს.

ლოსევმა (!) მოსკოვის ვერც ერთ გამოცემაში ვერ მოახერხა პროკლეს ამ უმნიშვნელოვანესი თხზულების მისეული რუსული თარგმანის გამოცემა. სწორედ ამიტომაც მიიჩნია დიდმა სწავლულმა ეს ფაქტი – თბილისში ამ თარგმანის გამოცემა ნამდვილ „чудо“-ოდ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემის რედაქტორი იყო ბატონი შალვა და მასვე ეკუთვნოდა მაღალ დონეზე შესრულებული შესავალი წერილი – „რედაქტორისგან“.

რამდენჯერმე გადავიკითხე და დავრწმუნდი: „შენ თარგმნი თავანკარა ქართულით, მე კი კალკით“. იქვე დასძინა, რომ ზემო აჭარის კილო ხომ ქართლის დიალექტში შედის და ამიტომაც არის ასეთი კარგი ქართულიო.

სხვათა შორის, ბატონი შალვა თავისი „კალკის“ გამო, მუდამ ასე წერდა, მაგალითად, – ივანე ჯავახიშვილი პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, იოანე პეტრიწი ქართველი ფილოსოფოსი შუა საუკუნეებში და სხვა მისთანანი. შემდგომ, როცა მე ვიყავი მისი წიგნების რედაქტორი, მიხდებოდა ამ „კალკების“ გასწორება, რასაც ბატონი შალვა მშვიდად ხვდებოდა.

საბოლოოდ, ლოსევის წიგნის ეს მონაკვეთი ვთარგმნე და გამოქვეყნდა კრებულში – „ქართული რენესანსის საკითხები“ (1988). 2005 წელს კი ბათუმში ცალკე წიგნადაც გამოვეცი. ეს თარგმანი დანართის სახით შევიტანე, აგრეთვე, ჩემს მონოგრაფიაში – „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები“ (2009).

* * *

1985 წლის თებერვალში ჩემს ოთხი წლის შვილს ბოტკინი შეეყარა. მაშინ ველოდებოდით მეოთხე შვილს და ამიტომაც 12 დღის განმავლობაში ინფექციურ საავადმყოფოში შვილთან ერთად მომიხდა ყოფნა. ერთ საღამოს მოულოდნელად პალატის კარი გაიღო და შემოვიდა ბატონი შალვა ხელში ბროწეულით დახუნძლული ვეებერთელა პარკით. თურმე გაუგია ჩემი შვილის ავადმყოფობის ამბავი და წამოსულა ჩვენს მოსანახულებლად. ჯერ ბინაზე მისულა ნუცუბიძის პლატოზე. ბედი არ გინდა, კორპუსში ლიფტი არ მუშაობდა და ასე დატვირთული 74 წლის ბატონი შალვა ფეხით ასულა მე-12 სართულზე. იქიდან კი მოვიდა ინფექციურ საავადმყოფოში.

* * *

ბატონ შალვას თავის უსაყვარლეს შვილიშვილზე – ლევან აბაშიძეზე ხშირად უთქვამს – ბევრ რამეში მე მგავსო. იმ დროისთვის მსახიობი ლევან აბაშიძე პოპულარობის ზენიტში იყო. მეც არაერთხელ მინახავს მათი სახლის წინ ასფალტზე წარწერები – „ლევან მიყვარხარ!“. სახლის ტელეფონზე ზარები არ წყდება, აიღებდა ბატონი შალვა ტელეფონს და არავინ არ სცემდა ხმას. ამ ხშირი სატელეფონო ზარებით გაწამებული ბატონი შალვა ზოგჯერ საკმაოდ არაკორექტულად მიმართავდა დადუმებულ ადრესატს.

ერთხელ ბატონი შალვას ქალიშვილმა მანანამ შემომჩივლა, რომ ლევანი უხერხულობაში ვარდება მისი მეგობრებისადმი მამას ასეთი მკვახე პასუხების გამო.

ერთხელაც ბატონ შალვას ასეთი გაგულისებული პასუხის გამო, ვუთხარი – თქვენი ახალგაზრდობა დაგავიწყდა მეთქი. მან მისთვის დამახასიათებელი პოზა მიიღო: ტუჩები მოკუმა, ნიკაპი ოდნავ წინ წამოსწია და მითხრა – მართალი ხარო. გავიდა გარკვეული დრო, ლევანი დედას ეუბნება, ასე რამ შეცვალა პაპაო. მანანას კი უპასუხია, რომ ამას ძია მიშას უნდა უმადლოდეო.

ლევანმა კი მადლობა იმით გადამიხადა, რომ ერთ საღამოს უნივერსიტეტიდან ფილარმონიისკენ მიმავალი მანქანაში ჩამსვა, გლდანში გამიყვანა, დამელოდა ვიდრე საქმეს მოვაგვარებდი და იქიდან მიმიყვანა სახლში, ნუცუბიძის მეორე პლატოზე.

* * *

ბატონი შალვა შორს იყო ალკოჰოლისგან. მე მსაყვედურობდა სასმელთან სიახლოვის გამო. ერთხელ მითხრა – ორ-სამჯერ მეც დავმთრალვარო. მანანა გვისმენდა და ღიმილით უთხრა – მამა, მიშასთან მაინც ნუ იტყვი ამასო.

* * *

ბატონი შალვა აღმერთებდა ივანე ჯავახიშვილს, დიდად აფასებდა სერგი დანელიას, პატივს სცემდა მის დიდ ერუდიციას, მოსწონდა გურამ თევზაძის მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა, ზურაბ კაკაბაძეზე კი ამბობდა – დედის რძესავით აქვს თანდაყოლილი ფილოსოფოსობის საოცარი ნიჭიო.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტი არასოდეს განიცდიდა ინტელექტუალების ნაკლებობას. ამის მიუხედავად, მერაბ მამარდაშვილის მოსვლით რაღაც ახალმა სიომ დაბერა. უპირველესად გაჩნდა მეტი პასუხისმგებლობა მოხსენებების გაკეთებისას, რადგან ბატონი მერაბი არ ცნობდა ავტორიტეტებს, ასაკს და ა. შ. მისთვის ხომ მთავარი იყო ჭეშმარიტება. კარგად არის ცნობილი – თუ რა ამბავი ატყდა ერთ-ერთ თავყრილობაზე მისი ნათქვამის – „ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა ვაყენებ“, გამო. ასევე იყო მისი როლი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. აღნიშნულის თაობაზე ბატონ შალვასთან დაკავშირებულ ერთ მაგალითს მოვიყვან.

ინსტიტუტში რენესანსის საკითხებზე მოხსენებას აკეთებდა ხიდაშელი. ის ამ თემაზე საქართველოში ლამის ხელშეუხებელი ავტორიტეტი იყო. მოხსენების მსვლელობისას ერთი საკითხის დასაზუსტებლად ჩაერთო ბატონი მერაბი. ეს ჩართვა შემდეგ ცხარე პოლემიკაში გადაიზარდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მომხსენებელსა და მოკამათეს ერთმანეთის არ ესმოდათ. სხდომის დამთავრების შემდეგ ცხადად იგრძნობოდა, რომ ბატონი შალვა ამ დისკუსიით უკმაყოფილო იყო.

ამ ამბიდან მალე ხიდაშელის დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო საღამო იყო. ის ფიქრობდა, დაეპატიჟებინა თუ არა საიუბილეო ვახშამზე მამარდაშვილი. ბოლოს ამის თაობაზე ჩემი აზრით დაინტერესდა, მე ვურჩიე, დაეპატიჟებინა. იმ საღამოს ისინი ისე მოეფერენ ერთმანეთს, რომ ბატონი შალვა ბოლომდე იხსენებდა ამ ფაქტს.

* * *

1991 წელს მოსკოვში ჩატარდა ალექსეი ლოსევისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მეც ვმონაწილეობდი ამ კონფერენციაში. ლოსევს ბატონი შალვა კარგად იცნობდა და დიდ პატივსაც სცემდა.

მოსკოვში წასვლის წინ ბატონ შალვას შევუარე. მან ფული მომცა და მითხრა – ამით წითელი ღვინო იყიდე, რუსებს ძალიან უყვართო.

კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ლოსევის მეუღლემ, პროფესორმა აზა ტახოგოდიმ ოჯახში მიგვიწვია, არბატზე. 15-მდე სტუმარი ვიყავით. სუფრაზე იყო სალათები, თევზი „სელიოდკა“, ერთ-ერთმა სტუმართაგანმა ორი ნახევარლიტრიანი არაყი შემოუმატა სუფრას. როცა არაყი გათავდა და ეს ძალიან მალე მოხდა, მე მაგიდაზე ექვსი ბოთლი სხვადასხვა მარკის ქართული წითელი ღვინო დავალაგე. სუფრის წევრებს თვალები გაუფართოვდათ. დაახლოებით ასეთი ჩურჩულით ნათქვამიც გავიგონე – „ოჰ, ეს ქართველები“.

უფრო მეტს შალვა ხიდაშელის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე მკითხველი გაიგებს წერილის დასაწყისში აღნიშნული ჩემი მონოგრაფიიდან.

შეხვედრები ფრიდონთან

მიმდინარე წლის 17 მაისს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ფრიდონ ხალვაშის დაბადებიდან 95, ხოლო 8 ივლისს გარდაცვალებიდან 10 წელი შესრულდა. ამ თარიღებმა რატომღაც შეუმჩნევლად ჩაიარა. არადა, ფრიდონ ხალვაში თავის წილ ყურადღებას მუდამ საჭიროებს.

ამ ფაქტმა ფრიდონ ხალვაშთან კუნძულოვანი ურთიერთობის 45-წლიანი ისტორია გამახსენა. სიტყვა კუნძულოვანი შემთხვევით არ მიხსენებია. ეს ურთიერთობა არ ყოფილა ერთგვაროვანი და პერმანენტული. ურთიერთობა იყო შემოქმედებითი ხასიათის, ყოფითი, მეგობრული (უფროს-უმცროსობის ტრადიციის გათვალისწინებით), ჩვენ შორის ყოფილა პოლემიკაც, მაგრამ ამას ჩვენი ჯანსაღი ურთიერთობისთვის ჩრდილი არ მიუყენებია.

ფრიდონ ხალვაშის სახელი ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცოდი. ის გამორჩეული ჩვენებური პოეტი იყო, საბჭოთა კავშირის გმირზე აჭარიდან – ისრაფილ ჯინჭარაძეზე გახმაურებული ლექსის ავტორი.

პირველი უშუალო გაცნობითი შეხვედრა ფრიდონ ხალვაშთან 1975 წელს მქონდა. ერთ საკითხთან დაკავშირებით მივაკითხე საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში, რომლის თავმჯდომარეც ის იყო. ამ შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, მას გულთან ჰქონდა მიტანილი ჩემი სატკივარი, სათანადო მიეზღო იმ ბათუმელი „ინტელიგენტებისთვის“, ვინც თბილისში მეუღლესთან ერთად მყოფს მათთვის სრულიად უცნობ პიროვნებას ყოვლად უსაფუძვლოდ უტაქტოდ მომექცნენ. მათი ლექსიკიდან იგრძნობოდა, რომ მწერლობასთან არც თუ ისე შორს იყვნენ, ამიტომაც ამის თაობაზე წერილობით ვაცნობე ბატონ ფრიდონს.

მეორე შეხვედრა შემთხვევითი იყო. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ განყოფილებაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩემს გადმოყვანაზე იყო მსჯელობა. იქ აღმოჩნდა ბატონი ფრიდონიც და, როცა საქმის არსი გაიგო კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა და მირჩია არ დამეტოვებინა საქართველოს ინტელექტუალური ცენტრი – მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი. ამ გადასახედიდან ბატონი ფრიდონის რჩევა მის გამჭრიახობასა და წინდახედულობაზე მეტყველებდა.

ამის შემდეგ იყო შეხვედრები საზეიმო დღეებზე, იუბილეებზე და სხვ., რასაც შეხვედრებს იმ გაგებით რა გაგებითაც ეს წერილი იწერება, ვერც დავარქმევთ.

შემდეგი შეხვედრა უკვე შემოქმედებითი იყო. დადებითი რეცენზიით გამოვეხმაურე ბატონი ფრიდონის რომანს – „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი?“ რეცენზიითა და ჩემი შეფასებით ის ერთობ კმაყოფილი იყო.

ამის შემდეგ ჩვენი „შეხვედრა“ პრესის ფურცლებზე მოხდა და გამოწვეული იყო აფხაზეთში გამწვავებული სიტუაციით. ბატონი ფრიდონი აჭარელი გლეხის პირით ქართველებს მეტს თხოვდა. მე ეს პოზიცია არ გავიზიარე და კრიტიკულად შევაფასე პრესაში. ალბათ, მაშინ ორივე პოზიციას ჰქონდა გამართლება. ბატონი ფრიდონი უფრო გამოცდილი და ბევრის მნახველი, ფრთხილობდა. მე, როგორც შედარებით ახალგაზრდა და ამგვარ საქმეებში ნაკლებ გამოცდილი, უფრო რადიკალური ვიყავი. რაც მთავარია, ამ პოლემიკას ჩვენ ურთიერთობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ალბათ, ორივე მხარემ ერთმანეთისგან რაღაც-რაღაცები ვისწავლეთ კიდეც.

2005 წელს ფრიდონ ხალვაშს დაბადებიდან 80 წელი უსრულდებოდა. საიუბილეო თარიღამდე (17 მაისი) რამდენიმე ხნით ადრე ბატონმა ფრიდონმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ის მაშინდელი ვითარების გათვალისწინებით საიუბილეო საღამოს ჩატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა. ამის მიუხედავად, სამთავრობო დონეზე საიუბილეო საღამოს ჩატარება მაინც გადაწყდა.

საიუბილეო საღამოს ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე ბატონმა ფრიდონმა მთხოვა საღამო მე წამეყვანა. ეს ჩემთვის უცხო რამ იყო და თავი შორს დავიჭირე. მაგრამ ბატონი ფრიდონის დაჟინებულ თხოვნაზე უარი ვეღარ ვუთხარი და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თითქმის სამი საათის განმავლობაში მიკროფონით ხელში ვუძღვებოდი ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამოს. საღამო მაღალ დონეზე ჩატარდა. როგორი იყო ამ წარმატებულ საღამოში წამყვანის როლი, ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ჩემთვის მორიგი საინტერესო შეხვედრა ბატონ ფრიდონთან.

შემდეგი შეხვედრა უშუალოდ ფრიდონ ხალვაშის პოეზიას უკავშირდება. ბატონმა ფრიდონმა მთხოვა, რომ გამომცემლობა „ინტელექტის“ სერიისთვის – „პოეტის ასი ლექსი“ შემერჩია მისი ასი ლექსი. თავპატიჟი არ დამიწყია და ამას ჰქონდა მიზეზი. ერთი წლით ადრე მსგავსი რამ მთხოვა ზურაბ გორგილაძემ. ბატონ ფრიდონს, როგორც მან მითხრა, ძალიან მოსწონებია ზურაბ გორგილაძის პოეზიიდან ჩემს მიერ შერჩეული ასი ლექსი და წამძღვარებული შესავალი წერილი.

მე ჩემი გემოვნებით შევარჩიე ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებიდან ლექსები, გავუკეთე შესავალი წერილი და ამ სახით გამოიცა მისი „ასი ლექსი“ საახალწლოდ – 2008 წელს. პოეტმა თავისი მადლიერება ჩემზე ნაჩუქარ წიგნის წარწერაში ასე გამოხატა: „ძღვნად მიხეილ მახარაძეს, ვინც ამ წიგნით მახარა წელს. თქვენი ფრიდონ ხალვაში“.

ამის შემდეგ იყო არაერთი შეხვედრა „ფრიდონობაზე“, სხვადასხვა საღამოებზე, სხვის იუბილეზე და სხვ. მათგან რამდენიმეს გამოვარჩევ.

ერთი შეხვედრა 2008 წლის ნოემბერში შედგა. ჩემი მშობლიური სოფლიდან ბათუმისკენ მოვდიოდი. გზიდან ბატონ ფრიდონს შევეხმიანე, სოფელში ვარ მარტოდმარტო მოწყენილიო. ოც წუთში გაუფრთხილებლად ვეწვიე გეგელიძეებში, მის საკუთარ სახლში. ნახევარ საათში სუფრა გაგვიშალა. განსაკუთრებით თავს იწონებდა საკუთარი ვენახის ღვინითა და მისი სახელდახელოდ გამომცხვარი მჭადით. კარგი საუბარი გამოგვივიდა. სწორედ მაშინ ვუთხარი ბატონ ფრიდონს, რომ ერთხელაც დავწერ წერილების ციკლს – „შეხვედრები ფრიდონთან“. არ მჩვევია დანაპირების შეუსრულებლობა. მართალია დაგვიანებით, მაგრამ ნაწილობრივ ვასრულებ იმას, რაც მაშინ შევპირდი სახელოვან პოეტს.

2009 წლის 17 მაისია – ფრიდონ ხალვაშის დაბადების დღეა. ფრიდონის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში ხალხმრავლობაა, მორიგი ფრიდონობა აღინიშნება. არიან სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, მეზობელი რაიონებიდან... ნამდვილი სახალხო ზეიმია. ოფიციალური ნაწილის შემდეგ ეზოში გაშლილ სუფრასთან მიგვიწვიეს. ითქვა აუცილებელი სადღეგრძელოები, განსაკუთრებით მოვეფერეთ ზეიმის მთავარ მიზეზსა და შემოქმედს. სამადლობელში ბატონი ფრიდონი ენაწყლია-

ნი იყო, უნდოდა ყველასთვის ეთქვა მადლობა... სუფრა ნელნელა დასასრულისკენ წავიდა, თუმცა რამდენიმე კაციანი ჯგუფები სულაც არ აპირებდნენ დაშლას.

ჩემი წასვლის დროც დგებოდა. გამოსამშვიდობებლად ბატონი ფრიდონი მოვიკითხე. სახლის პირველ სართულზე მისი ოთახისკენ მიმითითეს. ოთახში ბატონები – ფრიდონ ხალვაში, თამაზ ჩხენკელი, რეზო ჭეიშვილი, გურამ გოგიაშვილი და კიდევ ორი უცნობი იყო. დამხვდურთ გამოვემშვიდობე და წამოვედი. ვიდრე ფრიდონის სახლიდან სოფლის გზაზე ამოვიდოდით ჩემ თავს ვუსაყვედურე, „რომ გარბიხარ, სად გარბიხარ, ხომ არ გგონია ამ ძვირფას ადამიანებს, ამ შემადგენლობით, ასეთ სიტუაციაში კიდევ შეხვდები?“ ფიქრებიდან გამოვერკვიე და მძღოლს მანქანა უკან მოვავაბრუნებინე. სტუმრებს დავუბრუნდი. თითქმის ორი საათი ვტკბებოდი მათი საუბრით, ამასთან, სულაც არ ვყოფილვარ პასიური მსმენელის როლში.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ფრიდონ ხალვაში გარდაიცვალა. ოთხ თვეში მას თამაზ ჩხენკელი მიყვა, 2015 წელს რეზო ჭეიშვილიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ბატონ გურამ გოგიაშვილს დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. რას ვიზამთ, ასეთია წუთისოფელი.

ყოველივე ამის ფონზე, როცა გამახსედება ის დრო, როცა ფრიდონის სახლში მის სტუმრებთან უკან შევბრუნდი, გული რაღაც აღუწერელი კმაყოფილებით მევსება.

2010 წლის 8 ივლისს ფრიდონ ხალვაში გარდაიცვალა, დაბადებიდან 86-ე წელში. ერთმა შემთხვევამ, ჩემი ღრმა რწმენით დააჩქარა მისი აღსასრული. მხედველობაში მაქვს 2010 წლის 17 მაისის საღამო რუსთაველის თეატრში. ამ საღამოს ფრიდონის დაბადებიდან 85 წლისთავს ვზეიმობდით.

მუხრან მაჭავარიანი შთამბეჭდავ სიტყვას ამბობს. მაგრამ მოულოდნელად შეტორტმანდა, ხელი შეაშველეს, მაგრამ მთასავით კაცი სცენაზე მოწყვეტილად დაეცა და... გათავდა. ძალიან განიცადა ფრიდონმა ეს ამბავი, ჩაშხამდა ყველაფერი და სულ რაღაც ორ თვეში გაჰყვა მეგობარს მარადისობაში.

მეუფე დიმიტრის ინიციატივით, ბათუმის საკათედრო ტაძრის ეზოში დაასაფლავეს ფრიდონ ხალვაში. მალე აქ ფერიის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან გადმოასვენეს ზურაბ გორგილაძე. ასე ჩაეყარა საფუძველი ბათუმში ახალ, განსაკუთრებულ პანთეონს.

მოკლედ ასეთი იყო ჩემი შეხვედრები, გავკადნიერდები და ვიტყვი – ფრიდონთან.

თამაზ ბუაჩიძე (თაზო) – მასწავლებელი, კოლეგა და მეგობარი

თითქმის ოცი წელი გავიდა თამაზ ბუაჩიძის გარდაცვალებიდან და მაინც მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი.

ვინ იყო თამაზ ბუაჩიძე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას არჩევანის წინაშე დგები და საკუთარ თავს იდუმალად ეკითხები – რით დავიწყო? ეს არ არის რაღაც საუბრის გაგრძელებისა თუ შევსების მიზნით წარმოთქმული სიტყვები. დიახ, ბატონი თამაზი იყო ძალიან მაღალი დონის ფილოსოფოსი, ასევე გამორჩეული, ჩვენს შემთხვევაში – უფროსი კოლეგა, მეგობარი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს თამაზ ბუაჩიძე ლექტორი, პედაგოგი, მასწავლებელი...

სხვის ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ფილოსოფიის ნამდვილი ხიბლი პირადადდ მე პირველად ბატონი თამაზის ლექციებიდან შევიგრძენი. არადა, მანამდე არაერთი გამორჩეული ლექტორი გვყავდა. საქმე ის არის, რომ ჯერ ბატონი თამაზი და შემდგომ ბატონი ზურაბ კაკაბაძე, მათ ლექციებზე რაღაც ფილოსოფიაზე მეტს გვეუბნებოდნენ. ეს „მეტი“ კი იყო ფილოსოფია ჩართული მთელს ჩვენს ცხოვრებაში, საქმიანობაში, კულტურაში და ა. შ.

სტუდენტობის შემდეგ იყო გამორჩეული 30 წელი, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტში მიხდებოდა მოღვაწეობა თამაზ ბუაჩიძესთან ჯერ, როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესთან, ხოლო შემდგომ ინსტიტუტის დირექტორთან. ჩემი ყოველი საქმიანობა ჯერ, როგორც ინსტიტუტის რიგითი მეცნიერ თანამშრომლისა, შემდგომ განყოფილების ხელმძღვანელისა სინქრონში იყო ბატონ თამაზთან.

რაც მთავარია, სწორედ ბატონი თამაზის როლი იყო განსაკუთრებული იმაში, რომ არ ჩავიკეტე სპეციალობის ვიწრო ჩარჩოში და ქართული ფილოსოფიის გარდა, ჩემთვის მახლობელი გახდა თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფია (განსაკუთრებით ექსისტენციალიზმი), კულტურის ფილოსოფია, ხელოვნების საკითხები და მხატვრული შემოქმედება.

ბატონი თამაზი, ასაკში სხვაობის მიუხედავად, მეგობრობდა ჩემი თაობის ფილოსოფოსებთან, არაერთხელ ყოფილა ჩემს ოჯახში. ერთხელ, 1992 წელს ჩემს მშობლიურ შორეულ სოფელშიც იყო სტუმრად.

თუ გავითვალისწინებთ ბატონი თამაზის მძიმე წარსულს, „ხალხის მტრის შვილის“ უმძიმეს და საშინელ იარლიყს, ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ მისი მხრიდან სიკეთე და სიყვარული ანათებდა.

იმის მიუხედავად, რომ ბატონი თამაზი ჩემი სამეცნიერო საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელი არ ყოფილა, მე მაინც მის მოწაფედ ვთვლი თავს და ეს დიდად მეამყება კიდეც.

ბატონ თამაზს ახლობლები და მეგობრები, მათ შორის, მასთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდები თაზოთი მიმართავდნენ. მე ეს ვერ შევძელი, ვერ გადავლახე დისტანცია. ახლა გავკადნიერდი, სათაურში გამოვიტანე – თაზო და ისიც ფრჩხილებში ჩასმით.

ელენე

> დიდია ჩვენი გულისტკივილი ქ-ნ ელენეს გარდაცვალების გამო. მან წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) გზა გააგრძელა – მთელი ცხოვრება ქართული კულტურის მსახურებას შეალია და იყო შეუვალი და თავდადებული მცველი საქართველოს საგანძურისა. ღმერთმა აცხონოს ქ-ნ ელენეს უკვდავი სული და სავანესა მართალთასა დააწესოს...
>
> **ილია II**
>
> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

არიან ადამიანები, რომელთა განვლილი გზა, ქვეყნისა და ერის სამსახური, გაწეული ღვაწლი უხმაუროდ მიმდინარეობს. ჩვენც ამას შეგუებულნი ვართ და გვგონია ასეც უნდა იყოს. არადა, ამის საწინააღმდეგო გაცილებით მეტი ვიცით. თითქოსდა, სიკვდილია აუცილებელი, რათა ბოლომდე გავიაზროთ და გავითავისოთ ამგვარი გამორჩეულის მარადისობაში გადასულის გაწეული ღვაწლი და დამსახურება საკუთარი ქვეყნის წინაშე. მოგეხსენებათ, ასეთები ბევრნი არ არიან.

საბედნიეროდ, ერთ მათგანს მეც ვიცნობდი და, ამასთან, ძალიან ახლოს. სამწუხაროდ, მისი ნამდვილი ღვაწლის გასაგებად მისი ამ ქვეყნიდან წასვლა ყოფილა საჭირო. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ერის სამსახურში დამშვრალს სიცოცხლეში არც შესაბამისი აღიარება ჰქონია და არც სათანადო დაფასება.

ჩვენ ახლა ვსაუბრობთ ელენე კავლელაშვილზე, ვის გარდაცვალებაზეც, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თქვა, ეპიგრამად წავუმძღვარეთ ჩვენს წერილს. პატრიარქის ამ შეფასების შემდეგ ძნელია რამის დამატება, მით უმეტეს, რაც პატრიარქმა ელენეს მოღვაწეობა ასე ტევადი აზრით გამოხატა: „მან წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) გზა გააგრძელა“. ამით ყველაფერია ნათქვამი. სერიოზულად ნათქვამი ასეთი შედარება პირადად მე პირველად მესმის. მაგრამ ელენეს საქმიანობის ნამდვილი არსი და ჭეშმარიტი ფასი ძალიან ვიწრო წრემ იცის და საჭიროა ამის შედარებით ფართო წარმოჩენა.

ელენე იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, წლების განმავლობაში შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის მცველი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი... აქ აღარაფერს ვამბობ სხვა შედარებით პატარა თუ საშუალო თანამდებობებზე, რომლებიც მას ეკავა ხელოვნების მუზეუმში მისვლის შემდეგ.

რეგალიების ეს უბრალო ჩამონათვალიც ცხადს ხდის თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ელენე კავლელაშვილი. თუმცა, რეგალიების მშრალი ჩამონათვალის „შიგნით“ თუ შევიხედავთ შესრულების თვალსაზრისით თითქმის დაუჯერებელ ფაქტებს წავაწყდებით. ჩვენს წინაშე გადაიშლება ელენეს მრავალფეროვანი და მრავალმხვრივი საქმიანობის ფართო სპექტრი. მისი კვლევის საგანი იყო – გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, ოქრომჭედლობა და განათხარი ინვენტარის მცირე პლასტიკა, მონუმენტური მხატვრობა და ტიხრული მინანქარი, ტაძრების კედლებზე შემორჩენილ ფრესკული და ლაპიდარული წარწერების კვლევა და სხვ.

ელენე კავლელაშვილმა ხელოვნების მუზეუმში 48 წელი იმუშავა. ადვილად სათქმელია „იმუშავა“. ეს არ იყო ჩვეულებრივი მუშაობა, როცა განაწესით დადგენილ დროს მიდიხარ სამსახურში და ამავე განაწესით დადგენილ დროს გამოიხურავ სამსახურის კარებს. ელენესთვის მუზეუმის საგანძური სამსახურიც იყო და ოჯახიც. როცა წლების განმავლობაში მის მუხლჩაუდრეკელი შრომის შედეგებს ეცნობი, ვერ იჯერებ, რომ ამის შემოქმედი ეს კაფანდარა, არ ვიცი რა ვთქვა – ქალი, ქალბატონი თუ სულაც გოგო, იყო.

როცა ამას ვლაპარაკობ არც ხუთი ათეული წლის წინანდელი ამბავი უნდა დამავიწყდეს. როგორ გვხვდებოდა ის მისი ძმის მეგობრებს ნაქირავებ ბინაში და როგორ ტრიალებდა სამზარეულოში. ჯერ კიდევ დამწყები სტუდენტი როგორ იქცევდა ჩვენს ყურადღებას უფროსების საუბრებსა თუ კამათში თავისი პატრიოტული ჩართვებით.

რაკი თემას გადავუხვიე, ისიც უნდა ვთქვა, რომ ელენე ქართული პატიოსნებით განთქმული ოჯახიდან იყო, ხუთი დედმამიშვილიდან ერთ-ერთი. ვინც მათ ოჯახს იცნობს, არც არაფერი გაუკვირდება ელენეს ფენომენისგან, ყველაფერი ეს მას ამ წმიდა ოჯახიდან მოჰყვებოდა...

თემიდან ამ აუცილებელი გადახვევის შემდეგ, ისევ ელენეს საქმიანობას დავუბრუნდეთ.

ელენე ისე ჩაფლულ-ჩაძირული იყო ამ მრავალმხვრივ შემოქმედებით საქმიანობაში, რომ ოჯახის შექმნაც „დაავიწყდა“. ის კი არა, ამდენი სამეცნიერო შრომების ავტორს, დისერტაციის დაცვა დროში საკმაოდ გაეწელა. ეს იმის გამო, რომ ელენესთვის საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულთან შედარებით, ყველა დანარჩენი მეორე და მესამე ხარისხოვანი იყო. ამიტომაც იყო ასე ტევადი და დატვირთული მისი სამეცნიერო მუშაობის გრაფიკი.

ელენე სამუზეუმო მძიმე საქმიანობის მიუხედავად, სამეცნიერო მოღვაწეობასაც ასწრებდა. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი სამეცნიერო შრომები, რომელთა გამოცემის არეალი ფართოა: თბილისი, მოსკოვი, ბელგრადი, პარიზი, მილანი...

ელენე კავლელაშვილის მრავალრიცხოვანი შრომები ეხება სხვადასხვა ეკლესიების მოხატულობებს, მხატვრობის ნაშთებს, ღვთისმშობლის გამოსახულებებს, საეკლესიო აქტების ქრონოლოგიას, გვიანანტიკურ თასებს, ტიხროვან მინანქარს, ოქრომჭედლობას და სხვ.

თუკი უფრო დავაკონკრეტებთ ელენეს კვლევა-ძიების სფეროს, რომელთაც წარმოადგენდა ის როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო არენაზე, ასეთ სურათს მივიღებთ: ლეხთაგის მოხატულობა, არმაზი – ბაგინეთის მოხატულობა, ჟინვალის ღვთისმშობელი, მხერის ეკლესია, მზეწვერის წმ. გიორგის ეკლესია, ვერეს ღმრთისშობელი, იშხნის ხატი, ალავერდის სამღვდელმთავრო თავსაბურავი, აწყურის ღვთისშობელი, ატენის სიონი, უსანეთის ხატი, ლახამულის მინიატურები, გვიანანტიკური ხანის თასები, თამარის გულსაკიდი – სანაწილე ჯვარი.

ახლა ვნახოთ სად ქვეყნდებოდა ელენეს სამეცნიერო ნაშრომები. არეალი აქაც ფართოა – როგორც უცხოეთი, ისე საქართველო. საქართველოში მისი პუბლიკაციები ქვეყნდებოდა პრესტიჟულ გამოცემებში: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია), „ხელოვნება“, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, კრებულში – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედია და სხვ.

ასევე ნაყოფიერი იყო ელენეს მივლინებები სხვადასხვა ქვეყნებში – შვეიცარია, საბერძნეთი, თურქეთი (სამჯერ). ამათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 2004 წელს შვეიცარიაში, კერძოდ ჟენევაში მივლინება. 1992 წელს ცხინვალის მუზეუმიდან გატაცებულ იქნა და 2001 წელს ჟენევაში კრისტის აუქციონზე მოხვდა ოქონის X საუკუნის სპილოს ძვლის კარედი ხატის. 2001-2004 წლებში საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა ყველაფერი იღონეს საქართველოდან გატანილი განძის სამშობლოში დასაბრუნებლად. შვეიცარიის სახელმწიფომ ხატი საქართველოს დაუბრუნა და ამ საქმის წარმატებით დასრულებაში ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა ელენეს და მისი კოლეგების მაღალმა საერთაშორისო დონის ექსპერტიზამ და მყარმა დასაბუთებამ.

ხატის ისტორია ამით არ დამთავრებულა. საქართველოში დაბრუნებულ ოქონის X საუკუნის სპილოს ძვლის კარედი ხატს ჩვენში უმალ გამოუჩნდნენ „პატრონები“და საქმემ სასამართლოში გადაინაცვლა. ორი წელი მიმდინარეობდა სასამართლოში დავა და საბოლოოდ სამართალმა იზეიმა, ხატი შალვა ამირანაშვილის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დარჩა. როგორც საქმის კურსში მყოფნი ამბობენ, რომ არა ელენე კავლელაშვილის კომპეტენცია და დასაბუთებული არგუმენტები, თითქმის შეუძლებელი იყო ამ საქმის მოგება.

პატრიარქმა, როცა ელენე ექვთიმე თაყაიშვილის – წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის საქმის გამგრძელებლად მოიხსენია, იქვე აღნიშნა: „იყო შეუვალი და თავდადებული მცველი საქართველს საგანძურისა“. სწორედაც, ელენე საგანძურის ყველა ექსპონატს, ნივთს ისე ექცეოდა, როგორც საკუთარი სხეულისა თუ სულის ნაწილს, ეფერებოდა, ესიყვრულებოდა, თავს ევლებოდა. არაერთხელ ვყოფილვარ საგანძურში და ყოველი შეხვედრისას, ახალი რაკურსით წარმოადგენდა და წარმოგიჩენდა საგანძურის „ბინადართ“. მოკლედ, ელენე საგანძურის მცველი იყო ძალიან მაღალი და ფართე გაგებით.

ელენე გამორჩეული პედაგოგი იყო. მისი ერთობ გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, სტუდენტებისთვისაც იცლიდა. ის ლექციებს კითხულობდა გ. ცაბაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში – „აღმაშენებელში“, საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

ელენე ლექციებს ძირითადად კითხულობდა ზოგადი ხელოვნების ისტორიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში. გამოირჩეოდა სალექციო მასალის ღრმა ცოდნით, აზრის გადმოცემის სიცხადითა და საფუძვლიანობით. იყო მკაცრი და მომთხოვნი. ამასთან, სტუდენტებთან ამყარებდა ახლო და მეგობრულ ურთიერთობას.

ელენეს მრავალმხივ და მრავალფეროვან შემოქმედებაში მთავარი მაინც მუზეუმის საფონდო და საგამოფენო საქმიანობა იყო. უკვე აღვნიშნეთ – თუ როგორ ევლებოდა სამუზეუმო ექსპონატებს, დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეს მიმართული იყო მუზეუმის ფონდის განსამტკიცებლად და მისი პრესტიჟის ასამაღლებლად.

ელენე გარდაიცვალა 2019 წლის 17 ნოემბერს. მისი საბოლოო განსასვენებელი მცხეთაში, სამთავროს მონასტრის პანთეონია.

დიდია ტკივილი ელენეს ამ ქვყნიდან განშორებით და ასევე დიდია დანაკარგიც. მაგრამ არის ნუგეშიც: ის ყოველმხრივ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, უფრო სწორად გადავიდა მარადისობაში.

ზაზა

2020 წლის 20 აპრილს, აჭარის ტელევიზია აჩვენებდა შოთა გუჯაბიძის დოკუმენტურ ფილმს – „სოლომონიანი“, რომელიც ეძღვნება ფოტოხელოვან სოლომონ (სოსო) შენგელიას. ეპიზოდებში მოჩანს კინორეჟისორი ზაზა ხალვაში, რომელიც მაყურებელს მოუთხრობს ბათუმში კინოფილმ „მონანიების“ ეპიზოდების გადაღების პერიპეტიებზე.

ამ დროისთვის ზაზა ცოცხალი აღარ იყო. დოკუმენტური ფილმის ამ კადრებმა სამი ათეული წლის წინანდელი ამბები გამახსენა...

პირველად ზაზა მამასთან – ფრიდონ ხალვაშთან ერთად ვნახე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. 1979 წლის სექტემბერი იყო. ბატონმა ფრიდონმა მისი თანმხლები ახალგაზრდა გამაცნო – ეს ჩემი შვილია, ზაზა. როგორც ბატონმა ფრიდონმა მითხრა, ზაზას უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა და ასპირანტურაში შესასვლელად ემზადებოდა. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ზაზა არ მინახავს.

ერონული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, განსაკუთრებით მის დასკვნით ფაზაში, თბილისში ხანდახან ცალკე ვიკრიბებოდით აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ შეკრებებზე ბათუმიდანაც ჩამოდიოდნენ სტუმრები. შეხვედრების ორგანიზატორი კი იყო აჭარის მკვიდრი, ცნობილი მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება, იმჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – ვახტანგ შამილაძე (1935-2010). მან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან აიღო ნებართვა და შეხვედრები იმართებოდა ნორმალურ გარემოში, პირველი კორპუსის 104-ე აუდიტორიაში.

1990 წლის გაზაფხულის მიწურულსა თუ ზაფხულის დასაწყისში, ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის დასასრულს ორმა ახალგაზრდამ მკაცრად შეუტია ზაზა ხალვაშს. აქაოდა ისეთ კინოფილმს იღებს აჭარაზე, რომ კუთხე დაკნინებული და შეურაცხყოფილიაო.

ზაზა წყნარად ისმენდა, თავის დაცვა არც უცდია. ბატონმა ვახტანგმა სცადა ვითარების განმუხტვა, მაგრამ კრიტიკოსები არ ცხრებოდნენ და მოითხოვდნენ გადაღების შეჩერებას. მე ღიად გამოვექომაგე ზაზას და კრიტიკოსების გასაგონად კატეგორიულად აღვნიშნე: ფილმი ჯერ არ გამოსულა, არ ვიცით მისი შინაარსი და რის საფუძველზე გამოგვაქვს ასეთი მკაცრი განაჩენი, დავე-

ლოდოთ ფილმის გამოსვლას და მერე განვსაჯოთ. კრიტიკოსები ჩემდამი კეთილად იყვნენ განწყობილი და ჩემი გამოსვლის შემდეგ დაშოშმინდნენ. ამით ინციდენტი ამოიწურა.

გავიდა სამი თვე და ზაზა ხალვაში შემეხმიანა, კინოსტუდიაში გაყოლა მთხოვა. შევთანხმდით დროზე.

დათქმულ დროს ზაზამ მომაკითხა ნუცუბიძის პლატოზე, ჩემს საცხოვრებელ უბანში და მისივე ავტომანქანით წავედით დიღმის მასივში, კინოსტუდიაში. ზაზამ მითხრა, რომ დასრულდა იმ საკამათო ფილმის მონტაჟი, ახლა მხოლოდ მე და თქვენ ერთად ვნახავთ ამ ფილმს და როგორ შეფასებასაც მისცემთ იმის მიხედვით ვიმოქმედებ. მოგეწონებათ გავუშვებთ ეკრანებზე, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ საერთოდ მოიხსნება ფილმი წარმოებიდან. იქვე გადამიკრა, მამამისსა და ჩემს შორის პოლემიკა ხომ არ იმოქმედებდა ფილმის შეფასებაზე. საქმე ის იყო, რომ ცოტა ხნის წინ ერთ საკითხზე ზაზას მამას, ბატონ ფრიდონსა და ჩემს შორის პრესაში მწვავე პოლემიკა გაიმართა. ზაზა დავამშვიდე.

ზაზას ფილმი – „იქ ჩემთან“ ერთ საათსა და ორმოც წუთს გაგრძელდა. სეანსის დასრულების შემდეგ, დარბაზში სინათლე აინთო. წამოვდექი, ზაზას მოვულოცე და თან ვუთხარი – ამ ფილმს დიდი წარმატება ელოდება წინ.

ფილმი იმ მხრივ იყო საყურადღებო, რომ მასში აჭარის რეალობა ასახული იყო ყოველგვარი შელამაზების, გაზვიადების და რაც მთავარია, თავისუფალი იყო მდაბიო კუთხურობისგან. ფილმზე ორი რეცენზია გამოვაქვეყნე გაზეთებში – „ლიტერატურული საქართველო“ და „აჭარა“.

ფილმმა ორი წლის შემდეგ ერთობ პრესტიჟული – მონპელიეს (საფრანგეთი) ხმელთაშუაზღვის ქვეყნების XIV საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი „ვერცხლის ანტიგონე“ დაიმსახურა.

ვერ ვიტყვი, რომ ამის შემდეგ მე და ზაზა ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. ეს არც იყო გასაკვირი – სხვადასხვა სფეროშო ვმოღვაწეობდით. თუმცა, მას ძალიან მოეწონა ჩემი ერთი იდეა – გადაგვეღო დოკუმენტური ფილმი – „სახოკიას ნაკვალევზე“. გაგვევლო ის მარშრუტი, რომელიც თედო სახოკიამ გაიარა ერთი საუკუნის წინ, დედასამშობლოსთან ახალ დაბრუნებულ აჭარაში. გადაგვეღო ყველაფერი და გაგვევლო პარალელი სახოკიასდრონდელ აჭარასა და თანამედროვე აჭარას შორის. მაგრამ ჩვენი ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩა.

ზაზა აგრძელებდა მუშაობას კინოში. გადაიღო ფილმები, რომელთაც არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი პრიზი ერგო. სამწუხროდ, დრო იყო ისეთი, რომ ზაზას შემოქმედებას საფუძვლიანად ვერ ვადევნებდი თვალს. რაც მთავარია, ზაზა წარმატებული იყო თავის საქმეში, რაზეც მეტყველებს უამრავი პრიზი და მისი შემოქმედების საყოველთაო აღიარება.

ყველამ შეიძლება არ იცოდეს ზაზას შემოქმედების დიდი აღიარება, ამიტომაც არ იქნება ზედმეტი მკითხველს მივაწოდოთ ეს ინფორმაცია სრულად:

მონპელიეს (საფრანგეთი) ხმელთაშუაზღვის ქვეყნების XIV საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის „ვერცხლის პრიზი“ (1992 წ.); მიუნჰენის (გერმანია) საერთაშორისო კინოფესტივალის „არსენალი“, დიპლომი საუკეთესო რეჟისურისთვის (1993 წ.); მიუნჰენის (გერმანია) საერთაშორისო კინოფესტივალზე „არრე“ ჟიურის სპეციალური პრიზი (1994 წ.); ბაბელსბერგის (გერმანია) ახალგაზრდული საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისთვის (1992 წ.); მოსკოვის ახლაგზარდული საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო დებიუტისთვის (1992 წ.); მოსკოვის XIX საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი პირველი ფილმისთვის (1992 წ.); სპეციალური პრემიერა პარიზის კინოცენტრში; ფილმი „მიზერერე“ დაჯილდოვდა რიგის საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალური პრიზით (1997 წ.); ანაპა (რუსეთი)

– სნგ და ბალტიისპირეთის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალის დიპლომი (1997 წ.); ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის „ოქროს არწივი“, პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და საუკეთესო სცენარისთვის (1997 წ.); ბერლინი (გერმანია) სპეციალური ჩვენება პროგრამით „ახალი ევროპული კინო“ (ბერლინი,1998 წ.); ერთ-ერთი ფილმი ნაჩვენები იქნა სპეციალური პროექტის ფარგლებში „თანამედროვე ქართული კინო“ – აშშ-ი, რუსეთში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში (1996-1998 წწ.); ფილმი „ჟამი“ კიევის სტუდენტური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა პრიზით საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის (1982 წ.); მხატვრული ტელეფილმი „მგლების ხორუმი“ 2003 წელს გავრცელდა აშშ-სა და ევროპის გაქირავებისა და საკაბელო მაუწყებლობის ქსელში.

ზაზას ფილმები ასევე ნაჩვენები იქნა ამსტერდამის, ლოკარნოს, კოტბუსის და ანენოს საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ახლა ზაზას პრაქტიკული საქმიანობაც გავიხსენოთ. ის სხვადასხვა დროს იყო აჭარის ტელე-რადიო დეპარეტამენტის თავმჯდომარე, აჭარის მაღალმთიანი რაიონების რესურსცენტრის უფროსი და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი.

სწორედ ამ პერიოდში მიხდებოდა ზაზასთან შეხვედრები, განსაკუთრებით კი, როცა ის თეატრის მმართველი იყო. როცა რაიმე შეხვედრაზე ან სპექტაკლზე მივდიოდი თეატრში, როგორც წესი, ჩემი ვიზიტი ზაზას კაბინეტიდან იწყებოდა.

როგორც სხვა თანამდებობებზე, ისე თეატრის მმართველად ყოფნისას, თვალში საცემი იყო ერთი გარემოება: ის არ იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო. ზაზა უფრო ვალს იხდიდა, ვიდრე მუშაობდა. ეს არც იყო გასაკვირი, ის ხომ თხემით ტერფამდე ხელოვანი, შემოქმედი ხელოვანი იყო. თუ გინდა ხელოვანი დასაჯო, ის არტახებში უნდა მოაქციო.

ზაზამ ბოლოს და ბოლოს გაგლიჯა ეს არტახები და ბოლომდე გადაეშვა შემოქმედების მორევში...

ზაზას პორტრეტის კიდევ ერთი შტრიხი. ის ხომ ცნობილი პიროვნების, გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის შვილი იყო. მაგრამ თუ არ იცოდი ეს, სხვა მხრივ ვერაფრით გაიგებდი, რომ ასეთი ცნობილი ოჯახიდან მოდიოდა. რამდენადაც წარმატებული იყო მის საქმეში, იმდენად თავმდაბალი და მორიდებული იყო პირად ცხოვრებაში თუ ადამიანებთან ურთიერთობაში.

ზაზა 2020 წლის 4 თებერვალს თბილისში გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, მშობლიური ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში დაასაფლავეს, დედის გვერდით.

ისე მოხდა, რომ მხოლოდ გასვენების დღეს მივედი ბათუმში, ეკლესიაში და... მორჩა. მეც ვერ ამიხსნია რატომ? ამ წერილით მინდა გავიხსენო ზაზა – გამორჩეული ხელწერის ხელოვანი, ჩუმი და უპრეტენზიო შემოქმედი. იქნებ ამით ნაწილობრივ გამოვასწორო ჩემი შეცდომა.

ნათია ჯერიძე

თედორე

სისხლით ნათესავების შემდეგ დავით თედორაძე ალბათ პირველი კაცია, ვისაც შემიძლია გაჭირვებაც და სიხარულიც გავუზიარო.

ჩემი და ნუგზარის გაბედნიერებიდან ერთ თვეში პირველი ახალი წელი თედორეს (ასე ეძახდა მას ნუგზარი მოფერებით), მაშინდელ ერთოთახიანი ბინის ლოჯიაში გავითიეთ და მადონას მორთმეული გემრიელობები დავიბედეთ (თუმცა მშვენიერი საახალწლო სუფრა გვქონდა ნაქირავებ კოკროჭინა ოთახში ურეხლების, პროფესორ ნადიმ ნიჟარაძის და ჩვენი მოწადინებით).

მეორე დღეს, ბედობას, გუბაზ ვანილიშს მასტუმრა ნუგზარმა. სულ მეგონა დავებედეთ ამ ორ ოჯახს მთელი წელი-მეთქი. მაგრამ პირიქით, მას შემდეგ ორივეგან მხოლოდ თითოჯერ ვარ ნამყოფი. ნუგზარის მათთან, ხოლო დათოს და გუბაზის ჩვენთან, სტუმრობებს რა დათვლის, ძმაკაცების მეუღლეებს კი – მე, მადონა ფალავანდიშვილს, ეთერ ინაიშვილს უმეტესად კაცების მასპინძლობა გვიწევდა.

ორი წლის თავზე, პირველ შვილს რომ ველოდით, მე და ნუგზარს ხელი ჯერ არ გვქონდა მოწერილი. დათო და ალეკო ჯიბლაძე დაუდგა ნუგზარს მოწმეებად, მე კი – ჩემი დაქალი თამრიკო ვერძაძე. ვახტანგ (ხესბი) დიასამიძემ, ნუგზარის ბიძიამ დაუვიწყარი საღამო მოგვიწყო სასტუმრო „ინტურისტში“. მოწმეებმა ბროლის ლარნაკები გვაჩუქეს. გაგიკვირდებათ და რამდენი ანტიკვარი დაამტვრიეს, ესენი ჩემს შვილებს და შვილიშვილებს გადაურჩათ და დღესაც ვინახავ სამახსოვროდ.

არც მე და არც ჩემს მეუღლეს ქონებით, თანამდებობით და პარტიული ნიშნის მიხედვით არ შეგვირჩევია სამეგობრო.

1997 წლის 10 იანვარს „პორტო ფრანკოში“ ძმაკაცების სუფრას მე და ზაალიც ვესწრებოდით. ვახტანგ ღლონტმა ქაღალდის ხელსახოცი აიღო და ზაალს სამახსოვრო ჩანაწერი გაუკეთა. ასევე სუფრის დანარჩენმა წევრებმა: მხატვარმა ზურაბ ხაბაძემ, ალეკო ჯიბლაძემ, ნუგზარმა. დავით თედორაძის ექსპრომტი ზაალს: „სულ იამაყე ზალიკო, შენი ძლიერი მამიკოთ, ეს დღე გახსოვდეს მარადის... ამ დღის ნათელი გფარავდეს“...

ნუგზარი ხანდახან კი საყვედურობდა თედორეს რაღაცეებს, მაგრამ დათოს პასუხი: „თუ მასეთი გგონივარ, შენი ერთადართი ბიჭი მოსანათლად მე როგორ მანდე“-ო, აქსიომა იყო, დამტკიცება რომ არ სჭირდება.

9 აპრილის ავბედითი ღამის კადრებს რომ უყურა ინსტიტუტში ჩემზე სამსახურში წამოყოლილმა ხუთი წლის ზაალმა, ძალიან განიცადა. მას შემდეგ ცოტა ხანში ბათუმის დრამატული თეატრის წინ აქციები იმართებოდა. რეზო ამაშუკელის „მე ბოლნისის ლომებს ვთილდი“ და დავით თედორა-

ძის „ვინც საქართველოს უორგულოს“ დავასწავლე. ნუგზარს უნდოდა ეს ლექსები იქ წაეკითხა, მაგრამ ვერაფრით დავითანხმეთ. იქ ნამდვილი პოეტები გამოდიან (დათო ყავდა მხედველობაში) და მე როგორ გამოვიდე ლექსების სათქმელადო.

დათო ნათლიაც, რომ ინატრებს კაცი, ისეთი კარგი დაურჩა. ბეშუმში ხშირად ისვენებდა მისი ოჯახი და ჩვენიც. შაბათ-კვირას ამოსულები, დათო და ნუგზარი ხან ვარძიაში, ხან ზარზმაში, ხან შუამთობაზე დაატარებდნენ შვილებს.

ბათუმში ზურაბ გორგილაძის, მამია ვარშანიძის, თენგიზ ღლონტის, იმერეთში ოტია იოსელიანის, თბილისში ჭაბუა ამირეჯიბის, პაატა ნაცვლიშვილის, ზაურ ბოლქვაძის, ჭყვიშში ნოდარ ტაბიძის და ვინ მოთვლის, რამდენ საინტერესო შეხვედრასა და იუბილეზე ყოფნის ბედნიერება ჰქონია ზაალს მამისა და ნათლიის წყალობით.

ჩვენთან კი, ნაქირავებ თუ საკუთარ ბინაში დათოს და სხვათა სტუმრობებს არაერთხელ დაუმსგავსებია იქაურობა ნინოწმინდის თუ სალონური საღამოების შთაბეჭდილებებით დახუნძლულ შეხვედრებად.

90-იანების გაუსაძლისი წლები ნამდვილ ზღაპრად უქცია თედორემ ზაალს. შუქი როცა მოვიდოდა, ჩართავდა ნათლიამისის ნაჩუქარ დიაპროექტორს და უყურებდა ჩემი დაქალის, თამრიკოს ფილმოთეკაში ჩამოწერილ ფილმებს თუ სლაიდებს. ნუგზარის ნაჩუქარი „პოლაროიდი“ ხომ სამყაროს აღმოჩენა იყო. მალევე გურამ ქვირიამ „ზენიტის“ ფოტოაპარატი აჩუქა და ხელსაწყოების ჩემოდანი ნამდვილი ინსტრუმენტებით. სიხარულით დაფრინავსო, რომ იტყვიან, ისეთ მდგომარეობაში იყო. მონათვლამდე ხომ ანებივრებდა მოსამართ პულტიანი მანქანებით თუ რითი არა, მერენდელ საჩუქრებს ნუღა იკითხავთ. ბათუმში მობილური ტელეფონები ახლად შემოსული რომ იყო, პირველი ზაალს აჩუქა, მგონი, თედორემ.

ძალიან გადავყევი ამ ჩუქობანას მოგონებას. ახლა ჩემი და ნუგზარის ჯვრისწერას გავიხსენებ. ნუგზარის მეჯვარე, რა თქმა უნდა, დავით თედორაძეა. ჩემი – მარინა ჩაგანავა. ჯვარს ბათუმში, საკათედრო ტაძარში ჩვენი საყვარელი მოძღვარი მამა გიორგი გეთიაშვილი გვწერს. ერთი ხუთჯერ რომ იკითხა ნუგზარმა კოცნა როდის იქნებაო, სიცილი მამაომაც ვერ შეიკავა. როგორც საერთოდ ხდება ჯვრისწერისას, დათო ნუგზარის უკან დგას და გვირგვინი თავს ზემოთ, მაღლა უჭირავს. დაეღლება ხელი, მოხვდება გვირგვინი ნუგზარს თავზე და შეიყვირებს. ასე რამდენჯერმე. დათომ საყვედურებზე, რა ვქნა, ხელი დამეღალაო. შენ მადლობა თქვი, აბელ სურგულაძის მეჯვარე რომ არ ხარ, თორემ ხელის დაღლა მაშინ გენახაო. ასე სიცილ-სიცილით დავიწერეთ ჯვარი და გადავინაცვლეთ სუფრასთან, რომელსაც ბატონმა აბელ სურგულაძემ ბრწყინვალედ უთამადა. ბევრ ქორწილსა და ჯვრისწერაზე ვყოფილვარ, იმდღინდელივით თბილი, ლამაზი, პოეზიით და ტაშ-ფანდურით, სადღეგრძელოებით გამორჩეული შეხვერდა რომ შედგა, ბატონი აბელის დამსახურება იყო. საოცარი ის იყო, რომ დავიშალეთ, მაშინ გავიგე ბატონ აბელს იმ პერიოდში დალევა აკრძალული ჰქონდა და უღვინოდ ისე ითამადა, არ გვიგრძვნია.

თედორეს დახვეწილი გემოვნება აქვს საჩუქრების შერჩევაშიც. ულამაზესი ლურჯი კობალტის სამოვარი გვაჩუქა იმ დღეს, თავისივე ჩაის დასაყენები ჩაიდნით. შემდეგ, ნუგზარის 50 წლისთავზე უფრო პრაქტიკული, ჩვენს ოჯახში ხშირი სტუმრიანობისას გამოსაყენებელი ქვაბების და ტაფების ნაკრები მოგვართვა (გამომცემლობის მესვეურებთან ერთად), რომელიც ისეთი კარგი ხარისხის იყო, ახლაც აქტიურ ხმარებაშია. ერთხელაც ხის ორნამენტებიანი სასმისების ნაკრებს ხისავე ქვიჯაც მოაყოლა და გამაფრთხილა: ამაში მარტო საკმაზი არ ინაყება, თუ გაწყენინებს ჩემი მეგობარი, შეგიძლია ისიც ჩანაყოო.

განსაკუთრებით გამორჩეულად უყვარდა ორივეს ქუთაისელი მეგობრები. მათი სტუმრობები ბათუმში თუ ამათი ქუთაისში, შესაშური მაგალითია უღალატო მეგობრობისა.

თედორე მარტო ლხინის კაცი არაა. გაჭირვებაშიც ისევე ზრუნავდა და გვერით გვედგა ყოველთვის, როგორც ოჯახის წევრი. ნუგზარის წიგნს „ჭინჭრის კრეფა ყვავილების ქვეყანაში“ ისეთ პერიოდში მიენიჭა ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემია, გამბედაობა რომ სჭირდებოდა.

ნუგზარის იუბილეები, ცოცხალის თუ გარდაცვლილის, მწერალთა კავშირში დავით თედორაძის ხელდასმით კეთდებოდა და კეთდება, ბათუმში ნუგზარის წიგნების გამოცემა მისი, ქუთაისში კი, საგამომცემლო ცენტრის დირექტორის, საზოგადო მოღვაწის, მწერლის – ელგუჯა თავბერიძის დამსახურებაა.

ჩვენი სახლის მიმდებარე სკვერს ნუგზარ ჯაფარიძის სახელი რომ მიანიჭა ბათუმის მერიამ, ქუთაისიდან ყველა მეგობარი ჩამოვიდა და დაესწრო, თბილისიდან პაატა ნაცვლიშვილი, ბაღათერ არაბული და ლაშა ღლონტი. სუფრას თედორემ უთამადა, ისე მოეფერა მისი „ძმის“ სულს, ნუგზარი უთუოდ იგრძნობდა. არ ვიცი, ნუგზარის და დათოს დედები თანაკლასელები რომ იყვნენ იმის ბრალი იყო თუ რაა მიზეზი, სულ მგონია, რომ ნუგზარს დათო გამორჩეულად უყვარდა. მას არც არასდროს ებოდიშებოდა. საკმარისი იყო მეთქვა, თევზი მომენატრა-მეთქი და თევზის ბაზარში წასვლა თუ დაეზარებოდა, გადარეკავდა ერგეში: „ჩემს აქუბალას თევზი მოუნდა და თუ შეძლებ, გამოუგზავნე“-ო და გაჩნდებოდა ცოცხალი თევზი თედორეს ან მისი ძმის, მემედის ხელით გამოგზავნილი.

თედორეს გამოგზავნილ ღვინოებს და იმის დასაჭაშნიკებელ სუფრებს ვინ დათვლის. ღვინის ჭურჭელს ნუგზარი არასდროს უბრუნებდა. ღვინოზე გამახსენდა. ქუთაისიდან ხომ სულ უგზავნიდნენ ღვინოს, ახლაც ყოველ ახალ წელს, ელგუჯა თავბერიძე უნუგზარო ჯაფარიძეების ოჯახს მისი დაყენებული საუცხოო ღვინით ანებივრებს. ნუგზარი ხშირად ხდებოდა საავადმყოფოში. უმეტესად რეანიმაციაში. როგორც საკუთარ ძმას, ისე ედგა გვერდში მისი ერთგული მეგობარი, განიცდიდა და ექიმებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა მის გადასარჩენად. ბოლოს ძალიან გაუჭირდა დათოს მომაკვდავი მეგობრის სასთუმალთან ცრემლების შეკავება.

დათო, ნუგზარის ბოლო ავადმყოფობის დროს რა გითხარი ხომ გახსოვს: ამას რომ რამე დაემართოს, შენს იმედად ვარ იცოდე-მეთქი. შენი ნათლული ზაალი კარგი კაცი დადგა და იმედიც მაქვს ჩემი შვილისა, მაგრამ შენ მირონით მადლცხებული განსაკუთრებული ადგილი გიკავია ჯაფარიძეების ოჯახში.

ეს ისე მოგეფერე თედორე, როგორც ჩემი შვილის ნათლიას. როგორი კარგი პოეტი ხარ, როგორი სამეგობრო, როგორი თამადა, როგორი პატრიოტი, როგორი კარგი დირექტორი იყავი გამომცემლობის და სტამბისა, როგორი ერთგული მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ხარ, შენობა რომ კბილებით დაიცავი და გაყიდვას გადაარჩინე, გაარემონტებინე, როგორ პატრონობ და ეფერები ყველა ასაკის, თაობის შემოქმედთ და უყვარხარ ყველას, ამაზე კომპეტენტური ადამიანები დაწერენ.

პოეტი დენდი, მთვარის რაინდი

ვახტანგ ღლონტი გამომცემლობაში გავიცანი 1976 წელს. როგორი ბუმბერაზი პოეტი და ბრძენია, ბიჭობისასაც ისეთი იყო. სამშობლოს სიყვარულით დაუღლელი, მთვარის რაინდი.

შემოვიდოდა საკორექტურაში, წაგვიკითხავდა ახალდაწერილ ლექსებს და ხან იქედან წამოსული პოეზიის ხანძარი შთანგვთქავდა, ხანაც თითქოს ლაშქრულის ხმაზე ქუდზე კაცის დაძახილით სამშობლოს დასაცავად მოგვიხმობდა.

მოგვიხმობდა და აკი გავყევით მთელი გამომცემლობა ქართული ენის გადასარჩენ მიტინგზე. მაშინ, გაგანია კომუნისტების დროში, ამდენი ადამიანი საპროტესტოდ გამოსული ტელევიზორში თუ მენახა. მაგრამ ვახტანგს, ყმაწვილკაცს, იმხელა ძალა და სიყვარული ჰქონდა ქვეყნისა და სჯეროდა მისი მომავლის უკეთესობისკენ შეცვლისა, ათასობით ადამიანი დარაზმა და ქუჩაში გამოი-

ყვანა. მან და მისმა თანამოაზრეებმა აიძულეს ედუარდ შევარდნაძე თბილისიდან ჩამოსულიყო და პირობა დაედო, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრიობას საშიშროება აღარ დაემუქრებოდა. ეს მარტო ოფიციალური დანაპირები არ იყო. პირობა დედის საფლავის ფიცით გამაგრებული კაცის შესრულებული სიტყვა იყო.

მე და ჩემი მეგობარი კორექტორი, ნანული წილოსანი სკეპტიკურად ვუყურებდით ვახტანგის იმედიან მომავალს, რომ დაინგრეოდა საბჭოთა კავშირი, რომ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, რომ ჩვენი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი ჩვენვე ვიქნებოდით. ნაწილობრივ კი გამართლდა მისი პროგნოზები, მაგრამ საუბედუროდ დღეს ჩვენი დამოუკიდებელი ბედკრული ქვეყნის დიდი ნაწილი უცხოელებზე მიყიდული და ოკუპირებულია.

ვახტანგ ღლონტის პოეზია გვასულდგმულებდა მაშინ. მისი წაკითხული ლექსის მოსმენის შემდეგ გეგმიურად წასაკითხი წიგნების კორექტურაზე მიბრუნება ძალიან გვიჭირდა. ბევრი კარგი რამეც იბეჭდებოდა ჩვენთან, მაგრამ ბევრჯერაც უინტერესოს 3-4-ჯერ წაკითხვა სასჯელს ემსგავსებოდა.

ვახტანგის ლექსები კი თავისით მიგაბრუნებდა თავისთან რამდენჯერმე. ბოლოს გაგახსენდებოდა, რომ კორექტურაზეც უნდა გედევნებინა თვალი.

პროზის წაკითხვისას მხოლოდ ერთჯერ დამემართა ასე, შინაარსმა რომ გამიტაცა და შეცდომებს ვერ მივადევნე თვალი. ეს მერაბ აბაშიძის „პოეზიის ხანძრის ქალიშვილი“ და „აქეთ, მაშხალები, ქვაზიმოდო!“ იყო. ისიც სხვა განზომილებიდან გამოსული ავტორი გახლდათ.

ვახტანგის პოეზიის „ფანები“ მის თვითმყოფადობაზე, უნიკალურობაზე ვთანხმდებით. ვმადლობ უფალს, რომ მისი ლექსების ერთ-ერთი პირველი ბედნიერი მკითხველი მეც ვიყავი. უმეტესობას მთავლიტის ცენზურა არ უნათებდა მწვანე შუქს. ვახტანგი კი წერდა საოცარ ლექსებს, პოემებს, თარგმნიდა საუცხოოდ. მარტო ხასან ჰელიმიშის ბწკარედებიდან მისეული ნათარგმნი როგორ იკითხება!

ყველაფრით გამორჩეული, იმითაც გამოირჩევა, თავისთავზე ნარცისივით რომ არაა შეყვარებული. ბათუმის მუსიკალურ ცენტრში სალონური საღამო „სტუმრად გახტანგ ღლონტთან“ ერთნაირი სითბოთი და მაღალი დონის შეხვედრით მასპინძლობს პოეტს თუ მწერალს, მხატვარს, მსახიობს, ფეხბურთელს თუ ნიჭიერებით გამორჩეულს, ყველა პროფესიისას. ერთნაირად ხარობს დამხვდური თუ მოწვეული სტუმარი და სიცოცხლეგახანგრძლივებული მიდის იქედან.

გემოვნებით აკეთებს ყველაფერს, რასაც ხელს ჰკიდებს. გამორჩეულად ლამაზად შეუძლია წარმოაჩინოს სხვისი ხელოვნება თუ სპეტაკი სული. სპეტაკმა გამახსენა, ვახტანგისა და მისი მეუღლის ნანას ქორწილი. საშინელი სიცივე იყო. თეთრლამიანი დუბლიონკა ჰქონდა პატარძალს მოხურული და ლამაში ჩაფლული ზამთრის უცხო ნაზ ყვავილს ჰგავდა, რაინდი მეუღლე რომ ყავდა მცველად. ხშირად ვიხსენებდით მე და ნუგზარი იმ დღეს, ისეთი კარგი იყო ორივე. თუმცა ასაკიც ნამდვილად დაიმშვენეს და ახლაც ისევ უხდებიან ერთმანეთს, როგორც მაშინ.

გარკვეული დროით თბილისში იყვნენ გადასულები საცხოვრებლად. ერთხელ ბათუმში ჩამოსული ვახტანგი და რამდენიმე მეგობარი „პორტო ფრანკოში“ დაპატიჟა ნუგზარმა. ნუგზარ ჯაფარიძის, ვახტანგ ღლონტის, დავით თედორაძის, ზურაბ ხაბაძის, შოთა ჯიბლაძის სადღეგრძელოებს გაფაციცებული ისმენდა ქუთაისელი მეარღნე იაშიკო და მათი პოეზიით გულგამთბარი იმ სიცივისგან გაყინული ხელით ატრიალებდა არღნის სახელურს (ზუსტად რა ჰქვია, არ ვიცი). მაშინ აიღო ვახტანგ ღლონტმა ქაღალდის ხელსახოცი და მათთან ერთად მყოფ ზაალს დაუწერა:

(ზაალ ჯაფარიძეს – ნუგზარის ვაჟს)
ჩემო პატარა ზაალ
ამ ქვეყნად ერთი გზაა,
გზა, მამისკენ რომ მიდის,
სხვა დანარჩენი სხვაა,

სადაც ბათუმი არის,
იქ სევდის დიდი ზღვაა.
გაუძელ, ქართველობა
ტანჯვაა, შერისხვაა!!!
ვახტანგ ღლონტი
შენი ლამაზი მამის ძმაკაცი.

რესტორანი „პორტო ფრანკო“, ჩვენ მთვრალები ვართ სამშობლოს სევდით, არ შეგეშინდეს ძმისშვილო, მე და მამაშენი აღარ ვიქნებით, მაგრამ ვიქნებით ჩვენს შვილებში, შვილიშვილებში, სამშობლოს გადარჩემანდე, გამარჯვებამდე.

აბა თქვენ იცით.

10 იანვარი.1997 წელი.
ბათუმი

P.S. გამოაქვეყნე, როცა აღარ ვიქნებით.

პირობა მთლად ვერ შევუსრულეთ ვახტანგს. ნუგზარის გარდაცვალებიდან სამ თვეში ლოგინად ჩავარდნილი 5 წელი ვიწექი. ვიდარდე, ვაითუ ვერ ავდგე და ნუგზარის დანაბარები „როცა მოვკვდები ჩემზე მემუარებს ხომ დაწერ, ნათიაო“ – ვერ შევუსრულო-მეთქი. ავადმყოფობის მესამე წელს 10-15 წუთით რომ ვდგებოდი და მოგონებები დავუწერე ჯაფარას, იქ შევიტანე ეგ ჩანაწერი.

წიგნის ქურდი ქურდი არააო, ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ნუგზარი ასე არ ფიქრობდა. რედაქციაში კაბინეტიდან ვახტანგ ღლონტის ნაჩუქარი ავტოგრაფიანი წიგნი რომ დაეკარგა, თავი მოიგიჟიანა. ვახტანგმა – ცუდია რომ მოგპარეს, კარგია ვიღაცას ლექსების წაკითხვა რომ უნდაო და რამდენიმე ცალად მოგვიტანა 1996 წელს გამოცემული „სევდიანი სიმღერა“. ერთ ეგზემპლარს ნუგზარისთვის ექსპრომტად წაუწერა:

ჩემს ნუგზარს (ექსპრომტად)
იმ დაკარგული წიგნის სანაცვლოდ,
რომ პროფესია ხვეწოს, განავრცოს,
იმ შენი – ჩემი წიგნის მპარავმა,
გჩუქნი მეორეს, მაგრამ არა ვარ
დარწმუნებული, ძმაკაცო კარგო,
მეორე წიგნიც არ დაგეკარგოს...
დღეს იკარგება ბევრი ქართველიც,
ჩვენ დავრჩეთ ძმობადაუკარგველი!
ვ. ღლონტი
8.08.98
ბათუმი

ეკლიანი ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი რედაქცია დაიხურა და ცოლ-ქმარი უმუშევარი დავრჩით. არ ვიცი რომელი ქვეყნის მოღალატეები ან კორუმპირებულები ჩვენ ვიყავით, მაგრამ ფული, რომელსაც არავისგან იღებდა ნუგზარი, შესაბამისად ვერც მოთხოვეს მისატანად მაშინდელი შეწერების დროს. ორთვიანი შემოწმების შემდეგ კომისიამ მობილური ტელეფონი ჩამოართვა, როგორც სახელმწიფო ქონება?!

ნუგზარს ყოველ ახალ წელს გრანდიოზული სუფრის გაშლა უყვარდა. გული რომ არ დაწყვეტოდა, ამ უფულობაში ჩემი ოქროს ნივთები ლომბარდში ჩავაბარე და ბლომად ხორაგიც მოვზიდე.

თვითონ ჯერ არ იცოდა. საღამოს რომ მეგონა ნუგზარი მოვიდა-მეთქი, კარებთან პროდუქტით დატვირთული ვახტანგ ღლონტი დამხვდა. მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. ნუგზარს კი მივეცი საახალწლოდ ცოტა ფული, მაგრამ ვიფიქრე იქნებ შემოეხარჯა და გადავწყვიტე პროდუქტი მომეტანაო. თან გამაფრთხილა, ნუგზარს არ უთხრა რაც მოვიტანე, არ მიწყინოსო. არ წყენია ნუგზარს. იმიტომ რომ ირემმა ირემს ბალახი მოუკითხაო, ორმხრივი იყო.

ხშირად უყვარდა ნუგზარს სიმამრთან ძმაკაცებით სტუმრობა. ერთი სტუმრობისას ვახტანგ ღლონტიც გვახლდა. შეხედა მამაჩემმა და პატიკო ღლონტის რა ხარო. შვილი ვარო, ვახომ. გადაირია სიხარულით მამაჩემი. იმდენი რამ გაიხსენა მის ვაჟკაცობაზე, მარიფათზე, გაუტეხლობაზე, ვიფიქრე, სხვანაირი როგორები იქნებოდნენ მისი შვილები-მეთქი.

ბევრი დაუბეჭდავი თუ გამოქვეყნებული ლექსი დავისწავლე ვახტანგისა, ახალგაზრდობაში. რამდენიმე გამორჩეულად მიყვარდა. ერთ სტროფს გავიხსენებ:

„ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც,
მზე სამზეოს ამზეურებს უმზეობით დაღლილს,
აღარ დევნის მდევარი დევნილს მოსაკლავად,
და ტალღებში ტალღა ტალღას ტალღასაც არ ახლის“.

მისი სამშობლოზე მიძღვნილი ლექსი „სამშობლო“ კი ჩემთვის ჰიმნის ტოლფასია. ნაწილს გავიხსენებ: „სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა არაფერი. სამშობლო მიწის ნაჭერია, რომელზეც ვდგავარ. აქეთ ყინულის უდაბნოა, იქ – ქარაფები, შუაში მე ვარ! სამშობლო მიწის ნაჭერია, სხვა არაფერი. მიწა იმ ტერფის ოდენია, რომელზეც ვდგევარ, ბიჯს ვერ მომიცვლის ვერც მტრის ხმალი, ვერც ღვთის შერისხვა, უტეხი კლდე ვარ!“

ვახტანგის წილ სამშობლოს სიყვარულის გზაზე დაჭერაც იყო და ჩასაფრებაც, გაჭირვებაც და გულისტკენაც, უფრო ვაი პატრიოტებისგან, ხანდახან რომ მოძღვრავენ კიდეც.

ვისურვებდი ყველა ისე ვიდგეთ მიწის ნაგლეჯზე, როგორც ვახტანგ ღლონტი დგას და ჩვენი მიწა-წყალი დაცული, ქვეყანა კი აშენებულ-დამშვენებული იქნება.

ღლონტები

ღმერთო, როგორ მენატრება ის ლამაზი წლები ღლონტების ოჯახთან რომ გვაკავშირებდა. ნუგზარი ბატონ რეზო, ლევან და თენგიზ ღლონტებთან ერთნაირად მეგობრობდა, მე უფრო თენგიზ ღლონტის ოჯახის სტუმარი ვიყავი. ისინი სასტუმრო ინტურისტის უკანა მხარეს, რუსთაველის ქუჩაზე ბინადრობდნენ. მხატვრის მეუღლის, თავადის ქალი მზიულა ერისთავის ფაქიზი ხელი სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს ეტყობოდა. ჩვენ რომ მიგვიხაროდა იქ მისვლა, არანაკლები სიხარულით გვხვდებოდა ღლონტების დედა, უკეთილშობილესი, თავადური იერისა და ქცევის ქალბატონი, მარგალიტა ბერიძე.

ცოტას ჩვენ მოვუკითხავდით, ბევრს მზიულა შემატებდა სუფრას და ისე ვიყავით ჩახუტებული სტუმარ-მასპინძლები, ორივე მხარე ერთ ოჯახად აღვიქვამდით ჩვენს თავს.

უმცროსი ღლონტები, ანანო და ლაშა თბილისში სწავლობდნენ. ჩვენს სტუმრობას მათი ბათუმში ყოფნა თუ დაემთხვეოდა, ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო. მათი გიტარაზე ნამღერი სულს და გულს ესალბუნებოდა.

ბატონი თენგიზის უფროსი ძმა, წლების განმავლობაში საქართველოს წიგნის პალატის თავმჯდომარე – რეზო ღლონტი, ბათუმში ისე არ ჩამოვიდოდა, ნუგზარი არ მოენახულებინა.

ერთ აღდგომას მისი სტუმრობით ულამაზესი დღე გვაჩუქა; თან ბატონი თენგიზი, ქალბატონი მზიულა, ანანო, ლაშა და ჩვენდა სასიხარულოდ მათი მეგობარი, დები იშხნელების შვილიშვილი კახაბერ იშხნელიც გვასტუმრა. სააღდგომოდ მშვენიერი სუფრა გვქონდა გაშლილი. მსოფლიო შემოვლილმა და გურმანმა, თავად შესანიშნავმა მზარეულმა ბატონმა რეზომ ერთ-ერთი კერძის რეცეპტი რომ ჩაიწერა, მე, როგორც დიასახლისი, სიხარულით ცას ვეწიე. აღდგომის მადლით და კეთილი სტუმრებით გახარებულებს დღე ლამის მეორე დილაში გადაგვეზარდა.

ხშირად ვსაყვედურობდი ნუგზარს, ამდენს ნუ სვამ-მეთქი. განსაკუთრებით ის მაშინებდა, ყოველ ხუთ წელში ისე შეერყეოდა ჯანმრთელობა, სულ სასწორზე იდო მისი სიცოცხლე. ახლა რომ ვუკვირდები, ოცდარვა წელი ვიცხოვრეთ ერთად და მის გვერდით სუფრაზე ყოფნისას ყოველთვის რაღაც ახალს ვისმენდი. სუფრის და მოლხენის ინსტიტუტი კი არა, მართლა აკადემია ჰქონდათ ამ დალოცვილებს.

თბილისში ვიყავით შორენასთან ბავშვებიანად. ნუგზარმა ბატონი რეზო მოიკითხა ტელეფონით. ბატონმა რეზომ უთხრა – გავიგე ზაურ ბოლქვაძე ავად არისო. წავედით სანახავად: ნუგზარი, მე, ბავშვები, სიყრმე (გივი თევზაძე), ფრიდონი (ჩვენი მძღოლი) და ბატონი რეზო. ნუგზარმა დაახლოებით იცის სადაც ცხოვრობს ბატონი ზაური, მაგრამ ისეთი ცუდი ორიენტაცია ჰქონდა ყოველთვის, ღამით თბილისში და, რა თქმა უნდა, ნასვამი რას მიაგნებდა. თურმე სახლს ირგვლივ ვუტრიალებდით. იქვე მილიციელი შენიშნეს და ეკითხებიან, ზაურ ბოლქვაძე რომელ სადარბაზოში ცხოვრობსო, რომელი ზაურიო, „ლომიო“, ნუგზარი ეუბნება; რომელი „ლომიო“; „ნიანგიო“ უფრო უკეთ აუხსნა სიყრმემ. „ნიანგიო“, უკვე წაშლილი სახით იხედებოდა პოლიციელი, მალე ალბათ რომელიმეს სადაც საჭიროდ მიაჩნდა იქ მიაბრძანებდა.

მდგომარეობის გასამუხტად მეც ჩავერიე. ცნობილი პიანისტი ელისო ბოლქვაძე თუ გაგიგიათ, იმის მამაზე გეკითხებით-მეთქი. არაო, არაფრის მცოდნე მილიციელმა და... გვეშველა, მილიციელის სიბეცისაგან გაბრაზებულ ნუგზარს გონება გაუნათდა და პირდაპირ ბოლქვაძეების კარს მიგვაყენა. ნაირ-ნაირი სასმისებით და ხილით დატვირთული ამდენი ადამიანის მნახველად მისვლა გაგონილა? თანაც ოთხმოცდაათიანების დასაწყისში. ავად ბატონი ზაური კი არადა, მისი მეუღლე, ნანა დარჩია დაგვხვდა. სასწრაფო რომ გაისტუმრეს, რა თქმა უნდა, ის მრავალფეროვანი სასმისებიც აითვისეს ბატონი რეზოს თამადობით (მასპინძელს შეეხიდა, შენ გული გაწუხებს, თანაც მეუღლე გყავს მოსავლელიო).

ბატონ ლევანთან რაღაც უფრო მოკრძალებული ურთიერთობა მაკავშირებდა. ეს ალბათ ახალგაზრდობიდან გადმომყვა. ყველა ბათუმელის საყვარელი მსახიობის და დრამატული თეატრის დირექტორის გაცნობაზე ვერც ვიოცნებებდი ბავშვობაში. მის შესრულებულ ყველა როლს აღტაცებაში მოვყავდი ბავშვობაშიც და სტუდენტობაშიც. შემდეგ, როცა ნუგზარის მეუღლე გავხდი და ვხედავდი როგორი სიყვარულით და სითბოთი წერდა ნუგზარი სცენარებს მრავალშვილიანი დედების დღეზე თუ კოლხობისას, ბატონი ლევანი კი არაჩვეულებრივი რეჟისურით დგამდა ამას, კიდევ უფრო იზრდებოდა მისი პიროვნებისადმი ჩემი პატივისცემა.

2004 წლის რევოლუციამ უმუშევრად დარჩენილ ბათუმის ინტელიგენციაზე ცუდად გადაირა. ასე მგონია, ეს დაუსაქმებელი და თავმოყვარეებაშელახულობის პერიოდი რომ არა, ბევრი გამორჩეული ბათუმელი დღესაც ცოცხალი იქნებოდა. რამდენმა მათგანმა ვერ მოასწრო დაბერება. უმუშევარი ნუგზარ ჯაფარიძე, რის ვაივაგლახით მეგობრების გვერდში დგომით რომ ბეჭდავდა გაზეთ „თანადგომას“, სულ ბოლოს ბატონ ლევანთან იყო შეხიზნული თოჯინების თეატრის შენობაში „ვაგონში“, საჯარო ბიბლიოთეკის მხარეს. ვეხუმრებოდი, ხომ ხედავ „ძმები“ ისევ ერთად შეგყარათ ღმერთმა-მეთქი. თუ რატომ ძმები, მოგიყვებით.

ქალბატონ მარგალიტას, დედის გულში შვილების სიყვარული, დარწმუნებული ვარ, გამორჩეული არ ჰქონდა. აი, მიმართვით კი მათ ნამდვილად გამოარჩევდა. რეზოს – ამხანაგო რეზოთი მიმართავდა, ლევანს – ბატონო ლევანით, ნაბოლარას კი, აჭარის დამსახურებულ მხატვარს – თენგიზიას ეძახოდა.

თითქოს ის არ იყო საკმარისი, დედისათვის სულ თენგიზიად რომ დარჩა. ადგა ნუგზარ ჯაფარიძე და იქედანაც არ ჩააჩოჩა ბატონი თენგიზ ღლონტი? მესამე შვილი მე ვარო და ბატონ ლევანსა და თენგიზს შორის ისე მყარად დაიკავა ადგილი, თანაც ისეთი მხარდაჭერა ჰქონდა დედობილისაგან, შედავებას აზრი არ ჰქონდა. ერთხელ, როგორც ყოველთვის, ღამით მივუკაკუნეთ ღლონტებს. ქალბატონი მზიულა შეწუხებული შეგვხვდა, დედამთილი ძალიან შეუძლოდ მყავსო. ყველანი ჩურჩულით ვლაპარაკობდით. ღამის პირველი საათია. ნუგზარს ვეხვეწები, წავიდეთ, შევაწუხეთ უკვე ოჯახი-მეთქი. უცებ ქალბატონი მარგალიტას საძინებლის კარი გაიღო და მორთულ-მოკაზმული ბერიძის ქალი არ დაგვადგა თავზე? ნუგზარის ხმა მომესმა და გამოვკეთდი, როგორ არ შემატყობინეთ აქ რომ იყოო. ორ საათამდე იჭუკჭუკეს დედობილ-შვილობილმა და მერე წამოვედით.

ნუგზარმა დანაპირები აუსრულა ქალბატონ მარგალიტას. ქელეხის სუფრას უზადოდ უთამადა და ბოლო მოსასვენებელი ჭურჭელიც შეუძინა.

დედობილის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა ნუგზარ ჯაფარიძისა და ძმები ღლონტების კავშირი.

სახლში ავეჯის გადაადგილების ავადმყოფობა სჭირს ჩემს მეუღლესო, წუწუნებდა ჯაფარიძე, თუმცა გულში ჩუმად უხაროდა. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, სამსახურიდან „დამხმარე ძალა“ რომ მოეყვანა და შუა მუშაობაში შესვენება გამოცხადებულებს სუფრასთან გადაენაცვლათ.

ერთ დღეს სამსახურში მისულს ბატონი თენგიზი წარბშეკრული დამხვდა (ჩვენი გაზეთის მხატვარიც იყო). რა ამბავია, ქალბატონო ნათია, ჟანგი მოეკიდა ავეჯს, აღარ გადავაადგილოთ? მიხვდით ალბათ, ეს რას ნიშნავდა. მეორე დღის ავეჯის გამოგონილი გადანაცვლება სანამ არ დასრულდა, სადილის გაკეთება ჯერ ვერ მოვასწარი-მეთქი და წელში რომ გაწყდნენ კაცები დგამ-ავეჯის ჩოჩიალით, შემწვარ-მოხარშულებიც მერე მივართვი.

არ იფიქროთ, საძმაკაცო ნუგზარს მარტო სამუშაოების შესასრულებლად მოყავდა ჩვენთან. სადილის დროს, წავედით ჩემთან, ნათიას რაღაც ექნება მომზადებულიო, და ნივაში ჩაჭუჭკულ კაცებს სუფრასთან რომ დასხამდა, დამირეკავდა სახლში მოდი, სტუმრები გვყავსო. ერთ ასეთ გაშლილ სუფრაზე ბატონმა თენგიზმა პირველი სადღეგრძელო ჩემი დალია – ქალბატონო ნათია, თქვენს გაძლებას გაუმარჯოს, ამისთანა ქმარს რომ იტანთო. რაო? მე რომ მიტანსო? – აბობოქრდა ჯაფარა. და დღესაც მეცოდება შალვა ართმელაძე, პირთან მიტანილი შემწვარი ვარია უკან რომ დააგდებინა; აქედან მიბრძანდით, რა მჭირს გასაძლისი მეო. ესეც ერთი ფაქტი, მართლა ძნელი გასაძლები რომ იყო.

თუმცა ბატონი თენგიზის გვერდში დგომა ძალიან მალე დასჭირდა და შერიგებაც მალე მოხდა სახლიდან გაყრილებთან.

ვალენტინობას დიდად პატივს არ ვცემდი (ნუგზარს ისედაც შეეძლო ყოველი დღე სიყვარულით და საჩუქრებით გაელამაზებინა), მაგრამ ერთჯერ მაინც ვიყიდე ყოჩივარდები და ჩვენს საწოლზე ლამაზად მოვაბნიე.

დიდხანს მომიწია ლოდინი. ოთხ საათზე რომ მობანცალდა, დღეს რა დღეა შენ, რა თქმა უნდა, არ გაინტერესებსო – ჩაიბურდღუნა და საძინებელში შევიდა. ყვავილებმოფანტულ საწოლს რომ შეხედა, ისეთი დამნაშავე ბავშვის სახე მიიღო, შემეცოდა. თავი ძვლის შევიკავე, იქით არ დამემშვიდებინა.

მეორე დღეს მის „ნივაში“ არ ჩავჯექი და სამსახურში ავტობუსით წავედი. არც დღისით გამიცია ხმა, ისე წამოვედი რედაქციიდან. საღამოს ვიცანი ეზოში შემოსული ჩვენი „ნივის“ ხმა. სასწრაფოდ შემოსასვლელი კარი შევაღე, მეუღლეს რომ არ შევჩეხებოდი და ტელევიზორის ყურება გავაგრძელე. ნუგზარმა ზარს დააჭირა და თითი აღარ აუღია. მთელი ცხრა სართული არ შეაწუხოს-მეთქი და გავხედე. ის დღე, ალბათ სიკვდილემდე არ დამავიწყდება.

წინ თენგიზ ღლონტი მოდიოდა ცოცხით ხელში. ბატონ თენგიზს ახალი ცოცხი ისე მოერთო ბაფთებითა და ფოჩიანი კანფეტებით, ჩიჩილაკს შეშურდებოდა, მერე – ნუგზარი მუხლებზე დაცემული უზარმაზარი ვარდების თაიგულით ხელში, უკან ბატონი შალვა ყვავილებით, შემდეგ ბატონი იასონი ყვავილებით.

როგორ არ მეპატიებინა? თანაც ამდენ რაინდს ჩემი სადღეგრძელოსთვის სახლიდან გაყრილებს, სამუდამოდ ხომ არ მივუხურავდი კარებს.

თედორეს (დავით თედორაძის) მოწადინებით, მწრელთა კავშირში ნუგზარის დაბადებიდან 65 წლისთავი რომ აღნიშნეს, ყველა საქმე გადადო ბატონი თენგიზის შვილმა, უკვე ძალიან ცნობილმა მომღერალმა ლაშა ღლონტმა და ბათუმში სამი სიმღერა აჩუქა მის ხსოვნას. ოჯახში გაშლილ სუფრაზე ისე თბილად მოიხსენია (ზრდილობისათვის და დაუმსახურებდალ ნამდვილად არა) ძია ნუგზარი, მჯერა, ღლონტებს და ნუგზარ ჯაფარიძის ოჯახს შორის (მიუხედვად იმისა, თითქმის ვეღარ ვნახულობთ ერთმანეთს) გაბმული უხილავი ოქროს ძაფები კარგა ხანს არ დაწყდება.

P.S. თითქმის წელიწადი გავიდა ეს წერილი ჟურნალში დასაბეჭდად რომ გავამზადე, ვერა და ვერ მოვახერხე მისი მიტანა. მოფერებას და კეთილი სიტყვის თქმას, ისევე როგორც, კეთილი საქმის კეთებას, გადადება აი რატომ არ უყვარს. სამწუხაროდ, თენგიზ ღლონტიც აღარაა ჩვენს შორის.

„ჯადოქრის ფუნჯით შექმნილი“

ყველა საუკუნეში იბადებოდნენ ადამიანები, რომლებიც თავის ეპოქას წინ უსწრებდნენ. ასეთებს ყოველთვის უცნაურებად ნათლავდნენ. გვიძნელდება ასეთებთან კონტაქტი და ხშირად ვსაყვედურობთ, მათი ქცევები საზოგადოებისთვის მიუღებლად გვეჩვენება. ნუ დაგვავიწყდება – ჩვენ, უბრალო მოკვდავთ არა გვაქვს მათი განსჯის უფლება.

როცა უცქერი ზურაბ ხაბაძის ნახატებს, ვაჟას ნაწარმოებზე შექმნილს, გჯერა, რომ ღმერთებთან ერთ ენაზე უსაუბრია დიდ ვაჟასა და მხატვარს.

ასე მგონია, ვაჟას რომ თავისი უკვდავი ქმნილებები არ დაეწერა და ზურაბ ხაბაძის ნახატები ეხილა, ეს ტილოები შთააგონებდა მათ დაწერას.

ზურაბ ხაბაძემ გაითავისა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. მისი პერსონაჟების ცხოვრებით იცხოვრა, ეს დიდებული ტილოები რომ შეექმნა. ზურაბს რომ არწივი დაეხატა, ხიხანის ციხის მწვერვალამდე ბალახის ღეროებზე ჩაჭიდებულმა აიარა ძნელად სავალი გზა, თავად უყურა, როგორ აფრთიანებდა გოროზი არწივი მართვეებს.

პირველად ოცი წლის წინათ ვიხილე ზურაბ ხაბაძის რამდენიმე ნამუშევარი სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში. მოსვენება დამეკარგა, ავადმყოფურად ამეკვიატა სურვილი მისი რომელიმე ნახატის შეძენისა. ზურაბის დას, ციალას (რომელიც მაშინ იმავე საგამოფენო დარბაზში მუშაობდა) ვთხოვე დახმარება. – ზურაბს ხშირად ტილოს და ფუნჯის შეძენაც უჭირს, მაგრამ ნახატებს არ ყიდისო – იყო პასუხი.

რამდენიმე წლის შემდეგ ექსკურსიაზე შევხვდი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ ხიმშიაშვილის საფლავზე დასადები ქვა წაიღო (ტბელობასაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი). კაცს მგზავრობაში

გამოცდიო – მართალი ნათქვამია. და სულ სხვა კაცი დავინახე ზურაბ ხაბაძეში. დიდი ბავშვი, რომელსაც შეეძლო ავტობუსიდან გადაშვებულიყო იმ წალკოტში.

მთელი გზა ლექსებს გვიკითხავდა. თითქმის ბოლომდე ზეპირად წაგვიკითხა „დიდოსტატის მარჯვენა“, დიდ კონსტანტინეს რომ შეეფერებოდა, სწორედ ისე.

იყო რაღაც სიმბოლური ზურაბ ხაბაძესა და უტას ტრაგიკულ პიროვნებას შორის. ზურაბი ღმერთმა დაიფაროს უტასავით მარჯვენის მოკვეთისგან, მაგრამ მისი ნამუშევრები რომ შედევრებია, ამის აღიარება უდავოდ შეიძლება.

ბერძნული მითების მოტივებზე შექმნილი ნახატების ნახვის შემდეგ კარგა ხანს გრძნობ მაგიური ძალების ზეგავლენას. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გამოფენილი მისი ნახატების მნახველები მეტყველებადაკარგულებს ჰგვანდნენ, ნანახის აღქმით გაოგნებულებს შთაბეჭდილების სიტყვებით გადმოცემა რომ არ ძალუძთ.

ვერ ავისრულე ნატვრა, ვერ შევიძინე ზურაბ ხაბაძის ნახატი, მაგრამ ბედი სასიამოვნო სიურპრიზს მიმზადებდა თურმე. წლების წინ, როცა პირველი შვილი შემეძინა, ზურაბმა გალაკტიონის მერიზე შექმნილი ერთი დიდი ტილოთი მოგვილოცა ეს ბედნიერება.

უბედნიერეს დღეებად ვთვლი იმ დროს, როდესაც ზურაბ ხაბაძის სახელოსნოში (მაშინ გოგებაშვილის ქუჩის მოპირდაპირე მხარეებზე ვცხოვრობდით) ვნახულობდით როგორ იქმნებოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ჩვენი ქალაქის თეატრის დიდებული ფარდის უთვალავი ესკიზი, რომელსაც ტიტანური შრომა მოანდომა მხატვარმა, სანაცვლოდ კი იმდენიც ვერ აიღო, რაც ფარდის შესაქმნელად დაიხარჯა.

ზურაბი ხელოვანი იყო. დიდ ხელოვანთა უმეტესობას დალხინებული ცხოვრებით არ უცხოვრია. გალაკტიონისა არ იყოს, მასაც ღმერთი უზის თავში და ვაპატიოთ თუ მისგან იდეალური მეუღლე, მამა და მარჩენალი ვერ დადგა. მას თავზე მეტად უყვარდა თავისი შველისთვალება ზურიკო და იმის მზეს იფიცება. ნუ შეეცდებით მხატვრის სულის ლაბირინთებში შეღწევას. ის ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა და გვჩუქნიდა საოცარ ქმნილებებს, რომლის ნახვის შემდეგ შენაც იზრდები, მაღლდები და გიხარია, რომ იმ დროს მოგიწია ცხოვრება, როცა ზურაბ ხაბაძე დააბიჯებდა შენი ქალაქის ქუჩებში.

„...რა ვუყოთ მერმე, ლექსს რომ არა წერ“

დიდი ფრანგი დრამატურგი, კომედიოგრაფი ბომარშე ქალზე ამბობდა: „ბუნებამ უთხრა ქალს: იყავი მშვენიერი თუ შეგიძლია, იყავი ბრძენი – თუ გსურს, მაგრამ კეთილგონიერი კი უსათუოდ უნდა იყო“.

წარმოგიდგენთ ქალბატონს, რომელიც ამ სამივე ღირსებითაა შემკული. და ეს საოცარი ქალბატონი გახლავთ ჩიტო ომერაძე...

ის პირველად ბეშუმში ვნახე, კოცონთან მოფუსფუსე. მაშინ ბავშვები ვიყავით, ჯერ იმით მიიქცია ჩემი ყურადღება, თანატოლებს რომ შეუტია, ჩემი წამოსვლის შემდეგ, ეს რამდენი მწვანე ტოტი მოგიჭრიათ, ხმელი უნდა წამოგეღოთო... მისი სიმღერის წკრიალა ხმა კი კოცონიდან ავარდნილ ნაპერწკლებს უერთდებოდა და ისე მიდიოდა ცისკენ.

მეორედ როცა შევხვდი, პარალელური კურსის სტუდენტები ვიყავით. ისევ ისეთი იყო – მოუსვენარი, დაუდეგარი. აშკარად იგრძნობოდა ერთად შერწყმული ნიჭი, გემოვნება, საღი გონება – ეს სხვადასხვა, მაგრამ შეთავსებადი თვისებები მჟღავნდებოდა მის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობაში,

– რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა მის თვალთახედვაში მოხვედრილ გამოჩენილ თუ ნაკლებადცნობილ, მაგრამ ღირსეულ ადამიანებზე. აქედანვე ჩანდა ჩიტო ომერაძისათვის უცხო იყო საკუთარ თავში დაეჭვება. ის რასაც აკეთებდა თუ სწავლობდა, ყველაფერი მიზანმიმართული გახლდათ.

ბათუმის პედინსტიტუტის საღამო განყოფილების ისტორიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, დღისით კი ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის სკოლაში მუშაობდა პიონერხელმძღვანელად. ახლა თითქოს გვეუხერხულება პიონერობანას გახსენება, მაგრამ მაშინ რასაც ვაკეთებდით, იმისა გვჯეროდა და ამიტომაც გულით ვაკეთებდით. ქალბატონი ჩიტო კი გულის გულით აკეთებდა ყველაფერს.

იმ პერიოდში, როდესაც ქალბატონი ჩიტო კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო 5000 კაკლის ნერგი დაირგო აჭარისწყლის ხეობის გაყოლებაზე დანისპარაულამდე. მათგან თითქმის მესამედმა გაიხარა. ამ საშვილიშვილო საქმეს ყველა იმდროინდელი ხელმძღვანელისა და ახალგაზრდას ღვაწლად მიიჩნევს.

ყველაზე კეთილმოსაგონრად მაინც სტუდენტობის წლები დარჩა. გამორჩეულად კი ბატონების, ვახტანგ შამილაძისა და აბელ სურგულაძის ლექციები. ჩიტოს გული შესტკივა, რომ საქართველოს ნამდვილი ისტორია მან უფრო ინსტიტუტის შემდეგ ისწავლა. მისი სტუდენტობის პერიოდში გამოვიდა ლევან სანიკიძის წიგნი „უქარქაშო ხმლები“. ეს წიგნი იყო სტიმული დიდი ინტერესისა და განუწყვეტლივი ძიებისა, შეევსო ცოდნა საქართველოს ისტორიის წარსულის ფურცლებიდან. ცოდნის გაღრმავება და ძიება კი მისი ზოდიაქოს „მორიელის“ ხასიათის ერთ-ერთი პირველი ნიშანთაგანია: „მოთხოვნილება, გულმოდგინე სწრაფვა სულიერი განვითარებისათვის. ცოდნის წყურვილი და მათ მოსაპოვებლად შეუპოვრობა. გაბედულება და უშიშარობა“.

ჩიტოს გამორჩევით უყვარდა პროფესორი ნელი დუმბაძე (თუმცა არ ასწავლიდა). თბილად შემოინახა მეხსიერებამ ის ლამაზი საღამო, ლადო ასათიანს რომ მიეძღვნა. ნელი დუმბაძის ნაირი ქალბატონებისგან ძალიან ბევრს ვიღებ და ვსწავლობო, ხშირად გამიგონია მისგან.

ვისაც ჩიტო ომერაძე სტუდენტობისას უნახავს, მისი სპორტული აღნაგობაც ემახსოვრება უთუოდ, და არა მარტო აღნაგობა, სპორტსმენობაც. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, გადაშალოს პაატა ნაცვლიშვილის წიგნი „ქაღალდის წერო“ და წაიკითხოს: „საბჭოთა დელეგაციის ქალ კალათბურთელთა ნაკრები წინა ფესტივალების მასპინძელი ქალაქების ნაკრებს ხვდება, საბჭოთა გუნდში სხვებთან ერთად გამოდის ჩიტო ომერაძე. იგი დიდხანს აჭარის ნაკრების წევრი იყო. ბუნებრივია, ფესტივალის ორგანიზატორებმა იგი საბჭოთა დელეგაციის ნაკრებ გუნდში შეიყვანეს... მატჩი დამთავრდა ანგარიშით 79:46 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ. ჩიტო ომერაძე თითო ტაიმში მხოლოდ 3-3 წუთს დაისვენებს და სათამაშო დროის 34 წუთში 17 ქულას მოუტანს თავის გუნდს და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მატჩის ყველაზე კორექტორული მოთამაშე იქნება: იგი არც ერთ პერსონალურ შენიშვნას არ მიიღებს!“ (1985 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ფესტივალზეა საუბარი).

სპორტის ეს სახეობა ჩიტო ომერაძეს ცნობილმა სპორტსმენმა და პედაგოგმა გენო მენაბდემ შეაყვარა. მისი ყოველი მისვლა ვარჯიშზე ზეიმი იყო. კალათბურთის გარდა საოცრად უყვარს ფეხბურთი.

ალბათ, დამეთანხმებით, ჩიტო, როცა საქმეს ხელს ჰკიდებს, ბობოქარი ვულკანივითაა. დასრულებულ საქმეს კი, რა სფეროშიც არ უნდა აკეთებდეს, მოკითხვა აღარ უნდა, ვისი ნამუშევარია, იმდენად ფაქიზადაა ყველაფერი გაკეთებული. ამაში დასარწმუნებლად მარტო მის სამუშაო კაბინეტში შესვლაც საკმარისია. შეიხედეთ მის კარადაში, აქ აწყვია სათუთად აკინძული ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრის შექმნიდან დაწყებული ყველა მნიშვენლოვანი ღონისძიება. რას არ იხილავთ აქ, პროგრამებს, მოსამზადებელ სამუშაოთა მასალებს. თუ უფროსის

მითითებებიან ფურცელს, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს. ყველაფერში იგრძნობა ჩიტოს იუველირული სინატიფე და მახვილი თვალი.

1993-96 წლებში განხორციელებულ საოპერო დადგმებს დიდი რეზონანსი გააჩნია, მისი ოცნებაა შეიქმნას წიგნი-ალბომი. მას ხომ უამრავი მასალა მოეპოვება. მე კი მგონია, თავად ჩიტო ომერაძემ (რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს მის შეგროვილ, რუდუნებით შენახულ დოკუმენტებს) დაგვიწეროს ეს ისტორიული წიგნი, რადგან ვილჰელმ ჰუმბოლდტისა არ იყოს: „გონების ვარჯიში, ადამიანზე ისეთსავე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს, როგორსაც მზე ახდენს ბუნებაზე. ასეთი შრომა ფანტავს დაღვრემილობას, თანდათანობით ათბობს, ამსუბუქებს, ამაღლებს სულიერ ძალებს“.

სურვილი აქვს არსებობდეს ისეთი სამსახური, რომელშიც ფოტო-საარქივო მასალები იქნება შენახული ჩვენი ქალაქისა თუ აჭარის ისტორიულ სინამდვილეზე. ასევე უოცნებია გამოსულიყო ფოტო-ალბომი, რომელიც აჭარაში ხორბალივით მიმობნეულ ჩვენი კუთხის ისტორიულ ძეგლებს წარმოაჩენდა.

ქალბატონი ჩიტო დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით. ეს ჯილდო მისთვის უძვირფასესი რელიქვიაა. მას ადრეც აქვს მიღებული ჯილდოები. იგი წარსულს დიდ პატივს სცემს, იმიტომ რომ, ის მისი ცხოვრების შეურცხვენელი ნაწილია.

ბევრი ქალბატონი მინახავს, მორთულ-მოკაზმულობითა და სუნამოების სურნელით თავბრუს გახვევდეს საზოგადოებაში. ოჯახში მასთან მისულს კი ლამის გული შეგიღონდეს, იქაურობის დამნახველს. ახლა შებრძანდით ჩიტო ომერაძის საბუდარში და მიხვდებით, რატომ გამოვიტანე ის სტრიქონები სათაურად არჩილ სულაკაურის ლექსიდან, მიხვდებით, რომ აქ პოეტი თუ არა, პოეტური სულის ქალი სახლობს. ყველაზე დიდი განძი ჩვენი დიასახლისისათვის წიგნებია, შემდეგ ნახატები – ზურაბ ხაბაძის, ნინო ნიჟარაძისა და ბესო ბესელიასი. ჩიტო თავის მეგობრებად თვლის ამ ნახატებს და მის შემქმნელებს.

რამდენადაც ბობოქარია მთელი მისი ცხოვრება – იმდენად მშვიდ გარემოში უყვარს ყოფნა. უყვარს ანა კალანდაძე, ლადო ასათიანი, პუშკინი, ცვეტაევა, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, განსაკუთრებით ზურაბ გორგილაძის პოეზიას ეტრფის. ზურაბიც ისევე ეფერება თავის „დელქალა“ მეგობარს. აი, რა წაუწერა ბატონმა ზურაბმა ბოლო წიგნ-ალბომზე: „ჩემს ჩიტო-ჩიტუნიას, ყველა ჩემი გამარჯვებისა და წარმატების მიზეზს, საბაბს, ჩემს დიდ გოგოს, ჩემს დელქალას, ჩემს დას, ჩემი ნიაზის უსაყვარლეს შვილს, აჭარის დიდ შვილს, ძმური სიყვარულით მისი ზ. გორგილაძე 18/V/95 წელი“.

ჩიტოს ჯაზი და ბლუზი უყვარს, უყვარს ფელინის ფილმები. ფერებიდან – წითელი, მწვანე და თეთრი. გაზაფხული კი მგონი მასავით არავის აგიჟებს. „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“ – მღერის ჩიტო და თითქმის მასთან ერთად მღერიან ის ყვავილებიც, მისი ბინის ყოველი კუთხიდან რომ იღიმებიან.

მის ბინაში ყველაზე მეტად ზღვის მხარის ფართო, ქათქათა, თეთრ ლარნაკებში ჩარგულ მცენარეებიანი, თეთრი მაგიდითა და თეთრი სკამებით, თეთრი ფილაქნისიატაკიანი ღია აივანი მიყვარს. მზე აქ შენგან თითქოს ხელის ერთ გაწვდენაზე ეშვება ზღვაში და იცი, რომ მისი დღევანდელი გარდაცვალება ხვალინდელი ზეაღსვლის ნიშანია უთუოდ.

ისევ ჩიტოს სიმღერას მინდა მივუბრუნდე. ვისაც მისი ნამღერი „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს, რომ სიყვარულს დიდი ძალა აქვს“ ან „თვალებს შევყურებთ, გულებს, გვგონია, მოეფერებით მერეც“, არ მოუსმენია, ნამდვილად დიდი სიხარული მოელის. ვინც ჩიტოს გულიან, ლამაზ სიცილს ვერ ჩაღრმავებია და მის თვალებში მოკიაფე ათასი ეშმაკუნა ვერ დაუნახავს, ბრმა ყოფილა. აბა რა ჩიტოს ბრალია, რომ ყოველთვის ისეთი სამსახური ჰქონდა, უმეტესად მამაკაცების გვერდით

უწევდა მუშაობა. პრობლემები და გულისტკენაც ყოფილა, მაგრამ რა გინდ რთულიც არ უნდა იყოს მათთნ მუშაობა, საოცარ თანაგრძნობას და ერთგულებას ხედავდა. მიაჩნია, რომ მამაკაცი ოჯახშიც და სამსახურშიც თავის ადგილზე უნდა იყოს. ერთ პატარა მაგალითს დაგისახელებთ. დაბადების დღეზე, დილით კაბინეტში შესულისთვის „მის ბიჭებს“, რომელთაც ის უდიდეს პატივს სცემს, თაიგულები და შამპანიურები მიერთმიათ.

არ იფიქროთ, ჩიტოს მხოლოდ მამაკაცების გარემოში უხდებოდეს მუშაობა. იგი სოროპტიმისტთა საერთაშორისო კლუბ „ბათუმის“ ერთ-ერთი დამაარსებელია.

ცოტაოდენი ქალბატონი ჩიტოს ოჯახის წევრებზეც... მამა, ნიაზ ომერაძე – ყველასთვის საყვარელი ადამიანია. დამსახურებული პედაგოგი, მოსწავლეთა „ბაბული მასწავლებელი“ (თვითონ ასე მიმართავს ბავშვებს მოფერებით). დედა კი – ქალბატონი რუსუდანი უანგაროდ მუშაობს მედიცინის დარგში ათწლეულების განმავლობაში.

ძმები – ჯემალი და ნუგზარი უპრეტენზიო, სინდის-ნამუსიანი ბიჭები არიან. ზედმეტი არ ჰქონიათ არასოდეს. ჩიტოს ცოტა გულს აკლია, ძმებს ისე ვერ ამოვუდექი გვერდით, როგორც საჭირო იყოო (რაშიც ვერაფრით დავეთანხმები. ნ. ბ.). მის ბინაში, ასე სუფთად, პეწიანად და გემოვნებით რომაა მორთული, მშობლებისა და ძმების დიდი წილიც გახლავთ.

ჩიტო ომერაძე გველის წელში დაბადებული „მორიელია“. ამიტომ ზოგ-ზოგებს მისი ხანდახან გაფიცხება ნუ გაგიკვირდებათ, ის ისეთი ქალია, რუსული გამოთქმისა არ იყოს, „მასთან ერთად შეიძლება დაზვერვაში წასვლა“.

ჩემთან უთქვამს, განვლილ გზაზე შეცდომებიც იყო, ზოგი გამოსწორებულია, ზოგიც არა. არავინ იფიქროს, რომ ნაკლს ვერ ხედავს თავის თავში. ხშირად უთქვამს, ზოგჯერ საოცრად ვეჭიდები ჩემს თავს, რომ არაფერი შემეშალოსო.

ჩიტოს არასოდეს ავიწყდება მეგობრებისთვის დაბადების დღის მილოცვა, გარდაცვლილი მეგობრის საფლავზე კონა ყვავილის მიტანა (მათი სურათები ახლაც მკვიდრობენ ჩიტოსთან წიგნის თაროზე). მას არც ჩემი გიმნაზიელი ქალიშვილისათვის წმინდა წყლის წამოღება დავიწყებია იერუსალიმიდან. ერთ ბედნიერ წინასაახალწლო ღამეს კი მართლა სანტაკლაუსივით გამოეცხადა ჩემს ტყუპებს და ორი კოლოფი უცხოური ნაძვის ხის სათამაშოები მოუტანა.

თითქოს ჩიტო ომერაძის მისამართით უთქვამს შანდორ პეტეფს:

„ჩემი სული – ტაძარია მაღალი,
მაგრამ სულსაც დავთმობ, ცრემლით ნამულო!
შემიძლია დავანგრიო ტაძარი
და ზვარაკად შემოგწირო, მამულო!“

ნინო არსენიშვილი

ჩემი პორტრეტი

ჩემი ფოტო გსურთ?
პორტრეტი ჩემი...
არ გამაჩნია სხვა პორტრეტი
ლექსების გარდა.
და ხასიათი,
განუყრელი თვისება ჩემი:
სიყვარულის მერგო უნარი,
როგორც ამბობენ, სამუდამო,
გაუხუნარი,
სიჯიუტეში გადასული
და, რა თქმა უნდა,
ბევრისათვის არმოსაწონი,
დასაწუნარი...
სხვა რაღა გითხრათ:
თვალთა ჭრილშიც, სულის უბეშიც
ჩაბუდებული მე ეს გრძნობა
ყველაფრად მყოფნის:
ცრემლად, პურადაც, სიხარულად
ამ ქვეყნად ყოფნის.

* * *

თუ დროზე არ გაიზარდე,
მერე სულ დარჩები ბავშვად;
მერე ვერვინ გამოგცვლის და
ვერ ჩაგაცმევს ნიღაბს – ჯავშანს.
რაც ხარ, – ეგ ხარ, ნაღდი ხარ და
ხარ ადვილად გასაგები,

მაგრამ აქ დევს უნდობლობის
უმძიმესი გასაღები.
უნდობლობა ტკივილსა გგვრის,
მაგრამ რაღაც აქვს სიამეც:
დარჩი ბავშვად,
დარჩი ბავშვად
და ეჭვები დამიამე.

და ვეტყვი ყველას

ჩემში უეცრად რაღაცა გაწყდა;
სინათლის სხივმა დაკარგა ძალა.
არ მაქვს სიახლის ჩვეული განცდა,
დარდს თითქოს ვმალავ და ვეღარც ვმალავ.
და სანამ წავალ, ღარიბი ვინმე,
მოხილვად შორი მირიად გზების,
ვიტოვებ იმედს, ვიტოვებ იმედს,
იმ სინათლისას და თითქოს ვთბები.
და ვეტყვი ყველას: რაღაც საოცრის
ისწავლონ ფასი საკუთარ თავში,
თორემ დადგება ჟამი გამოცდის
და დრო ყველაფერს მიწიერს წაშლის.

პოეზია

რამდენ სიხარულს შევალეწე
სულის ხომალდი,
რამდენი დარდის ამოხაპვა
დამჭირდა მერე...
ო, ღმერთმა იცის,
თავს არასდროს არა ვზოგავდი
და მაინც მითხრეს:
– დაჯექი და ლექსები წერე!
ლექსები წერე და მიენდე
სიტყვას სრულიად,
გაუგე გემო ზოგჯერ ტკბილსა
და ზოგჯერ მწარეს,
მოიხმე შენთან ორმაგნიც
და უსაპირონიც...

სიტყვა სამყაროს საწყისი
და დასასრულია
და მასშივეა პოეზიის
წმინდა მირონიც...

* * *

სულ ყველა ტირის, რომ დარჩა ჩრდილში,
ნეტა სამზეოს დავდივართ ვინღა?!
ზოგი არ იმჩნევს შემზარავ ტკივილს,
ზოგიც ტკივილის იფარებს ნიღაბს.
სულ ყველას უნდა, რომ იყოს დიდი
და განა ვინმე შეიმოსს ზეცას?!
ალალ-მართალიც და ფლიდზე ფლიდიც
გზებს ერთნაირი სურვილით კეცავს.
ყველა ისწრაფის სადღაც და როდის...
უნდა ფინიშთან იყოს პირველი;
ყველა ვერ უძლებს ტკივილს და ლოდინს,
ზოგი მსხვერპლია, ზოგი – მწირველი.

ᲙᲐᲖᲣᲠ ᲘᲨᲘᲒᲣᲠᲝ

ᲛᲔᲚᲕᲘᲠᲜ ᲰᲘᲚᲖᲘ

გაზაფხული ლონდონში გავატარე და თუმცა ყველაფერი, რაც ჩაფიქრებული მქონდა, ვერ ავისრულე, ჩემს ცხოვრებაში მაინც სასიამოვნო ეპიზოდად დარჩა. მაგრამ კვირა კვირას მისდევდა და ზაფხულიც მოახლოებული იყო და ჩვეულმა მოუსვენრობამ შემიპყრო. პირველი რაც იყო, მსუბუქი პარანოია დამემართა: უნივერსიტეტის ჩემს ძველ ნაცნობებთან ქუჩაში შემთხვევით შეხვედრის შიში გამიჩნდა. ქემდენ თაუნში ხეტიალისას ან დისკების საყიდლად, რომლის ფული თუმცა არც გამაჩნდა, ვესტ ენდის უზარმაზარ მაღაზიებში შესვლისას, ძალიან ბევრი ნაცნობი მხვდებოდა და ერთსა და იმავეს მეკითხებოდა: როგორ ვცხოვრობდი მას შემდეგ, რაც „პატივისა და ბედის“ ძიების გამო უნივერსიტეტში სწავლას თავი მივანებე. მარტო იმიტომ არა, რომ საკუთარ მიღწევებზე საუბრის მერიდებოდა. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ მცირე გამონაკლისის გარდა, ამ კონკრეტულ პერიოდში, ვერც ერთი ვერ გამიგებდა, იყო თუ არ ჩემთვის უკვე განვლილი რამდენიმე თვე „წარმატებული“.

როგორც გითხარით, რაც დაგეგმილი მქონდა, ყველაფერის განხორციელება ვერ შევძელიმეთქი. თუმცა, ის მიზნები, რომელთა შესრულებაც ვერ მოვახერხე, შედარებით გრძელვადიან პერიოდზე მქონდა გათვლილი და დასასაქმებლად საჭირო, ნებისმიერ ინტერვიუ-მოსმენას, თუნდაც ყველაზე წარუმატებელსაც, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი საშუალებით გამოცდილება თითქმის ყველაფერში შევიძინე, – რაღაც ლონდონის სცენის შესახებაც გავიგე, ცოტა რამ, – ზოგადად მუსიკის ბიზნესზეც.

ამ ინტერვიუ-მოსმენებს წმინდა ფილოსოფიური შინაარსი ჰქონდა. დავუშვად, დიდ საწყობში აღმოჩნდი ან გადაკეთებულ ავტოფარეხში, იქ მენეჯერი დაგხვდა (ზოგჯერ მის მაგივრად მეგობარი მუსიკოსიც დაგხვდებოდათ), მან შენს შესახებ შეიტყო თუ ვინ ხარ, ჩაის შემოგთავაზებს, ხოლო ზურგს უკან მუსიკალური ანსამბლი რეპეტიციას გადის. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მოსმენები ძალიან ქაოსურ სიტუაციაში მიმდინარეობდა. კერძოდ, როცა ბენდების უმრავლესობის საქმისადმი დამოკიდებულებას თვალს ადევნებ, უკვე ნათელია, ლონდონის მთელი მუსიკალური სცენა ძალიან მალე რატომაც გაუქმდა. დრო და დრო, ქალაქის გარეუბნის, ტიპიურ პატარა სახლებიან უბნებშიც მიწევდა გავლა, აკუსტიკურ გიტარას კიბეზე მივათრევდი

და დახუთულ ოთახში შევდიოდი, სადაც იატაკზე ლეიბები და საძინებელი ტომრები იყო ჩაჩხერილი, ბენდის წევრები პირს ძლივძლივობით აღებდნენ და თვალებში შეხედვას გაურბოდნენ. მათი არაფრისმთქმელი გამომეტყველების წინაშე იმდენ ხანს ვმღეროდი და ვუკრავდი, ვიდრე რომელიმე მათგანი დაახლოებით ასეთი სიტყვებით არ შემაწყვეტინებდა: „უჰ, საკმარისია. გმადლობთ, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ჟანრი მაინც არ არის“.

მალევე მივხვდი, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭების უმრავლესობას ინტერვიუ-მოსმენის წინ სცხვენოდათ ან უხერხულობის განცდა ჰქონდათ და თუ მათ სხვა რამეზე საუბარს გავუბამდი, გაცილებით გახსნილები იყვნენ. ასე მაშინ ვიქცეოდი, როცა რაიმე საჭირო ინფორმაციის მიღება მსურდა, მაგალითად, ყველაზე საინტერესო კლუბები სად იყო ან გიტარისტი კიდევ სხვა რომელ ჯგუფებს სჭირდებოდა. ან ზოგჯერ რაიმე ახალი სამუშაოს შოვნის შესახებ სიტყვას გადავუკრავდი ხოლმე. როგორც უკვე გითხარით, ცარიელი ხელებით მათგან არასოდეს მოვდიოდი.

ზოგადად, ხალხს ჩემი გიტარაზე დაკრული ნამდვილად მოსწონდა და ბევრიც ამბობდა, რომ ჩემგან არც თუ ისე ცუდი ბექ-ვოკალისტი[1] დადგებოდა. მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ ხელს ორი რამ მიშლიდა. ერთი ის, რომ აღჭურვილობა არ მქონდა. ბევრი ბენდი დინამიკებიან, მიკროფონიან ელექტრო გიტარას ითხოვს, სასურველია გორგოლაჭებიანიც იყოს, რათა მათ საკონცერტო გრაფიკში მოსახვედრად მზად იყვე. მე კი მხოლოდ ჩემი ორი აკუსტიკური, უკვე მოძველებული გიტარის ამარა ვიყავი. ასე, რომ, რაც არ უნდა ჩემი დაკრული ან ხმა მოსწონებოდათ, მაინც ერთი გამოსავალი იყო – ბენდის წევრად არ მივეღე. და ამაზე ვერც შეედავები.

მეორე მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილება კიდევ უფრო მეტად გამიჭირდა – და უნდა გითხრათ, რომ როდესაც მის შესახებ შევიტყვე, ცოტა გამიკვირდა კიდეც. აღმოჩნდა, რომ ჩემი დაწერილი სიმღერები პრობლემას მიქმნიდა. უბრალოდ, ამის დაჯერება არ შემეძლო. ჩვეულებისამებრ ჭუჭყიან ოთახში, არაფრისმთქმელ გამომეტყველებიანი ჯგუფის წინაშე ვუკრავ, ვამთავრებ, სიჩუმე თითქმის ნახევარ წუთს გრძელდება, მერე კი ვიღაც ეჭვით მეკითხება: „და ვისი მუსიკაა?“ ვამბობ, რომ ჩემი საკუთარია, და მორჩა, ფარდაც იხურება. ვიღაც მხრებს იჩეჩავს, ვიღაც თავს აკანტურებს, ვიღაც ცბიერად იღიმის, მერე კი ისევ უარი მესმის.

ერთხელაც, როცა იგივე განმეორდა, ველარ მოვითმინე და ვუთხარი:

– მომისმინეთ, ვერაფერი გავიგე. გინდათ, რომ მუდამ მხოლოდ ქავერების[2] შემსრულებლებად დარჩეთ? და თუ თქვენი ოცნებაც ესაა, მაშ, ამ სიმღერების პირველი ვარიანტები საიდანღა მოდის? ეჰ, მართალია. მათ ვიღაც ქმნის.

მაგრამ ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ვესაუბრებოდი, ცარიელი თვალებით მომაშტერდა და თქვა:

– ნუ გეწყინება, მეგობარო. ასე იმიტომ ხდება, რომ ირგვლივ უამრავი იდიოტი დაეხეტება, რომლებიც სიმღერებს წერენ.

ასეთი ბრიყვული დამოკიდებულება, როგორც ჩანს, ნებისმიერი ინგლისური მუსიკალური სცენისთვისაა დამახასიათებელი და იმაშიც დავრწმუნდი, რომ ის სამუდამოდ იარსებებს, ნებისმიერ შემთხვევაში, მთლიანად გადაგვარების საფრთხე ემუქრება და ეჭვიც არ მეპარება, რომ მუსიკალური ინდუსტრიის ყველა დონის პროცესზე თავის გავლენას ახდენს.

როცა ამას მივხვდი და იმაზეც დავფიქრდი, რომ რაც უფრო ზაფხული ახლოვდებოდა, თავშესაფრის პოვნა მით უფრო გამიძნელდებოდა, გადავწყვიტე: როგორც არ უნდა მოვეხიბლე ლონდონს, – ჩემი უნივერსიტეტში გატარებული დღეებიც კი მასთან შედარებით უფერულად მეჩვენებოდა – აუცილებლად დროზე უნდა გავცლოდი. ამიტომ, ჩემს დას, მეგის დავურეკე,

[1] ბექ-ვოკალისტი – მომღერალი, რომელიც სოლისტისთვის აკომპანიმენტს აკეთებს.
[2] ქავერი – სიმღერის ან მელოდიის გადაკეთებული ვარიანტი.

რომელსაც ქმართან ერთად მელვერნ ჰილზსში საკუთარი კაფე აქვს და გადაწყდა, რომ ზაფხულს მათთან ერთად გავატარებდი.

* * *

მეგი ოთხი წლით უფროსია და მუდამ ჩემზე დარდობს, ასე, რომ ვიცი, ჩემი დანახვა გააბედნიერებს. ერთიც უნდა ვთქვა: მუსიკალური პროგრამის შესრულების გარდა, ჩემთვის ცოტა სხვა რამით დახმარების შანსი რომ მიეცა, ძალიანაც გაეხარდა. როდესაც ვამბობ, მისი კაფე მელვერნ ჰილზსშია-მეთქი, ამით არ ვგულისხმობ, რომ ის ქალაქ გრეით მელვერნში ან სადმე გზისპირა დასახლებულ ა პუნქტში მდებარეობს, არამედ ზუსტად გორაკებშია. ეს არის განმარტოებით მდგარი, ვიქტორიანული ეპოქის სახლი, რომელიც დასავლეთის მხარეს იყურება. ასე, რომ კარგ ამინდში ჩაის და ნამცხვრის მირთმევა პირდაპირ კაფის ტერასაზე შეგიძლიათ და თან ჰერფორდშაირის ფართო ხედითაც ისიამოვნებთ. ზამთარში მეგის და ჯეფს კაფის დაკეტვა უწევთ, მაგრამ ზაფხულობით აქ ყოველთვის უამრავი ხალხია, განსაკუთრებით ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც საკუთარ მანქანებს ასი იარდით ქვემოთ, „ვესტ ინგლენდის“ ავტოსადგომში აჩერებენ და საზაფხულო სანდლებსა და ფერად-ფერად კაბებში ჩაცმულნი აქ გორაკის ბილიკით ამოდიან და ასევე, ამ ადგილას რუკებითა და სხვა საჭირო ნივთებით აღჭურვილ, მოსეირნე ტურისტთა ჯგუფებსაც შეხვდებით.

მეგიმ მითხრა, რომ ის და ჯეფი კაფეში დაკვრის საფასურს ვერ გადამიხდიდნენ და ამით კმაყოფილიც დავრჩი, რადგან შედარებით ცოტა რამ მომეთხოვებოდა და ბევრი მუშაობაც არ დამჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღამის გასათევი ოთახიც მომცეს და კვებაც უფასო მქონდა, მათ თანამშრომლებში მაინც მესამე კაცად ვითვლებოდი. პირობები მთლად გასაგები არ იყო და თავიდან, განსაკუთრებით, ჯეფმა თვითონაც არ იცოდა როგორ მომქცეოდა: უსაქმურობისთვის გავეგდე თუ ბოდიში მოეხადა და როგორც სტუმრისთვის, ყველაფერი ეპატიებინა. თუმცა მალევე ყველაფერი მოწესრიგდა. სამუშაო საკმაოდ იოლი აღმოჩნდა, სენდვიჩების კეთება კარგად გამომდიოდა და დრო და დრო საკუთარი თავისთვის ქალაქიდან სოფელში გადაბარგების მთავარი მიზნის შესახებ შეხსენება მჭირდებოდა: შემოდგომაზე კვლავაც ლონდონში დაბრუნებას ვაპირებდი რამდენიმე ახალ სიმღერასთან ერთად.

დილით ადრე ადგომა ჩვევაში მაქვს, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რომ კაფეში საუზმე ნამდვილი კოშმარი გახლდათ: ვიღაცას ასე მომზადებული კვერცხი უნდა მიუტანო, სხვა ცოტა მეტად გახუხულ ტოსტს გთხოვს, ამასობაში კი შესაძლოა ყველაფერი დაგეწვას ან გადაგეხარშოს. და ამიტომაც გადავწყვიტე, რომ თერთმეტზე ადრე კაფეში არასოდეს გამოვჩენილიყავი. ვიდრე ქვემოთ ასეთი ორომტრიალი იდგა, ჩემს ოთახში დიდ ერკერს[3] გამოვაღებდი, მის განიერ რაფაზე ჩამოვჯდებოდი, სოფლის ხედებით ვტკბებოდი და თან გიტარას ვუკრავდი ხოლმე. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ განსაკუთრებით მზიანი დარი დაიჭირა და აღტაცების გრძნობა დამეუფლა, თითქოს შემეძლო ასე, დაუსრულებლად ფანჯრიდან მეცქირა და როცა გიტარის სიმებს შევეხებოდი, მის ხმას ქვეყნის დასასრულამდე მიეღწია. და როგორც კი შემოვბრუნდებოდი და ფანჯარას მოვცილდებოდი, ქვემოთ კაფის ტერასას ვხედავდი, სადაც უამრავი მომსვლელ-წამსვლელი თავიანთ ძაღლებთან და ბავშვის საგორავებიან სკამებთან ერთად ირეოდა.

ეს მხარე ჩემთვის უცხო არ იყო. მე და მეგი აქედან სულ რამდენიმე მილის დაშორებით, პერშორში გავიზარდეთ და მშობლებს ამ სერებზე სასეირნოდ ხშირად მოვყავდით. ასეთი გასეირნებები გულზე სულაც არ მეხატებოდა და როცა წამოვიზარდე, მათზე საბოლოოდ უარი ვთქვი. თუმცა, იმ ზაფხულს, ვიგრძენი, რომ მთელს

[3] ერკერი – კედლის სიბრტყიდან გამოწეული ნახევარწრიული, სამკუთხა ან წახნაგოვანი შემინული ნაწილი. ხშირად ასდევს რამდენიმე სართულს, ზოგჯერ – მთელ ფასადსაც.

სამყაროში ამაზე ლამაზი ადგილი არ მოიძებნება და რომ წარსულშიც და ახლაც ამ სერებთან რაღაც უხილავი ძაფები მაკავშირებს. შესაძლოა, ნაწილობრივ ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენი მშობლები გაიყარნენ და საპარიკმახეროს მოპირდაპირედ მდგარი ნაცრისფერი პატარა სახლი „ჩვენი“ აღარაა. რაც არ უნდა იყოს, ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობი კლაუსტროფობია ამ ადგილის მიმართ თბილი გრძნობითა და ნოსტალგიით შემეცვალა.

სერებზე თითქმის ყოველ დღე დავეხეტებოდი, ზოგჯერ გიტარაც თან მიმქონდა, თუ დარწმუნებული ვიყავი, რომ არ გაწვიმდებოდა. განსაკუთრებით სერების მწკრივთა დასასრულს, ჩრდილოეთით ჩამომდგარი თეიბლ ჰილი და ენდ ჰილი მიყვარდა, სადაც ტურისტებს იშვიათად თუ გადავეყრებოდი. აქ, ზოგჯერ, საათობით, ჩემს ფიქრებში ისე ჩავიძირებოდი, რომ ერთ სულიერსაც თვალს ვერსად მოვკრავდი. თითქოს სერები პირველად აღმოვაჩინე და ვგრძნობდი, რომ ახალი სიმღერების შექმნის იდეაც თავში მიტრიალებდა.

თუმცა კაფეში მუშაობა სულ სხვა საქმე იყო. სალათს ვამზადებ და რაღაც ხმა მესმის ან ვხედავ, თუ როგორ მოდის ვიღაც დახლთან და წამიერად კვლავ წარსულში ვბრუნდები. ყველაზე ხშირად ჩემი მშობლების ძველი ნაცნობები მოდიოდნენ, ჩემს საქმიანობაზე მეკითხებოდნენ და თავის არიდება უხეში მანერით მიწევდა. ჩვეულებრისამებრ ისინი ასეთ რამეს მეუბნებოდნენ: „კარგია, რომ როგორც იქნა, რაღაც საქმით დაკავდი“ და პომიდვრის თხელ ნაჭრიან პურს დამანახვებდნენ ხოლმე, ვიდრე თავის ფინჯანლამბაქთან ერთად მაგიდისკენ გაეშურებოდნენ ან ისეთებიც გამოჩნდებოდნენ, სკოლიდან რომ ვიცნობდი და ახალი „საუნივერსიტეტო“ ხმით საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ჭკვიანურად შეეძლოთ ბეტმენის უკანასკნელ პერიოდში კინოეკრანებზე გამოსული ფილმის ანალიზი ან მსოფლიო სიღატაკის გამომწვევ რეალურ მიზეზებზე მიწყებდნენ საუბარს.

მათი საწინააღმდეგო სულაც არაფერი მქონდა. რამდენიმე მათგანის დანახვა ნამდვილადაც მიხაროდა. მაგრამ, იმ ზფხულს, კაფეში ერთი ადამიანი გვესტუმრა, რომლის დანახვაზეც შინაგანი მყინვარება ვიგრძენი და ის-ის იყო სამზარეულოდან გაქცევა დავაპირე, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ეს მისის ფრეიზერი გახლდათ, იგივე კუდიანი ფრეიზერი, როგორც ვეძახდით ხოლმე. მაშინვე ვიცანი, როცა ჭუჭყიან პატარა ბულდოგთან ერთად კაფის კარს გადმოაბიჯა. მინდოდა მეთქვა, რომ ძაღლებს შიგნით არ ვუშვებდით, თუმცა როცა ჩვენთან ვინმეს რაიმის შეძენა სურს, ძაღლს არავინ გარეთ არ ტოვებს. კუდიანი ფრეიზერი პერშორის სკოლაში ჩემი მასწავლებელი იყო. საბედნიეროდ, ვიდრე მეექვსე კლასში გადავიდოდი, პენსიაზე გავიდა, მაგრამ სკოლასთან დაკავშირებულ ჩემს მოგონებებს მისი აჩრდილი არ შორდება. მისის ფრეიზერს თუ არ ჩავთვლით, სკოლაში არც თუ ისე ცუდი სიტუაცია იყო, მაგრამ პირველივე დღიდან თვალში ამომიღო და თერთმეტი წლის ბიჭიც ასეთი ადამიანისგან თავის დაცვას როგორ მოვახერხებდი. ყველა სხვა ბოროტი მასწავლებლის მსგავსად, ისიც იგივე ხრიკებს მიმართავდა. მაგალითად, გაკვეთილზე ისეთ კითხვებს მაძლევდა, რომლებზეც დარწმუნებული იყო, რომ პასუხს ვერ გავცემდი, მერე მაიძულებდა ფეხზე ავმდგარიყავი და მთელ კლასს ჩემზე ეხარხარა. მოგვიანებით სიტუაცია შედარებით მორბილდა. მახსოვს, ერთხელ, თოთხმეტის რომ ვიყავი, ახალი მასწავლებელი, მისტერ ტრევისი კლასში რაღაცაზე გამეხუმრა. მე კი არ დამცინა, არამედ ისე, თანატოლივით იხუმრა, მთელმა კლასმაც გაიცინა და კმაყოფილიც დავრჩი. თუმცა ორი დღის შემდეგ, როცა დერეფანში მივდიოდი, მისტერ ტრევისი მასთან ერთად შემხვდა და როცა გვერდით ჩავუარე, მისის ფრეიზერმა გამაჩერა და საშინაო დავალების თუ სხვა რაღაცის შესახებ მთელი ამბავი ამიტეხა. საქმე იმაშია, რომ ეს მისტერ ტრევისისთვის გააკეთა, რათა მას სცოდნოდა, თუ როგორი „ამრევი“ ვიყავი და თუ პატივისცემის ღირსად მთვლიდა, თურმე ძალიანაც სცდებოდა. არ ვიცი, შეი-

ძლება ასე ასაკის გამოც იქცეოდა, მაგრამ სხვა მასწავლებლები მის ხასიათს ვერ ხვდებოდნენ და რასაც იტყოდა, სახარებისეულ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ.

იმ დღეს, როცა კუდიანი ფრეიზერი ჩვენთან მოვიდა, აშკარად მიცნო, მაგრამ არც გამიღიმა და არც სახელით მომმართა. ფინჯანი ჩაისა და კრემიანი ნამცხვრის ფული გადაიხადა და ტერასაზე გავიდა. მეგონა, რომ სულ ეს იყო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა, ცარიელი ფინჯანი და ლამბაქი დახლზე დადო და თქვა: „არ შეგიძლიათ, რომ მაგიდა აალაგოთ, ჭურჭელი მე თვითონ მოვიტანე“. ეს სიტყვები წარმოთქვა და იმაზე დიდხანს და ისეთნაირად მიმზერდა, ვიდრე სიტუაციას შეეფერებოდა და უსიტყვოდ მეუბნებოდა: „ეჰ, ადრე უნდა მეცემე“ და გამეცალა.

ბებერი ურჩხულის მიმართ ზიზღი ისევ განმიახლდა და როცა მეგი დაბრუნდა, მთლიანად ვდუღდი. მაშინვე შემამჩნია და მკითხა, რა დაგემართაო. ტერასაზე რამდენიმე ადამიანი იჯდა, კაფეში უცხო არავინ იყო, ასე, რომ ყვირილი ავტეხე და კუდიან ფრეიზერს ყველა იმ საზიზღარ სახელს ვეძახდი, რასაც თავისი სიტყვების გამო იმსახურებდა. მეგიმ დამამშვიდა და მითხრა:

– კარგი, რაა. ის მასწავლებელი აღარ არის. ერთი სევდიანი, ბებერი, ქმრისგან მიტოვებული ქალია.

– ამაში გასაოცარი სულაც არაფერია.

– მაგრამ მის მიმართ ცოტა თანაგრძნობა გმართებს. სამსახურს თავი დაანება, ეგონა, საკუთარი სიამოვნებისთვის იცხოვრებდა, მაგრამ ქმარმა მიატოვა, ახალგაზრდა ქალში გაცვალა და ახლა სასტუმროს მოვლა, რომელიც როგორც ამბობენ, სადაცაა დაინგრევა, სრულიად მარტოს უწევს.

ეს ახალი ამბავი მთელი გულით გამეხარდა. თუმცა კუდიანი ფრეიზერი მალევე მიმავიწყდა, რადგან ტურისტების ჯგუფი შემოვიდა და თინუსის სალათა უნდა მომემზადებინა. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სამზარეულოში ჯეფს ვეჭორავებოდი, მისგან კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია შევიტყვე, – მაგალითად, ის, თუ კუდიანი ფრეიზერის ქმარი ორმოცი წლით უმცროს, საკუთარ პირად მდივანთან ერთად მისგან როგორ წავიდა, თავიდან სასტუმრო არც თუ ურიგოდ მუშაობდა, მაგრამ ახლა უკვე ყველა ჭორაობდა, რომ სტუმრები ფულის უკან დაბრუნებას სთხოვენ ან ნომრის დანახვისთანავე უარს ეუბნებიანო. ეს სასტუმრო ერთხელ დავინახე, როცა მეგის წვრილმანების საბითუმო მაღაზიაში პროდუქტის ყიდვაში ვეხმარებოდი და მის ახლოს ჩავიარეთ. კუდიანი ფრეიზერის სასტუმრო პირდაპირ ელგარ რუთის გზაზე იდგა. ეს იოლად შესამჩნევი, გრანიტის ქვით ნაგები სახლი იყო, რომლის აბრაზეც „მელვერნ ლოჯი“ ეწერა.

მაგრამ კუდიან ფრეიზერზე საუბარი უკვე საკმარისია. მასზე ან მის სასტუმროზე აკვიატება სულაც არ მჭირს. ამ ყველაფერის მოყოლა მხოლოდ იმისთვის დამჭირდა, რაც მერე მოგვიანებით მოხდა, როცა ტილო და სონია ჩვენთან შემოვიდნენ.

იმ დღეს ჯეფი გრეით მელვერნში წავიდა და საქმეს მე და მეგი ვუძღვებოდით. ლანჩის დრო იწურებოდა, ფუსფუსის ცხელი პერიოდი მთავრდებოდა, მაგრამ როცა ფრიცები კაფეში გვესტუმრნენ, კვლავაც საქმეში ვიყავით ჩაფლულნი. მათ აქცენტს ყური მოვკარი თუ არა, საკუთარ თავს ვუთხარი: „ფრიცები“ არიანმეთქი. რასისტი სულაც არა ვარ. უბრალოდ, როცა დახლში დგახარ და უნდა დაიმახსოვრო, ვინ ჭარხალს ვერ იტანს, ვის პურის დამატება სურს, ვის შეკვეთას რამდენის გადახდა უწევს, შენდაუნებურად კლიენტების სახასიათო ნიშნებს ამჩნევ, თიკუნებს უძებნი, მათ ფიზიკურ აღნაგობას აფიქსირებ. ვიღაცა, – პირ-სახე სახედარივით რომ ჩამოგრძელებია, გლეხურ ბუტერბროდს და ყავას გიკვეთავს. „უინსტონ ჩერჩილს“ და მის მეუღლეს თინუსიან-მაიონეზიანი ბაგეტი სურთ. აი, ასეთი ტექნოლოგია მაქვს. ასე, რომ ტილო და სონია ჩემთვის „ფრიცებთან“ ასოცირდებოდნენ.

იმ ნაშუადღევს ძალიან ცხელოდა, მაგრამ სტუმრებს, რომელთა უმეტესობა ინგლისელები იყვნენ, ისევ გარეთ, ტერასაზე ჯდომა ერჩივნათ, რამდენიმე მათგანი ტენტისგან მოშორებით, მზეზე გარუჯვას ეშურებოდა, მაგრამ ფრიცებმა შიგნით, ჩრდილში ჯდომა გადაწყვიტეს. ორივეს განიერი, აქლემისფერი შარვალი, სპორტული ფეხსაცმელი და მაისურები ეცვათ, თუმცა მაინც მოხდენილად გამოიყურებოდნენ, რაც კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანებს ხშირად ახასიათებთ. მეგონა, რომ ორმოცის იყვნენ, შეიძლება ასე, ორმოცდაათამდეც, – მაშინ მათი ასაკისთვის დიდი ყურადღება არც მიმიქცევია. ლანჩის დროს წყნარად საუბრობდნენ და სასიამოვნო, საშუალო ხნის ნებისმიერ ევროპელ წყვილს გავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, კაცი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, 1915 წელს გადაღებულ, სახლის გაცრეცილ ფოტოს ყურადღებით დააცქერდა, რომელიც მეგის კედელზე ეკიდა. მერე, ხელები გაშალა და თქვა:

– ჩინებული სოფელი გაქვთ! ჩვენთან შვეიცარიაში მრავალი ლამაზი მთაა, მაგრამ აქ სულ სხვაა. აქ სერებია. თქვენ მათ სერებს ეძახით. განსაკუთრებული ხიბლი აქვთ, ისეთი ნარნარი, სასიამოვნო.

– ოჰ, ასე, რომ შვეიცარიიდან ხართ, – ზრდილობიანად უთხრა მეგიმ. – იქ წასვლა ყოველთვის მსურდა. ალპები, საბაგირო გზები – ზღაპარივით ჟღერს.

– რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას სილამაზე არ აკლია. მაგრამ, აქ, ამ ადგილს თავისი განსაკუთრებული ხიბლი აქვს. დიდხანს გვინდოდა ინგლისის ამ მხარის მონახულება. მხოლოდ ამაზე ვსაუბრობდით და აი, ჩამოვედით კიდეც! – კაცმა გულიანად გაიცინა. – აქ ყოფნა ნამდვილი ბედნიერებაა!

– შესანიშნავია, – თქვა მეგიმ. – იმედი მაქვს, რომ კარგ დროს გაატარებთ. რამდენი ხნით ხართ?

– კიდევ სამი დღე გავჩერდებით, მერე კი სამუშაოს უნდა დავუბრუნდეთ.უკვე დიდი ხანია, რაც გული აქეთ მოგვიწევდა, მას შემდეგ, რაც ელგარზე[4] გადაღებული ის არაჩვეულებრივი დოკუმენტური ფილმი ვნახეთ. აშკარაა, რომ ელგარს ეს სერები უყვარდა და ველოსიპედით სეირნობისას ამ ადგილებს გულდასმით სწავლობდა კიდეც და როგორც იქნა, ჩვენც აქ ვართ!

მეგიმ კაცს რამდენიმე წუთით საუბარი გაუბა, ეკითხებოდა, ინგლისში უკვე რომელი ადგილები მოინახულეს, აქ რის ნახვას აპირებდნენ, – ჩვეულებისამებრ ტურისტებს ასე ესაუბრებიან. ამგვარი საუბრები მანამდეც უთვალავჯერ მქონდა მოსმენილი და მე თვითონაც მეტ-ნაკლებად ავტომატურად შემეძლო, რომ გამება, ამიტომაც დანარჩენი საუბრისთვის აღარც მომისმენია. რაც შევიტყვე ის იყო, რომ ფრიცები შვეიცარიელები იყვნენ და ნაქირავები მანქანით მოგზაურობდნენ. კაცი საუბარს აგრძელებდა, იმეორებდა, ინგლისი როგორი დიდებული ქვეყანა იყო და ყველა, ვისთანაც კი მას აქ კონტაქტი ჰქონდა, გამორჩეულად ზრდილობიანები იყვნენ და მეგის ნებისმიერ, ნახევრად ხუმრობით ნათქვამზე, ხმამაღლა ხარხარებდა. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მათ აღარ ვუსმენდი, რადგან ჩვეულებრივ მოსაწყენ წყვილად მივიჩნიე. ყურადღება მხლოდ მაშინ მივაქციე, როცა რამდენიმე წუთის შემდეგ შევამჩნიე, როგორ ცდილობდა კაცი ცოლის საუბარში ჩაბმას, რომელიც მდუმარედ იჯდა, ტურისტების მეგზურის ბუკლეტს მიშტერებულიყო და ისე იქცეოდა, თითქოს საუბარი საერთოდაც არ ესმოდა. მხოლოდ ამის მერე დავიწყე მათი ყურადღებით თვალთვალი.

მზე ორივეს თანაბრად, ბუნებრივად მოჰკიდებოდა, ჩვენი ადგილობრივებისაგან განსხვავებით, რომლებიც გაოფლილ კიბორჩხალებს დაემსგავსებიან ხოლმე და მიუხედავად ასაკისა, ორივეს მოხდენილი, სპორტული აღნაგობა ჰქონდა. კაცს თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა, მაგრამ უბრწყინავდა და აკურატულად დაევარცხნა, რომელიც სამოცდაათიანი წლების ვარცხნილო-

[4] ედუარდ უილიამ ელგარი (1857-1934) – ინგლისელი კომპოზიტორი და დირიჟორი.

ბის, „აბბას“ მომღერალი ბიჭების სტილს წაგავდა. ქალს ქერა, თითქმის თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა, ტუჩის კუთხესთან გაჩენილი უმნიშვნელო ნაოჭები სახის გამომეტყველებას უმკაცრებდა და რომ არა ისინი, ასაკიანი ლამაზი ქალის შესახედაობა ექნებოდა. ასე, რომ, როგორც უკვე გითხარით, ქმარი ცოლის საუბარში აყოლიებას ცდილობდა-მეთქი.

– რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლეს ელგარი ძალიან მოსწონს და მისი სახლის ნახვა, სადაც ის დაიბადა, ძალიანაც აინტერესებს.

სიჩუმე.

ან: – უნდა გამოგიტყდეთ, რომ პარიზის დიდად მოყვარული არ ვარ. ლონდონი მირჩევნია. აი, სონიას კი უყვარს პარიზი.

ისევ სიჩუმე.

ყოველთვის, როცა მსგავს რამეს იტყოდა, კაცი კუთხეში მჯდარ ცოლს მიუტრიალდებოდა ხოლმე და მეგისაც მისკენ გახედვა უწევდა, მაგრამ ქალი წიგნიდან თავს არ წევდა. კაცს ეს დიდადაც არ აღელვებდა და ყბედობას ისევ მხიარულად განაგრძობდა. მერე ხელები ისევ გაშალა და თქვა:

– უკაცრავად, ცოტა ხნით დაგტოვებთ და ამ საუცხოო ხედით დავტკბები!

კაცი გარეთ გავიდა და ვხედავდით, ტერასაზე როგორ მიდი-მოდიოდა. მერე გაუჩინარდა. ცოლი კუთხეში ისევ ისე იჯდა, ტურისტების მეგზურის კითხვაში გართული და ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, მეგი მაგიდასთან მივიდა და ალაგება დაიწყო. ქალმა არანაირი ყურადღება არ მიაქცია, ვიდრე ჩემმა დამ მაგიდიდან ის თეფში არ აიღო, რომელზეც ფუნთუშის მომცრო ნაჭერი იდო. მან წიგნი უცბად მიაგდო და იმაზე ხმამაღლა დაიძახა, ვიდრე საჭირო იყო:

– მე ჯერ არ დამიმთავრებია!

მეგიმ მოუბოდიშა და ფუნთუშის ნაჭერი კვლავ თეფშზე დადო, რომელსაც როგორც შევნიშნე, ქალმა ხელიც არ ახლო. მეგიმ გვერდით ჩამიარა და შემომხედა, მხრები ავიჩეჩე. მერე, ოდნავ მოგვიანებით, ჩემმა დამ ქალს ძალიან ზრდილობიანად ჰკითხა, კიდევ რამეს ხომ არ ისურვებთო.

– არა. მეტი არაფერი მინდა.

ქალის ტონიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ მარტოდ დატოვება ერჩია, მაგრამ მეგი საკუთარი წესებით ხელმძღვანელობდა. თითქოს ძალიან აინტერესებდა, ქალს ჰკითხა:

– ყველაფერი მოგეწონათ?

ასე, ხუთი ან ექვსი წამით, ქალი ისევ კითხულობდა, ვითომ ნათქვამი ვერც გაიგო. მერე წიგნი კვლავ გვერდზე გადადო და ჩემს დას შეხედა.

– რადგან მეკითხებით, – თქვა მან, – გეტყვით. საჭმელი ნამდვილად ძალიან გემრიელი იყო. ყველაზე საუკეთესო, რაც კი ამ საშინელ ადგილობრივ კაფეებშია. თუმცა ოცდათხუთმეტი წუთის ლოდინი დაგვჭირდა, ვიდრე რაღაც სენდვიჩსა და სალათს მოგვიტანდით. ოცდათხუთმეტი წუთი.

მაშინვე მივხვდი, რომ ქალს ბრაზი ახრჩობდა. ის ბრაზი არა, წამიერად რომ დაგეუფლება და მალევე გაივლის. არა, ეს ქალი, შემიძლია ვთქვა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც მისგან იტანჯებოდა. სიძლიერის ხარისხით მისი გაცხარება თავის ტკივილს მოგაგონებდათ: თანდათან გემატება და გემატება, დასასრული არა აქვს და დაცხრომის პირი არ უჩანს. მეგი ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებულია და ამიტომაც მისთვის ასეთი სიმპტომები უცხოა და ალბათ გაიფიქრა, რომ ქალის ჩივილს რაღაც რეალური საფუძველი ჰქონდა. ამიტომაც მოუბოდიშა და თავის მართლებას მოჰყვა:

– როგორც ხედავთ, ამდენი სტუმრის გამო...

– ყოველ დღე ასეთი სიტუაცია გაქვთ? არა? ყოველ დღე, ზაფხულში, როცა მზიანი ამინდია, აქ ყოველთვის ასეთი ამბავია? ასეა? მაშინ ამისთვის რატომ არ ემზადებით? ჩვეულებისამებრ აქ თურმე ასე ხდება და აღარ უნდა გიკვირდეთ. ამის თქმა გსურთ, ხომ?

ქალი ჩემს დას შეჰყურებდა, მაგრამ როცა დახლიდან გამოვედი და მეგის გვერდით ამოვუდექი, მზერა ჩემსკენ გადმოანაცვლა. შესაძლოა სახეზე ჩემი გამომეტყველების გამოც მომაშტერდა, თუმცა დავინახე, რომ ბრაზი კიდევ უფრო მეტად მოჰკიდებოდა. მეგი ჩემსკენ მოტ-

რიალდა, შემომხედა და წყნარად მანიშნა, რომ მოვშორებოდი, მაგრამ ფეხიც არ მომიცვლია და ქალს თვალებში ჯიუტად ვუყურებდი. მას უნდა სცოდნოდა, რომ მეგის დამცველი ჰყავდა. ღმერთმა იცის, ეს სიტუაცია სადამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ ამ დროს მისი ქმარი დაბრუნდა.

– რა შესანიშნავი ხედია! შესანიშნავი ხედი, შესანიშნავი ლანჩი, შესანიშნავი ქვეყანა!

ცოტა ხანს კიდევ მოვიცადე, ვიდრე კაცი იმას შენიშნავდა, რაც ხდებოდა, მაგრამ რამეს რომც მიმხვდარიყო, სერიოზულად მაინც არ მიიღებდა. ცოლს გაუღიმა და სავარუდოდ ჩვენს გამო, ინგლისურად უთხრა:

– სონია, აუცილებლად უნდა წახვიდე და ამ საუცხოო ხედებით დატკბე. თუნდაც ამ პატარა ბილიკზე ბოლომდე გაისეირნე!

ქალმა გერმანულად რაღაც უპასუხა და ისევ წიგნს მიუბრუნდა. კაცი ოთახის სიღრმეში შემოვიდა და გვითხრა:

– დღეს მანქანით უელსში ვაპირებდით წასვლას. მაგრამ თქვენი მელვერნ ჰილზი ისეთი არაჩვეულებრივია, რომ დარჩენილი სამი დღის ისევ აქ გატარება მომინდა. თუ სონია დავითანხმე, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები!

მან ცოლს შეხედა, რომელმაც მხრები აიჩეჩა და რაღაც ისევ გერმანულად უთხრა, რაზეც კაცმა მისთვის ჩვეული ხმამაღალი და გულიანი სიცილით გაიცინა.

– კარგია! დამთანხმდა! ასე, რომ გადაწყდა. უელსში მანქანით აღარ წავალთ. მომდევნო სამ დღესაც აქ, თქვენთან გავატარებთ!

გაცისკროვნებული სახით შემოგვხედა და მეგიმაც რაღაც გასამხნევებული უთხრა. ცოტა შვებით ამოვისუნთქე, როცა დავინახე, რომ ქალმა წიგნი შეინახა და წასასვლელად გაემზადა. კაცი მაგიდასთან მივიდა, პატარა ზურგჩანთა აიღო და მხარზე მოიგდო. მერე მეგის უთხრა:

– ხომ არ შეგიძლიათ, აქ, სადმე ახლოს სასტუმრო მირჩიოთ? არც ისე ძვირიც რომ არ იყოს, მაგრამ კომფორტული და სასიამოვნო და თუ შესაძლებელია, რაღაცნაირი ინგლისური არომატიც რომ ჰქონდეს!

მეგი ცოტა ხანს შეყოვნდა და პასუხი დაუგვიანა, რაღაც ასეთი უაზრო ფრაზა წარმოსთქვა:

– როგორი გინდათ?

მაგრამ მე სწრაფად ვუთხარი:

– ყველაზე საუკეთესო ადგილი აქ, ახლოს, მისის ფრეიზერის სასტუმროა. ვუსტერის გზაზე. „მელვერნ ლოჯი“ ქვია.

– „მელვერნ ლოჯი“! ზუსტად ისე ჟღერს, როგორც საჭიროა!

მეგი გამკიცხავი სახით მომიტრიალდა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ისევ რაღაცეებს ალაგებდა, ვიდრე მათ კუდიანი ფრეიზერის სასტუმროს დეტალებს ვაცნობდი. მერე წყვილი წავიდა, კაცმა მადლობა გულითადი ღიმილით გადაგვიხადა, ქალს უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

ჩემმა დამ გადაღლილი თვალებით შემომხედა და თავი გააქნია. გავიცინე და ვუთხარი:

– აბა, ერთი მითხარი, თუ ეს ქალი და კუდიანი ფრეიზერი ერთმანეთს არ იმსახურებენ! ძალიან მაგარია, ასეთი შანსი ხელიდან რომ არ გავუშვი.

– შენთვის ასე გართობა მშვენიერია, – მეგიმ სამზარეულოსკენ ხელი წამკრა. – მაგრამ მე აქ უნდა ვიცხოვრო.

– და მერე რაა? მთელი ცხოვრება ამ ფრიცებს სადღა ნახავ და როცა კუდიანი ფრეიზერი შეიტყობს, რომ ჩვენ მის სასტუმროს რეკომენდაცია გავუწიეთ, არა მგონია, ისევ ჩივილსა და წუწუნს მოჰყვეს, ასე არ არის?

მეგიმ თავი ისევ გააქნია, თუმცა ამჯერად ღიმილი ვეღარ შეიკავა.

* * *

ამ ამბის შემდეგ კაფეში სიჩუმემ დაისადგურა, მერე ჯეფიც დაბრუნდა და მეც მაღლა ავედი, რადგან გადავწყვიტე, რომ სუფთა სინდისით შემეძლო განვმარტოებულიყავი. აქ ერკერის რაფაზე გიტარასთან ერთად ჩამოვჯექი და ცოტა ხანს იმ ახალ სიმღერაში ჩავიძირე, რომელიც ნახევრად უკვე დაწერილი მქონდა. მაგრამ მერე, – დროის გასვლა ვერც კი ვიგრძენი, – ქვემოთ ისევ ხმაური ატყდა, ტურისტები ჩაის დასალევად მოდიოდნენ. ხალხის დიდი მასა რომ

მოგვწყვდომოდა, როგორც ეს ჩვეულებისამებრ ხდებოდა ხოლმე, მეგი მაშინვე დასახმარებლად დამიძახებდა, რაც უსამართლობა იქნებოდა, რადგან იმ დღეს ჩემი საქმე უკვე გაკეთებული მქონდა. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ უპრიანი იქნებოდა სერებისკენ გამესეირნა და ჩემი სამუშაოც იქვე გამეგრძელებინა.

ისე, რომ არავის შევემჩნიე, უკანა გასასვლელიდან გავიპარე და სუფთა ჰაერი წამსვე შევიგრძენი. მზიანი დარი იდგა, გიტარას ბუდიანად მივათრევდი და ნელი სიო ძალიან მეამა.

ჩემს მიზანს ყველაზე განმარტოებულ ადგილამდე მისვლა წარმოადგენდა, რომელიც გასულ კვირას აღმოვაჩინე. იქამდე მისასვლელად, სახლის უკან, ციცაბო ბილიკით უნდა გევლო, შემდეგ შედარებით სწორი გზა გაგევლო და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გრძელ სკამთანაც აღმოჩნდებოდი. ამ ადგილით აღფრთოვანებული მარტო იმიტომ არ ვიყავი, რომ აქედან არაჩვეულებრივი ხედები იშლებოდა. მთავარი ის იყო, რომ ამ გზაზე გადაქანცულ შვილებთან ერთად ბარბაცით მიმავალ ტურისტებს ძნელად თუ დაინახავდით, რომლებიც გვერდით მოგისხდებოდნენ. მეორეს მხრივ, ეს არცთუ მთლად განმარტოებული ადგილი იყო: დრო და დრო, ვინმე ფეხითმოსიარულე მგზავრი გამოჩნდებოდა, გვერდით ჩაგივლიდა და გამარჯობას ასე გეტყოდა: „სალამი!“ ზოგჯერ გიტარაზეც გამეხუმრებოდნენ და შეუჩერებლად გზას განაგრძობდნენ. სულაც არ მწყინდა. იმისავითაა, – როცა მსმენელი ან გყავს, ან არა. მთავარი ისაა, რომ წარმოსახვა ცოტა უნდა შეაფუცხუნო.

სკამზე ალბათ ასე, ნახევარი საათი ვიჯექი, მორიგი გამვლელები რომ შევნიშნე, წინ ჩამიარეს და ჩვეულებისამებრ მოკლე სალამი მომცეს, მერე ცოტა მოშორებით შეჩერდნენ და მიყურებდნენ. მათი საქციელი არ მომეწონა და ოდნავ სარკაზმშეპარული ტონით ვუთხარი:

– ყველაფერი კარგადაა. ფულის დაგდება საჭირო არაა.

პასუხად ნაცნობი გულიანი ხარხარი მომესმა, თავი ავწიე და სკამისკენ მომავალი ფრიცები დავინახე.

უცბად ტვინში აზრმა გამიელვა: ისინი კუდიან ფრეიზერთან უკვე იყვნენ, მიხვდენ, რომ გავაცურე და ახლა ჩემსკენ შეგნებულად მოემართებოდნენ. მაგრამ ამ დროს შევნიშნე, რომ არა მხოლოდ კაცმა, არამედ ქალმაც მხიარულად გამიღიმა. ორივე სკამთან დაბრუნდა და ჩემს წინ გაჩერდა. მზე უკვე ჩადიოდა და ნათელი ცის ტატნობის ფონზე სილუეტებივით მოჩანდნენ. კიდევ უფრო მომიახლოვდნენ და შევამჩნიე, რომ გიტარას, რომელზე დაკვრას კვლავაც განვაგრძობდი, ისეთი ბედნიერი, გაოცებული სახით მიშტერებოდნენ, როგორც მხოლოდ თოთო ბავშვს შევუყურებთ ხოლმე. კიდევ უფრო მეტად იმან გამაოცა, რომ ქალი რიტმს ფეხს აყოლებდა. მომერიდა და დაკვრა შევწყვიტე.

– ოჰ, ისევ დაუკარით, რა! – შემეხვეწა ქალი. – ნამდვილად კარგია, რასაც უკრავთ.

– დიახ, – კვერი დაუკრა ქმარმა, – არაჩვეულებრივია! შორიდანვე მოგვესმა. ხელით მიმანიშნა. – აგერ, იქით ვიყავით, იმ გორაკის ქედზე და სონიას ვუთხარი, რომ მუსიკის ხმა მესმის-მეთქი.

– და სიმღერისაც, – დაამატა ქალმა. – ტილოს ვუთხარი, სადღაც მღერიან-მეთქი და ასეც იყო. სულ ცოტა ხნის წინ, ხომ მართლა მღეროდით?

არ მჯეროდა, რომ ეს მომღიმარი ქალი ის იყო, რომელმაც ლანჩის დროს ნერვები აგვიშალა და მათ ისე ვუყურებდი, თითქოს ვიღაც სხვებში მეშლებოდნენ. მაგრამ ზუსტად ისევ ისე ეცვათ და მიუხედავად იმისა, რომ კაცს „აბბას“ სტილზე დავარცხნილი თმა ქარზე ცოტა გასწეწოდა, შეუძლებელი იყო შემშლოდა. ასეა თუ ისე, კაცმა თქვა:

– თქვენ ის ჯენტლმენი უნდა იყოთ, იმ არაჩვეულებრივ რესტორანში ლანჩით რომ გაგვიმასპინძლდა.

დავეთანხმე, რომ ნამდვილად მე ვიყავი. მერე ქალმა თქვა:

– ის მელოდია, სულ ცოტა ხნის წინ რომ მღეროდით, იქ, ზემოთ გავიგონეთ, თავდაპირველად ქარს მოჰქონდა. თითოეული სტრიქონის დასრულების ტექნიკა მომეწონა.

– გმადლობთ, – ვუთხარი მე. ზუსტად ამაზე ვმუშაობ. ჯერ არ დამიმთავრებია.

– ასე, რომ თქვენი საკუთარი ნაწარმოებია? ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი ყოფილხართ! ისევ გვიმღერეთ, გეთაყვა, ისევ ის მელოდია, გთხოვთ!

– იცით რაა, – თქვა კაცმა, – როდესაც ამ სიმღერის ჩაწერას დააპირებთ, პროდიუსერს უნდა უთხრათ, რომ ასე უნდა ჟღერდეს. აი, ასე! – მან ხელი ჩვენს წინ გადაშლილ ჰერფერდშაირისაკენ გაიშვირა. – უთხარით, რომ თქვენ ასეთი ჟღერადობა გჭირდებათ, ასეთი სმენითი აღქმა, რის საშუალებასაც ასეთი გარემო იძლევა. მსმენელი მხოლოდ მაშინ მოისმენს ისეთ მელოდიას, როგორის მოწმენიც ჩვენ დღეს გავხდით, როცა გორაკის ქედიდან ქვემოთ ვეშვებოდით, ქარის მოტანილი ჰანგების.

– მხოლოდ ცოტა უფრო მკაფიოდ, – დაუმატა ქალმა. – თორემ მსმენელი სიტყვებს ვერ დაიჭერს. მაგრამ ტილო მართალს ამბობს. აუცილებლად უნდა მიანიშნონ, რომ სიმღერა გარეთ, ბუნებაში სრულდება. ქარი, ექო.

ისეთი აღფრთოვანებულნი იყვნენ, თითქოს ამ სერებზე მეორე ელგარი აღმოაჩინეს. თავდაპირველი ეჭვების მიუხდავად, გული მაინც მომილბა.

– კარგით, – დავეთანხმე, – ამ სიმღერის დიდი ნაწილი აქ დავწერე. გასაკვირი სულაც არაა, რომ სიმღერას აქაური გარემოს კვალი ეტყობა.

– დიახ, დიახ, – ორივემ ერთდროულად წამოიძახა და თავი დამიქნია.

მერე, ქალმა მითხრა:

– ნუ დაიმორცხვებთ, გეთაყვა. ისევ გვიმღერეთ. საოცარი სიმღერაა.

– მაშ, კარგი, – დავეთანხმე. შევეცადე ოდნავ დაუდევარი ტონით მესაუბრა. – კარგი. რადგან ასე გსურთ, გიმღერებთ. მხოლოდ იმ სიმღერას არა, რომელიც ჯერ არ დამიმთავრებია. სხვას. მაგრამ ვერ ვიმღერებ, თუ თქვენ ასე ფეხზე იდგებით.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – გაეხარდა ტილოს. – როგორ ვერ მოვიფიქრეთ. მე და სონიას შესრულება უამრავ უცნაურ და რთულ პირობებში გვიწევს, სხვა მუსიკოსების საჭიროებათა მიმართ გულგრილები ვართ.

კაცმა გარემო მოათვალიერა და ბილიკთან ახლოს, ნამჯის კიდეზე ჩამოჯდა, ჩემსკენ ზურგით დადგა და სახე ხედისკენ მიატრიალა. სონიამ გასამხნევებლად გამიღიმა და ქმრის გვერდით მოკალათდა. კაცმა მაშინვე მხრებზე ხელი მოხვია, ქალი მისკენ გადაიხარა, მერე თითქოს იქ არც ვიყავი, ერთმანეთს ისე ეალერსებოდნენ და სოფლის ჩამავალი მზის ხედით ტკბებოდნენ.

– აბა, დავიწყეთ, – ვთქვი მე და ის სიმღერა წამოვიწყე, ჩვეულებისამებრ ინტერვიუ-მოსმენებს რითიც ვიწყებდი ხოლმე. ხმა ჰორიზონტისკენ მქონდა მიპყრობილი, მაგრამ ტილოს და სონიას თვალს არ ვაშორებდი. მიუხედავად იმისა, რომ მათ სახეებს ვერ ვხედავდი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ერთმანეთზე ისე იყვნენ მიხუტებულნი და არ ინძრეოდნენ, ვხვდებოდი რომ ჩემი შესრულება მათ სიამოვნებას ანიჭებდა. როცა დავამთავრე, სახეგაბადრულნი მომიტრიალდნენ და ტაში დამიკრეს, სერებსაც ექომ გადაუარა.

– ფანტასტიურია! – თქვა სონიამ. – ნიჭიც ასეთი უნდა!

– ბრწყინვალეა, ბრწყინვალე! – გაიძახოდა ტილო.

ცოტა დავიბენი და თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ გიტარას რაღაცას ვუკეთებდი. როცა საბოლოოდ თავი მაღლა ავწიე, ცოლ-ქმარი ძველებურად ისევ ბალახზე ისხდნენ, მაგრამ ისე შემოტრიალებულიყვნენ, რომ მხედავდნენ.

– ასე, რომ მუსიკოსები ხართ? – ვკითხე მე. – მინდოდა მეთქვა, რომ პროფესიონალი მუსიკოსები?

– დიახ, – დამიდასტურა ტილომ. – ალბათ, შეიძლება ასეც ითქვას. მე და სონია დუეტში ვასრულებთ. სასტუმროებში, რესტორნებში. ქორწილებზე, წვეულებებზე. ევროპის გარშემო, თუმცა ყველაფერს მაინც შვეიცარიასა და ავსტრიაში მუშაობა გვირჩევნია. თავს ასე ვირჩენთ, ასე, რომ დიახ, პროფესიონალები ვართ.

– მაგრამ ყველაზე მთავარი და უპირველესი ისაა, რომ ჩვენ მუსიკის გვჯერა, – თქვა სონიამ. – და თქვენც, როგორც ჩანს, ასევე გჯერათ მისი.

– როცა საკუთარი მუსიკის მიმართ რწმენას დავკარგავ, – ვუთხარი მე, – აღარც დავუკრავ. მერე ესეც დავუმატე: მეც მსურს, რომ პროფესიონალი მუსიკოსი გავხდე. ეს ალბათ ძალიან კარგი ცხოვრებაა.

– ოჰ, ასეა, კარგი ცხოვრებაა, – თქვა ტილომ. – ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ეს შეგვიძლია.

– მომისმინეთ, – ვთქვი მოულოდნელად. – იმ სასტუმროში იყავით? მე რომელზეც გითხარით?

– რა უზრდელები ვართ! წამოიყვირა ტილომ. – თქვენი მუსიკით ისე გავერთეთ, რომ მადლობის თქმა სულ დაგვავიწყდა. დიახ, იქ წავედით და ძალიანაც მოგვეწონა. საბედნიეროდ, თავისუფალი ნომერი ჯერ კიდევ ჰქონდათ.

– ზუსტად ისეთია, როგორიც გვინდოდა, – თქვა სონიამ, – გმადლობთ.

თავი ისევ ისე დავიჭირე, ვითომ გიტარას რაღაცას ვუკეთებდი და მერე იმდენად ბუნებრივად ვთქვი, რამდენადაც შემეძლო:

– მოიფიქრეთ, სხვა სასტუმროც ვიცი. მგონი, „მელვერნ ლოჯზე“ უკეთესი უნდა იყოს. ალბათ, ცუდი არ იქნება, იქ რომ გადახვიდეთ.

– ოჰ, მაგრამ იქ უკვე ვიყავით, – თქვა ტილომ. – ჩვენი ბარგიც გავხსენით და ამოვალაგეთ, გარდა ამისა, ზუსტად ისეთია, როგორიც გვინდოდა.

– ეჰ, მაგრამ... საქმე იმაშია, რომ ადრე, როცა სასტუმროზე მკითხეთ, არ ვიცოდი მუსიკოსები თუ იყავით. ვიფიქრე, რომ ბანკირები ან რაღაც ამდაგვარი არიან-მეთქი.

ორივეს ისეთი სიცილი წასკდა, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი ანეგდოტი მეთქვას. მერე ტილომ თქვა:

– არა, არა, ბანკირები არ ვართ. თუმცა ბევრჯერ გვინატრია, რომ ვყოფილიყავით!

– მე იმას გეუბნებით, რომ აქ სხვა სასტუმროებიც არსებობს, ხელოვანებს რომ უფრო შეეფერებათ. რთულია, როცა უცნობები სასტუმროს რეკომენდაციას გთხოვენ, ვიდრე არ გაიცნობ, როგორი ხალხია.

– გმადლობთ, რომ ჩვენთვის ასე წუხდებით, – თქვა ტილომ. – მაგრამ, არ ღირს, გეთაყვა. იქაც მშვენივრად მოვეწყეთ. გარდა ამისა, ადამიანები ერთმანეთისგან არც თუ ისე ბევრად განვსხვავდებით. ბანკირებიც, მუსიკოსებიც, ცხოვრებისგან საბოლოოდ ერთსა და იმავეს ვითხოვთ.

– იცი, რაა, არ მგონია, რომ ეს ასეა, – ჩაერია სონია. – აი, ეს ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი, – მე ვფიქრობ, რომ ბანკში სამსახურს სულაც არ ეძებს. სულ სხვა რამეზე ოცნებობს.

– შეიძლება, მართალიც ხარ, სონია. მაგრამ სულ ერთია, ჩვენი სასტუმრო ძალიანაც მოგვწონს.

სიმებისკენ დავიხარე და მოკლე მუსიკალური ფრაზა ჩემთვის ჩამოვკარი. ორივე დუმდა. მერე ვკითხე:

– და როგორ მუსიკას უკრავთ?

ტილომ მხრები აიჩეჩა.

– ჩვენ ორივეს სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა შეგვიძლია. კლავიატურაზე ორივე ვუკრავთ. კლარნეტი მიყვარს. სონია მშვენიერი მევიოლინეა და ასევე ბრწყინვალედ მღერის. მიმაჩნია, რომ ყველაზე უკეთესად მაინც ჩვენი ტრადიციული, შვეიცარიული ხალხური მუსიკის შესრულება გამოგვდის, თუმცა თანამედროვე სტილში ვასრულებთ. შეიძლება ითქვას, რომ სუპერ-თანამედროვე სტილით. იმ დიდი კომპოზიტორებით ვართ შთაგონებულნი, ვინც იგივე გზა გაიარა. მაგალითად, იანეკმა[5], თქვენმა ვოენ უილიამსმა[6].

– მაგრამ ასეთ მუსიკას, – თქვა სონიამ, – ამ ბოლო დროს ასე ხშირად აღარ ვუკრავთ.

ერთმანეთს ისე შეხედეს, რაღაც დაძაბულობა ვიგრძენი. მერე ტილოს პირზე ისევ ჩვეული ღიმილი მოადგა.

[5] იანეკ გვიზდალა (დ. 1978) – ინგლისელი ჯაზ ბასგიტარისტი და პროდიუსერი.
[6] ვოენ უილიამსი (1872-1958) – ცნობილი ინგლისელი კომპოზიტორი.

– ასეა, როგორც სონიამ შენიშნა, ჩვენ რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ და უმეტესად იმის დაკვრა გვიწევს, რაც მსმენელს მოსწონს. ამიტომაც ბევრ ჰიტებს ვასრულებთ. „ბითლზებს“, „კარპენტრებს“. რამდენიმე თანამედროვე სიმღერასაც. იმას, რასაც გვთხოვენ.

– „აბბაზე“ რა აზრის ხართ? იმპულსურად ვკითხე და წამსვე ვინანე. მაგრამ ტილოს წარბიც არ შეუხრია.

– დიახ, რა თქმა უნდა, „აბბას“ რამდენიმე სიმღერაც გვაქვს. „მოცეკვავე დედოფალი“. ყოველთვის წარმატება მოაქვს. გულახდილად რომ გითხრათ, „მოცეკვავე დედოფალში“ მე პირადად უმნიშვნელოდ თუ წავიმღერებ. სონია დაგიდასტურებთ, რომ ძალიან საშინელი ხმა მაქვს. ამიტომაც ამ სიმღერას იქამდე არ ვმღერით, ვიდრე ჩვენი კლიენტები შუა ჭამაში არ არიან, როცა მათ გაქცევის შანსი უკვე აღარა აქვთ!

კაცმა ჩვეულებისამებრ ხმამაღლა გადაიხარხარა და სონიაც აჰყვა, თუმცა შედარებით წყნარად. შავი რეზინის კომბინიზოიანმა ველოსიპედისტმა დიდი სისწრაფით ახლოს ჩაგვიქროლა და გაგიჟებით წინ მიმავალ ფიგურას ყველამ თვალი გავაყოლეთ.

– შვეიცარიაში ერთხელ ვიყავი, – ვთქვი ბოლოს. ზაფხულში, ორი წლის წინათ. ინტერლაკენში. ახალგაზრდულ ტურბაზაში ვცხოვრობდი.

– ოჰ, დიახ, ინტერლაკენი. ლამაზი ადგილია. ზოგიერთი შვეიცარიელი მას აბუჩად იგდებს. ამბობენ, რომ მხოლოდ ტურისტებისთვისაა ზედგამოჭრილი. მაგრამ მე და სონიას აქ კონცერტის ჩატარება ყოველთვისაც გვიყვარს. ზაფხულის საღამოს ინტერლაკენში დაკვრა, როცა მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ბედნიერ ხალხს ხედავ, მართლაც ძალიან არაჩვეულებრივია. იმედი მაქვს, იქ კარგ დროს გაატარებდით.

– დიახ, მართლაც შესანიშნავი იყო.

– ინტერლაკენში ერთი რესტორანია, სადაც ყოველ ზაფხულს რამდენიმე ღამით კონცერტზე გამოვდივართ. პერფომანსისთვის რესტორნის გარეთ, ტენტით გადახურულ ადგილს ვირჩევთ, მაგიდებს პირდაპირ გადავცქერით, რომლებიც, რა თქმა უნდა, ასეთ საღამოებზე გარეთაა გამოტანილი და ყველა ტურისტს ვხედავთ, რომლებიც საჭმელს მიირთმევენ და თან ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ერთმანეთს ესაუბრებიან და ტურისტების უკან, დიდი მინდორია, სადაც დღისით პარაპლანერები ეშვებიან, ხოლო საღამოს ჰეევეგის გასწვრივ ლამპიონები ანათებენ და თუ უფრო შორს გაიხედავ, ალპებს დაინახავ, მინდორს რომ გადმოჰყურებენ. ეიგერის, მიუნჰის და იუნგფარუს კონტურები მოჩანს და ჰაერში სასიამოვნო სითბო და ჩვენი მუსიკის ჰანგები ერთდროულად ტრიალებს. როცა იქ ვართ, ყოველთვის ვგრძნობ, რომ ძალიან გაგვიმართლა. ვთვლი, რომ დიახ, კარგია, რასაც ვაკეთებთ.

– იმ რესტორანში, – თქვა სონიამ, – გასულ წელს მისმა მენეჯერმა გამოგვიცხადა, რომ მთლიანად ეროვნულ კოსტიუმებში უნდა გამოვწყობილიყავით და კონცერტი ასე უნდა ჩაგვეტარებინა, იმ პაპანაქება სიცხეში. ძალიან მოუხერხებელი იყო და ჩვენ ვუთხარით: რა მნიშვნელობა აქვს? ეს ფართხუნა ჟილეტები, შარფები და ქუდები რისთვის გვინდა? ჩვენს ზედატანებში კოხტად გამოვიყურებით და სტილიც ზუსტად შვეიცარიულია. მაგრამ რესტორნის მენეჯერმა გვითხრა, ან ასეთ კოსტიუმებს ჩაიცმევთ, ან არა და კონცერტს ვერ ჩაატარებთო. ჩვენი არჩევანი ესაო, გვითხრა და წავიდა.

– მაგრამ, სონია, ყველა სამსახურში ასეა. ნებისმიერი დამქირავებელი ფორმის ჩაცმას დაჟინებით ითხოვს. ბანკირებიც ზუსტად ასე იქცევიან! და ჩვენს შემთხვევაში, სულ მცირე, ეს ისაა, რისიც გვწამს. შვეიცარიული კულტურა. შვეიცარიული ტრადიცია.

და ცოლ-ქმარს შორის რაღაც გაუგებარი უხერხულობა კვლავ შეიქმნა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა, შემდეგ ორივემ გაიღიმა, თვალი ისევ ჩემი გიტარისკენ ეჭირათ. მომეჩვენა, რომ დუმილმა დიდხანს გასტანა და ვთქვი:

– მგონი, სხვადასხვა ქვეყნებში კონცერტების ჩატარება მომეწონებოდა. არ უნდა მოდუნდე, შენი მსმენელის ხასიათი ყოველთვის უნდა იცოდე.

– დიახ, – თქვა ტილომ, – კარგია, რომ კონცერტების დროს ყველა კატეგორიის ადამიანთან გვაქვს საქმე და არა მხოლოდ ევროპელებთან. ზოგადად, უკვე სხვა ბევრი ქალაქიც კარგად შევისწავლეთ.

– მაგალითად, დიუსელდორფი. – თქვა სონიამ.

ხმა უმნიშვნელოდ შეეცვალა, სიმკაცრე შეეპარა და მასში ისევ ის ქალი შევიცანი, პირველად რომ კაფეში შევხვდი. თუმცა, ტილომ თითქოს ვერაფერი შეამჩნია და უდარდელად მითხრა:

– დიუსელდორფში ახლა ჩვენი ვაჟი ცხოვრობს. თქვენი ასაკისაა. შეიძლება, ცოტა უფროსიც.

– ამ წელს ვიყავით დიუსელდორფში, – თქვა სონიამ, – იქ კონცერტი გვქონდა დანიშნული. ისეთი არა, როგორსაც ჩვეულებისამებრ ვატარებთ ხოლმე, – ეს ჩვენი საყვარელი მუსიკის შესრულება იყო და მას დავურეკეთ, ჩვენს ვაჟს, ჩვენს ერთადერთ შვილს, რათა იქ ჩასვლის შესახებ შეგვეტყობინებინა. ტელეფონზე არ გვიპასუხა და შეტყობინება დავუტოვეთ. მერეც ბევრი შეტყობინების დატოვება მოგვიწია. მაინც არ გვიპასუხა. ჩავედით დიუსელდორფში, კიდევ დავუტოვეთ მესიჯები. ვეუბნებოდით, რომ იქ ვიყავით, მის ქალაქში. ისევ არანაირი პასუხი. ტილომ მითხრა, არ ინერვიულოო, შეიძლება ღამით კონცერტზე მოვიდესო, მაგრამ არ გამოჩენილა. დავუკარით და მერე სხვა ქალაქში, მომდევნო კონცერტისთვის წავედით.

ტილომ ჩაიხითხითა.

– მგონი, პიტერს ჩვენი მუსიკა პატარაობიდან ყელში აქვს ამოსული! საცოდავი ბავშვი – ყოველ დღე ჩვენი რეპეტიციების მოსმენა უწევდა.

– ალბათ, ეს იოლი არ არის, – ვთქვი მე, – შვილებიც გყავდეს და მუსიკოსიც იყო.

– მხოლოდ ერთი შვილი გვყავდა, – თქვა ტილომ, – ასე, რომ არც თუ ისე რთული იყო. რა თქმა უნდა, გაგვიმართლა. როცა გასტროლებზე მივდიოდით და წაყვანა არ შეგვეძლო, მისი ბებია და პაპა სიხარულით გვეხმარებოდნენ და როცა პიტერი გაიზარდა, მისი გაგზავნა კარგ სკოლა-ინტერნატში მოვახერხეთ, რაშიც ისევ ბებია და პაპა დაგვეხმარნენ. სხვანაირად იქ სწავლის გადასახადს მარტო ჩვენ ვერ გადავიხდიდით. ასე, რომ ძალიანაც გაგვიმართლა.

– დიახ, გაგვიმართლა, – ჩაერია საუბარში სონია, – გარდა იმისა, რომ პიტერს სკოლა სძულდა.

სულ ცოტა ხნის წინანდელი კეთილგანწყობილი სიტუაცია ნამდვილად ფუჭდებოდა. ამიტომ გამოსწორებას შევეცადე და სწრაფად ვთქვი:

– ასეა თუ ისე, სჩანს, რომ ორივეს თქვენი სამუშაო სიამოვნებას ნამდვილად განიჭებთ.

– დიახ, ეს ასეა, – თქვა ტილომ, – ჩვენთვის ეს ყველაფერია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასვენებაც ძალიან გვჭირდება. იცით, ბოლო სამი წლის მანძილზე ეს ჩვენი პირველი რეალური შვებულებაა.

ამ სიტყვებმა ჩემზე ისევ ცუდად იმოქმედა და გავიფიქრე, რომ საუბარი კვლავ სასტუმროს შეცვლის შესახებ ხომ არ ჩამომეგდო, მაგრამ სასაცილოდ გამომივიდოდა. იმედად ისღა დამრჩენოდა, რომ კუდიანი ფრეიზერი საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენას დიდი ძალისხმევით შეეცდებოდა. ამის მაგივრად, ვუთხარი:

– თუ გსურთ, ისევ იმ სიმღერას გიმღერებთ, რომელიც ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია და ჩვეულებისამებრ ასე არ ვიქცევი ხოლმე, მაგრამ რადგან ნაწილი უკვე მოისმინეთ, წინააღმდეგი არ ვარ დანარჩენიც დავუკრა.

სონიას სახეზე ღიმილი ისევ დაუბრუნდა.

– დიახ, – მითხრა მან, – მოგვასმენინეთ, გეთაყვა. ასეთი ლამაზი მელოდია.

ვიდრე დასაკვრელად ვემზადებოდი, ცოლქმარი ჩემსკენ ისევ ზურგით მოტრიალდა. მაგრამ, ახლა, ჩახუტების ნაცვლად, ბალახზე საოცრად წელში გამართულნი დასხდნენ და მზისგან დასაცავად თვალებზე ხელისგულები აიფარეს. ვიდრე ვუკრავდი, ასე გაუნძრევლად ისხდნენ, გასაოცარ სიჩუმეს ინარჩუნებდნენ და უკან, გრძლად გაწოლილი საღამოს ჩრდილის ფონზე, გამოფენაზე გამოტანილ სკულპტურ-

ებს გავდნენ. რადგან სიმღერის დასასრული ჯერ კიდევ მოფიქრებული არ მქონდა, დაკვრა უთავბოლოდ შევწყვიტე. ცოლ-ქმარი მაშინვე არ განძრეულა. მერე მოდუნდნენ და ტაში დამიკრეს, თუმცა ისეთი აღტაცებით არა, როგორც პირველად. ტილო წამოდგა, კომპლიმენტებს ბუტბუტებდა, მერე სონია ფეხზე წამოაყენა. და აი, მხოლოდ მაშინ, მათი მოძრაობით მივხვდი, რომ ნამდვილად საშუალო ასაკის იყვნენ ან შეიძლება უბრალოდ გადაიღალნენ. როგორც შევიტყვე, ვიდრე გადამეყრებოდნენ, ცოტა ფეხით გაისეირნეს. ასეა თუ ისე, მაინც შევამჩნიე, რომ ადგომა გაუჭირდათ.

– დაუვიწყარი კონცერტი მოგვიწყეთ, – მითხრა ტილომ, – ტურისტები ვართ და ვიღაც ჩვენთვის უკრავს! ამაზე სასიამოვნო სხვა რა უნდა იყოს!

– ამ სიმღერას დიდი სიამოვნებით მოვისმენ, როცა დამთავრდება. – თქვა სონიამ და აშკარა იყო, მთელი გულით ამბობდა. – გამორიცხული არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, რადიოთიც მოვისმინო. ვინ იცის?

– დიახ, – თქვა ტილომ, – და მერე მე და სონია ჩვენს მაყურებელს საკუთარ ვერსიას ვუმღერებთ! – მისმა ხარხარმა ჰაერში ზარის ხმასავით გაიჟღერა. მერე ზრდილობიანად თავი ოდნავ დამიკრა და თქვა:

– ასე, რომ დღევანდელი დღის გამო თქვენი სამი ვალი გვაქვს. შესანიშნავი ლანჩისთვის. შესანიშნავი სასტუმროსთვის და ბოლოს – შესანიშნავი კონცერტისთვის, აქ, სერებზე!

სიმართლის თქმას რაღაც დაჟინებით მაიძულებდა, როცა მემშვიდობებოდნენ. უნდა მეღიარებინა, რომ ყველაზე ცუდ ადგილობრივ სასტუმროში შეგნებულად გავაგზავნე და ჯერ კიდევ დრო იყო, გამეფრთხილებინა, რომ სხვაგან გადასულიყვნენ, მაგრამ ასეთი გულითადი ხელის ჩამორთმევის შემდეგ, ეს სიტყვები პირიდან ვეღარ ამოვუშვი. მერე, ცოლ-ქმარი სერებიდან ქვემოთ დაეშვა და სკამზე ისევ მარტო დავრჩი.

* * *

როცა სერებიდან დავბრუნდი, კაფე დაკეტილი დამხვდა. მეგი და ჯეფი გადაქანცულები ჩანდნენ. მეგიმ მითხრა, რომ ასეთი გადატვირთული დღე ჯერაც არ ჰქონიათ და კმაყოფილი იყო. მაგრამ როცა კაფეში სხვადასხვა საჭმლის მონარჩენით სავახშმოდ დავსხედით, ჯეფმა უკმაყოფილო ტონით ისევ იგივე შემახსენა, რომ იმ დღეს თავზე საყრელი საქმე ჰქონდათ და მე კი დახმარების მაგივრად რას ვაკეთებდი? მეგიმ მკითხა, დღე როგორ გაატარეო და რადგან საქმის გართულება არ მსურდა, ტილო და სონია არც მიხსენებია, მაგრამ ვთქვი, რომ სიმღერაზე სამუშაოდ შუგარლოუფზე ავედი და როცა მკითხა, წინ თუ მაინც წაიწიეო და ვუპასუხე, რომ წინსვლა ნამდვილად მქონდა, ჯეფი წამოდგა, თეფშზე შეუჭმელი ვახშამი დატოვა და გაბრაზებული გავიდა. მეგიმ არაფერი შეიმჩნია, ვითომც აქ არაფერი და მართალიც იყო. ჯეფი სულ რამდენიმე წუთში ლუდის თუნუქის ქილიანად, უკან დაბრუნდა, უმეტესად ჩუმად იყო და გაზეთის კითხვას შეუდგა. ჩემს დასა და სიძეს შორის უთანხმოების მიზეზს მოვერიდე, ამის შემდეგ საკუთარ თავს მოვუბოდიშე და სიმღერის დასამთავრებლად ოთახს მივაშურე.

ჩემი ოთახი, რომელიც დღისით შთაგონებით აღმავსებდა, საღამოობით სულ სხვა იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფანჯარას ფარდები ბოლომდე არ ეფარებოდა და სიცხეში ვერ ვაღებდი, რადგან იქაურობა კოღოებით წამსვე ივსებოდა და სინათლე ჭერში ჩამოკონწიალებული მბჟუტავი ნათურიდან ძლივს რომ აღწევდა, გარშემო უღიმღამო ჩრდილებს ტოვებდა, რაც ოთახსა და საწყობს შორის არც თუ უმნიშვნელო განსხვავებას კიდევ უფრო ააშკარავებდა. იმ ღამეს, სიმღერის სიტყვების დასაწერად, თუ, რა თქმა უნდა, ისინი თავში მომივიდოდა, სინათლის ანთება ნამდვილად დამჭირდა. თუმცა დახუთულ ოთახში დიდხანს ვერ გავძელი, საბოლოოდ სინათლე გამოვრთე, ფარდები გადავწიე და ფანჯარა ფართოდ გამოვაღე. მერე, გიტარ-

იანად ერკერზე ჩამოვჯექი, როგორც დღისით ვაკეთებდი ხოლმე.

აქ ასე, დაახლოებით ერთი საათი ვიჯექი, პასაჟის დამაკავშირებელი სიტყვების სხვადასხვა ვარიანტებს ვუკრავდი, როცა კარზე კაკუნი გავიგონე და მეგიმ თავი შემოყო. რა თქმა უნდა, ისევ ბნელოდა, მაგრამ ქვემოთ, ტერასაზე დაცვის სინათლე ანათებდა და ჩემი დის სახის გარჩევა შევძელი. მეგი უხერხულად მიღიმოდა და მეგონა, რომ ქვემოთ ჩასვლას და დახმარებას მთხოვდა. ოთახში შემოვიდა, კარი მიხურა და მითხრა:

– ბოდიში, ჩემო საყვარელო. მაგრამ ჯეფი დღეს გადაიღალა, უბრალოდ ფეხზე ვეღარ დგას და ფილმის მშვიდად ყურებას ითხოვს?

მეგიმ ეს სიტყვები ზუსტად ასე წარმოთქვა, – შეკითხვის ინტონაციით და მაშინვე ვერ მივხვდი, რომ გიტარაზე დაკვრის შეწყვეტას მთხოვდა.

– მაგრამ მე მნიშვნელოვან პასაჟზე ვმუშაობ, – მივუგე.

– ვიცი, მაგრამ საშინლად დაღლილია და ამბობს, რომ შენი გიტარა დასვენებაში ხელს უშლის.

– დროა ჯეფმა გაიგოს, რომ მარტო ის არ მუშაობს, მეც ჩემი სამუშაო მაქვს.

ამ სიტყვებმა ჩემი და დააფიქრა. მერე ღრმად ამოიოხრა.

– ალბათ, ჯეფს ეს არ უნდა ვუთხრა.

– რატომ? რატომ არ უნდა უთხრა? დროა, იცოდეს.

– რატომ? იმიტომ, რომ ვიცი, არ ესიამოვნება და ეჭვი იმაშიც მეპარება, რომ შენსა და თავის სამუშაოს ერთმანეთთან აიგივებდეს.

ცოტა ხანს მეგის უსიტყვოდ მივშტერებოდი. მერე ვუთხარი:

– რა სისულელეს მელაპარაკები? ასეთ სისულელეს როგორ მეუბნები?

თავი უხალისოდ ჩაქინდრა, თუმცა არაფერი უთქვამს.

– არა, არ მესმის. ასეთი სისულელე რაში გჭირდება? და ეს მაშინ, როცა ჩემი საქმე წინ მიდის.

– საქმე წინ მიგდის, არა, საყვარელო? ასეა, ხომ? – დაღონებული შემომყურებდა, – მაშ, კარგი, – მითხრა ბოლოს, – შენთან კამათს არ დავიწყებ. – კარისკენ მიტრიალდა. – ჩამოდი, ჩვენთან, თუ გინდა, – დაუმატა ღია კარიდან.

ბრაზისგან გაცეცხლებული დახურულ კარს მივაშტერდი. ქვემოდან ტელევიზორის დაბალი ხმა მომესმა. მაშინ ასეთ გამწარებულ მდგომარეობაში მყოფიც კი, ტვინის რომელიღაც უჯრედში მივხვდი, რომ მეგიზე კი არ უნდა გავბრაზებულიყავი, არამედ ჯეფზე, რომელიც აქ ჩამოსვლის დღიდან ჩემთვის ძირის გამოთხრას ცდილობდა. და მაინც, ზუსტადაც საკუთარ დაზე გავცეცხლდი. ტილოსა და სონიასაგან განსხვავებით, მთელი ის დრო, რაც მათთან გავატარე, ერთხელაც არ უთხოვია, რომ რამე დამეკრა ან მემღერა. ნუთუ ასე ბევრს ვითხოვდი ჩემი დისგან, მით უმეტეს მაშინ, როცა ბავშვობიდან კარგად მახსოვდა მისი მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული? და ახლა, აქ, როცა მუშაობას ვცდილობ, მაწყვეტინებს და რაღაც სისულელეებს მეუბნება. გონებაში მის სიტყვებს ვიმეორებდი: „კარგი, ხელს არ შეგიშლი“ და ისევ ბრაზი მეკიდებოდა.

ფანჯრის რაფიდან ჩამოვხტი, გიტარა გვერდზე გადავდე და ლეიბზე გავიშხლართე. მერე, ცოტა ხანს ჭერზე გამოსახულ სინათლის ლაქებს მივაშტერდი. ცხადი იყო, რომ აქ თვალთმაქცურად მომიპატიჟეს; ზაფხულის გახურებულ სეზონზე იაფი დამხმარე სჭირდებოდათ, ერთი ვინმე დოყლაპია, რომელსაც ფულს არ გადაუხდიდნენ და სულ ეს იყო, მეტი არაფერი, მაგრამ ჩემი და ვერ იგებდა, რომ მე უფრო დიდი და უკეთესი რამის მიღწევას ვცდილობდი, ვიდრე მისი იდიოტი ქმარი. ორივე ღირსი იყო, რომ იმ დომხალში დაუყონებლივ მიმეტოვებინა და ლონდონში დავბრუნებულიყავი. ეს აზრი თავში განუწყვეტლივ მიტრიალებდა, ვიდრე ასე, ერთი ან ცოტა მეტი საათის შემდეგ, ოდნავ არ დავმშვიდდი და გადავწყვიტე, ეს ღამე როგორმე გამეთია.

* * *

როცა ქვევით ჩავედი, მას შემდეგ, რაც ვახშამზე ის უსიამოვნება მოხდა, ჩვეულებისამებრ, მათთან დიდხანს საუბარს გავურბოდი. პური გავიხუხე, ყავა დავისხი, ომლეტის ნარჩენები თეფშზე დავიდე და კაფის კუთხეში მივიყუჟე. მთელი ეს დრო იმაზე ფიქრი არ მასვენებდა, რომ ზემოთ, სერებზე, შესაძლო იყო ისევ ტილოსა და სონიას გადავყროდი. ალბათ კუდიანი ფრეიზერის სასტუმროს შესახებ რაიმის გაგება მსურდა და საკუთარი თავი იმაშიც გამოვიჭირე, რომ მათთან შეხვედრა ისევ მინდოდა. გარდა ამისა, სასტუმროს პირობები რაგინდ აუტანელიც არ უნდა ყოფილიყო, ვერც კი მიხვდებოდნენ, რომ იქ, ისინი, სრულიად შეგნებულად, ბოროტი განზრახვით გავაგზავნე. თავის დაღწევა სხვადასხვანაირად შემეძლო.

მეგი და ჯეფი ალბათ მელოდნენ კიდეც, რომ დილის ქაოსში მივეხმარებოდი, მაგრამ გადავწყვიტე ადამიანების მიმართ ანგარიშის გაწევის თაობაზე მათთვის გაკვეთილი მესწავლებინა. ასე, რომ საუზმის შემდეგ ზემოთ ავედი, გიტარა ავიღე და სერებისკენ უკანა შემოსასვლელიდან გავიპარე.

ისევ ძალიან ცხელოდა და ჩემს სკამამდე ვიდრე მივაღწევდი, ლოყებზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ საუზმის დროს ტილოსა და სონიაზე ფიქრი არ მასვენებდა, ახლა, აქ ისინი სრულიად მიმავიწყდნენ და როცა უკანასკნელი ფერდობი ავათავე და სკამს გავხედე, მარტო მჯდარი სონიას დანახვა ძალიან გამიკვირდა. მაშინვე შემამჩნია და ხელი დამიქნია.

მის მიმართ ისევ ცოტას ვფრთხილობდი და განსაკუთრებით მაშინ, როცა ტილო იქ არ იყო, მის გვერდით ჯდომა სულაც არ მეპიტნავებოდა. მაგრამ გულითადად გამიღიმა და ისე წამოიწია, თითქოს ჩემთვის ადგილის გათავისუფლებას ცდილობდა, ასე, რომ სხვა გამოსავალი აღარ მქონდა.

ერთმანეთს მივესალმეთ და ცოტა ხანს ასე, გვერდი-გვერდ ჩუმად ვისხედით. თავდაპირველად ეს არც თუ ისე უცნაურად ჩანდა, იმიტომ, რომ ამოსუნთქვა მჭირდებოდა და იმიტომაც, რომ თვალწინ ასეთი ხედი გადაშლილიყო. გუშინდელთან შედარებით გარემოს მეტი ნისლი და ღრუბელი მოჰფენოდა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, უელსის მისადგომებთან შავ მთებს მაინც შეამჩნევდით. ქარი გვარიანად, მაგრამ სასიამოვნოდ ქროდა.

– და ტილო სად არის? – ვკითხე ბოლოს.

– ტილო? ოჰ... – ქალმა ხელი ასწია და თვალებზე მოიჩრდილა. მერე თითი გაიშვირა. – იქ არის. ხედავთ? აი, იქ. ტილო იქ არის.

შორს, მწვანე სპორტულ მაისურსა და თეთრ კეპში გამოწყობილი ფიგურა დავლანდე, რომელიც ბილიკის ზემოთ, ვორსესტშაიერის სასიგნალო შუქურის მიმართულებით მოძრაობდა.

– ტილოს გასეირნება უნდოდა. – თქვა ქალმა.

– და თქვენ მასთან ერთად წასვლა არ გინდოდათ?

– არა. მე აქ დარჩენა გადავწყვიტე.

სონია ახლა კაფის იმ ჭირვეულ სტუმარს სრულებითაც არ ჰგავდა და არც ჩემთან იმ თბილ და მეგობრულად მოსაუბრე გუშინდელ ქალთან ჰქონდა საერთო. ნამდვილად რაღაც აწუხებდა და კუდიანი ფრეიზერის დასაცავად მოვემზადე.

– სხვათა შორის, – ვთქვი მე, – იმ სიმღერაზე ცოტა წავიმუშავე. გსურთ, რომ მომისმინოთ?

ქალი შეყოყმანდა, მერე მითხრა:

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ახლა არა. იცით, მე და ტილო ეს ესაა ვსაუბრობდით. შესაძლოა კამათიც კი ვუწოდოთ.

– ოჰ, დიახ. ძალიან ვწუხვარ.

– და მან სასეირნოდ გასწია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ამოვიოხრე და ვთქვი:

– ალბათ, ყველაფერი ჩემი ბრალია.

სონია ჩემსკენ მოტრიალდა, შემომხედა და მითხრა:

– თქვენი ბრალი? საიდან მოიტანეთ?

– თქვენ იმიტომ იჩხუბეთ, რომ მთელი შვებულება წყალში ჩაგეყარათ. ჩემი ბრალია. იმ სასტუმროს გამო, ასეა არა? არ ვარგა, ხომ ასეა?

– სასტუმრო? – ქალი საგონებელში ჩავარდა. – ის სასტუმრო. კარგით, შეიძლება იქ ყველაფერი მოსაწონი არ არის, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც სასტუმროა, სხვებზე არაფრით ნაკლები.

– მაგრამ თქვენ თვალში ზუსტადაც ის რაღაცეები მოგხვდათ, რაც მოსაწონი არ არის, ხომ ასეა? არაფერი გამოგპარვიათ. ნამდვილად არაფერი.

სონია ჩემს სიტყვებზე დაფიქრდა, მერე თავი დამიქნია.

– მართალი ხართ. რაღაცეები შევნიშნე. თუმცა, ტილომ სულაც არაფერი. ტილო, რა თქმა უნდა, თვლიდა, რომ სასტუმრო შესანიშნავი იყო. ოჰ, როგორ გაგვიმართლაო, – სულ ამას გაიძახოდა. სასტუმროში გაგვიმართლაო. ამ დილით ვისაუზმეთ. ტილოსთვის ეს ყველაზე საუკეთესო საუზმე იყო, რაც კი ოდესმე ჰქონია. ვეუბნები, ტილო ბრიყვი ნუ ხარ-მეთქი. სულაც არ არის კარგი საუზმე და არც ეს სასტუმროა კარგი-მეთქი. ის ისევ თავისას გაიძახის: არა, არა, ძალიან გაგვიმართლაო. ამიტომაც გავბრაზდი. მეპატრონეს ყველაფერი ვუთხარი, რაზეც პრეტენზია მქონდა. ტილო უკან მექაჩება. მოდი, გავისეირნოთო, – მეუბნება. თავს უკეთესად იგრძნობო. ასე, რომ გარეთ გამოვედით და მეუბნება, – სონია, ამ სერებს შეხედე, ულამაზესია, არა? როგორ გაგვიმართლა, შვებულებას რომ აქ წამოვედით, არა? ეს სერები, – ის ამბობს, – გაცილებით არაჩვეულებრივია, ვიდრე წარმომედგინა, როცა ელგარს ვუსმენდით. მეკითხება: ხომ ასეა? შეიძლება ისევ ამიტომაც გავბრაზდი. ვეუბნები, ეს სერები არც ისეთი გასაოცარია-მეთქი. ის მაინც არაა, რაც ელგარის მუსიკის მოსმენისას წარმომედგინა-მეთქი. ელგარის სერები დიდებული და იდუმალებით სავსეა. აქ კი ასეა თუ ისე, რაღაც პარკივითაა. აი, ყველაფერი ასე ვუთხარი და ახლა თვითონ გაბრაზდა. თქვა, რომ მაშინ სასეირნოდ მარტო წავალო. ამბობს, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა და ვერასოდეს ვთანხმდებით. დიახ, – ასე ამბობს, – სონია, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა – და წავიდა. სულ ეს არის. ამიტომაც არის, იქ, ზემოთ და მე აქ – ქვევით. ქალმა ხელით ისევ მოიჩრდილა და ტილოს გახედა.

– გულწრფელად ვწუხვარ, – ვუთხარი მე, – მე რომ თქვენ იმ სასტუმროში არ გამეშვით...

– გეთაყვა, სასტუმრო არაფერი შუაშია. – ტილოს უკეთესად დასანახად ქალი წინ გადაიხარა. მერე ღიმილით მომიტრიალდა და მომეჩვენა, რომ თვალებში ცრემლები აუკიაფდა.

– მითხარით, – თქვა მან, – დღეს ახალი სიმღერის დაწერას აპირებთ?

– ასეთი გეგმა მაქვს ან ყოველ შემთხვევაში, რაც დაწყებული მაქვს, იმას დავამთავრებ. აი, ის, გუშინ რომ უსმენდით.

– შესანიშნავი სიმღერაა. მერე რის გაკეთებას აპირებთ, როცა აქ სიმღერების წერას დაამთავრებთ? სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– ლონდონში დავბრუნდები და ჯგუფს ჩამოვაყალიბებ. ამ სიმღერებს სათანადო ჯგუფი ჭირდება, – სხვანაირად ვერ შესრულდება.

– რა ამაღელვებელია. წარმატებებს გისურვებთ.

ცოტა ხნის შემდეგ, წყნარად ვთქვი:

– მერე ისევ უნდა ვიწვალო. ასე იოლი სულაც არ არის, თქვენც ხომ იცით.

ქალს არ უპასუხია და გავიფიქრე, რომ ვერ გაიგონა, რადგან ისევ უკან მიტრიალდა და ტილოს გახედა.

– იცით რაა, – თქვა მან ბოლოს, – როცა ახალგაზრდა ვიყავი, არასოდეს ვბრაზდებოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი მაღიზიანებს. მე თვითონაც არ ვიცი, ასე რატომ დამემართა. ამაში კარგი არაფერი ყრია. ასეა თუ ისე, ვიცი, რომ ტილო აქ აღარ დაბრუნდება. სასტუმროში წავალ და იქ დაველოდები.

სონია სკამიდან წამოდგა, თან შორეულ ფიგურას მზერას არ აშორებდა.

– სირცხვილია, – ვთქვი და მეც ავდექი, – რომ შვებულების დროს იჩხუბეთ. აი, გუშინ, როცა თქვენთვის ვუკრავდი, ორივე ძალიან ბედნიერები ჩანდით.

– დიახ, კარგად გამოვიდა. გმადლობთ, ამისთვის. – უცბად, სონიამ გულითადი ღიმილით

ხელი გამომიწოდა. – თქვენი გაცნობა ძალიან სასიამოვნო იყო.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, შედარებით მსუბუქად, ისე, როგორც ქალებს ეკადრებათ. სონია თავის გზას გაუდგა, მაგრამ შეჩერდა და შემომხედა.

– ტილო რომ აქ ყოფილიყო, გეტყოდათ, რომ სასოწარკვეთილებას არასოდეს მიეცეთ. ალბათ, იმასაც გეტყოდათ, რომ ლონდონში აუცილებლად უნდა დაბრუნდეთ და ჯგუფის ჩამოყალიბებას შეეცადოთ. რა თქმა უნდა, წარმატებებს მიაღწევთ. აი, ეს არის, რასაც ტილო გეტყოდათ. იმიტომ, რომ ეს მის სულშია.

– და თქვენ რაღას მეტყოდით?

– მეც იგივეს გავიმეორებდი. რადგან ახალგაზრდა და ნიჭიერი ხართ. თუმცა მე საკუთარ თავში ასე დარწმუნებული არ ვარ, რადგან ცხოვრება საკმაოდ მრავალი იმედგაცრუებითაა სავსე. როცა გიმართლებს, ამაზე არც ოცნებობ...

ისევ გამიღიმა და მხრები აიჩეჩა.

– მაგრამ ეს არ უნდა მეთქვა. თქვენთვის კარგ მაგალითად ვერ გამოვდგები. გარდა ამისა, ვგრძნობ, რომ ტილოს უფრო გავხართ. თუ გაწბილდებით, არ უნდა დანებდეთ. მასავით თქვენც ასე უნდა თქვათ: როგორ გამიმართლა.

რამდენიმე წუთით მზერას არ მაშორებდა, თითქოს ჩემს დამახსოვრებას ცდილობდა. ნელი სიო თმებს უფრიალებდა, რის გამოც ასაკთან შედარებით გაცილებით ხანდაზმული ჩანდა.

– ბევრ წარმატებას გისურვებთ, – მითხრა ბოლოს.

– ასევე თქვენც, – ვუთხარი მე, – და ვიმედოვნებ, რომ ისევ შერიგდებით.

ქალმა ხელი საბოლოოდ დამიქნია, ბილიკზე დაეშვა და გაუჩინარდა.

გიტარა ბუდიდან ამოვაძვრინე და სკამზე დავჯექი. ცოტა ხანს არაფერი დამიკრავს, რადგან შორს ვიყურებოდი, ვორსესტერშაიერის სასიგნალო შუქურისაკენ და აღმართზე ტილოს ერთ ციცქნა ფიგურასღა ვხედავდი. შესაძლოა იმიტომაც, რომ მზის სხივები ამჯერად სერების იმ ნაწილს ეცემოდა, მაგრამ ახლა უფრო მკაფიოდ ვხედავდი, ვიდრე მანამდე, მიუხედავად იმისა, რომ უფრო შორს წასულიყო. ბილიკზე ცოტა ხანს შეჩერდა, ალბათ მის გარშემო აღმართულ სერებს ათვალიერებდა, თითქოს მათ ხელახლა შეფასებას ცდილობდა. მერე ისევ გზა განაგრძო.

რამდენიმე წუთით ისევ სიმღერაზე წავიმუშავე, მაგრამ აზრების თავმოყრა გამიჭირდა, ძირითადად კუდიანი ფრეიზერის გამომეტყველებაზე ვფიქრობდი, სონია რომ იმ დილით თავს დააცხრა. მერე ღრუბლებს ავხედე და ქვემოთ გართხმული სივრცის ცქერით დავტკბი და საკუთარ თავს ისევ სიმღერაზე ფიქრი ვაიძულე, იმ დამაკავშირებელ პასაჟზე, რომელიც ვერაფრად ვერ დავწერე.

ინგლისურიდან თარგმნა **მაია ბოლაშვილმა**

ჯედა ახმადულინა

დიდი ხნის წინათ დაწერილი ლექსი

თხუთმეტი ვაჟი, იქნება მეტიც,
შეიძლება უფრო ნაკლებიც, ვიდრე თხუთმეტი,
გაუბედავი ხმით მეუბნებოდა:
„კინოში წავიდეთ, გნებავთ, მუზეუმში“.
აი, რა ვუპასუხე მე მათ:
„Мне некогда“.
თხუთმეტი ვაჟი მჩუქნიდა ენძელებს.
თხუთმეტი ვაჟი სიყვარულს მიხსნიდა:
„მე შენ არასოდეს არ გიღალატებ“.
აი, რას ვპასუხობდი მე მათ:
„Посмотрим“.
ახლა მშვიდად ცხოვრობს თხუთმეტი ვაჟი.
მათ მოიხადეს სახადი, როგორც ვალი,
ენძელებით, სასოწარკვეთითა და ბედისწერით.
ისინი უყვართ გოგონებს – უფრო
ლამაზებს, ვიდრე მე ვარ, და უფრო ულამაზოებსაც.
იმავდროულად, თხუთმეტი ვაჟი, სრულად
თავისუფალი, შეხვედრისას ქედმაღლურად
მესალმება, ჩემთან შეხვედრისას ესალმებიან
თავიანთ თავისუფლებას, ნორმალური სიზმრებითა
და ბედისწერით...
შენ ბოლოდან პირველი ყმაწვილი ხარ, ჩემთან რომ
მოდიხარ ტყუილ-უბრალოდ.
მე შენს ენძელებს ჭიქაში ჩავდებ და მისი
ფესვებიანი ტუმბოები გამოისხამენ ვერცხლისფერ ბუშტუკებს.
მაგრამ თუ დარწმუნდები, რომ შენ მე შემიძულებ
და საკუთარ თავთან გაიმარჯვებ, ქედმაღლურად
დამიწყებ ლაპარაკს.
თითქოს მე შენ დამამარცხე.
მე კი ჩავივლი ქუჩა-ქუჩა.

თიფლისი

მიყვარს სიცოცხლე, ხიბლი იმისი,
ტიციან ტაბიძის ნაკვალევს – ხაბარდა,
შენ ხარ მოფუსფუსე ძველი თიფლისი,
შენმა გულმა ჩემში გაინავარდა.

წყნეთელი მემაწვნე და სახედარი მომწონს,
მე მოვალ შენთან, ისე, როგორც კინტო,
მომწონს მაწონი და თვალების კოცონი,
მიყვარხარ და მიტომ, მიყვარხარ და მიტომ.

შენთვის მინდა ჩემი ავლა-დიდება,
ამიტომ უცნაურ ფიქრებს მოვეშვი.
მდუღარე ჯოჯოხეთში ჩავყვინთო ეგება,
როგორც ხაბაზმა – მხურვალე თონეში.

ჩემი ჩიტები შენთვის გალობენ,
ჩემი ფიქრები შენს ღვინოს სვამენ,
მეც მინდა გიყურო იმ ნუკრის თვალებით,
რომლებსაც ხატავდა ნიკო ფიროსმანი.

უთიფლისო ცხოვრებას უაზრო დავარქვი,
ვერ დავაბინავე ვნებები საკუთარი,
თუა სადმე თიფლისივით ლამაზი ქალაქი,
სადაც ცხოვრობენ თამაზი და ოთარი.

როცა მინავლდება სუნთქვა და მეტყველება,
და გაფერმკრთალდება მზე და ირისი,
დავასწრებ და გეტყვი – მომეცი ნება,
რომ შენთვის მოვკვდე, ჩემო თიფლისო!

აპრილი

ქალიშვილებს წყურიათ სიყვარული,
სალაშქროდ წასვლა წყურიათ ვაჟებს,
აპრილი ტყვიას ტყვიაში აჯენს,
ადამიანებს სურთ გარემო მხიარული.

ახლო მთვარევ, ახალო განგებავ,
შენ აწესრიგებ პლანეტების განლაგებას,

შენი გულუხვობა კარგად გამეგება,
მალე შეწყალების დრო-ჟამი დადგება.

შენ ახსნი მოსკვა-რეკას ბორკილებს,
შეშლილებს შენ გაუნათებ გონებას,
ვენერა ყურისძირთან გეგონება,
რინგზე გაიყვან ბებერ მოკრივეს.

შენი დანდობა არ ჭირდება ბელას,
სიხარბით არ გთხოვ სურსათ-სანოვაგეს,
მე ამის გამო პასუხსაც არ ვაგებ,
ჩავაქრე შუქი და ოთახში ბნელა.

ორი ავაზა

ეს ჭაღი, ეს თაღი, ეს ზოო+
სადაც გედები და ზოობაღია,
თვალსაწიერშია ზოოეზო,
წევს ორი ავაზა თვალღია.

ორი ავაზა – ხორცი ხორცთაგანი,
გულთან გული და გული გულთან,
ორი ავაზა, ორივე მათგანი,
ორივე ავაზა, რა უნდა უთხრა.

ოქროსთვალებით გვიმზერენ, უსივრცო,
გამოუვალი სიყვარულის მაგვარი,
მიამიტური ბრბოს თავშესაქცევად,
ჩახუტებულები წვანან და ეგ არი.

მე თუ მივალ მათთან, როგორც მიჯნური,
თუმცა თავისუფლად ვერ გავექანები,
მათი ჩახუტება – გაუვალი ჯუნგლები,
მყარი, როგორც მთების ქანები.

ჩახუტებულები წვანან, იმათ გარდა,
არც ზღუდეა და არც ხიდი ლამაზი,
მხოლოდ ასე, მხოლოდ ასე, ორი გეპარდი,
ორი გეპარდი ანუ ორი ავაზა.

* * *

მარადიული წესია და რიგი –
იყო ქალი და მამაკაცის ცოლი,
მაგრამ ზეციდან დამყურებს იგი
და გაორებას არავინ დამაცლის.

შენ თუ დამიფარავ ავი თვალისაგან,
მზერა დაუნდობელი ისრებს მაგონებს,
გვერდით აუარე აქაც და სხვაგანაც,
ჟოლოს ფოთლებით შემოსილ გოგონებს.

მათი სიცილი ფოთლებს ხელში ეკავა,
ნაღვლიანი გასცქერიან ბუნდოვან მხარეს,
მე მათ საკუთარი მკერდით ვკვებავდი,
მინდოდა – თაფლით, ვკვებავდი შხამით.

მათ თვალებში ჩვენი ერთობა ჰყვავის,
მაგრამ ჯერ კიდევ არ სჯერა მრავალს,
ღმერთმა არ დაბადოს თეთრი ყვავი,
და თუ დაბადა, არ გაამრავლოს.

უმეცრება როდია თეთრი შაშვი,
ყვავი ყოველთვის შავია წვიმაშიც,
ბავშვების წინაშე მე ვარ დამნაშავე,
მე უცოდველი ვარ ხალხის წინაშე.

რუსულიდან თარგმნა **შოთა ზოიძემ**

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

„ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲣᲭᲝᲕᲘᲐ“

(გაბრიელ გარსია მარკესის მხატვრული მრწამსი)

ერნესტ ჰემინგუეიზე საგანგებოდ რომ დაფიქრდებოდა გაბრიელ გარსია მარკესი, რათა წლობით ნაგრძნობ-განსჯილი ესეიდ გარდაესახა, თანაც ყველაზე ღრმადინტიმური გადმოსახედიდან, რასაც გულისხმობს სიტყვა „ჩემი“, და პორტრეტული შტრიხების მონახაზი ასეც დაესათაურებინა: „ჩემი ჰემინგუეი“ – ძალდაუტანებლად უნდა წამოტივტივებოდა უილიამ ფოლკნერის სახებაც, და შეპირისპირებითი განსჯის ღრმააზროვანი ნიმუშიც ებოძებინა ჩვენთვის.

ამასთან თავისი სულიერი წინამორბედები გაემჟღავნებინა, თავის მხატვრულ ძიებათა გზაგამკვალავნი.

თვითონ ასე მოიხსენიებდა:

ჩემს მაესტროდ ორი ჩრდილოამერიკელი მწერალი მიმაჩნდა, რომელთაც ერთმანეთთან ცოტა რამ თუ ჰქონდათ საერთოო.

იმ დროისათვის გამოცემული მათი ყველა ნაწარმოები წაეკითხა და მისთვის ეს უბრალოდ საკითხავი მასალა კი არ გახლდათ, არამედ ლიტერატურული ჟანრის ორ განსხვავებულ და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა.

ერთი მაესტრო – უილიამ ფოლკნერი – არასოდეს ენახა და მხოლოდ ისეთად თუ წარმოიდგენდა, როგორიც კარტიე ბრესონს თავის ცნობილ ფოტოზე აღებეჭდა:

ორი თეთრი ძაღლის გვერდით მდგომი მკლავებდაკაპიწებული ფერმერი, ცალი ხელი მკლავზე რომ შემოედო.

მეორე მაესტრო კი წამიერად ნანახი ადამიანი გახლდათ, ტროტუარის მეორე მხრიდან რომ დაეყვირა მისთვის: შეხვედრამდე, მეგობაროო!.. – და ისეთ შეგრძნებას დაუტოვებდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მომხდარიყოს მის ცხოვრებაში, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა.

ეს მოხდებოდა 1957 წლის ერთ წვიმიან დღეს პარიზში, სან-მიშელის ბულვარის მოპირდაპირე მხარეს, ლუქსემბურგის ბაღისაკენ მიმავალს რომ დაინახავდა, და ხელისგულებს ტარზანივით აიფარებდა პირზე და დაუყვირებდა:

– მაესტროო!

და მაშინ იქნებოდა, ის ხელის აწევითა და ოდნავ ბავშვური ხმით კასტილიურად რომ გამოსძახებდა:

– შეხვედრამდე, მეგობარო!

ეს ყოფითი დეტალი ძალდაუტანებლად განზოგადდება ჩვენს წარმოსახვაში და იქ, სივრცეებში შეხვედრაზე მიგვანიშნებს.

იქ, სივრცეებში შეხვედრაზე მიგვანიშნებდა ის დეტალიც, მარკესი უნებლიედ რომ გადაჰყროდა ფოლკნერს და მისთვისაც „მაესტრო“ მიეძახა, მას კი ხმისგაუღებლად ჩაევლო.

ნეტა ვის ეთქვა:

ჩვენ, მწერლები სხვა მწერალთა რომანებს მხოლოდ იმიტომ ვკითხულობთ, რათა გავერკვეთ, წერის რა საშუალებებს ფლობენ ისინიო?

მთქმელს ვერ იხსენებდა მარკესი, თუმც დათანხმებით ეთანხმებოდა, ეს ნამდვილად ასეაო, და თავის მხრივ ამ პროცესის აღდგენას მოინდომებდა:

ჩვენ ნაწარმოების ერთხელ წაკითხვით ვერ ვკმაყოფილდებით, წიგნის გვერდებს წინ და უკან ვფურცლავთ, ტექსტის გაშიფრვას ბოლომდე ვცდილობთ და მას რაღაც უჩვეულო წესით ვანაწევრებთ; და მერე, როგორც კი მწერლის შემოქმედების საიდუმლოს ამოვიცნობთ, ტექსტს პირვანდელ სახეს ვუბრუნებთო.

და ამ ზოგად ფონზე უნდა შემოსულიყო თხრობაში ერთი მხრივ უილიამ ფოლკნერის პოეტიკისა და სტილისტიკის ღრმა და მახვილგონივრული შეფასება:

მისი წიგნის კითხვისას ამ მცდელობას მხოლოდ იმედგაცრუება რომ მოჰქონდა, რადგანაც იგი წერის ორგანულ სისტემას თითქოსდა არ ფლობდა და მინდორზე გაშვებული თხების არვესავით ბრმად მიუყვებოდა საკუთარ ბიბლიურ სამყაროს. და მის მიერ დაწერილ გვერდს როცა ანაწევრებდი, ისეთი განცდა გიჩნდებოდა, რომ მისი ხელახლა აწყობისას ზედმეტი ჭანჭიკი ან ზამბარა დაგრჩებოდა და შეუძლებელი შეიქნებოდა ტექსტისათვის პირვანდელი სახის დაბრუნება.

და მეორე მხრივ, ღრმა და მახვილგონივრული შეფასება ერნესტ ჰემინგუეის პოეტიკისა და სტილისტიკისა:

იგი პირიქით – ნაკლები შთაგონებით, მღელვარებითა და სიგიჟით, თუმც აშკარად დაჟინებით, გარეთ, დასანახად რომ გვიტოვებდა ჭანჭიკებსა და ზამბარებს, როგორც ამას მატარებლის ვაგონებზე ვხედავდით.

და სწორედ ამ განსხვავებაში დაინახავდა მიზეზს მარკესი, რომ:

ფოლკნერი უშუალოდ ეხმაურებოდა მის სულს.

ხოლო ჰემინგუეისთან უფრო მეტად საქმიანობა აკავშირებდა, და არა მხოლოდ მისი ნაწარმოებების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი ოსტატურად ფლობდა წერის საოცარ ხელოვნებას.

ეს სულიერი თანაზიარობა ფოლკნერთან, ეს განსაკუთრებული სიახლოვე მის მხატვრულ ხილვებსა და წარმოსახვებთან გამოარჩევინებდა „სარტორისის“ შემოქმედს იმ ღირსსახსოვარ დღესაც, როდესაც თავისი წინამორბედივით მარკესიც წარმოთქვამდა სიტყვას ნობელის პრემიის მიღებისას, აგებულს ლათინური ამერიკის მარტოობაზე, და ფოლკნერს თავის მასწავლებლად მოიხსენიებდა.

დაისაჭიროებდა იმის იმ სიტყვას, ამ პრემიის მიღებისას რომ წარმოეთქვა და განეცხადებინა:

ვერ შევეგუები ადამიანის აღსასრულსო.

და მარკესს უშუალოდ ეს შეგრძნება, ეს განწყობილება უნდა გაეგრძელებინა:

მე არ ვიქნებოდი ღირსი იმ ადგილზე დგომისა, სადაც იგი იდგა, თუკი ვერ გავაცნობიერებდი, რომ უზარმაზარი ტრაგედია, რომლის შესაძლებლობაც მან ოცდაცამეტი წლის წინათ უარყო – იგულისხმება დრო 1949 წლიდან 1982 წლამდე – აწ გაცხადებულიაო.

ჰემინგუეისთან შეპირისპირებისას ჭანჭიკებსა და ზამბარებს რომ ახსენებს და ჩვენი ყურადღებაც აქეთ უფრო გადადის, არ უნდა გამოგვეპაროს ის თითქოსდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზა:

ფოლკნერი საკუთარ ბიბლიურ სამყაროს რომ ჰქმნის.

სწორედაც საკუთარ ბიბლიურ სამყაროს, რაც კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ბიბლიური მოტივები თუ პროტოტიპები, ზედაპირზევე რომ მოჩანს და დიდი რამ კვლევა-ძიება არ ესაჭიროება.

ეს სიტყვები ისეთივე გზაბილიკია მკითხველისათვის ფოლკნერის იდუმალ სამყაროში შე-

საღწევად, როგორ გზაბილიკებსაც ფოლკნერი გაგვიჭრიდა ჯეიმზ ჯოისისაკენ:

„ულისეს“ ისევე უნდა ვკითხულობდეთ, როგორც უწიგნური ბაპტისტი კითხულობს ბიბლიას – რწმენითო.

და კიდევ ალბერ კამიუსა და ერნესტ ჰემინგუეისაკენ:

მთელი სიცოცხლე ღმერთს დაეძებდნენ და, როდესაც იპოვნეს, მის ხილვას ვეღარ გაუძლესო.

რაც მიგვანიშნებდა, რომ ერთის ტრაგიკული აღსასრული და მეორის თვითმკვლელობა არსებითად ერთსადაიმავე შეგრძნებასა თუ ხილვას გამოეწვია.

მახსოვს:

როდესაც ოთარ ჩხეიძე წაიკითხავდა „მარტოობის ას წელიწადს“, იტყოდა:

– არც ხულიო კორტასარია ამხელა და არც მარიო ვარგას ლიოსა, გაბრიელ გარსია მარკესმა სამხრეთამერიკული ბიბლია შექმნა.

ერთხანს დადუმდებოდა და დასძენდა:

– ისევე როგორც უილიამ ფოლკნერმა ჩრდილოამერიკული ბიბლია.

და მოგვიანებით უნდა მივმხვდარიყავი, უპირველესად იმ რომანს რომ გულისხმობდა: „გარდავედ, მოსე!“

დაწერით კი აღარ დაუწერია, აღარ გაუშლია ეს დაკვირვება, რაც არამცთუ ესეისა თუ სამეცნიერო ნარკვევს, შეიძლება სულაც მონოგრაფიას დაედოს საფუძვლად, ერნესტ ჰემინგუეის სტილურ თავისებურებას, მის მიერ მოტანილ სტილურ სიახლეს კი საგანგებოდ უნდა ჩაღრმავებოდა ესეიში „ეპიკური სტილის დასაცავად“, რომელშიც უნდა განეცხადებინა, რომ:

„მშვიდობით, იარაღოს“ შემოქმედი არ გახლდათ ეპიკური სტილის პატრონი, და მისი სტილის შეკუმშულობა აქედან მოდიოდა – ის, რაც კლასიკურ რომანებში მხატვრულ ხერხად გამოიყენებოდა, ჰემინგუეის სისტემად ექცია და... კიდეც აღმოჩენილიყო ლამის გადაულახავი დაბრკოლების წინაშე, მის მრავალრიცხოვან მიმბაძველთათვის სწორედ რომ გადაულახავად იქცეოდა სტილის ეს შეკუმშულობა.

და ნიშანდობლივად მიიჩნევდა ოთარ ჩხეიძე:

„მოხუცი და ზღვა“ თავდაპირველად რომანის ფრაგმენტად რომ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ მწერალი მიხვდებოდა, გაგრძელება რაღაცას რომ მოაკლებდა ამ თავისთავად უკვე სრულყოფილ თხზულებას, რომანის ქარგაში მოქცევა დააზიანებდა და ჩაკარგავდა, და ამიტომაც შემდგომ უკვე დამოუკიდებელ მოთხრობად დაამკვიდრებდა.

გაბრიელ გარსია მარკესიც ამასვე უნდა გულისხმობდეს, როდესაც აცხადებს:

ჰემინგუეის რომანები უზარმაზარ მოთხრობებს ჰგავს, რომლებშიც ბევრი რამაა ზედმეტიო.

სამაგიეროდ:

ყველაზე კარგი, რაც მის მოთხრობებს მოეპოვებოდათ, ის შთაბეჭდილება გახლდათ, როდესაც მკითხველს ეგონა, რომ თითქოს მათში რაღაც გამოტოვებულიყო და სწორედ ეს ანიჭებდათ ჩვეულ მისტიკურ ხიბლსა და სილამაზეს.

და შედარებისათვის მოიხმობდა ხორხე ლუის ბორხესის მხატვრულ ძიებათა თავისებურებას:

მასაც ასევე ჰქონდა დადგენილი საზღვრები, თუმც მან ჭკუა იხმარა და არ გადალახა ისინიო.

დიახ, ბორხესი ამჯობინებდა დარჩენილიყო ლირიკოსად და არ გამოჰკიდებოდა მისთვის ნაკლებად მარჯვე ეპიკურ სტილს.

ჰემინგუეის შემოქმედება რომ გადავსებულიყო მარტივი და ბრწყინვალე აღმოჩენებით – მარკესის მიხვედრით – ეს ადასტურებდა იმის გახმაურებულ მოსაზრებას, მწერლობა რომ აისბერგს უნდა მგვანებოდა და ძლიერი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ ქვემოთ, მის საფუძველს საკუთარ მოცულობაზე რვაჯერ დიდი ძალა წარმოადგენდა.

სწორედ ამგვარ ტექნიკურ მიდგომაში დაინახავდა მიზეზს, რომ ჰემინგუეისათვის არა რომანებს, არამედ მოთხრობებს რომ მოეტანა წარმატება. და წამიერი შთაგონების წყალობით შექმნილი ეს მოთხრობები ამიტომაც გახლდათ უბადლო იმ სამი მოთხრობის მსგავსად, 16 მაისის ერთ საღამოს მადრიდის ერთ პანსიონში რომ დაეწერა: „მკვლელები“, „ათი ინდიელი“ და

„დღეს პარასკევია“ – რომელთა მიმართაც მარკესი ამ აღმატებულ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა: გენიალურიაო.

გამოარჩევდა იმ თხზულებასაც: „მდინარის გაღმა, ხეები ჩრდილში“ – თავიდან მოთხრობად რომ ჩაიფიქრებდა ჰემინგუეი, მაგრამ თანდათანობით რომანის გაუვალ ჯუნგლებში შთაინთქმოდა, საბოლოოდ კი ეს აღმოჩნდებოდა მთლიანად მისი სულიერებით განმსჭვალული ქმნილება.

ამის ფსიქოლოგიურ სათავეს მარკესი მიაკვლევდა იმ განწყობილებაში, თხზულება შემოდგომის იმ განთიადისას რომ დაიწერებოდა, როდესაც მწერალი გარდასული დროის დაუძლეველი ნოსტალგიითა და დარჩენილი მცირე წლების წინათგრძნობით შეპყრობილიყო:

– ჰემინგუეის არც ერთ ნაწარმოებში არ წარმოუჩენია თავი ასე შთამბაჭდავად, ასე ლამაზად, ნაზად, და სხვაგან არსად აღუწერია საკუთარი შემოქმედების და სიცოცხლის მთავარი გრძნობა, გამარჯვების ამაოება. მისი მთავარი გმირის ეს ერთი შეხედვით ასეთი ბუნებრივი და მშვიდი სიკვდილი კი საკუთარი თვითმკვლელობის მაუწყებელ გაფრთხილებას ჰგავდა.

მარკესს თავის თავზე უნდა გამოეცადა, რომ:

როდესაც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში მისი საყვარელი მწერლის შემოქმედებით ცხოვრობდა, შესაძლოა მასში მწერლის სამყარო და რეალობა ერთმანეთს შერწყმოდა.

და ამიტომაც ატარებდა ძალიან დიდ დროს და ბევრსაც კითხულობდა სან-მიშელის მოედანთან მდებარე იმ კაფეში, სადაც ჰემინგუეის მოსწონდა წერა, რადგან იქაური გარემო სასიამოვნო, თბილი, სუფთა და კეთილი ეჩვენებოდა.

იტალია, ესპანეთი, კუბა და ნახევარი სამყარო გადავსებულიყო ადგილებით, მას ერთხელ მოხსენიებით რომ მიესაკუთრებინა. კოხიმარში კი, ჰავანას შორიახლოს, პატარა სოფელში, სადაც „მოხუცი და ზღვის“ მარტოსული მეთევზე ცხოვრობდა, მისი გმირობის პატივსაცემად სვეტებიანი თაღის ქვეშ ჰემინგუეის ბრინჯაოს ბიუსტი დაედგათ... ყველაფრისათვის, რასაც შეხებოდა, თავისი მაგიური ძალა შთაენერგა, და ამიტომაც არ უკვირდა მარკესს, ჰემინგუეის აჩრდილი ხშირად კვლავ იქ რომ იმყოფებოდა, სადაც მასთან შეხვედრას ყველაზე ნაკლებ ელოდებოდი – მუდმივად და თან თითქოს წამიერად, როგორც მაისის იმ დილით, როდესაც სან-მიშელის ქუჩის მოპირდაპირე ტროტუარიდან უნდა გადმოეძახა უმცროსი თანამოკალმისათვის: შეხვედრამდე, მეგობაროო!..

ესეისტიკის ეს შედევრი – „ჩემი ჰემინგუეი“ – ერთ-ერთ საყრდენად უნდა ქცეულიყო „ინტელექტის“ 25-წლოვანი იუბილის აღსანიშნავი სერიისათვის საგანგებოდ მომზადებული კრებულისა: „საუკუნის სკანდალი“ – რომელიც ელზა ახვლედიანსა და მაკა გოგოლაშვილს უნდა აემეტყველებინათ ქართულად, და გავცნობოდით აღიარებული მწერლის ჟურნალისტურ თხზულებებსა და ესეისტიკას, წიგნის საერთო სახელწოდებად შერჩეული ყველაზე ვრცელი რეპორტაჟიც ერთ-ერთ მთავარ საყრდენად რომ უნდა ქცეულიყო, რეპორტაჟთა ციკლში კი როგორღაც მიფარებულიყო მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური ნააზრევი, თუმც ვამჯობინებდი, ამჯერად ამ კვალს უფრო გავყოლოდი, ლიტერატურისა და რეალობის შედარება კარიბის ზღვის ფონზე მარკესს ამასაც რომ ათქმევინებდა („ზოგი რამ ლიტერატურისა და რეალობის შესახებ“):

გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ რეალობა ჩვენზე უკეთესი მწერალია. ჩვენი დანიშნულება, ხანდახან დიდებაც კი ისაა, რომ შეძლებისდაგვარად მორჩილად მივყვეთ მასო.

ეგონებოდა, რომ („ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი პოეზია“):

რეალურად არსებობდა ის დრო, როცა ხალიჩები მართლაც დაფრინავდნენ, ჯინები კი ბოთლებში გამომწყვდეულიყვნენ.

ბიბლია ირწმუნებოდა – და ამასაც ეგონებოდა – რომ:

ვალაამის ვირს ლაპარაკი მართლა შეეძლო. დანანებით კი ის ენანებოდა, მისი ხმის ჩაწერა რომ ვერ მოხერხებულიყო.

და ისო ნავინს იერიქონის კედლები საყვირთა ხმებით რომ დაენგრია, გულდასაწყვეტი ის ეჩვენებოდა, იმ ნგრევის მუსიკა რომ ვერავის ჩაეწერა.

მეტიც:

ეგონა, ამქვეყნად ბევრი მსგავსი სასწაული ახლაც ხდებაო.

და... მათ დანახვას რომ ვერ ვახერხებდით?

ამაში მეტწილად ბნელ რაციონალიზმს დაადანაშაულებდა, თავში ლიტერატურის ცუდ მასწავლებლებს რომ ჩაეჭედათ ჩვენთვის.

არა, სხვაგვარად ნუ გავუგებდით:

ძალიან უყვარდა მასწავლებლის პროფესია და დიდ პატივსაც მიაგებდა მათ; ამიტომაც წყდებოდა გული, რომ ეს ადამიანები განათლების სისტემას ეწირებოდნენ და სწორედ ეს აიძულებდათ, მსგავსი სისულელეები ელაპარაკათ.

და მადლიერებით გაიხსენებდა ბაკალავრიატის ლიტერატურის მასწავლებელს, რომელიც საგულისხმო წიგნების ლაბირინთებში წინასწარ მოფიქრებული ინტერპრეტაციების გარეშე დაატარებდათ და ასეთი მეთოდი მის მოსწავლეებს საშუალებას აძლევდათ, პოეზიის სასწაულში დამოუკიდებლად და თავისუფლად მიეღოთ მონაწილეობა.

თავისებურად გააგრძელებდა ამ საფიქრალს ის ესეი: „ლიტერატურის შესწავლა დაუტანჯავად“ – რომელშიც გაგვიზიარებდა იმ ალბათ მეტისმეტად პირადულ და მარტივ იდეას, რომ:

ლიტერატურის გონივრულად შედგენილ კურსს კარგი გზამკვლევის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომელიც გირჩევდა, რა უნდა წაგეკითხა. არც ერთ ეპოქაში არ ეარსება იმდენ მნიშვნელოვან წიგნს, როგორც ამას მასწავლებლები ირწმუნებოდნენ. ისინი ამით მხოლოდ მოსწავლეებს ატერორებდნენ და ეს სიამოვნებას ჰგვრიდათ. არადა ყველა მნიშვნელოვან წიგნზე რომ გვემსჯელა, ერთი საღამოც კმაროდა, თუკი... რა თქმა უნდა, ამ დროს ქორწილში წასვლა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი წიგნების რაოდენობა დიდი რომ არ გახლდათ, ამას ბედნიერებად მიითვლიდა.

ბიბლიის, „ოდისეასა“ და „დონ კიხოტის“ გარდა თავის სიაში ჩამოწერდა: „ათას ერთ ღამეს“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“, ჰერმან მელვილის „მობი დიკს“, ხოსე მარია ბლეკუას ანთოლოგიას „ესპანური ლირიკის ფეორესტა“, რომელიც დეტექტივივით იკითხებოდა, და „კასტილიური ენის ლექსიკონს“, ცხადია გამოცემულს არა სამეფო აკადემიის მიერ.

ეს ჩამონათვალი პროფესიულ თვალსაზრისს ემყარებოდა, თუმც „მობი დიკამდე“ მისასვლელ გზას მარტივად არ გაივლიდა. თავდაპირველად მის ადგილს ალექსანდრ დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ იკავებდა, რომელსაც სტრუქტურული თვალსაზრისით სრულყოფილ რომანად მიიჩნევდა, მაგრამ მერე მიხვდებოდა, რომ ამ ასპექტს „ოიდიპოს მეფე“ უკეთ აკმაყოფილებდა. მოგვიანებით ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაზე“ იფიქრებდა, რადგან – მისი აზრით – ის ისტორიული ჟანრის საუკეთესო რომანი გახლდათ და ნამდვილად მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

აი „მობი დიკის“ შესახებ კი მხოლოდ იმის თქმა შეეძლო:

მისი ანარქისტული სტრუქტურა ლიტერატურაში ყველაზე მშვენიერ უწესრიგობას ქმნის, რომელმაც მითოსის სულისკვეთებას შთამბერა და მაიძულა წერა დამეწყოო.

ხოლო ხორხე ლუის ბორხესის სიტყვებს რომ გაიხსენებდა („მოდი ლიტერატურაზე ვილაპარაკოთ“) მისი ერთი ადრინდელი ინტერვიუდან:

დღევანდელი ახალგაზრდა მწერლების პრობლემა ის არის, რომ წერის დროს მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, წარმატებულნი იქნებიან თუ წარუმატებელნიო.

მარკესის თვალში სანიმუშოდ ის და სწორედ ის გამოიყურებოდა, რომ:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბორხესი მხოლოდ თავისთვის წერდა.

ამასვე უმეორებდა იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომელნიც ცხოვრების გზაზე გადაყროდნენ, და მათ შორის ისეთი მწერლებიც ენახა, სწრაფად, ქაოტურად რომ ცდილობდნენ რომა-

ნის დამთავრებას, რათა კონკურსში მონაწილეობის მიღება მოესწროთ.

და ენახა ისეთებიც, უარყოფითი კრიტიკის დროს ან გამომცემლობის მხრიდან ნაწარმოების დაბეჭდვაზე უარის შემთხვევაში სრულ დემორალიზაციას რომ განიცდიდნენ.

ერთს მისთვის ციინიკურად ესეც კი ეთქვა:

ვიდრე რაიმეს დაწერდე, ბევრი უნდა იფიქრო, რადგან შენს თხზულებებს მთელი მსოფლიო კითხულობს! მე კი – პირიქით, შემიძლია ძალიან სწრაფადაც ვწერო, რადგან ჩემს ნაწერებს ძალიან ცოტა ადამიანი თუ წაიკითხავს.

ერთ ინტერვიუში რომ იტყოდა მარკესი:

ერთადერთი, რაც მუსიკის მოსმენაზე უკეთესია, მასზე ლაპარაკის სურვილიაო.

მოგვიანებით ამ საკითხს უფრო სიფრთხილით მოეკიდებოდა და მიხვდებოდა:

ლიტერატურაზე კარგ საუბარს ნამდვილად კარგად წერა რომ სჯობდა.

მიაჩნდა, რომ („როგორ იწერება რომანი?“):

მოთხრობის დახევით მწერალი გამოუსწორებელ საქციელს სჩადიოდა, რადგან მისი წერა ბეტონის ჩასხმას ჰგავდა, რომანის წერისას კი თითქოს აგურებს ალაგებდა. ეს კი ნიშნავდა, რომ თუ მოთხრობა პირველ ცდაზევე არ გამოგივიდოდა, სჯობდა ამ საქმეს შეშვებოდი. ხოლო რომანს ადვილად მოევლებოდა: შეგეძლო მისი წერა სულ თავიდან დაგეწყო.

ისე მოხდებოდა, რომ რომანის – „ფოთოლცვენა“ – ერთ-ერთ თავს ამოაგდებდა და დასახევადაც გაიმეტებდა, მაგრამ ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი ამ ნახევებს ამოიღებდა ნაგვის ყუთიდან, წებოვანი ლენტით აღადგენდა და მოინდომებდა მის დაბეჭდვას ცალკე მოთხრობად. და ავტორს რომ ჰკითხავდა: სათაურად რას დაარქმევო? – და ის კი ზოგადად მიუგებდა: აბა რა ვიცი, რადგან ეს მხოლოდ იზაბელის მონოლოგია, რომელიც მაკონდოში წვიმას გაჰყურებსო, – რედაქტორი სწორედაც ამ სიტყვებს შეარჩევდა სახელწოდებად: „იზაბელის მონოლოგი, მაკონდოში წვიმას რომ გაჰყურებს“.

და ნაგვის ყუთიდან ამობრუნებული მოთხრობა კრიტიკოსთა და მკითხველთა საუკეთესო შეფასებას დაიმსახურებდა.

ეს შემთხვევა იმაში დაეხმარებოდა, რომ იმ ტექსტების ორიგინალთა დახევა შეეწყვიტა, დაბეჭდვისათვის შესაფერისად რომ არ ეჩვენებოდა?

სწორედაც პირიქით – ის შემთხვევა ასწავლიდა, რომ ისინი ისე დაეხია, მათი აღდგენა შეუძლებელი გამხდარიყო.

„ნობელის პრემიის მოჩვენება“ კი ამჟღავნებდა მწერალთა საყოველთაო საფიქრალ-სადარდებელს, ყოველ წელს რომ უდგებოდათ ისეთი დღეები, როდესაც ერთი მოჩვენება არ აძლევდათ მოსვენებას – ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

ცუდი ის იყო, რომ:

საბოლოო შედეგი არც თვით კანდიდატსა და არც ღვთის სამართალზე არ გახლდათ დამოკიდებული და მთლიანად შვედეთის აკადემიის წევრთა იდუმალ ნებას ეფუძნებოდა.

როგორ მოქმედებდნენ აკადემიის წევრები, როგორ თანხმდებოდნენ ერთმანეთში, რა იყო მათი რეალური მოვალეობა, რაც მათ პრინციპებს განსაზღვრავდა?

დაე შევგუებოდით, რომ:

ეს თანამედროვეობის ყველაზე დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა.

მათი კრიტერიუმები არაპროგნოზირებადი გახლდათ, ურთიერთგამომრიცხავი, გასაიდუმლოებული, მათი ამოცნობა და გასაჩივრება – შეუძლებელი.

და ირონია გაერეოდა მარკესის ხმაში:

– მათი ქმედებანი ასეთი სერიოზული რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა გვეფიქრა, რომ წინასწარ გაკეთებული პროგნოზები სიცილად არ ჰყოფნით, თუმც სიკვდილთან მიახლოებას ამ ადამიანებივით არავინ გვაგრძნობინებს.

ვინ-ვინ და, გაბრიელ გარსია მარკესი გააღწევდა ამ საიდუმლოებით აღსავსე ლაბირინთებს, და ამ მიღწევას თვითონ ასე ხსნიდა, ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში რომ გაამჟღავნებდა:

თითოეულ სტრიქონში მეტ-ნაკლები წარმატებით ვცდილობ პოეზიის ჯიუტ სულებს ვუხ-

მო; ვცდილობ ყოველ სიტყვას ჩემი ღვთისმოსაობის ნაკვალევი დავატყო, როგორც სიკვდილის პირქუში ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული მარადიული გამარჯვების დასტურიო.

მის ამ საბანკეტო გამოსვლასაც და სანობელო ლექციასაც „ინტელექტის“ წყალობით გავეცნობოდით, ლინდა ბერიაშვილის თარგმანის მეოხებით, „ნობელიანტების ლექციები“ ჩვენს სამაგიდო წიგნად რომ ქცეულა და ერთ-ერთ სანდო გზამკვლევად ამ უკიდეგანო სამყაროში, ხოლო ტრიბუნაზე შემდგარი მარკესი ფოლკნერის აჩრდილს რომ გახედავდა იდუმალი მზერით, იმის რწმენას თავისას შეაგებებდა ანუ მასწავლებლის დაწყებულს ასე გააგრძელებდა და დააგვირგვინებდა:

– ამ საშინელი სინამდვილის პირისპირ, რომელიც მუდამჟამს უტოპია ეგონა კაცობრიობას, ჩვენ, მთხზველებს, რომელთაც ყველაფრის დაჯერება ძალგვიძს, გვაქვს უფლება ვირწმუნოთ ისიც, რომ ჯერაც არაა დაგვიანებული, შევუდგეთ აზრობრივად სრულიად საპირისპირო უტოპიის შექმნას – ახალი ულამაზესი სიცოცხლის უტოპიას, სადაც არავინ გადაწყვეტს სხვის ნაცვლად, როგორ უნდა მოკვდეს, სადაც დაივანებს ჭეშმარიტი სიყვარული და ნებადართული იქნება ბედნიერება, და თაობები, გაჩენის დღიდან განწირულნი მარტოობის ასი წლისთვის, აწ და მარადის მიიღებენ დიდ ქვეყნიურ ხვედრს.

და პოეზიის ჯიუტ სულებს რომ გამოიხმობდა და ყოველ სიტყვას თავისი ღვთისმოსაობის ნაკვალევსაც დაატყობდა, ცალკე ძველ აღთქმას დაიდებდა თარგად და ნიმუშად, ცალკე უილიამ ფოლკნერის ჩრდილოამერიკული ბიბლიის კვალს გაჰყვებოდა და... კიდეც მიეტანებოდა სამხრეთამერიკულ ბიბლიას, მიეტანებოდა და აზიდავდა, აზიდავდა და შეათამაშებდა მზის სხივებში...

„დაშვენდება ივანე აბაშიძის მემორიალი“

(სიახლედ ბულვარის ცხოვრებაში)

ელგუჯა თავბერიძის „ბულვარი“ ცალკე წიგნად რომ გამოიცემოდა ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის ეგიდით, დაერთვოდა ჩემი გამოხმაურება: „ბულვარის ხატად, ბულვარის საგალობლად“ – რომელიც დაიწერებოდა ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების „მწვანეყვავილაში“ გამოქვეყნებული საჟურნალო ვერსიის კვალზე, წიგნად მომზადებისას საკმაოდ რომ შეივსებოდა და უპირველესი ამ შევსებათაგან აბაშიძის ბაღის თავგადასავალია.

ვინ აბაშიძის და:

ივანე აბაშიძის, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში უფრო რჩება სოლომონ პირველის შვილიშვილად და აკაკი წერეთლის პაპად, მაგრამ ხომ უნდა დადგეს ის დრო, როდესაც მას სათანადო ადგილს მივუჩენთ ჩვენს ისტორიულ ანალებშიც და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც როგორც ეროვნულ გმირს: 1819-20 წლების იმერეთის აჯანყების მეთაურს, ტრაგიკულად რომ აღესრულებოდა ახალციხეს თავშეფარებული დაქირავებული მკვლელის ჭუმბურიძის ხელით, ეს ცნობა აკაკისაგან რომ შემოგვრჩენია.

ივანე აბაშიძეს დარჩებოდა მემკვიდრეობით სოლომონ მეფისაგან ქალიშვილის – დარეჯან ბატონიშვილისათვის ბოძებული ბაღი – ვეება ტერიტორიაზე გადაჭიმული, დედა-შვილი ამ ბაღს შესაფერისადაც რომ უპატრონებდა და საბოლოოდ აღმოსავლურ ყაიდაზე გაიმართებოდა – ხილნარისა და დეკორატიული მცენარეების რაღაც თანაფარდობით.

ამ გარემოებას ელგუჯა თავბერიძე დააზუსტებდა მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროებზე

დაყრდნობით და იმ ფსიქოლოგიურ საწყისსაც მიაკვლევდა, ბულვარს ადგილობრივი ხელისუფლება აბაშიძის ბაღის ალტერნატივად რომ განიზრახავდა და ათი წლის განმავლობაში გვერდი-გვერდაც იარსებებდა ეს ორი კოლორიტული ადგილი, ვიდრე რუსი მმართველობა საბოლოოდ არ მოინდომებდა ივანე აბაშიძის ხსოვნის ამოძირკვას მისი ბაღის სრული გაქრობით – იაკობ მარისა და ივანე ვაიხნერის უშუალო ხელმძღვანელობით თანდათან ფრანგული სტილის ბაღს რომ დაემგვანებოდა:

მიწის ნაკვეთები თანაბარი პარალელოგრამის მსგავსად დანაწილდებოდა და მათ შორის ბილიკები მოეწყობოდა. რამდენიმე მოედანიც გამოცალკევდებოდა, სადაც ქვის სკამები და ამნაირივე ძელსკამები ჩაიდგმოდა. ჩაიდგმოდა ჯიხურიც, სადაც ხილის ცივი წვენი იყიდებოდა. მებაღის შენობას დაასრულებდნენ და მოკრეფილი ხილის ჩასაყრელად კი დაამაგრებდნენ ჰოლანდიურ კასრს...

და აი ბულვარი მთლად ფრანგულ ყაიდაზე გაიმართებოდა და სახელიც ფრანგულის კვალობაზე შეერქმეოდა.

აბაშიძის ბაღში კი შენობებს ჩადგამდნენ და მის კვალს სრულიად წაშლიდნენ, რაკიღა ქუთათურები სასეირნო და გულისგადასაყოლებელ ადგილად უკვე ბულვარს დაიგულებდნენ.

კი მაგრამ:

როდემდე უნდა იყოს გადაფხეკილი ივანე აბაშიძის ხსოვნა ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და ქუთაისის ლანდშაფტიდან?

მის ბაღს თუ ვეღარ აღვადგენთ ანუ იმ შენობებს აღარ გავასწორებთ მიწასთან, ხომ შეიძლება – და აუცილებელიცაა – ბულვარში დაიდგას იმერეთის აჯანყებისა და ივანე აბაშიძის მემორიალი და ბულვარის სახელს თავისთავად შემოერიოს სახელი ეროვნული გმირისა!..

ეს სურვილი უშუალოდ ბულვარში უნდა გაცხადდეს იმ დღეს, როდესაც იქ გაიმართება ელგუჯა თავბერიძის „ბულვარის“ წარდგინება.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას – იმ ალექსანდრე ორბელიანისა, რომელიც ნათესავი და უშუალო პოლიტიკური მემკვიდრეც გახლდათ ივანე აბაშიძისა და აკაკი წერეთლის აღმზრდელი – სად აღარ გაუმართავს თავყრილობები ქუთაისსა და მის შემოგარენში: უნივერსიტეტის, სკოლის, ბიბლიოთეკის კედლებშიც, ქუჩაშიც, მდინარის ნაპირასაც, ტაძრის ეზოშიც, გამოქვაბულშიც...

ერთადერთი ბულვარი გვრჩებოდა აუღებელი.

და აჰა საუკეთესო საშუალება:

ბულვარისადმი მიძღვნილი საგალობელი პირველად ბულვარშივე აღსრულდეს.

და შემოგვეშველნონ არამარტო აჩრდილები იმ დიდებულ მოღვაწეთა, აქ რომ დაიარებოდნენ და ქვეყნის ჭირ-ვარამზე ბჭობდნენ, არამედ ივანე აბაშიძისაც, რომელმაც – ალექსანდრე ბატონიშვილის თავგადაკლული ბრძოლისა არ იყოს – ლამის გამოგვგლიჯა რუსეთის იმპერიის ხელიდან... თუმც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ხომ მაინც დაჰკირავდა თავისი სისხლით.

და დაე წიგნების წარდგინებაც დამკვიდრდეს ქუთაისის ამ კოლორიტული ცენტრისა და თავისებური სიმბოლოს – ბულვარის – ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად.

ჭორენა მახაჭაძე

მზეს მოწყურებული სული

(ქალთამზე ანა სურმანიძის „მზერწყული“)

„არასოდეს უარყოთ საკუთარი თავი,
არასოდეს დაიტოვოთ მშიერი სული,
ეძებეთ ადამიანები,
ვისაც თქვენი თავისუფლების არ ეშინია“.

ქალთამზე ანა სურმანიძე

მოხდენილი სათაური ხმლის პირველი მარჯვე მოქნევის ტოლფასიაო – ბრძანა ქართული სიტყვის დიდოსტატმა, მოდერნისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ხოლო პოსტმოდერნისტმა უმბერტო ეკომ დაამატა: სათაური ინტერპრეტაციათა გენერატორიაო და ეს რომ ასეა, თავად მათი შემოქმედებითი გამოცდილება გვარწმუნებს. გავიხსენოთ გენიალური მეტაფორულ-სიმბოლური სათაურები: „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ვაზის ყვავილობა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ლანდებთან ლაციცი“ ან ეკოს – „ვარდის სახელი“, „ფუკოს ქანქარა“ და სხვები. მოკლედ, ეს ყველაფერი ქალთამზე ანა სურმანიძის მიერ თავისი სადებიუტო კრებულისთვის დიდებულად შერჩეულმა სათაურმა გამახსენა: „მზერწყული“. ეს მზიანი კომპოზიტიც თავად შეუქმნია პოეტს. მარტო ეს ახალი მშვენიერი სიტყვაც გაამართლებდა ამ კრებულის მიერ მზის სინათლის ხილვას. მე კი სწორედ ამ სათაურმა მომაძებნინა ჩემი წერილის სათაური: „მზეს მოწყურებული სული“ და მცირე ხნით მაინც გადამიყვანა ამ პრაგმატული, ნაცრისფერი სამყაროდან მზის თაყვანისცემის მითოსურ ხანაში, იმ დროში, როცა მზე ღმერთი იყო, მთვარე – მამა, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები კი და-ძმობას უწევდნენ ლაღ და ათასფერი ქვეყნის პირველყოფილი აღტაცებით მაცქერალ ჩვენს წინაპრებს.

მივბაძე ჩემს საყვარელ რუსთველოლოგს – ვიქტორ ნოზაძეს, რომელმაც დაითვალა, თუ რამდენჯერ იყო მოხსენიებული მზე „ვეფხისტყაოსანში“, უწოდა მას „მზიური სტილის ნაწარმოები“ და აღნიშნა, რომ რუსთაველის იგავმიუწვდენელი მშვენების ქმნილებაში მზე 360-ჯერაა მოხსენიებული, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფუნქციით და „მთელი ეს შეუდარებელი პოემა მზითაა მოფენილი და სავსე“.

აი, მეც დავითვალე და აღმოჩნდა, რომ „მზერწყულში“ მზე 87-ჯერაა ნახსენები. ამ მცირე მოცულობის კრებულისთვის ეს საკმაოდ დიდი ციფრია და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ავტორისთვის მზის სახე-სიმბოლოს კონცეპტუალური მნიშვნელობა გააჩნია. მათ შორის მზე, უმეტესწილად, გამოყენებულია ტროპულ მეტყველებაში: მეტაფორებისა და შედარებების შესაქმნელად, ვთქვათ: „საკვამურიდან კვამლი მზესავით ამოვიდა“ (128); „მზის სხივმა უცებ გამიპო ბაგე – ამოვიმღერე სულის აისი“ (132); „როცა იტირებ, მზე გაფინე სარეცხ თოკებზე“ (134); აფხაზეთში მზეს ქართული სუნი ასდის (43) და ა.შ. ტროპის ფუნქციით მზე გამოყენებულია 65-ჯერ.

ასევე, მზეს ვხვდებით კომპოზიტების ან წარმოქმნილი სახელების ნაწილად 12-ჯერ: ქალთამზე, მზესუმზირა, მზისფერი, პირიმზე, მზისგულიანი, მზისფერგულები, უმზეობა და ა.შ.

„მზერწყულში“ 10-მდე შემთხვევაა, როცა მზე იგულისხმება სინათლეში, განთიადში: „ცა ივსება სინათლით“ (29); „მე როცა ჩავალ ჰორიზონტის წითელ ყაყაჩოდ“ (114) და სხვა.

აქვე ერთი საყვედურიც უნდა შევკადროთ პოეტს: ბევრი ვეძებე კრებულში ლექსი „მზერწყული“ და ვერ ვიპოვე. ალბათ, მომავლის კრებულებში მაინც შევა ამ სახელწოდების ლექსი და ეს კომპოზიტიც ღირსეულ აქტიურ/პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს.

ქალთამზე ანა სურმანიძის ლექსებში მზეს, როგორც წესი, ოპტიმისტური განწყობა და კაშკაშა ფერები შემოაქვს. ჩემი აზრით, ის ზოგჯერ, პოეტური შთაგონების სიმბოლოა:

„სიტყვის ყანები მწიფდებოდნენ
ნარინჯისფერად,
ამოდიოდა ჭიდან მზე“.
(„ჩემი ბგერები“, 5)

უმეტესწილად, მზე – მისი „ამოსვლა და ამომღერება“ – სიცოცხლის აღორძინების, გაზაფხულისა და უკვდავების სიმბოლოა, სიცოცხლის ხესაც ხომ „ძარღვში დაუდის მზე“:

„მალევე თვალი გაახილა.
უჭირდა,
თუმცა, ახერხებდა მზის დაბუდებას,
და ფეთქდებოდა ატმისფერი გაზაფხულები“.
(„ახალშობილის ხე“, 16)

მზე სიყვარულია, მზე სატრფოა, რომლის ძიებაში „ცხრა მზე“ გამოუვლია ლირიკულ გმირს, ალბათ, ამიტომაც ჩააქსოვა მზის სხივებს თავისი თმები, ის „ხვალის მზეა“ და მისი ერთადერთი სურვილია:

„მინდა ვკოცნიდე
ჰაერს, მიწას,
და მზეს ვკოცნიდე...
თვით ვიყო კოცნა და
და შენს ბაგეს
აღარ მოვცილდე...“
(„მინდა“, 53)

მზე დედის თითების სითბოა, რომელმაც მზისფრად შეღება და მზის ელვარება შემატა ლირიკული გმირის თმებს, სულში კი ის სილაღე და რწმენა ჩაუღვარა, რომელმაც ცხოვრების რთულ გზაზე სიარული გაუადვილა. ეს უანგარო, თვითშეწირული სიყვარული და სიკეთე, დედის სულის ეს ბრწყინვალება არასოდეს გახუნდება პოეტის სულში:

„მე ახლა ვფიქრობ,
რამ შემატა ჩემს თმებს მზის სითბო,
მზის ელვარება,
მზის ნავარდი დალალებს შორის?
და გამახსენდა,
მთელი ბავშვობა, ჩემს თმას შენი თითები წნავდა“. (71)

პოეტი-ქალის სახელიც მზის ნაწილია, აკი ქალთამზე დაარქვეს, ის მზის ნათლულია, ამიტომაც დაუხატავს თავად ღვთაება კვირიას. ეს არცაა გასაკვირი, შემოქმედებიც ხომ ღვთის რჩეულები არიან, ამიტომაც არის მათი თვალები ზეცისკენ, სინათლისკენ მიპყრობილი, ამ თვალებში ცა და მზე აირეკლება, იქვე ცხოვრობენ სიტყვები, პოეტიც კრეფს „თვალში ამოსულ სიტყვებს“:

„გამო, ქალთამზევ, ადრიან,
თმა ჩამოშალე მდინარედ,
ცა ჩაიწურე თვალებში,
მზე გააღვიძე მძინარე“.
(„გამო“, 95)

ბუნებრივია, მომავალი პირმშოც „მზის შვილი“ იქნება, ხასხასა და ფერადი, თაფლივით ტკბილი და აბრეშუმივით რბილი, ღიმილივით თბილი და კრიალა, ვინც დედას ქალღმერთად აქცევს:

„დრო გადაირბენს ასკინკილით, მუხლტყავდამძვრალი...
შეგადარებენ მზის ქალებს და მზისფერ ხათუნებს,
მოდი, მზის შვილო, ამ თაფლიდან გამომაფხიზლე
და ჩემს სახეზე თათუკები მომითათუნე“.
(„მზის შვილო“, 33)

მზე ღმერთია, ჰელიოსია, ოქროს რაშებით რომ სერავს ცის კაბადონს, ის ღმერთია, რომლის „ყოველ გაღიმებაზე ატმის რტოებზე სკდება კვირტები“ (134). საინტერესოა, რომ ქალთამზე ანა სურმანიძის ლექსებში ისმის ღმერთის ძიებისა და მასთან მიახლოების სურვილები: ყველა გზა უფლისკენ მიდის, ეს კი მეტამოდერნისტული ეპოქის ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

უაღრესად გულწრფელი, ინტიმური, მეტიც, ზოგჯერ შინაურულიცაა პოეტი-ქალის დამოკიდებულება მზესთან. მზე პერსონიფიცირებულია: „მზეს მომცრო ხალი აჩნია ტუჩთან“ (110), ის ხან ტირის და მაშინ „ქარიშხლები წვებიან ზურგზე“ (108), ხან – იღიმება და მაშინ სამყაროც თბება, ხან დაჭრილია და ნატყვიარს იკემსავს, ზოგჯერ „ხის შიშველ ტოტზე გადაწვება გულწასულივით“ (116), ზოგჯერ კეკლუცად მოისინჯავს ხავერდის კაბას (111), ან კიდევ: „გამთენიისას, წამოდგება როცა მზე ფეხზე, ნამს შეიპკურებს, ჩამოიშლის თმას დასავარცხნად“ (91) *(აქ არ შეიძლება ღვთაებრივი ვაჟას სტრიქონები არ გაგვახსენდეს ლექსიდან „ღამე მთაში“).*

მაგრამ ცხოვრება მხოლოდ მზისფერი კაშკაშა ფერებით არაა შეღებილი, მას ზოგჯერ ბინდი დაჰკრავს და მაშინ მზეც დაიბინდება, მაშინ სხვაგვარი სევდა ისადგურებს ქვეყნად, ირღვევა საყოველთაოდ მიღებული წესრიგი და მზესუმზირებიც კი „მზისგან ზურგშექცეულნი“ დგანან (37), „როცა მზე კვდება, დგება ქვიშიდან სამუმი“ (70), ის პოეტი-ქალის სულშიც დატრიალდება და მზის მოყვარული ავდრების დევნას იწყებს (96).

ავდარი კი იშვიათი არაა მგრძნობიარე სულის პოეტისთვის, რთულია მეოცნებე ადამიანისთვის გადაუღებელი თოვა-წვიმების გადატანა, ამ დროს ის იძულებულია, ხშირად შეიცვალოს ფერიცა და

იერიც: ხან მასხარას მოპარულ ფორმას მოირგებს, ხან მგლის ტყავს გადაიცვამს, თუმცა სხვისას ვერაფერს იგუებს:

„მას შემდეგ ცხრა ტყავი გამოვიცვალე.
ცხრა სიმღერა ვთქვი და ცხრა ბანი,
ცხრაჯერ გავიწვდინე საბანი.
ცხრაჯერ დავიხურე ცხრა ქუდი,
ცხრა მოვიპარე და გავქურდე.
ბევრი ვიარე თუ ცოტა, საკუთარ თავს დავუბრუნდი...“
(„ერთხელაც“, 8)

გარდა იმისა, რომ ამ ლექსში ქართული მითოლოგიისთვის ასე საყვარელი საკრალური რიცხვი – ცხრა შემოდის, რომელიც, ვფიქრობთ, შემოქმედის მრავალსახეობასა და რთული ძიებების გზაზეც მიგვანიშნებს, აქვე ქალთამზე სურმანიძე საინტერესო აქცენტს აკეთებს შემოქმედსა და ღმერთს შორის არსებულ კავშირზე, იმ იდუმალ ძაფებზე, რომლებიც მათ შორის არის/უნდა იყოს გაბმული, რადგან მხოლოდ უფლისთვის მიწერილი უპასუხო ბარათების სავარაუდო პასუხები აფრთიანებენ სიტყვებს წინადადებებად, უფრო მეტი, ჩვეულებრივ სიტყვებსა და წინადადებებს ჯადოსნურ ძალას ანიჭებენ და ასე იბადება ჭეშმარიტი, ამამაღლებელი, უზენაესთან რომ მიგაახლოებს – ისეთი პოეზია: „დღემდე ფრენენ ჩემი წერილები მიწიდან – ცამდე, ციდან – მიწამდე“ (9). ამ გზაზე კი მარცხიც ბევრია და გამარჯვების სიხარულიც:

„ათასჯერ გაუპიათ ჰორიზონტები...
ათასჯერ დანარცხებიან ნისკარტებით ქვიშიან სანაპიროს...“
(„ერთხელაც“, 9)

ადამიანს ტკივილს რა გამოულევს, თუმცა ქალთამზე სურმანიძის ერთ ლექსში – „ფეხის გადაბრუნება“ – ზუსტადაა ნაგრძნობიცა და ნაჩვენებიც, რომ ეს ტკივილები მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის გადასატანია *(ამ ლექსმა დიდებული „გზაზე ერთი კაციც“ გამახსენა).* ბავშვობაში გულუბრყვილოდ გგონია, რომ შენი ტკივილი შეძრავს და ფეხზე დააყენებს მთელ სოფელს/ქალაქს, ამიტომაც ასე უშუალო, გულწრფელი, დაუფარავი და ხმამაღალია ბავშვის ტირილი, მაგრამ ცხოვრება ასწავლის, რომ სხვებისთვის შენი გულწრფელი ემოცია მხოლოდ დაცინვის ან, უკეთეს შემთხვევაში, გაოცების საგნად შეიძლება იქცეს და, ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვიც სწავლობს გრძნობების მოთოკვასა და „შიგ ჩაბრუნებას“, სწავლობს – აღარ ჰქონდეს ადამიანების იმედი, ბავშვური სილაღე, ხალისი, უშუალობა, უდარდელობა ქრება და გულწრფელი ტირილიც „მოგუდულ ყმუილად“ იქცევა *(ეს ორი სიტყვა ძალიან კარგად გადმოსცემს მარტოობის, გაუცხოების ტრაგედიას),* ბოლოს კი ეს ხმა მხოლოდ მისივე „გულის კედლებს შეასკდება“ (30-31), ამიტომ აღარ უნდა გვიკვირდეს დიდების ყალბი ღიმილები და ის, რომ ასეთ გარემოში ადამიანები „ღიმილნასწავლ, ფიქრებგამოკეტილ ქილად“ რჩებიან (32), აღარ უნდა გვიკვირდეს, როცა საკუთარ თავში „გადამთიელს“ აღმოაჩენ (66), დღეები კი „უნალექო, ემოციებისგან გამომშრალ ამინდებს“ დაემსგავსებიან (107).

კიდევ ბევრ საფიქრალს აღძრავს ქალთამზე ანა სურმანიძის ლექსების კრებული, რომელშიც დიდი მოლოდინიცაა ჩადებული. გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში (10.06.2021) პოეტი ამბობს, რომ ჯერ მთავრისთვის არ მიუგნია. აქვე აღნიშნავს, რომ „თანამედროვე პოეზიამ შეიცვალა კალაპოტი. იგი გათავისუფლდა ფორმის, რითმის, სტილისა და სხვა ჩარჩოებისგან, თითქოს პროზის მდინარეს შეერია“. ეს ტენდენცია „მზერწყულშიც“ იგრძნობა, თუმცა, ჩემი აზრით, პოეტის შემოქმედებით გამარჯვებას არა იმდენად ფორმა განაპირობებს, რამდენადაც

ემოციათა გულწრფელობა, სამყაროს აღქმის ორიგინალური მანერა, საკუთარი ხელწერის ჯიუტი ძიება, რაც, იმედია, მომავალ კრებულებშიც გაგრძელდება, ამიტომ ვუსურვოთ მზისფერ პოეტს კვლავაც წარმატებით ექსოვოს „მზის ბილიკები“.

P.S. ახლახან გამახსენდა, რომ პირველ წერილს, რომელშიც ქალთამზე ანა სურმანიძის ლექსებზე ვსაუბრობდი, „მომავლის მონატრება“ ერქვა. ეს მომავალიც დადგა და ახალგაზრდა გოგონა დღეს უკვე ჩამოყალიბებულ პოეტად წარსდგა მკითხველის წინაშე. ალბათ, საინტერესოა, რა მომეწონა მაშინ, ახალდამწყები შემოქმედის რომელმა სტრიქონებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, ამიტომ გთავაზობთ ამონარიდებს 2009 წლის წერილიდან. აი, რა დამიწერია:

„თუკი პოეტ-ქალთან მზე-სიყვარული იგვიანებს და „გულშესაფარსაც“ არავინ სთავაზობს, მსუბუქ-საყვედურგარეული სტრიქონებით შეეხმიანება, ხოლმე:

„მზემ გაათბო დედამიწა
მზეო, როგორ გელოდი...
შენ კი სხვისკენ იჭვრიტები
ერთხელ ჩემთან შემოდი!“
(„გაზაფხული შემოდის“)

ქალთამზე სურმანიძისთვის მტკივნეულია აფხაზეთის მონატრების გრძნობა, ის იმდენად დაუძლეველია, რომ „შარბათსიზმრად“ იქცევა, რომლის ცხადად ხილვა თითოეული მამულიშვილის ოცნებაა:

„აფხაზეთს ვიყავ წუხელ სიზმარში...
იმედისფერად ჰყვაოდა ზეცა...
შემომეგება და ჩემს წინაშე
ხასხასა მოლის ხალიჩებს ჰკეცდა.
მთლად ქართველებით გაივსო მიწა,
აფხაზეთს ქართლის სუნი სდიოდა...
ბაზალეთს გვერდით მიუწვა რინა,
ფსოუც ჭოროხის გვერდით დიოდა“.
(„შარბათსიზმარი“, 42)

დღესაც ვფიქრობ, რომ „შარბათსიზმარი“ ქართველების ჯვარცმისა და მოუშუშებელი ჭრილობის – აფხაზეთის – თემაზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია, სამშობლოს სიყვარული კი ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე თბილი და ტკბილი დედის კალთიდან იწყება, დედის, რომელიც ნებისმიერ ასაკში ქალღმერთს მოჰგავს:

„სულ თოვლივით თეთრი ჰქონდა ნენეს თმები,
ლეჩაქის ქვეშ გულმოდგინედ ინახავდა,
გრძელი, გრძელი, ისე გრძელი, რომ მუხლებზე გადვიფენდი,
თმის ვარცხნისას ნენე მოხუც ქალღმერთს
ჰგავდა“. *(127)*

ამ, მართლაც, მშვენიერი სტრიქონებით დავასრულებ ჩემს მცირე რეცენზიას და კიდევ ერთხელ ვუსურვებ ქალთამზე ანა სურმანიძეს კვლავაც გაეფერადებინოს მზისფრად თავისი ლექსებით ჩვენი მორუხო დღეები.

12.06.2021

თინა
ბოლქვაძე

ზაური მახვილსიტყვაობა

მახვილსიტყვაობა, იგივე ნაკვესი, ანუ ანეკდოტი, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია, რომელშიც ჩაქსოვილია მისი შემქმნელი სოციუმის იუმორი, რომლითაც წარმოჩენილია საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა.

ანეკდოტი, რომელიც ამ მახვილგონივრული ჟანრის ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდებაა, ბერძნული სიტყვაა; თავდაპირველად მას გამოუცემელი, ცოცხლად მოარული სიუჟეტის სახელდებისათვის იყენებდნენ; თანამედროვე გაგებით კი ანეკდოტი ნიშნავს მოკლე, სასაცილო ამბავს, რომელსაც გართობის ფუნქცია აკისრია და, ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქითა და მოულოდნელი ეფექტით ფარდას ხდის ადამიანთა მანკიერ თვისებებს.

ტერმინი „ანეკდოტი“ ქართულ ენაში რუსული გზით შემოვიდა, თუმცა ეს ჟანრი საქართველოში ძველთაგან ძალზე პოპულარული და აქტიური იყო; ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ქართველ მეფეებსა და დიდებულებს ჰყავდათ კარის ხუმარა, რომლის უმთავრესი ფუნქცია იყო, მახვილსიტყვაობის გამოყენებით შეფარულად, ნართაულად ეთქვა სიმართლე პატრონისათვის.

მახვილსიტყვაობანი, ანუ ნაკვესები, იგივე ანეკდოტები, მოიცავენ ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს და სატირულ-იუმორისტული ელფერით წარმოაჩენენ სოციუმის პრობლემებს. მათში, როგორც პროფესორი აპოლონ ცანავა აღნიშნავს, „ყოველი სიტყვა მოზომილია და ზუსტად ხვდება მიზანს“ (აპ. ცანავა, „სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“, თბ., 1960, გვ. 120); ეს კი ის კეთილშობილური მიზანია, რომლის მისიაც არის, მსმენელსა და მკითხველში აღძრას სიცილის გრძნობა, რასაც სოციუმის კათარზისი უნდა მოჰყვეს.

შესაძლებელია, ანეკდოტში სიტუაცია გაზვიადებულადაც იყოს წარმოჩენილი, თუმცა, როგორც პროფესორი ალექსანდრე ღლონტი მიანიშნებს, რამდენადაც ზეპირსიტყვიერების ეს ჟანრი „სინამდვილის ანარეკლია, ცხოვრებიდან გადახვევას ვერ იტანს“ (ალ. ღლონტი, „ქართული ხალხური ნოველის საკითხები“, თბ., 1989, გვ. 310).

ანეკდოტი უაღრესად ინტერნაციონალური ხასიათისაა, რასაც განაპირობებს მისი ფორმის სიმსუბუქე და განზოგადოებული რეალისტური თემატიკა; ამიტომაც არის აგრერიგად ფართოდ გავრცელებული და სიცოცხლისუნარიანი ეს არქაული ჟანრი, რომელიც არღვევს ყოველგვარ საზღვრებს და ადვილად გადად-გადმოდის ერთი ხალხის ფოლკლორული წიაღიდან მეორეში.

მახვილსიტყვაობა, რომელიც მისი შემოქმედი ერის ხალხური იუმორის უმტკივნეულოდ, ნართაული ფორმით მოცემულ მხილებას ეფუძნება, საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება. ანეკდოტის თქმის ტრადიცია ბოლო დრომდეა შემორჩენილი ისტორიული ქართული პროვინციის – ტაოს ქართულენოვან სოფლებშიც.

როგორც ყველგან საქართველოში, ისტორიულ ქართულ კუთხეებში – შავშეთსა და კლარჯეთში – და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში გავრცელებულ მახვილსიტყვაობთაგან ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანია მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამახვილი და გონებაფხიზელი, ხალხისაგან უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით მოსილი სასულიერო პირის – ხოჯა (მოლა) ნასრედინის (მასრადინა) სახელთან დაკავშირებული სიუჟეტები. ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც ბრძენი, კეთილი, ლაღი, ენამოსწრებული ხოჯა ნასრედინი (ნასრეთი ხოჯა) დიდი ხანია, გასცდა თავისი ერის საზღვრებს, მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილება გახდა და ბეჯითად, პირველქმნილი ხიბლითა და სიჯიუტით ამხელს საზოგადოებრივ მანკიერებებს; მოლა ნასრედინი სიცილის ცხოველმყოფელი ძალით კურნავს და აჯანსაღებს ადამიანებს, ავიწყებს ყოველგვარ უკეთურებასა და ბოროტებას, უმტკივნეულოდ აყენებს სიკეთის სამსახურში.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკომ“ 1987 და 2008 წლები მოლა ნასრედინის წლებად გამოაცხადა, რაც ამ მსოფლიო მოქალაქის სიბრძნის საერთო-სახალხო სიბრძნედ აღიარებას ნიშნავს.

მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად, მოლა ნასრედინი XIV საუკუნეში ცხოვრობდა. ამგვარ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ მოლა ნასრედინი, მისი ციკლის ანეკდოტების თანახმად, თემურ ლენგის თანამედროვედ არის წარმოდგენილი; სხვა მოსაზრების მიხედვით, მოლა ნასრედინი XII საუკუნის მკვიდრია (სალადინის თანამედროვე), სხვა ვარაუდით, იგი IX საუკუნის მოღვაწეა.

მოლა ნასრედინის ვინაობის დადგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თურქ მკვლევარს ერდოღან თოქმაქჩიოღლუს. 1991 წელს სტამბოლში გამოცემული წიგნის – „ხოჯა ნასრედინი – ყოველი მხრიდან“ – თანახმად, ხოჯა ნასრედინი დაბადებულა დაახლოებით 1208 წელს რუმის სელჩუკთა სასულთნოში, დღევანდელი აქშეჰირის პროვინციის სივრიჰისარის რაიონის მაშინდელ სოფელ პორტოში (ჰორთუმში), რომელიც დღეს მოლა ნასრედინის სახელს ატარებს.

მოლას მამა – აბდულა ეფენდი სოფლის იმამი ყოფილა, დედას ერქვა სიდიკა. ნასრედინი ბავშვობაში ჰაჯეი ჯიანის სახელს ატარებდა. მან განათლება მიიღო ჯერ მამისაგან და იმდროინდელი მწიგნობრებისაგან, შემდეგ სწავლობდა ქალაქ კონიას სასულიერო სასწავლებელში (მედრესეში), რომლის დამთავრების შემდეგაც ერთხანს თავის სოფელში მუშაობდა მასწავლებლად, შემდეგ კი იმამი გახდა; ის აქშეჰირის ყადიც ყოფილა და მუდერისიც (პროფესორ-მასწავლებელი).

აქშეჰირში მოღვაწეობისას მოლა ნასრედინი რამდენჯერმე დაქორწინებულა, ჰყოლია შვილებიც და იქვე გარდაცვლილა 1282 წელს. მიუთითებენ მის საფლავსაც (რ. ბაქრაძე, „საქართველოს მიღმა“. 2003, გვ. 152-153; ო. გვარიშვილი, „ისევ ხოჯა ნასრედინის შესახებ“. – წიგნში: ერდოღან თოქმაჩოღლუ, „გონებამახვილი ხოჯა ნასრედინი“ (თურქულიდან თარგმნა ო. გვარიშვილმა), ბათ., 2004, გვ. 3-4).

1974 წლიდან ქალაქ აქშეჰირში ყოველწლიურად იმართება ხოჯა ნასრედინისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომელსაც ხსნის ვირზე ამხედრებული „ხოჯას“ გამოსვლა ქალაქის მთავრ მოედანზე (გვარიშვილი, 2001: 3). საყურადღებოა, რომ ქალაქ აქშეჰირში ხოჯა ნასრედინის კულტია შექმნილი: ქორწილის დროს მიდიოდნენ მის საფლავთან და ვითომ მასაც ეპატიჟებოდნენ. ეს კულტი ბოლო დრომდე იყო შენარჩუნებული ამ ქალაქში (В. Гордлевский, „Анекдоты о Ходже Насреддине“, М., 1957, გვ. 249).

აღსანიშნავია, რომ ქალაქ სტამბოლის პირველი ყადი – ცნობილი მეცნიერი ჰიზირ ბეი და მწერალი სინან ფაშა, რომლებიც ცხოვრობდნენ მე-15 საუკუნის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, მოლა ნასრედინის შთამომავლები (შვილიშვილები) ყოფილან (რ. ბაქრაძე, „საქართველოს მიღმა“. ბათ., 2003, გვ. 153).

მოლა ნასრედინის ანეკდოტები ხელნაწერის სახით მე-16 საუკუნიდან გამოჩნდა. დიდმა თურქმა პოეტმა ლამიმ ანეკდოტების კრებულში, თავის მოწაფეთა ანეკდოტების გვერდით, ხოჯა ნასრედინის ანეკდოტებიც შეიტანა. ამ ნიმუშების მიხედვით მათი ავტორი მასხარად გამოიყურება; მოგვიანო ჩანაწერებით კი ნამდვილი ბრძენკაცია, რომელიც თავისი მახვილსიტყვაობით უპირისპირდება ბოროტებას (ლ. ჩლაიძე, „ხოჯა ნასრედინი კავკასიაში“. – ჟ. „ფიროსმანი“, №5, სტამბ., 2008, გვ. 16).

ხოჯა ნასრედინის ციკლის ანეკდოტების სტამბური გამოცემა განხორციელდა ქალაქ სტამბოლში 1837 წელს; მისი ნაღვაწის მასიურად ბეჭდვა კი 1923 წლიდან, თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის დამთავრების შემდეგ, დაიწყო და ბოლო დრომდე ასეულობით გამოცემა არსებობს.

მოლა ნასრედინის ანეკდოტები მსოფლიოს 72 ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. საქართველოში ამ დიდებული მოაზროვნის ნაღვაწი დაიბეჭდა 1886, 1892, 1895, 1906, 1941, 1972, 1991, 2001, 2017 წლებში.

ყველასათვის მახლობელი და საყვარელი ხოჯა ნასრედინის სახელს ბევრი ტრადიციული კავკასიური (მათ შორის ქართული) სიუჟეტიც შერწყმია და პირიქითაც მომხდარა, რაც ამ დიდებული პიროვნების მახვილსიტყვაობათა პოპულარობის შედეგია.

ენაწყლიანი და გონებამახვილი მოლა ნასრედინის ბრძნული ოხუნჯობანი, რომლებშიც დაგმობილია ადამიანური მანკიერებანი, გულით შეიყვარა ქართველმა ხალხმა; ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ 1906 წლიდან თბილისში აზერაბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“, რომელსაც გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა როგორც ქართულ, ისე თურქულენოვან სამყაროში.

მოლა ნასრედინის ანეკდოტებს კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანიც; მის „სიბრძნე სიცრუისაში“ შეტანილია მოლას რამდენიმე ოხუნჯობა. 1893 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ალექსანდრე მირაქიშვილის მიერ ოსმალურიდან ნათარგმნი „მოლა ნასრედინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები“, რომელშიც წარმოდგენილია ოხუნჯობის 130 ნიმუში (აპ. ცანავა, „სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“, თბ., 1960, გვ. 166).

ისტორიულ ქართულ პროვინციაში – ტაოში ძალზე პოპულარულია ხოჯა ნასრედინის, იგივე ნასრეთი ხოჯას, ციკლის ანეკდოტები, რომლებთან ზიარებაც ტაოელმა ქართველებმა ტრადიციული ეროვნული ზეპირსიტყვიერების ისტორიული მახსოვრობითა და, აგრეთვე, თურქ ხლხში ნასრეთი ხოჯასადმი დიდი პატივისცემითა და აღიარებით მიაღწიეს.

როგორც საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში, ტაოშიც ძალზე გავრცელებულია ანეკდოტი ხოჯას ქვაბის შესახებ. ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოღლი) 2017 წლის 29 ივლისს ჩაწერილი ანეკდოტის თანახმად, ნასრეთი ხოჯა მეზობელთან მისულა ქვაბის სათხოვნელად, რათა მასში მაწონი ჩაედედებინა, შემდეგ კი პატრონს ორი ქვაბი დაუბრუნა. მოხუცებულმა მეზობელმა გაიკვირვა:

„– მე შენ ერთი თანე მოგეცი, ორი თანე რა არიო, ხოჯავო?“

ხოჯამ კი უპასუხა:

„– შენი ქვაბმა გააგდოვო!“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 925).

ამ ანეკდოტის ბოლო ფრაზა, რომლის გზავნილიც შეუძლებლის შესაძლებლად წარმოჩენას გულისხმობს, ტაოში ანდაზად ქცეულა: „ქუაბ ქუაბი გუუგდიაო“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 924).

ამ ანეკდოტის მახვილგონიერების გვირგვინი მისი შემდგომი ეპიზოდია, რაც ტაოელმა მთქმელმა, სამწუხაროდ ვერ გაიხსენა: მოლამ მეორედაც სთხოვა მეზობელს ქვაბი. მეზობელმა, ორი ქვაბის მოლოდინში, უფრო დიდი ქვაბი გაატანა, მოლამ კი მისიც აღარ დაუბრუნა და, როცა მეზობელმა ქვაბისათვის მიაკითხა, უთხრა, „შენი ქვაბი ორსულად იყო და მუცელს გადაჰყვაო“. გაოცებული მეზობლის ნათქვამზე, „როგორ შეიძლება, ქვაბი მუცელს გადაჰყვესო“, მოლამ ენამოსწრებულად უპასუხა: „ქვაბის მშობიარობა თუ დაიჯერე, სიკვდილიც უნდა დაიჯეროო!“

მოლასეული პასუხის მაგალითებია:

1. **შავშური:** „– შენ რო გითხარი, ქვაბმა იშვაო, დეჲჯერეო, მოკდა რო გებნევი, რეჲზა არ დეჲჯერეო?!“;

2. **კლარჯული:** „– დასმა რომ დეჲჯერეო, მოკვდენას რატომ არ ჯერულობო?!“;

3. **ლაზური:** „– დაბადება დაიჯერე და რომ მოკვდა, არ გჯერავსო?! გეუბნები, შენი ქვაბი მოკვდაო!“ (მთქმელი ალი აბდულოღლი, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში. ჩაიწერა ციალა ნარაკიძემ 2010 წელს).

4. **სპარსული:** „– თუ ის გაგიგონია, რომ ქვაბმა შობა ქვაბი, რატომ ის აღარ გაიგე, რომ ქვაბი მოკვდება?! ამის შემდეგ იცოდე, რომ ქვაბი, ისევე როგორც ქვაბსა შობს, აგრეთვე კვდება!“;

5. **კახური:** „– თუ ის გაგონილა, რომ ქვაბმა იმშობიაროს, ისიც უნდა გაიგო, რომ მშობიარობას გადაჰყვაო!“.

ხოჯა ნასრედინის ციკლის ანეკდოტი, რომლის თანახმადაც ხოჯა, რომელსაც არ უნდა, რომ მეზობელს თოკი ათხოვოს, ირწმუნება, რომ თოკზე ფქვილი აქვს გაფენილი, ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის – საქართველოშიც. ტაოს ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ამ ანეკდოტის ვარიანტი (მთქმელი სულბიე თორამანი, 80 წლის, მცხოვრები ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 ივლისს სოფელ ქობაის უბანში – გუნეიმაჰალეში), რომლის თანახმადაც ხოჯასთან მივიდა მეზობელი და თოკი სთხოვა. მოლამ უთხრა:

„– თოკზე ფიქივილი გაშლილაო!“

გაკვირვებულმა მეზობელმა უთხრა:

„– თოკზე ფიქივილი გეჲშლებაო?!“

მოლამ უპასუხა:

„– შენთინ მოცემა არ მინდა და გეჲშლებაო!“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 925).

საყურადღებოა, რომ ამ მახვილსიტყვაობის ძირითადი გზავნილი ტაოელთა ზეპირსიტყვიერებაში საანდაზო ფორმულადაც ქცეულა: 2018 წლის 30 ივლისს ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ელიასხევში 67 წლის პენსიონერი პედაგოგისაგან – შევქი თოფჩუსაგან ჩავიწერე ანდაზა: „ნასრეთი ხოჯამ თოკზე ფიქივილი გაშალაო“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 923).

შავშურ ფოლკლორში დადასტურებული ვარიანტის მიხედვით, მოლას ფქვილის ნაცვლად თოკზე ქერი „გაუფენია“ და ამ მიზეზით ისტუმრებს უარით თოკის სათხოვნელად მისულ მეზობელს (თ. შიოშვილი, „შავშური ფოლკლორი“, ბათ., 2016, გვ. 301).

მახვილსიტყვაობის თურქული ვარიანტის თანახმად, თოკის სათხოვნელად მისულ მეზობელს ხოჯა უარს ეუბნება იმავე მიზეზით, რაც ტაოურ და საქართველოს სხვა კუთხეთა ნიმუშებშია წარმოდგენილი; მის გაკვირვებას კი ასე პასუხობს:

„– როდესაც ჩემი გონება თხოვნას არ ეთანხმება, ფქვილის გაფენა თოკზეც კი შეიძლება!“ (ე. თოქმაქჩიოღლუ, „გონებამახვილი ხოჯა ნასრედინი“. თურქულიდან თარგმნა ოსიკო გვარიშვილმა, ბათ., 2011, გვ. 59).

თოკზე ფქვილის გაფენის ანომალიის მოლასეული „ახსნა“ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ამგვარია: „– როცა მოლას არ უნდა, მეზობელს თოკი ათხოვოს, მასზე ფქვილის გაფენაც დასაჯერებელია“ (თ. შიოშვილი, „ჩვენებურების მოლა ნასრედინი“. – ჟ. „ჭოროხი“, №2, ბათ., 2014, გვ. 117).

მახვილსიტყვაობის ლაზური ვარიანტის (მთქმელი ალი-რეიზ ნუმანოღლი. ჩაიწერა ციალა ნარაკიძემ 2010 წელს) თანახმადაც, ხოჯას პასუხი ამგვარია: „– თუ მიცემა არ გინდა, ფქვილი კი არა, ყველაფერი გაიფინებაო“.

ანეკდოტებს, რომლებიც მახვილსიტყვაობის პრინციპზეა აგებული, სასაცილო ფაქტების ასახვა-გადმოცემის თავისებური ხერხი ახასიათებთ: სიცილის უმთავრესი მიზეზია პერსონაჟის გონებრივი ჩამორჩენილობა, სიბრიყვე; როგორც პროფესორი ალექსანდრე ღლონტი მიანიშნებს, „ბრიყვი ამ ციკლის ნაწარმოებთა უაღრესად პოპულარული პერსონაჟია“ (ალ. ღლონტი, „ქართული ხალხური ნოველის საკითხები“, თბ., 1989, გვ. 434). ამგვარი სიტუაციები ხშირად გვხვდება მოლა ნასრედინის ციკლის ანეკდოტებშიც; ამ მეთოდით ნასაზრდოები მახვილსიტყვაობის მიზანია, აჩვენოს შენიღბული, საგანგებოდ შექმნილი სიტუაცია და გონივრული განსჯის გზით არარაობად აქციოს უგუნური ქმედება. ერთ-ერთი ამ ტიპის ტაოური ანეკდოტი, რომელიც ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ქობას უბანში – გუნეიმაჰალეში 2017 წლის 29 ივლისს ჩავიწერე 80 წლის სულბიე თორამანისაგან, მოგვითხრობს: ნასრეთი ხოჯამ ფური დაკარგა. დაიწყეს ძებნა. ხოჯა და მისი ცოლი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ საძებნელად. ცოლი ეძახის:

„– ხოჯა, იპოვნე თუ არა?“

ხოჯა პასუხობს:

„– ნტუ!“

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ისევ ერთად რომ შეიყარნენ, ცოლმა უსაყვედურა ხოჯას:

„– იმდონი ვიძახე, ვიძახე, რაზე არ გეჯგონე, ხოჯავო?“

ქმარმა უპასუხა:

„– მე გევგონე, ჰამა გითხარ „ნტუ“-ო“.

ამ ანეკდოტის კახური ვარიანტი ამგვარია: საღამოს ძროხა არ დაბრუნდა საძოვრიდან. ცოლ-ქმარმა ძებნა დაიწყო სხვადასხვა მხარეს. ერთმანეთს კარგა მანძილით რომ დაშორდნენ, ცოლი ეძახის:

„– მიხო, იპოვნე ძროხა?“

„– ნტუ“, – პასუხობს ქმარი.

ასე რამდენჯერმე განმეორდა. ხელმოცარულები, გვიან დაბრუნდნენ სახლში. ცოლმა უსაყვედურა:

„– კაცო, ხო არ დაყრუვდი, რო გეძახოდი, იპოვნე თუ არა, პასუხი რატო არ გამეცი, ჰა? ვერ გაიგონე?“

„– როგორ არა, დედაკაცო, გავიგონე. ხო გითხარი, „ნტუო“-მეთქი!“ (ავტორის პირადი არქივიდან).

ანეკდოტი ნასრეთი ხოჯას მიერ იმ ტოტის მოჭრაზე, რომელზეც ზის, მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული სხვადასხვა ხალხში; მისი ტაოური ვარიანტი, რომელიც 2018 წლის 29 ივლისს ნატალია ჩხარტიშვილმა ჩაიწერა ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ გოდღეკარში მცხოვრები 62 წლის ფატყუმე გუმუშოღლისაგან, მოგვითხრობს: ნასრეთი ხოჯა ხეზე ავიდა, ტოტზე უკუღმა ჩამოჯდა და წალდით ჭრა დაიწყო. გამვლელმა კაცმა უთხრა:

„– ნასრეთი ხოჯა, მაქა რა იჯებიო? თერსინა ჭრავ, გუდუვარდებიო!“

ხოჯამ ყური არ ათხოვა გამვლელს და, მართლაც, გადმოვარდა; გაეკიდა მრჩეველს და უთხრა:

„– ჩემი გუდუვარდნა იცოდი, მე რახან'ნა მოვკდე?“

კაცმა მიუგო:

„– მე რა ვიცი შენი მოკდომა! დღე გიგითავდება, მოკდები!“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 925).

ეს ტაოური ანეკდოტი თავისთავად არანაირ უკმარისობის გრძნობას არ ტოვებს, თუმცა მის აჭარულ ვარიანტში (მთქმელი რეჯებ ბერიძე, მცხოვრები ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში. ჩაიწერა მიხეილ ფარტენაძემ 1977 წელს) სხვაგვარი ფინალია წარმოდგენილი: ხის ტოტზე უკუღმა მჯდარმა მოლამ არ შეისმინა გამვლელის რჩევა, ტოტი ძირში მოჭრა და გადმოვარდა; ფეხიც იტკინა და ტალახშიც ამოისვარა. ამასობაში ქარავანმა გამოიარა, ტალახში ამოსვრილი მოლას დანახვაზე ჯორები დაფრთხნენ, მექარავნეებმა მოლა დაიჭირეს და კარგად გაჯოხეს. ნაცემ-ნაბეგვი მოლა სახლში რომ დაბრუნდა, ცოლმა ჰკითხა:

„– მოლა ეფენდი, სა ბძანდებოდი დღესაო?

– დღეს ტყეში ვიყავი, – მიუგო მოლამ, – და მოვკვდიო!

– მოკდიო?!

– კიო.

– მერე, რა ამბავი იყო საიქიოსო? – ჰკითხა ქალმა.

– რა ამბავი იყო და გზავრებს თუ ჯორები დუუფრთხე, იმდენს გცემენ, ვერ დათლიო! ეს ამბავი იყოვო!“ (ბსუ ნბიფა, საქმე №219: 122).

ტაოური და აჭარული ვარიანტების კონტამინაციაა სერგი ჟღენტის მიერ 1938 წელს გამოცემულ კრებულში – „ჭანური ტექსტები“ – შესული ვარიანტი სათაურით „ხოჯა ნასრედინის ამბავი“:

ხოჯა ნასრედინი ხეზე ავიდა, წვრილ ტოტზე ჩამოჯდა და მსხვილი მხრიდან ნაჯახით ჭრა დაიწყო. ერთმა მგზავრმა უთხრა:

„– შენ ამ ხიდან უნდა გადმოვარდეო!“

ხოჯამ არ დაუჯერა, მოჭრა ტოტი და გადმოვარდა. იფიქრა: „მე რომ აქედან უნდა გადმოვვარდნილიყავი რომ იცოდა კაცმა, როდის უნდა მოვკვდე, ისიც ეცოდინებაო“; ადგა, გაეკიდა კაცს და უთხრა:

„– მითხარი, როდის უნდა მოვკვდე?“

კაცმა უთხრა:

„– შენს სახედარს ხუთი ფუთი ტვირთი მოჰკიდე და აღმართში ასვლის დროს ერთჯერ თუ ვირი ჰაერს გააფუჭებს, სული მუხლამდე ამოგივაო, მეორედ – წელამდეო, მესამედ – სიკვდილიაო“.

ხოჯაც ასე მოიქცა და აღმართს აუყვა. სახედარმა ერთხელ რომ ჰაერი გააფუჭა, ხოჯამ დაიბღავლა:

„– სული მუხლამდე ამოვიდაო!“

მეორედ – „– წელამდეო!“ – დაიბღავლა; მესამედ – „– მოვკვდიო!“ – და წაიქცა.

ხოჯას თავი მკვდარი ჰგონია და მყუდრო ადგილას დაიმალა. ჩამოიარეს მექარავნეებმა. ხოჯამ გაიხედა და ცხენები დააფრთხო. ცხენების პატრონებმა დაინახეს გაწოლილი ხოჯა და მაგრად სცემეს.

ხოჯა ადგა და წავიდა თავის ეზოში. მეზობლებმა მისი ამბავი რომ მოისმინეს, ჰკითხეს:

„– შენ მკვდარი იყავი და იმ ქვეყნიდან რა ამბავი მოგვიტანეო?“

ხოჯამ უპასუხა:

„– იმ ქვეყნის ამბავი ძალიან კარგია, მარტო მექარავნეთა ცხენებს ნუ დააფრთხოფთ, ყველაზე ცუდი საქმე ის არისო – ცხენების დაფრთხობაო!“ (ს. ჟღენტი, „ჭანური ტექსტები“, ტფ., 1938, გვ. 97).

ტაოური ანეკდოტით, რომელიც 2017 წლის 29 ივლისს ჩავიწერე ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის სოფელ ბალხის უბანში – წითლეკარში 47 წლის ფეჰმე სულეჩაისაგან (ჭარაბოღლი), გაკიცხულია სიზარმაცე: ორი ზარმაცი თუთის ძირში წვანან, ერთი ეუბნება მეორეს:

„– ერთი აი თუთა ლაშში ჩიმივარდესო!“

მეორე პირველზე ზარმაცი აღმოჩნდა, ნატვრის წარმოთქმაც კი ეზარებოდა და უთხრა:

„– არ გეზარება და ხვარათოფო!“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 925-926).

ერთ-ერთ ანეკდოტში, რომელიც ართვინის პროვინციის იუსუფელის რაიონის დაბა სარიგოლში მცხოვრები 56 წლის ელიფა ოზიურთისაგან ჩავიწერე 2018 წლის 29 ივლისს, ტაოელები დასცინიან უნიათობასა და სიყეყეჩეს: ხარს ქვაბში თავი გაეჭედა და ქვაბი კი არ გატეხეს, ხარი დაკლეს:

„– რა ვქნათა? რა ვქნათა? – უთქმიან, კარდალი არ გუუტეხიან და ჴარი დუუკლიან“ (თ. შიოშვილი, „ტაოური ფოლკლორი (ტექსტები)“. – კოლექტიურ მონოგრაფიაში „ტაო“, ბათ., 2020, გვ. 926).

ტაოური ანეკდოტების დიდი ნაწილი ხოჯა ნასრედინის ციკლისაა, ნაწილში კი წარმოჩენილია რეალური ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო იუმორი; მათში, როგორც ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრს ახასიათებს, ლაკონურად არის თავჩენილი გონებამახვილური ჩანაფიქრი, რაც უმტკივნეულო მხილების გზით სოციუმის კათარზისს ემსახურება.

ნოდარ ბარამიძე

გონიოს მუჰაჯირი ბარამიძეები

სოფელ გონიოში (ქალაქ ბათუმის გონიოს უბანში) მცხოვრები ბარამიძეების მრავალრიცხოვანი გვარი დღეს 30-ზე მეტ ოჯახს ითვლის. ეს გვარი ერთ-ერთი უძველესია გონიოში. ბარამიძეები წარმოშობით გურიიდან ვყოფილვართ. ჩვენი წინაპრები XVI საუკუნის შუა ხანებამდე ცხოვრობდნენ ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში (ამბობენ, ხიდისთავშიც), რომელთა ერთი შტო აღნიშნული დროიდან საცხოვრებლად გადმოსულა აჭარაში და დასახლებულა მაღლაკონში. ამის მიზეზი, ერთი ვერსიით, გამხდარა ის, რომ სამართლის ძიებისას კაცი შემოკვდომიათ და ვითარების შემდგომ გამწვავებას განრიდებიან. დაახლოებით 120-130 წლის შემდეგ, ე. ი. 1670-იან წლებში, მათი ერთი ნაწილი დაფუძნებულა საცხოვრებლად უფრო ხელსაყრელ სოფელ გონიოში.

სამწუხაროდ, მაშინდელ პირობებში, კომუნიკაციის სირთულისა და ისტორიული ბედუკუღმართბის გამო, ნაწილობრივ, დაუდევრობის მიზეზითაც, თანდათანობით, საუკუნეთა სიღრმეში დაიკარგა ჩვენი ერთიანი ხაზი, მაგრამ არაცნობიერმა შეინარჩუნა საოცარი რამ: მაღლაკონში ან სურებში ყოფნისას, უბრალოდ, ახლომახლო გზაზე მოძრაობის შემთხვევაშიც კი, ჩემში (და არა მხოლოდ ჩემში) იღვიძებს ადგილის დედის ენით გამოუთქმელი, განუმეორებელი, მშობლიური განცდა, იდუმალი სურვილი მოვეფერო იქაურ მიწას, თითოეულ ქვას, მცენარეს, ვესაუბრო ადამიანებს, რომლებშიც თითქოს ვეძებ და ვხედავ ჩემს შორეულ ნათესავებს. ეს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა უტყუარად, ნებისმიერ საბუთზე უფრო, ადასტურებს ჩვენს გეოგრაფიულ, ისტორიულ და ბიოლოგიურ ერთიანობას.

გურული წარმომავლობის ჩვენი აჭარელი წინაპრები ბაირაღტარებად იწოდებოდნენ, რომელმაც შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, სხვათა მსგავსად, თურქული დაბოლოება მიიღო და ბგერათა არც თუ ისე ლოგიკური ჩანაცვლების გზით ბაირამალოღლად იქცა, რომელიც ბოლოს ჩვენეულმა ბარამიძემ შეცვალა.

ჩვენი გვარის წარმომადგენლები თავიდანვე ყოფილან შრომისმოყვარე, პატიოსნებით გამორჩეული, ალალ-მართალი, საკმაოდ შეძლებულნი, გაჭირვებულთა გამკითხავნი და სტუმართმოყვარენი. ჩვენებს, თავად საქმიანებს, არ უყვარდათ თურმე სხვის საქმეებში ჩარევა, მაგრამ ყოველთვის მზად იყვნენ დახმარებოდნენ სხვებს. ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენი გვარის კაცს თავისთვის მოუკლია, ან სხვისგან აუღია და ხელი გაუმართა-

ვს უცნობი ადამიანებისათვის, უჩუქნია ან სესხად მიუცია საჭირო თანხა, რომელიც ხშირად არც კი დაბრუნებია. ჩვენი გვარის კაცები, თავად სამართლიანები, ვერ ეგუებოდნენ, ღიად უპირისპირდებოდნენ უსამართლობას, რასაც აქტიურად ავლენდნენ კიდეც. არც სხვას დაჩაგრავდნენ და არც თავს დააჩაგვრინებდნენ ვინმეს. უკეთურებასა და არაკაცობას არავის შეარჩენდნენ. იცოდნენ საკუთარი ღირსების ფასი და სხვის ღირსებასაც უფრთხილდებოდნენ.

ბარამიძეები არა მხოლოდ შრომის გონივრული ორგანიზაციითა და წარმატებული სამიწათმოქმედო-ფერმერული საქმიანობით იყვნენ გამორჩეული, არამედ ისინი კარგი ზღვაოსნებიც იყვნენ და საკუთარი ფელუკებით თევზჭერის საქმეშიც გამოირჩეოდნენ.

მოგვიანებით, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, განსაკუთრებით კოლექტივიზაციის წლებში, ბარამიძეების ოჯახებს მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოართვეს და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. საშიშროება დაემუქრა ზღვაოსნობასა და შესაბამის ინვენტარსაც, მაგრამ გონიოს თემში არ იყო რა ამ საქმის უკეთესი მცოდნე, საბჭოთა ხელისუფლებამ ბარამიძეთა შესაბამის ჯგუფს საშუალება მისცა გაერთიანებულიყო ე. წ. „წითელი მეთევზის“ ორგანიზაციაში და ეს საქმე ისევ მათ მიანდო.

ბაბუა იაკუბს (დაბ. 1857 წელს) და ბებია ხატიჯეს (დაბ. 1860 წელს) ჰყავდათ ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ვაჟები: ახმედი (1884-1968), ალი (1886-1953), ხასანი (მამაჩემი, 1888-1973), რეშიდი (1889-1986), ზექერია (1897-1964) და ქალიშვილი – სულთანი (1900-1918).

ბაბუაჩემის მრავალრიცხოვან ოჯახს, ისევე როგორც ბევრ სხვას, ბედმა მუჰაჯირობის მწარე ხვედრი არგუნა. როგორც ცნობილია, სამშობლოდან მორიგი დევნილობის (მუჰაჯირობის) საბაბი გახდა პირველი მსოფლიო ომი (1914-1918), რეალური მიზეზი კი იყო რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა. კერძოდ, 1914 წელს დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში ჩაება რუსეთ-თურქეთიც. დედასამშობლოსთან ახლ-



პირველ რიგში, მარცხნიდან: ახმედი, ალი, ხასანი.
მეორე რიგში: რეშიდი, ზექერია

ად დაბრუნებული აჭარა იწყებდა თავის ნაბიჯებს საერთო ეროვნულ ფერხულში. ამ დროს რუსეთის იმპერიის რეაქციულმა, შავრაზმულმა ფრთამ ღალატი დასწამა აჭარლობას. მიზანი გასაგები იყო. ასე უფრო ადვილად და თითქოსდა სამართლიანად შეიძლებოდა „მოღალატე“ აჭარასთან „კანონიერი“ გასწორება, ფაქტობრივად კი რუსული იმპერიული და კოლონიური პოლიტიკის გატარება, ქართული მიწა-წყლის დაპატრონება, რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან ერთგულთა ჩამოსახლება. და დაიწყო ისევ აჭარის აყრა-გასახლება, მისი აოხრება და განადგურება რუსული ჩექმებით. საზღვარი არ ჰქონდა რუსი ჩინოვნიკების თავხედობას, ქართველთა შეურაცხყოფას. ქალები ტყეს აფარებდნენ თავს, ხალხი გარბოდა მოძალადეთაგან, რათა საკუთარი ღირსება და ნამუსი შეენახათ.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამას ადასტურებს გამორჩეული რეალისტი მწერალი დ. კლდიაშვილი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა აჭარაში და იმხანად რუსეთის არმიის ოფიცრის ჩინით იმყოფებოდა ბათუმში. იგი თავის მოგონებების წიგნში („ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი, 1984) აღწერს აჭარის მკვიდრთა ბედუკუღმართობას, მათ დაბეჩავებულ და უუფლებო მდგომარეობას, სახელმწიფო მოხელეთა თავგასულობას და ა. შ., რაც მუჰაჯირობის მთავარი მიზეზი გახდა.

სხვებთან ერთად ამ პერიოდში გაიხიზნა ბაბუაჩემის დიდი ოჯახიც თურქეთში, კერძოდ, ზღვისპირა უნიეში, სადაც სამ წელზე მეტი დაჰყო. მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობის კვალობაზე აქაც ნორმალურად ააწყვეს ცხოვრება, იმის მიუხედავადაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მუქად ხატავდა მეფე ნიკოლოზის დამხობის შემდგომ ვითარებას საქართველოში, გული მაინც სამშობლოსაკენ მოუწევდათ. სამწუხაროდ, სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება ყველას როდი ეღირსა. გონიოში წამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე, უცხოეთში (უნიეში) მოკლე დროში გარდაიცვალნენ ბაბუა და ბებია, რომელთა დარდს გადაჰყვა მათი 17-18 წლის ულამაზესი ქალიშვილიც. მას შემდეგ, რაც მამაჩემს გაუკეთებია მათი საფლავები (კარგად დამუშავებული, სწორკუთხა ქვებით, მაგრამ, როგორც თვითონ წუხდა, წარწერის გარეშე), იგი წამოსულა გონიოში და თან წამოუყვანია უმცროსი ძმა, დარდიმანდობით გამორჩეული ზექერია მის საცოლესთან ერთად. უფროსი ძმები, თავიანთი ოჯახებით, ცოტათი ადრე წამოსულან. რეშიდ ბიძია, სხვაგან ყოფნის გამო, რამდენიმე ხნით დაყოვნებულა. ასე რომ, სამშობლოში დაბრუნდნენ მხოლოდ იაკუბის ვაჟიშვილები. სწორედ მათი, ამ ხუთი ძმის (იხ. სურათზე) შთამომავლები ვართ გონიოში (და არა მხოლოდ გონიოში) მცხოვრები ბარამიძეები.

ახლა შევჩერდეთ ჩემი გვარის კაცების მუჰაჯირობის წლებთან დაკავშირებულ ერთ, მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომელიც ბოლო პერიოდში გახდა ჩვენთვის ცნობილი. მანამდე, სიცხადისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გარკვეული ისტორიული ექსკურსი:

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა რომ წითელ ზოლად გასდევს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) პერიოდში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ამოცანაც ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მიღწევა იყო. კომიტეტის წევრები იყვნენ საქართველოდან ევროპაში იძულებით ემიგრირებული მამულიშვილები: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხეილ წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ზია აბაშიძე და სხვები.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთში ჩამოაყალიბა საჯარისო ფორმირება – ქართული ლეგიონი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი პატრიოტები (მასალები კომიტეტისა და ლეგიონის შესახებ, ძირითადად, მოტანილია აბელ და კახაბერ სურგულაძეების ნაშრომიდან „ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994).

კომიტეტის ვარაუდი საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებით ასეთი იყო: პირველ მსოფლიო ომში გერმანია და, საერთოდ, სამთა კავშირი, დაამარცხებდა რუსეთს (ანტანტას) და ცარიზმის კატასტროფის ფონზე შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები საქართველოს რუსეთისაგან ჩამოცილებისთვის. ამიტომაც, დამოუკიდებლობის კომიტეტმა ორიენტაცია აიღო გერმანიაზე და მას თავისი საჯარისო ლეგიონით (და არა მხოლოდ) თანამშრომლობა შესთავაზა. კომიტეტის გეგმა ითვალისწინებდა საქართველოში ანტირუსული აჯანყების ორგანიზებასაც, რუსების სამობილიზაციო მუშაობის ჩაშლას და არმიის შესაძლებლობისამებრ დემორალიზებას, საჭირო მომენტში ლეგიონის გადმოსხმას საქართველოში, სადაც შესაფერის ადგილად მიჩნეული იყო ქობულეთი.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, დამოუკიდებლობის კომიტეტსა და გერმანიის, ასევე, ოსმალეთის სათანადო უწყებებს შორის გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკებები და მიღწეული იქნა ყველა მხარისთვის მისაღები შეთანხმება. კერძოდ, თურქეთის ტერიტორიაზე შეიქმნებოდა ქართული სამხედრო შენაერთი გერმანიის ეგიდით, მხარდაჭერითა და დახმარებით. კავკასიის ფრონტზე საქართველოს ჯარის სარდალს უნდა ემოქმედა თურქეთის არმიის მთავარსარდლობასთან კოორდინაციაში. და-

მოუკიდებლობის კომიტეტისათვის აღნიშნული შეთანხმებისა და ურთიერთთანამშრომლობის საბოლოო მიზანი ასე იკვეთებოდა: ომში დასუსტებული რუსეთი წავიდოდა გერმანიასთან იძულებით ზავზე და ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობასაც. გამარჯვების შემდეგ გერმანიაც იღებდა ვალდებულებას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. იგივე ივალდებულა ოსმალეთმაც, ოღონდ საქართველოს 1914 წლამდე საზღვრებში.

1914 წლის დასასრულისათვის ძირითადად ჩამოყალიბდა ქართული ლეგიონი ლეო კერესელიძის მეთაურობით. ლეგიონი დაკომპლექტდა და თანდათანობით ივსებოდა ქართველი ემიგრანტებით, მოხალისე სამოქალაქო და სამხედრო პირებით, თურქეთში, გერმანიასა და ავსტრიაში მყოფი სამხედრო ტყვეებით, ძველი და ახალი მუჰაჯირებით. ლეგიონში სამსახურის სურვილი განაცხადეს იმ ქართველმა ახალგაზრდებმაც, რომლებიც გერმანიაში ეუფლებოდნენ უმაღლეს განათლებას. ლეგიონის ფორმირების ცენტრად შერჩეული იყო ქალაქი ვიწე, რომელიც მდებარეობდა ფრონტთან ახლოს და რომლის შემოგარენში მრავლად ცხოვრობდა ქართველობა.

ლეგიონმა 600 კაცის შემადგენლობით პირველი სამხედრო ნათლობა მიიღო 1914 წლის დეკემბერში, როდესაც იგი გადაიყვანეს ერზრუმის მიმართულებით, დაუქვემდებარეს გერმანელ პოდპოლკოვნიკ შტანკეს, რომელმაც თავის ძირითად ნაწილებთან და თურქთა პოლკებთან ერთად გაარღვია რუსთა თავდაცვითი ზღუდეები და აიღო არტაანი. ამ ბრძოლაში ლეგიონმა დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს, რამაც კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა გერმანელებს ლეგიონისადმი. ბედის ირონია იყო, რომ არტაანისათვის ბრძოლაში (და არა მხოლოდ) სხვებთან ერთად ერთმანეთის პირისპირ იდგნენ რუსეთის არმიის ქართველი გენერლის – გაბაშვილის რაზმები და ქართველი ლეგიონერები.

თუ როგორ წარიმართა დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ლეგიონის შემდგომი საქმიანობა, ეს სხვა საკითხია და ამაზე ქვემოთ, მაგრამ ბოლო პერიოდში აღმოჩნდა, რომ ლეგიონის შემადგენლობაში მოხალისეებად ირიცხებოდნენ ამ სტრიქონების ავტორის მუჰაჯირი ბიძები – ახმედ და რეშიდ ბარამიძეები.

მკვლევარი ირაკლი ბარამიძე, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის არქივსა და ბიბლიოთეკაში სხვა საკითხებზე მუშაობისას, შემთხვევით წააწყდა ქართული ლეგიონის წევრთა ერთ-ერთ სიას (საქმე №76), რომელიც თარიღდება 1915 წლის სექტემბრის თვით და რომლის შემადგენლობაშიც მან მოულოდნელად ამოიკითხა 1914-1918 წლებში უნიეში, მუჰაჯირად მყოფი ბაბუამისის (ხასანის) ძმების – ახმედის და რეშიდის სახელებიც: №152 ახმედ ბაირამოღლი; №154 რეშიტ ბაირამოღლი. საინტერესო ისიცაა, რომ მათ გვარ-სახელებთან ასეთი მინაწერებია: „ეს კაცები არიან მენავეები“; მეორე მინაწერში გაუმართავი ქართულით იკითხება: „დროვობით იმყოფებიან თავისუფალი გაშობული“. პირველი მინაწერი ამ კაცების განსხვავებულ დანიშნულებაზე, საჭიროების შემთხვევაში ლეგიონერთა მიერ მათი სათანადო მიმართულებით (მენავეებად) გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებს, მეორე – სავარაუდოდ, ამ ადამიანების ქართული ლეგიონის რეზერვის შემადგენლობაში ყოფნაზე მიანიშნებს. მაგრამ ყველა შემთხვევაში მათი ამოცანა საპატიოც იყო და პატრიოტულიც.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ თურქეთში მუჰაჯირად მყოფი ბაბუაჩემის – იაკუბის ხუთი ვაჟიშვილიდან ორნი (და მაინცდამაინც ესენი) აღმოჩნდნენ ამ სიაში? რატომ სხვები არა? საფიქრებელია, რომ 20-30 წლის დამოუკიდებელი ვაჟიშვილებიდან, რომლებიც საქმიანი თუ სხვა მიზნებით ხშირად დადიოდნენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში და შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებშიც, აღნიშნული სიის შედგენისას, როგორც ჩანს, ესენი იმყოფებოდნენ შესაბამის გეოგრაფიულ პუნქტში და ამდაგვარად ეს მომენტი აცდათ სხვებს. თუმცა, ერთი ოჯახიდან ორი შვილის ლეგიონერობაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. შე-

მდეგ კი მოვლენათა მსვლელობამ დღის წესრიგიდან მოხსნა ეს საკითხი.

მოვლენათა მსვლელობაში უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ იმას, რომ ომში რუსეთის უეჭველი დამარცხების თავდაპირველი იმედი სულ უფრო მცირდებოდა, გერმანია და მისი მოკავშირეები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, ომის საბოლოო ბედიც ახლა ბევრს აღარ აეჭვებდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ქართული ლეგიონისადმი ინტერესიც შესამჩნევად განელდა, დაიკარგა ლეგიონში გაწევრიანების აქტუალობა.

ლეგიონი თურქეთისთვისაც მის ტერიტორიაზე მყოფ არასასურველ შენაერთად აღიქმებოდა. 1916 წლის ბოლო თვეებში დაინტერესებულმა ძალებმა ოფიციალურად თხოვეს ბერლინს მისი დაშლა. დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1917 წლის მაისში შეძლო ლეგიონის ძირითადი ნაწილი გაეყვანა თურქეთიდან და ჩაეყვანა რუმინეთში, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისა და საბჭოთა რუსეთის ომიდან გამოსვლის გამო ლეგიონერებს საბრძოლო ოპერაციებში აღარ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი დაბრუნდნენ დამოუკიდებელ საქართველოში და ცალკე შენაერთის სახით შევიდნენ ეროვნული არმიის შემადგენლობაში.

საინტერესოა, რომ არც მამაჩემს და არც მის ლეგიონერ ძმებს არასდროს უთქვამთ რაიმე მათი მუჰაჯირობის პერიოდის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ. ისე მიიცვალნენ მრისხანე საბჭოთა ეპოქაში, რომ ქართული ლეგიონის მოხალისე წევრობის სახით რუსეთის წინააღმდეგ მათი გადადგმული ნაბიჯის ხილული თუ უხილავი პერიპეტიები საფლავში ჩაიტანეს. ეტყობა ამ ადამიანების პირადი გამოცდილება, განსხვავებული საზოგადოებრივი ფორმაციების, იდეოლოგიებისა და სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობის პირობებში განვლილი მრავალჭირნახული ცხოვრების გზა, ამ გზის ამსახველი არაცნობიერი და შესაბამისად მომართული ფსიქიკა არ იძლეოდა ამის საშუალებას. რომ არა სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის არქივში შემთხვევით მოკვლეული მასალები, ვინ იცის როდის გახდებოდა ცნობილი, ქართული ლეგიონის გონიოელი წევრების, ბარამიძეთა გვარის კაცების სახელები, რომლებიც უცხოეთშიც, მუჰაჯირობის პირობებშიც, იდგნენ სამშობლოს ინტერესების სამსახურში.

ჭოროხი 4

2021

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2021
malkhaz.pagava@mail.ru